

61402
172

მანანა კეკელიძე

ქართული რომანტიზმის
ეროვნული საფუძვლები



„მეცნიერება“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

მანანა კაკაბაძე

ქართული რომანტიზმის
ეროვნული საფუძვლები



თბილისი
„მეცნიერება“
1983

წინამდებარე ნაშრომში განიხილება ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები ზეპირსიტყვიერებაში, ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში, ვეფხისტყაოსანში, აღორძინებისა და გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში რომანტიზმის საფუძვლების ძიება სრულიად ახალი საკითხია, იგი ჯერ ლიტერატურათმცოდნეობაში მსჯელობის საგანი არ გამხდარა. პირველად აქ განიხილება ძველი ქართული საგალობლები რომანტიკულ იდეებთან მიმართებაში. მოცემულია ვეფხისტყაოსნისა და „მერანის“ ახლებური შეპირისპირება. ახლებურადაა გააზრებული აღორძინებისა და გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში საკითხთა მთელი წყება. შესავალ ნაწილში განიხილება მსოფლიო რომანტიზმის წარმოშობა და მისი საფუძვლები, აგრეთვე ქართული რომანტიზმის რუსულ რომანტიზმთან მიმართების ზოგიერთი ახალი საკითხი. ნაშრომში გათვალისწინებულია თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევები.

რედაქტორი გ. ა ბ ა შ ი ძ ე .

წინასიტყვაობა

ქართული რომანტიზმის საფუძვლებზე მსჯელობას ჩვენ ვიწყებთ იმ უძველესი მითოლოგიური თქმულებებისა და ხალხური პოეზიის ანალიზით, რომელიც, ვფიქრობთ, მთელ ქართულ ლიტერატურულ აზროვნებას და, მათ შორის, ქართულ რომანტიზმსაც, განსაკუთრებულ იერს ამჩნევს და თავისთავადობას ჰმატებს.

ვფიქრობთ, ქართული რომანტიზმის საფუძვლებზე მსჯელობა არ იქნება სრული, თუ მის ეროვნულ სულს, უძველეს თქმულებებსა და სიმღერებში გამოხატულს, არ წარმოვსახავთ. ფოლკლორულ მასალას არ განვიხილავთ იმის მიხედვით, გამოიყენა თუ არა ესა თუ ის ლექსი ან ლეგენდის თემა რომელიმე ქართველმა რომანტიკოსმა. ჩვენ გვაინტერესებს თვითონ ქართული ფოლკლორის რომანტიკული სული. სიმღერები და ზღაპრები, თქმულებები და ლეგენდები, რომლებიც კვებავდა ქართველი რომანტიკოსების სულიერ სამყაროს, მათი ესთეტიკური და მორალური აღზრდის უტყუარი მონაწილეა და მათი შემოქმედების საფუძველთა თანაზიარი.

ქართული შუასაუკუნეობრივი ლიტერატურა, დაწყებული ადრეული შუასაუკუნეებით, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, ვეფხისტყაოსანი, აღორძინების ხანის მწერლობა, გარდამავალი ეპოქა, — ბატონიშვილებისა და ემიგრანტთა პოეზია, აი, ის ეროვნული ლიტერატურული საფუძვლები, რომლებიც წინამდებარე გამოკვლევაში განხილვის საგანია.

ეროვნულ მწერლობასა და ფოლკლორთან ერთად ქართული რომანტიზმის საფუძვლებია ევროპული და რუსული რომანტიკული ლიტერატურა.

რუსულ ლიტერატურულ გარემოსთან განსაკუთრებით იყო დაკავშირებული ქართული რომანტიზმი. ცნობილია და მიღებული აზრი, რომ ევროპულ განათლებას ქართველი რომანტიკოსები რუსეთის გზითღებულობენ. ამ გზითვე ქმედის მათ ცნობიერებაში რომანტიზმი.

ამიტომ ქართულ რომანტიზმზე მსჯელობისას ეს ხაზი ყოველთვის გათვალისწინებულია, რომლის გარეშე ვერ შეიქმნება სრული წარმოდგენა ქართული რომანტიზმის სპეციფიკაზე.

ჩვენი გამოკვლევის მიზანია ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლების ანალიზი, მაგრამ საკითხის სისრულისათვის გარკვეული დოზით შევეხებით რომანტიზმის უზოგადეს საკითხებს, მის სპეციფიკას, მსოფლიო რომანტიზმის საფუძვლებს და ქართული რომანტიზმის რუსულ მწერლობასთან მიმართების ზოგად ხასიათს.

შესავალი

რომანტიზმის წარმოშობა და მისი საფუძვლები

რომანტიზმი, როდესაც გარკვეულ ლიტერატურულ მიმდინარეობად ყალიბდება, თავის თეორიულ საფუძვლებს იმთავითვე აღიარებს. იგი წარმოიქმნება როგორც რეაქცია კლასიციზმისა და მისი თეორიული პრინციპების წინააღმდეგ.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, თავისი თეორიით შეიარაღებული XVIII საუკუნის ბოლო ათეული წლებიდან იწყებს არსებობას. XIX საუკ. პირველი ნახევარი რომანტიზმის აყვავების ხანაა. ქართული რომანტიზმის არსებობა სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა.

რომანტიზმის პირველი თეორეტიკოსები, უპირისპირდებიან რაკლასიციზმს, წამოაყენებენ ახალ, საკუთარ პრინციპებს, რაც ლიტერატურას უნდა დაედოს საფუძვლად.

ძირითად პრინციპთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია უარყოფა ხელოვნების არსებული ფორმებისა (როგორც მწერლობაში, ასევე ხელოვნების სხვა დარგებშიაც). უარყოფილია როკოკო და ბაროკო. რომანტიზმის პირველი თეორეტიკოსები და ფუძემდებლები მოუწოდებენ ბუნებასთან უშუალო კავშირისაკენ. ყველაფერი უშუალო და ბუნებრივი უნდა იყოს, — ასევე გრძნობები და მათი გამოხატვა. ხელოვნური შეზღუდვა უარყოფილია, უარყოფილია ხელოვნური ფორმები პოეტიკაში და სამაგიეროდ აღიარებულია ბუნებრივი, უშუალო, ეროვნული ფორმები. უარყოფილია კლასიკის ცრუ მიმბაძველობა.

რომანტიკოსებმა თავისი ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთ ძირითად პრინციპად და საფუძვლად შუა საუკუნეების ევროპული მწერლობა, ლიტერატურა და ზეპირსიტყვიერება აღიარეს.

რომანტიზმი, რომელიც წარმოიშვა ევროპელ ხალხებში, რომანულ ენოვან ხალხებში, თავის საფუძვლად აღიარებს რომანულ და შუა საუკუნეობრივ კულტურას და ლიტერატურას. იგი ამით უპირისპირდება კლასიციზმს, რომელიც კლასიკურის, ძველი, ანტიკური, ბერძნულ-რომაული კულტურის ფორმებს ბრმად და მონურად მის-

დევდა, რაც მისი ეპოქისათვის და ეროვნული თვითმყოფადობისათვის 'ხელოვნური იყო და ძნელად და ნაკლებად გამოხატავდა იმ ტკივილმბსა და იმ ურთიერთობებს, რომლებიც XVII—XVIII საუკუნის ევროპაში სუფევდა.

ამ რეაქციის შედეგად ევროპაში წარმოიქმნა ახალი მიმართულება — რომანტიზმი, რომელმაც თავის საფუძვლად, პირველ რიგში, აღიარა რომანული კულტურა, ევროპული შუასაუკუნეობრივი სული.

მენესტრელებისა და მინეზინგერების პოეზია, შუასაუკუნეობრივი რომანული თქმულებები, ლეგენდები, პოემები, რომანები, სიმღერები, ზღაპრები, ქრისტიანული რწმენის წიაღში წარმოქმნილი პოეზია, ევროპული ნაციონალური სარაინდო, და სარწმუნოებრივი მითოსი ხდება XVIII საუკუნის ევროპაში ახალი მიმართულების რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი საარსებო მასალა, რომელსაც იგი ეყრდნობა, როგორც საკუთრივ მისი ერისა და მისი ეროვნული სულის წიაღში შექმნილ საფუძველს.

ყველა ერი, რომელმაც შემდგომ გაიზიარა ევროპაში წარმოშობილი ეს ლიტერატურული მიმართულება, არ იყო ეგზომ მდიდარი თავისი ნაციონალური შუასაუკუნეობრივი ლიტერატურით, რომელიც ასეთი აუცილებელი იყო რომანტიზმის ნაციონალური საფუძვლების შესაქმნელად.

რომანტიზმი წარმოიშვა ევროპულ ერებში და გავრცელდა ძირითადად ევროპულ და ევროპული ლიტერატურისა და კულტურის, მისი ცივილიზაციის მიმდევარ ხალხებში, მაგრამ რაკი ყველა ერს არ ჰქონდა ერთნაირად მდიდარი საფუძველი ეროვნულ ლიტერატურაში რომანტიზმის წარმოშობისათვის, მრავალ ქვეყანაში, სადაც რომანტიზმი გავრცელდა, იგი არ ატარებდა ორიგინალურ და თვითმყოფად ხასიათს, არამედ მილიანად ევროპულ, რომანულ კულტურას და მის სულს ეყრდნობოდა, რადგან ნაციონალური ლიტერატურული საფუძვლები არ აძლევდა საკუთარ და განსხვავებულ, ორიგინალურ მასალას, მხატვრული სახეების შესაქმნელად.

ქართულ ლიტერატურაში იმ მხრივ, ბრწყინვალე მდგომარეობა გვაქვს.

საქართველოს ჰქონდა თავისი უმდიდრესი შუასაუკუნეობრივი ლიტერატურა, უმდიდრესი ხალხური პოეზია.

საქართველო, უძველესი ქვეყანაა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ქრისტიანული რელიგია, შემდეგ თავისი კულტურით არასოდეს ჩამოშორებია ქრისტიანული სარწმუნოების მორალსა და ეთიკას და მის მიერ შექმნილ იმ კულტურულ სამყაროს, რომლის ბირთვი ევროპაში იყო.

საქართველოში შუა საუკუნეებში წარმოიქმნება მეტად ძლიერი, ქრისტიანული ეთიკიდან და მორალიდან გამომდინარე ლიტერატურა, დიდებული, სასულიერო პოეზია.

ადრინდელი და გვიანდელი შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურა ქმნის შესანიშნავ ეროვნულ საფუძველს საქართველოში რომანტიზმის წარმოშობისათვის.

ეს საფუძველი ხდება ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში რომანტიზმმა მეტად ძლიერი ხმისა და ორიგინალური ხედვის პოეტები წარმოშვა.

ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმის წარმოქმნა ბუნებრივი და ორგანული განვითარება იყო მისი ეროვნული მწერლობისა, რომელიც, ადრეულ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, თვით V საუკუნიდანვე, მისი პირველი ჩვენამდე მოღწეული ძეგლით, „შუშანიკის წამებით“, მოწინავე ქრისტიან ერთა შორის საუკეთესო ლიტერატურას ქმნიდა.

ქრისტიანული მწერლობის ტრადიციები, შუასაუკუნეობრივი მისტიკა და რომანტიკა, კათოლიციზმის პოეტური სული იქნა აღიარებული ევროპაში რომანტიზმის საფუძველად (ამის შესახებ რომანტიზმის პირველი კრიტიკოსებისა და თეორეტიკოსთა სათანადო გამოკვლევები, — დე სტალის, ჰ. ჰაინეს, რენანის, კარლეილის, შელის, ი. ტენის გ. ბრანდესის, ბრუნეტიერის, ბელინსკისა და სხვათა, უმდიდრეს მასალას იძლევიან).

იგივე პოეტური სული, მისტიკა და სარაინდო პოეტური რომანტიკა უძლიერესად გამოხატა ქართულმა ლიტერატურამ თავის მრავალსაუკუნოვან მწერლობაში, რომელიც შუა საუკუნეებზე მოდის. ქართული შუა საუკუნეების ლიტერატურა მთავრდება XVIII საუკუნეში და იგი ახალ ლიტერატურულ ტენდენციებს, ლიტერატურულ ფორმებსა და ახლებურ მიმართულებას უთმობს გზას, რომელიც, ევროპიდან წამოსული, ბუნებრივად შეერწყმის ქართულ სინამდვილეში მისი ლიტერატურული ტრადიციებით შექმნილ მწერლობას.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ახალი დროისა და ახალი ხმის პოეტი იბადება, პირველი რომანტიკოსი, ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება მეტად მჭიდროდა დაკავშირებული ძველ ლიტერატურულ ტრადიციებთან, ამავე დროს იგი აშკარად უპირისპირდება ძველს და გვეკლინება ახალი ლიტერატურის აპოლოგეტად საქართველოში. ალ. ჭავჭავაძე პირველი რომანტიკოსია ჩვენში, ხოლო მის მწერლობაში ძველი საქართველოს სული და ტრადიციები უმომხიბლავესად ერწყმიან ახალი ხმის ყდერადობას და ლიტერატურისათვის წაყენებულ ახალ მიზნებსა და მოთხოვნებს.

ქართული შუა საუკუნეები ასაზრდოებდა ქართველ რომანტიკოსებს და მის ახალ ლიტერატურას უმდიდრეს საფუძველად დაედო.

ძველი. ქართული მწერლობა, ბიბლია, ფსალმუნნი, ქართული სასულიერო პოეზია, ვეფხისტყაოსანი და „ახალი განათლებული დრო“ აი, რა მიაჩნია ი. მეუნარგიას ბარათაშვილის პოეზიის საფუძველად. „ლოცვანი, დავითნი, ჟამნი, სამოციქულო, სახარება ე. ი. ათასი წლის ქართული ენა, რომლითაც გულმხურვალედ ულოცნია ქართველ კაცს, უქია და უდიდებია შემოქმედი, გამოუხატია უაღრესი და უდიდესი თვისი სულის მოძრაობა, შეიქმნენ ქვა—კუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართულ მწერლობისადმი“¹.

მეუნარგიას აზრით ბარათაშვილის აღზრდასა და მისი შემოქმედების მიმართულელებას წარმართავს ტრადიცია ქართული ლიტერატურისა, ევროპიდან შემოსული განათლება და თანამედროვე მწერლობა ორბელიანისა და ალ. ჭავჭავაძის სახით.

„თავი რომ მოვუყაროთ ჩვენგან ზემოთ ნათქვამ ყველა გარემოებათ, დავინახავთ ყველა იმ პირობათა, რომელთაც ხელი შეუწყვეს ბარათაშვილის წარმატებას, ესენი იყვნენ: კ ა რ გ ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა და დ ა ვ ი თ ნ - ს ა ხ ა რ ე ბ ი ს ა და ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ა, რომელიც ბარათაშვილმა პატარაობიდანვე ისწავლა, ა ხ ა ლ ი გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი დ რ ო, რ ო მ ე ლ ი ც შ ო ბ ს და ა ს ა ზ რ დ ო ე ბ ს ა ხ ა ლ ა ზ რ ს ა და კ ა ც ს; ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა და მისებრი პოეზია, რომელიც ერთი ნაბიჯი იყო წინ მწერლობაში შემდეგ საუკუნეების უნაყოფობისა და, დასასრულ, და განსაკუთრებით, მწერლობა და ნათესაობა გრ. ორბელიანის, რომელიც იყო და არის მამამთავარი ახალი ლირიული მოძრაობისა ქართულ მწერლობაში“².

ქრისტიანული შუასაუკუნეობრივი ლიტერატურა, რომლითაც ასე მდიდარია ქართული მწერლობა, ბარათაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი საფუძველია, მისი ეროვნული ლიტერატურის წყაროა. ბარათაშვილოლოგიაში ამ საკითხებზე ყურადღება მრავალჯერ შეუჩერებიათ როგორც ძველი მწერლობის მკვლევრებს, ისე ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალისტებს, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვს დაკვირვებას და მრავალ კითხვაზე მოელის პასუხს.

ბარათაშვილის სევდა, რომელიც ზოგადსაკაცობრიოა, წმინდა რომანტიკულია და ევროპელ დიდ რომანტიკოსთა გვერდით აყენებს მის ავტორს. ცნობილ ევროპელ რომანტიკოსებთან, მსოფლიო მნიშვნე-

¹ ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვიით, შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 17.

² ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გვ. 50.

ნელობის პოეტებთან დიდი შემოქმედებითი, შინაგანი კავშირი და კანონზომიერება მყარდება ბარათაშვილის შემოქმედებაში. ამ საკითხებზე ჩვენ აღრე შევაჩერეთ ყურადღება³, და აღვნიშნეთ იქვე, რომ ბარათაშვილის სევდა და მისტიკა საზრდოობს ამავე დროს ნაციონალური ლიტერატურიდან, მისი ძველი სასულიერო პოეზიიდან.

შუა საუკუნეების ეროვნული ლიტერატურა ასაზრდოებს გენიას, რომელიც „მერანსა“ და „შემოღამებას“ ქმნის, მისტიკა და სარწმუნოებრივი სასოება საუკუნეების სიღრმიდან მის არსებაში იღვრება, როგორც ნაწილი მისი ეროვნული სულის არსებობისა. თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურული ტრადიცია დგას ამ მისტიკის უკან, რომელიც ქართული ლიტერატურის ერთიან სხეულს ქმნის.

უბრწყინვალეს ვარსკვლავად ამ თხუთმეტსაუკუნოვან ლიტერატურაში დგას XII საუკუნე, თავისი განთქმული ეპიკური თხზულებით, — ვეფხისტყაოსნით, ქართული ლიტერატურის მწვერვალით, მისი სიამაყით და მისი ეროვნული უკვდავებით.

რომანტიზმის თეორიულ საფუძვლებს და ამ მიმართულების დღევანდელობასთან კავშირს ეხებიან საბჭოთა და საზღვარგარეთელი მკვლევარები, მათ შორის: ვანსლოვი⁴, ელისტრატოვა⁵, ნეუპაკოევა⁶, სოკოლოვი⁷, რეიზოვი⁸, ტურაევი⁹, ლევინი¹⁰, გაბიტოვა¹¹, დანილევსკი¹², კოჟევნიკოვი¹³, გრიგორევა¹⁴ და სხვ.

³ მ. კაკაბაძე, რომანტიზმის გმირის საკითხი და ნ. ბარათაშვილის პოეზია, საიუბ. კრებ. ნეკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968.

⁴ В. В. Ванслов, Эстетика романтизма, М., 1966.

⁵ А. А. Елистратова, Наследие английского романтизма и современность, М., 1960.

⁶ И. Г. Неупакоева, О типах романтической литературы, в сб., «Неизученные страницы европейского романтизма», М., 1975; მისივე, Революционно-романтическая поэма XIX века, М., 1971; მისივე, Революционный романтизм Шелли, М., 1959.

⁷ А. Соколов, К спорам о романтизме, Вопросы литературы, 1963, № 7; მისივე, История русской литературы XIX века (I-ая половина), 3 изд., М., 1970.

⁸ Б. Г. Рейзов, Французский исторический роман в эпоху романтизма, Л., 1958.

⁹ С. Г. Тураев, Патриархальные иллюзии швейцарских романтиков, в сб., «Неизученные страницы европейского романтизма», М., 1975.

¹⁰ Ю. Д. Левин, Оснан в русской литературе, Л., 1980; მისივე, Прижизненная слава Вальтера Скотта в России, в сб. «Эпоха романтизма», Л., 1975.

¹¹ Р. М. Габитова, философия немецкого романтизма, М., 1978.

¹² Р. Ю. Данилевский, Людвиг Тик и русский романтизм, в сб. Эпоха романтизма, Л., 1975.

¹³ Ю. А. Кожевников, Эпоха романтизма в русской литературе, М., 1979.

უცხოელ მკვლევართაგან რომანტიზმის საკითხებს და მის ახალ, თანამედროვე სახეცვლილებებს იკვლევენ: ჯეკ ბერტუნი¹⁵, ფრენკ კერმონდი¹⁶, ირვინგ მესეი¹⁷, მარკ რობერტსი¹⁸, ნორზრობ ფრაი¹⁹, ლილიან ფურსტი²⁰, რობერტ კილი²¹, დევიდ ერდმანი²², მორის ბოურა²³, ჯეიმს ბაბიტი²⁴ და სხვ.

* * *

რომანტიზმი ჩვენი დროისა არის მემკვიდრე შუა საუკუნეთა რომანტიზმის, მაგრამ ამავე დრო იგი ენათესავება ბერძნულ რომანტიზმსაც²⁵... — წერდა რუსეთში ბელინსკი.

ბელინსკის აზრით, ისევე, როგორც ყ. დე სტალის. ჰ. ჰაინეს, ა. და ფ. შლეგელების აზრით, ყოველგვარი რომანტიზმის საფუძველში აუცილებლად დევს მისტიციზმი, ეს აზრი შესანიშნავად გამოხატა თავის თხზულებაში, „გერმანიის შესახებ“ ყ. დე სტალმა რომელიც, თავის მხრივ, გარკვეულად დაესესხა აზრს გერმანელ რომანტიკოსებს. ყ. დე სტალის წიგნს „გერმანიის შესახებ“ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რომანტიკული თეორიის შემუშავებაში. მან გააღვნა მოახდინა ისეთი ღიად მოაზროვნებზე, როგორიც არის ჰაინე, ბელინსკი, ჰიუგო, სტენდალი და სხვ.

ჰაინე თავის ცნობილ ტრაქტატში რომანტიზმის შესახებ წერდა: „ქრისტიანული სპირიტუალური ძალიდან წარმოიქმნება მეტად ორიგინალური შუასაუკუნეობრივი მოვლენა — რაინდობა, რომლის ნაწ-

¹⁴ Л. Т. Григорьева, Поэтическая драма и романтическая поэма в Дании; Москва, Эпоха романтизма в Шведской литературе, в сб., «Неизученные страницы европейского романтизма», М., 1975.

¹⁵ T. Barzun, Classic, Romantic and Modern, Boston—Toronto, 1961.

¹⁶ F. Kermode, Romantic Image, New-York, 1957.

¹⁷ J. Massey, The Uncreating Word Romanticism and the Object, Bloomington—London, 1970.

¹⁸ M. Roberts, The Tradition of Romantic Moraliti, London, 1973.

¹⁹ N. Frye, The Drunken Boot: The Revolutionary Element in Romanticism. Romanticism Rewisidered, Columbia University Press, New-York—London, 1963.

²⁰ L. Furcht, Romanticism in Perspective, New-York, 1969.

²¹ R. Kiely, The Romantic Novel in England, Harvard University Press, Cambridge-Massachusetts, 1972.

²² D. Erdman, Lord Byron. Romantic Rebels, Essays on Shelley and his Circle. Harvard University Press, Cambridge, 1973.

²³ M. Bowra, Romantic Imagination, London, 1961.

²⁴ T. Babbitt. Rousseau and Romanticism, New-York, 1955.

²⁵ В. Белинский, Собр. соч. в 3-х томах, М., 1948, т. 3, с. 230.

ილი, კიდევ, ბოლოს და ბოლოს, სულიერი რაინდობის სახეს ღებულობს“²⁶.

ყერმენა დე სტალის აზრით, რომელსაც რომანტიზმის მრავალკრიტიკოსი და, მათ შორის, ჰაინეც იზიარებს, შუასაუკუნეობრივი ხელოვნება, პოეზია, მუსიკა, არქიტექტურა, რომელსაც საფუძვლად უდევს ქრისტიანული მისტიციზმი, წარმოსახავს უსაზღვროების გრძნობას, რომლის ფორმა დაუსრულებლად მიისწრაფვის მისტიკური სრულყოფის ფორმისაკენ, დეტალებისაკენ, ამით იგი განსხვავდება კლასიკური („ანტიკური“ ან მისი ბაძვა) ხელოვნებისაგან, რომლის მიზანი ყოველთვის კონკრეტულია და თავის თავში დასრულებული.

„ეს ტაძარი — ამბობს დე სტალის გმირი პეტრეს ტაძარზე რომში — უსაზღვროების სიმბოლოა. უსაზღვროა გრძნობები, რომლებსაც იგი წარმოშობს, ფიქრები რომლებსაც იგი ბადებს, სიმრავლე წყლთა, რომლებსაც იგი მოგვაგონებს“²⁷ ...

ხოლო ჰაინე წერს, — „კლასიკური ხელოვნება, მიისწრაფვოდა კონკრეტული. დასრულებული სახის წარმოქმნისაკენ, რომელიც ხელოვანის იდეის იგივეობრივი იქნებოდა. რომანტიკული ხელოვნების მიზანი იყო განესახიერებინა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მიენიშნებინა უსაზღვროებაზე და მხოლოდ და მხოლოდ სპირიტუალურ ურთიერთობებზე“²⁸.

რომანტიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელ ნიშანდობლივ თვისებებს: ინდივიდუალიზმს, სპირიტუალიზმს, ე. წ. „მსოფლიო სევდას“ და სხვ. რომანტიზმის თეორეტიკოსები და კრიტიკოსები ხედავენ შორეულ წარსულში, ანტიკურ, ბიბლიურ და სხვა უძველეს ეპოქათა ლიტერატურაში, შუა საუკუნეთა და აღორძინების ეპოქათა ჩათვლით.

„თავისი საფუძვლებით მსოფლიო სევდა შორეულ წარსულში იკარგება“²⁹. — წერდა კოტლიარევსკი.

მაგრამ ეს სევდა, რომელიც ასე ანათესავებს შორეულ ეპოქებსა და რომანტიზმის გმირს, ღებულობს გარკვეულად ახალ ფორმას და ამით არის საინტერესო იგი ახალ ეპოქაში, რომანტიზმის ხანაში.

„ბაირონისტული მსოფლშეგრძნება რომ მდგომარეობდეს მხოლოდ „მსოფლიო სევდაში“, ანდა მხოლოდ უკიდურესი ინდივიდუალიზმის ქადაგებაში, ასეთ შემთხვევაში. ბაირონიზმი არავითარ განსაკუთრებულ სიახლეს არ წარმოგვიდგენდა. მისი ორიგინალობა

²⁶ Г. Гейне, Романтическая школа, Г. Г. Полное собрание сочинений в 6-ти томах, СПб., 1904, т. 3, с. 264.

²⁷ Ж-де Сталь, Корина или Италия, М., 1969, с. 61.

²⁸ Г. Гейне, Романтическая школа, დასახ. გამოც. გვ. 336.

²⁹ Н. К. Котляревский, Мировая скорбь, СПб., 1914, с. VIII.

და სიახლე მდგომარეობს არა ამ მის ძირითად ელემენტებში, არამედ მათ არაჩვეულებრივ შერწყმაში“³⁰. — წერდა კოტლიარევსკი.

ბრუნეტიერი პესიმიზმის მიზეზად მიიჩნევს „ადამიანური ბუნების შესაძლებლობათა შეზღუდულობას, მისი მოქმედების უნართან შედარებით“³¹, — რომ ადამიანი, როგორც ფიზიკური არსება, შეზღუდულია ავადმყოფობით, განცლებით, ბოლოს — სიკვდილით. ინტელექტუალური მხრიდანაც შეზღუდულია მისი სურვილები, — შეიცნოს ის, რაც ყველაზე მეტად სურს იცოდეს. და ბოლოს, იგი შეზღუდულია მორალურ და ეთიკურ სფეროშიაც სიღარიბით, უსამართლობით, მანკიერებით.

ბრუნეტიერი გამოთქვამს მეორე საინტერესო მოსაზრებას პესიმიზმთან დაკავშირებით. მისი აზრით, პესიმიზმი (თავისი უკმაყოფილებით) ყოველთვის იყო იარაღი იმ მცირეოდენი მორალურ-ეთიკური პროგრესისა, რაც ამ ქვეყნად ხდებოდა. იგი ასე ახასიათებს პესიმიზმს, — „ჩვენ უფრო მაღლა ვისწრაფვით, ვიდრე შეგვიძლია ავფრინდეთ, ჩვენ ვგრძნობთ ჩვენს თავში მისწრაფებებს, რომლებიც არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ — აქედან გამომდინარეობს ზიზღი ძაღადობისადმი და არარსებობის სურვილი“³².

ნიშანდობლივია, რომ ბრუნეტიერი პესიმიზმში ეძებს და ყურადღებას აპყრობს მის დადებით მოვლენებს, პროგრესულ მხარეს, ამით იგი თავისი ეპოქის დვიძლი შვილია, ეპოქისა, როდესაც რომანტიზმით სუნთქავდა გარემო.

რომანტიკული ხელოვნება, რომანტიზმი, როგორც მიმართულება, გამოდინარეობს შუასაუკუნეობრივი ხელოვნებისაგან მაგრამ ამავე დროს უპირისპირდება მას. „ჩვენი დროის რომანტიზმი არის ორგანული ერთიანობა კაცობრიობის ისტორიაში წარმოშობილი რომანტიზმის ყველა მომენტისა“³³ — წერდა ბელინსკი. ნიშანდობლივია, რომ რომანტიკოსებმა თავიანთი წინამორბედად აღიარეს შექსპირი და აღორძინების ხელოვნება, როგორც ქრისტიანული ეპოქის ხელოვნების სრულყოფილი გამოხატულება. ისინი დაუპირისპირდნენ „კლასიკას“ ანუ „ანტიკურ ხელოვნებას“, მაგრამ მთლიანად არ უარყვეს იგი. ანტიკური ხელოვნებიდან მათ აიღეს მთელი რიგი თემები, მთელი რიგი გმირები და საკითხები, რომლებიც მახლობელი და საინტერესო გამოდგა რომანტიკოსთა განწყობილებისა და სულისკვეთების ვადმოსაცემად.

³⁰ ნ. კოტლიარევსკი, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

³¹ Ф. Брунетьер, Источники пессимизма, Одесса, 1894, с. 13.

³² ბრუნეტიერი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

³³ В. Белинский, Собр. соч. в 3-х томах, т. 3. с. 232.

მსოფლიო ლიტერატურის ფონზე თუ განვიხილავთ რომანტიზმს, როგორც ლიტერატურაში ახალ ერას, ვნახავთ, რომ მას მრავალი რამ აკავშირებს ძველთან ანუ „მარადიულ ლიტერატურასთან“. რომანტიზმი გამოდის ანტიკური, შუასაუკუნეებისა და აღორძინების პერიოდის პოეზიიდან, ამ ერთიანი ხაზის კანონზომიერი განვითარების შედეგია. რომანტიზმს, ისევე, როგორც ყველა დიდ ლიტერატურულ მიმდინარეობას, აქვს თავისი მკვეთრი სპეციფიკა, რომლითაც უპირისპირდება და განსხვავდება იმ წინა ლიტერატურული ეპოქებიდან, რომელთა არსი მისი წარმოშობის საფუძველია. ამგვარად, რომანტიზმი, ისევე როგორც რენესანსი, შუა საუკუნეების პოეზია და სხვ. უარყოფს და ამავე დროს გამომდინარეობს იმ ერთიანი ლიტერატურული ხაზიდან, რომელიც მოიცავს ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ახალ ევროპულ ლიტერატურას.

1. ანტიკური ეპოქა და მისი რომანტიკა

ძველ მსოფლიოში შეიქმნა გრანდიოზული ეპოპეა ადამიანებისა და ღმერთების ცხოვრებაზე, გამოთქმული ბრმა მომღერლის მიერ, რომელმაც იხილა უნათლესი ხილვით კაცობრიობის მარადიული ბუნება. ხელოვნებას არ წარმოუსახავს ილიონის ომზე უფრო დიდი ომი და უფრო დიდებული გმირები, ვიდრე მისთვის მებრძოლები. ღმერთების გარდუვალი სიტყვით და ბედისწერის ძალით დაინგრა ქალაქი ტროა. ადამიანები და ღმერთები თანაბრად მონაწილეობდნენ ამ ომში. ილიონის გმირები იმდენადვე ღვთაებრივია, როგორც მათი ღმერთები — ადამიანურები. ადამიანები და ღმერთები იბრძვიან ერთად, მღელვარებენ, მარცხდებიან და იმარჯვებენ ერთად. ღვთაებრივი გმირების გვერდით დგანან უხილავი ღვთაებები და ყოველი მებრძოლება ისევე გრანდიოზულია, როგორც დიდბუნებოვანია მისთვის მებრძოლი გმირები, უკვდავი ღმერთების დარი.

ღვთაებრივი ილიონის კედლებთან იმდენი სისხლი დაიღვარა, რომ გამარჯვებულთა მშვიდობით შინ დაბრუნება ბედის სამართალს აღარ ეხება. ვინაიდან, დიდი უბედურება ბედნიერებად არ უნდა იქცეს არავისათვის. ილიონის გმირთაგან მხოლოდ ერთადერთს ექცა ნეგატიურად ჰომეროსი. მან აღწერა მშობლიურ მხარეში დაბრუნების უწმინდესი სურვილია ჭიდილი ბედით დაწერილ უსასტიკეს წინააღმდეგობებთან. აღწერა ოდისევსის სამშობლოში დაბრუნება, რომელიც ისეთივე უძნელესია და წმიდაააწმიდა, როგორც ილიონთან გამარჯვების მოპოვება.

ბერძნები გაემგზავრნენ უდიდესი ლაშქრობისათვის არა ოქროს

მოსახვეჭავად და გასამდიდრებლად, არა ქვეყნების დასაპყრობად, არამედ ზევსის უმშვენიერესი ასულის მოსაპოვებლად.

ბერძნების მიზანი დიდებული და წმიდათაწმიდა იყო. ისინი გაემართნენ გრანდიოზული ომის გადასახდელად, რომ მოეპოვებინათ მშვენიერება — სიცოცხლის მარადიული ნიჭი. მათ გადაიხადეს დიდი ომი, და უდიდესი შესაწირავის საფასურად მოუპოვეს სამშობლოს კურთხეული ნიჭი — სრულყოფილი მშვენიერება.

მიზანი მარადიული მშვენიერებისაკენ სწრაფვისა ამართლებს ვანუზომლად დიდ მსხვერპლს, რომელსაც გაიღებენ ზეკაცები და გმირები მისთვის. ყოველი ზომის შესაწირავი გამართლებულია მშვენიერებისადმი უდიდესი თაყვანისცემით, სწორედ ამიტომ, ალყაშემორტყმულ ტროაში მოხუცებული მოქალაქენი მშვენიერი ელენეს ხილვისას სრულიად ამართლებენ ამ საბედისწერო, მათი ქალაქის დამლუჯველ ომს, ეს ომი ხომ ქვეყნად არსებულ ყველაზე დიდ მშვენიერებას ეძღვნება.

უდიდეს ომს უდიდესი, უკვდავი სიმღერა ეძღვნა. შემდეგ ადამიანები სულ ფიქრობდნენ ამ ომზე და ამ უკვდავ სიმღერაზე და ღვთაებრივი გმირების ტრაგიკულ დასასრულთან მივიდნენ. დამთავრდა გრანდიოზული გმირების და ღმერთების ეპოქა და მოვიდა ახალა, ტრაგედიების ხანა. ჰომეროსმა გამოთქვა უკვდავი სიმღერით ღვთაებრივი გმირების გამარჯვება და ღვთაებრივი ქალაქის ნგრევა. ჩრდილთა სამეფოში გაემგზავრნენ ღმერთების დარი გმირები, ხოლო ღმერთები უფრო მალა აიწიენ ოლიმპოს სამფლობელოებში, უფრო უღრტვინვლად გადმოხედეს ადამიანთა ბედს. ღმერთებისა და მითიურ გმირთა შთამომავალი ადამიანები კვლავ იტანჯებიან ბედისწერისა და საკუთარი ვნებების შერკინებით, იტანჯებიან დიდ, ძლიერ სურვილთა ასრულების შეუძლებლობით („შეუძლებლობით“, რომელიც არ არსებობდა „ილიასათვის“). ვინაიდან, დიდი სურვილები და დიდი წინააღმდეგობები უმკაცრეს და ყოველისშემძლე ბედისწერის კანონებთან ჭიდილში იმსხვრევა, იმ ბედისწერასთან ჭიდილში, რომლის შელახვა თვით ღვთაებრივ ბუნებასაც არ შეუძლია.

იწყება ტრაგიკული ხასიათებისა და მდგომარეობების კლასიკური ხანა. სიტყვის ხელოვნებაში იმარჯვებს დიალოგის ფორმა, იმართება უდიდესი წარმოდგენები ადამიანებისა და ტიტანების ღვთაებრივ ვნებებსა და სურვილებზე, რომელთა მსხვერპლი გარდაუვალია. გარდაუვალია მაღალ სულთა ტრაგედია, რადგან სიმაღლეს სურვილთა და მისწრაფებათა ბოჭაეს სინამდვილე, ბედისწერით დაწერილი. და არ არსებობს ხსნა ბედისწერის კანონებისაგან, რომელთაც დაუპყრიათ სახელმწიფოთა კანონები და ღმერთთა კანონები, ვედრება ვერ იხსნის ადამიანებს ბედით დაწერილი კანონისაგან.

არსებობს დაწერილი სამართალი და შურისძიება ადამიანური და მკაცრი ღმერთებისა, რომლებიც მოითხოვენ შვილისაგან დელაზე აღმართოს ხელი, რათა ქმნას სამართალი, — შური იძიოს მამისათვის, რომელმაც, ოდესღაც, დიდი მიზნის მისაღწევად, შვილზე აღმართა ხელი — ღმერთებისავე ნებით. და არ არსებობს არავითარი ღვთაებრივი მორალი, რომელიც იხსნის კაცს ამ საშინელი ტრაგედიისაგან, რადგან იგი გარდუვალია, აუცილებელი, ბედისაგან დაწერილი, რამდენიც არ უნდა აშენოს კეთილშობილმა და ძლიერმა იოდიპოსმა თავისი ქვეყანა, რამდენიც არ უნდა თესოს სიკეთე და სამართალი, იგი განწირულია საშინელი ტანჯვისათვის, რადგან ბედმა მამის მკვლელობა და დედის ცოლად შერთვა არგუნა წილად.

დანაშაულია არა სისხლის დაღვრა, არამედ სისხლის არ დაღვრა, როცა შურისძიება ამას მოითხოვს. ამიტომ კლავს დედა შვილებს, რადგან ღვთაებრივი სამართალი ასე მოუწოდებს მას, და იქმნება დიდა სატანჯველი, არპატიების დიდი ტრაგედია, რომელიც თუმცა იწვევს აღფრთოვანებას, შემადრწუნებელია თავისი მკაცრი საშინელებით.

და კვლავ, უსასტიკესი დესპოტის ხანაში, რომში, ახლებურად ამეტყველდა ტრაგედია. დიდმა ფილოსოფოსმა და მწერალმა, სენეკამ, თავისი ეპოქის ტკივილების ლაღადება ჰპოვა ტრაგედიის კლასიკურ თემებში. შეიქმნა ახალი, რომაული ტრაგედიები, სენეკას ტრაგედიები, ნერონის ეპოქის მკაცრი და დიდებული მატთანეები. სენეკამ ტრაგედიის ძველ ფორმაში ჩადო ახალი განწყობილებები, თანამედროვეობის ტკივილები. ამიტომ რომის ეპოქაში იგი მიიჩნევის თანამედროვეობის მკაცრ თვალთამხილველად.

სენეკას რომაული ტრაგედიები შეიქმნა ქრისტიანობის დევნის უმკაცრეს პერიოდში. იმ დროს, როდესაც ძველი რელიგია წარსული დიდების ნამსხვრევებად იყო ქცეული და იბადებოდა ახალი, ახალი ეპოქების თვალთახედვისა და მორალის შემქმნელი რელიგია. მას უნდა მოეტანა ხელოვნებაში ახლებური განწყობილება. მრავალი შესაწირავი მოითხოვა ახალმა დრომ, სანამ აღორძინების ეპოქამდე მიადწევდა.

ერნესტ რენანი ამ გარდამავალი პერიოდის შესახებ წერს, „ხდებოდა უდიდესი და ხანდახან უცნაური მორალური ძვრები, — ამ დროს მარკუს ავრელიუსს, რომელიც ყველაფერს სიყვარულით აღსავსე სათნო მზერას ატანდა, ყველგან და ყველაფერში თითქოს შეჰქონდა თავისი ფერმკრთალი სახის მეტყველება, თავისი მორჩილი თავდახრილი სილუეტი, თავისი გულის ტანჯვა და სნება“³⁴.

34 Э. Ренан, Собрание сочинений в 12-ти томах, Киев, 1902, т. IX, с. 201.

ამ გარდამავალი, ქრისტიანობის წინარე ეპოქის ტკივილები და ეჭვები, ფიქრები და ძიებანი, მოლოდინი, ახალი მორალური საყრდენისა, რომელიც დაიხსნიდა კაცობრიობის დანგრეულ რწმენას და იღვალეებს, აისახა მარკუს ავრელიუსის ფილოსოფიურ ფიქრებში. რენანი წერს, რომ არც ერთ დიდ მოაზროვნეს არ ხვდომია წილად ხალხის სიყვარული და აღიარება სიცოცხლეში იმ ზომით, როგორც მარკუს ავრელიუსს.

„ო. სულო ჩემო, როდისღა უნდა გახდე შენ ბოლოს და ბოლოს, ისე უბრალო, განმარტოებული, გულგახსნილი, კეთილი და გამჭვირვალე, როგორც არასოდესაა ის მატერიალური სხეული, რომელიც შენ გფარავს ო, როდისღა შეიძლებ შენ მთელი სამყაროს სიყვარულის სრულიად განცდას“³⁵, — წერდა მარკუს ავრელიუსი თავის დღიურებში.

მარკუს ავრელიუსის ტკივილები იყო ეპოქის ტკივილები, რომელიც მოელოდა ახალ რწმენას, ახალ მორალურ საყრდენს, რადგან ძველი დიდი ხანია დაკარგა. კაცობრიობამ გადაიტანა დიდი სულიერი ძვრები და იპოვა საზრდო ახალ რელიგიაში, მის მორალში. მის ეთიკასა და ესთეტიკურ იდეალებში.

კაცობრიობის ცხოვრებაში დადგა ახალი ერა — ჰუმანიზმის ერა. ადამიანისადმი სიყვარული და უმანკოება იქცა თაყვანისცემის საფუნად. იხატება უწმინდესი და უფაქიზესი ღვთაებები — მადონები, რომლებიც არ ქადაგებენ შურისძიებას და სისხლს, არამედ სიყვარულს და შენდობას. იწერება „ღვთაებრივი კომედია“, გაღვთაებრივებული სიყვარულისა და სიუფაქიზის დიდი პოემა, სადაც უმანკოებისა და სიწმინდის სამართალი დგას უმაღლეს მსაჯულად და ადამიანთა შეცდომებსა და შეცოდებებს სიკეთის უნათლესი სხივებით აღნობს.

2. დანტე, შუა საუკუნეები და რენესანსი

„დანტე შუა საუკუნეების უკანასკნელი და, ამავე დროს, ახალ ღრობათა პირველი პოეტი“³⁶. — წერდა ენგელსი.

როგორც ოდესღაც პომეროსის პოემები იქცა ამოსავლად და წყაროდ გრანდიოზული ლიტერატურისა, როგორც ოდესღაც პომეროსიდან წამოვიდა დიდი ლიტერატურა, — ანტიკური კომედია და ტრაგედია, ასევე ახალ დროში, ქრისტიანული მორალის ეპოქაში, შეიქმნა „ღვთაებრივი კომედია“ — და იქცა ამოსავლად მთელი ეპოქისა, რომელიც ჰუმანიზმის ეპოქად არის სახელდებული.

³⁶ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 22, с. 382.

თომას კარლეილი, რომანტიკული კრიტიკის ცნობილი წარმომადგენელი, მეტად მახვილად შენიშნავს, რომ „დანტემ აამეტყველა მანამდე დადუმებული მთელი ათი საუკუნე“³⁷.

ხოლო შელი თავის ტრაქტატში „პოეზიის დასაცავად“, წერს რომ პირველმა დანტემ გამოაღვიძა მიძინებული ევროპა³⁸. ვილჰელმ შელინგი, გერმანული რომანტიზმის დიდი თეორეტიკოსი, დანტეს რომანტიკოსების წინამორბედად გამოაცხადებს³⁹.

დანტე რომანტიკოსების სათაყვანებელ პოეტად იქცა.

კაცობრიობის არსებობიდან შესამყაროში გასული დანტესეული ადამიანები არიან კაცური და ღვთაებრივი ბუნების შერწყმის, სიკეთისა და სათნოების სრულყოფილი გამონახატულებანი. ისინი, დანტეს მიერ წარმოსახულნი, მათი დანაშაულითა და სასჯელით, თავისი კანვლილი ცხოვრებით, რაც მათთან არის სამუდამოდ, უმწიკვლო არსებობითა და უზადო სიყვარულით, სამუდამო სიცოცხლით ცოცხლობენ. ადამიანური ბუნების ამაღლება შესამყაროში, უმაღლესი სიკეთის იდეასთან, ღვთაებასთან, იქცა ჰუმანიზმის ეპოქის ამოსავლად.

„ღვთაებრივი კომედიით“ გაიხსნა მკაცრად დახურული კარები ახალი ღვთაების სამყოფელისა, სადაც უმაღლესი სიკეთე სუფევს, და, სადაც, უდიდესი ძალა არის სათნოება და სიყვარული, და არა შურისძიების მკაცრი სამართალი და ბედისწერის გარდუვალობა, რომელიც ასე ტანჯავდა ანტიკური თვალსაზრისის გამომნახატველ გმირს.

დანტემ გახსნა დიდი და მიძიმე კარი, მკაცრი საკეტებით გადაკეტილი, რომელიც უქადდა კაცობრიობას ცოცხალთა აზრისათვის შეუღწეველი, გაუგებარი ანაზღაურებით, რისთვის უნდა ყოფილიყო მკაცრი სასჯელი და რისთვისაც სამოთხის ნეტარება? ეს კითხვა აწვალბდა ახალი დროის კაცობრიობას, რომელსაც ახალი ღმერთი, სიკეთისა და სათნოების ღვთაება განაწესებდა ადამიანისათვის გაუგებარი სამართლის კანონებით. ამ სამართლის დედამიწაზე შეცნობისათვის აღიმართა მრავალი კოცონი, დაიშრიტა მრავალი კეთილშობილი გონება, მრავალი სათნოებით სავსე ცხოვრება. სიკეთე ბოროტების წილ, სიყვარული სიძულვილის წილ! რამეთუ, რაა, თუ გიყვარს მოყვასი შენი, მხეცთაც იციან შეილის სიყვარული და ბოროტებმაც თავისიანის გატანა. გიყვარდეს მტერი შენი, ეს არის ჭეშმარიტი სიყვარული, და

³⁷ Т. Карлейль, Герои, почитание героев и героическое в истории, СПб., 1908, с. 110.

³⁸ P. B. Shelley, A Defence of Poetry, Poetry and Prose by P. B. Shelley, Moscow, 1959, p. 415.

³⁹ И. Голенищев — Кутузов, Творчество Данте и мировая культура, М., 1971, с. 398.

სიკეთით ჟღერდნენ ბოროტებას, შეუნდებ და ილოცე დამნაშავეის ხსნისათვის, სულერთია, როგორი ტანჯვაც არ მოგაყენა მან!—ასეთი იყო ახალი შვალსაზრისი სიკეთისა, რომელსაც უნდა ეხსნა კაცობრიობა დიდი სატანჯველისაგან და ეჩვენებინა მისთვის სასუფეველის უჩრდილო ნეტარება. მაგრამ არავინ იცის, რა არის იქ, სასუფეველში. ადვილია მოყვასის სიყვარული, მაგრამ მძიმეა ძლიერი სიყვარული. მძიმეა კეთილი საზღაურით გადახდა ყოველგვარი დანაშაულისათვის. და, თუ დიდი სატანჯველით შეიძლება გამოისყიდო დიდი დანაშაული, მაშინ შეიძლება აღიმართოს კოცონი, რათა დაიტანჯო უდიდესი ამქვეყნიური სატანჯველით და მან გიხსნას შენ, მოგიპოვოს ღვთაებრივი შენდობა ჩადენილი დანაშაულისათვის.

ადამიანთა არსებობა გამიჯნულია იმ დიდი, იდუმალი არსებობისაგან, რომლისათვისაც მოვლენილი ვართ აქ, და არ ვიცით, რა არის იქ.

დანტემ გადასწია იდუმალი ფარდა და იხილა ღვთაებრივი ძალის შეწევნით სამყარო, რომელიც იქამდე უხილველი იყო კაცობრივის. მან იხილა ადამიანები, განვლილი ცხოვრებით და იხილა მართალი საზღაური მათი სიცოცხლისათვის. მან არ აძლო ერთი მონაკვეთი ადამიანთა ცხოვრებიდან, რომ ეჩვენებინა კაცთა მოდგმის ზოგადი კანონზომიერებანი (ჰომეროსმა დახატა ილიონის ომის უკანასკნელი წელიწადი, სადაც წარმოსახა გმირები და ღმერთები მათი სურვილებით, შესაძლებლობებით, სულის მოძრაობითა და მოქმედებით სრულად, და შეწყვიტა თხოვა ისე, რომ არც კი დაუხატავს ამ ცნობილი, ლეგენდარული ომის უკანასკნელი აქტი, ტროის აღება). დანტენ აიღო ადამიანთა არსებობა მთლიანად, დასაბამიდან დასასრულამდე, მან წარმოსახა ანტიკური და ქრისტიანული მოთოლოგიური სახეები, პირველი კაციდან, ადამიდან მოყოლებული, გვიჩვენა თავისი თანამედროვე ეპოქა და მისი მოქალაქეები, იგი შეეხო მომავალი საუკუნეების გარკვეულ მონაკვეთებსაც კი. ანტიკური ტრაგედიის ავტორი აიღებდა ერთ დღეს დილიდან საღამომდე და ჩაატევდა იქ ადამიანის უდიდეს ცხოვრებას, ღვთაებრივ და ცხოვრებისეულ კანონთა ჭიდილს და ტრაგედიას.

დანტემ უარყო დროის მონაკვეთი, მან აიღო დროის გარეშე მდგომი სამყარო, მარადისობა და გვიჩვენა ყოველი დროისა და ყოველი თვალსაზრისის კანონები, ადამიანთა ცხოვრება, მათი დანაშაული და მისწრაფება, მათი არსებობის დაუსრულებელი სახე.

დანტესეულ სამყაროს ცენტრში დგას იდეალური სიყვარული, როგორ ზეადამიანური სამყაროს წვდომის მამოძრავებელი ძალა. ეს არის სიყვარული, დაცლილი ფიზიკური სურვილებისაგან, შეუზღუდეელი და უსასრულო თავისი უსხვეულო არსებობით, იგი დაცლილია

ადამიანურ ურთიერთობათა სისუსტისა, გაუგებრობისა სხეულებრივი სინაქლოვის სურვილისაგან. დანტესეული სიყვარული დაუსაბამო, შეუზღუდველი, უკიდევანო სურვილია სულთა.

ბაირონი თავის დღიურებში მიუთითებს დანტესეულ იდეალურსა და მძლავრ სიყვარულზე, რომელსაც არც ერთი უფაქიზესი სიყვარულის აღწერა არ ედრება. იგი იხსენებს ფრანჩესკა დე რიპინის ეპიზოდს და მიუთითებს, რომ დანტემ ჯოჯოხეთშიც კი პპოვა ადგილი სიყვარულისა და სინაზისათვის: „ვის შეეძლო დანტეს გარდა ჯოჯოხეთში რაიმე „სინაზე“ დაენახა? განა აქვს მილტონს რაიმე ამისი მსგავსი? არა. — ხოლო დანტესეული ზეცა აღსავსეა სიყვარულით, დიდებითა და ელვარებით“⁴⁰.

ამ იდეალური სიყვარულის ფონზე, მისი ძალით ხდება პოეტის სასწაულებრივი მოგზაურობა. მან უნდა გაიაროს და იგრძნოს მთელი ადამიანური სატანჯველი, სანამ თავის იდეალის ხილვას მიაღწევდეს. უნდა გაიაროს ჯოჯოხეთი, იხილოს ყველა, პირველიდან უკასასკნელ დამნაშავემდე, დაიტანჯოს მათი გოდებით, ისმინოს მათი მძიმე დანაშაულის ამბავი. უნდა იხილოს ჯოჯოხეთის უმკაცრესი ბინადარნი, განიცადოს დაღუპულ სულთა საწამებელი, დამნაშავეთა წამებით და მწუხარებით განწმენდა, ხოლო ყველა სატანჯველთა გამოცდის შემდეგ, ავიდეს ცაში, სამოთხეში, ბედნიერი და სევდიანი ანგელოზების გვერდით. და მაშინ, განწმენდილი და გასხივოსნებული, ეზიარება უმადლეს, ზეადამიანურ ნეტარებას, მარადიული ნათლის ხილვით. იქ სუფევს უმადლესი სიყვარული, და იქ სუფევს ბეატრიჩეს სული, ანგელოზური გოგონასი, რომლის სიყვარული ექცა საფარველად და მეგზურად გრძელ გზაზე და მოკლე ცხოვრების შეცდომათა განმკითხველად.

დანტემ თავის გრანდიოზულ ეპოპეაში მოაქცია მთელი სამყარო, ყველა ცნობილი პიროვნება, მიაკუთვნა მათ ადგილი მარადიულ სამყოფელში და მიუჩინა სამართალი. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორმა ააშორა ჯოჯოხეთის სატანჯველს მისთვის საყვარელი ანტიკური ეპოქის ადამიანები, ისინი მან დაასახლა ლიმბში — ჯოჯოხეთის შესასავლელთან, მბჟუტავ სინათლეში, სადაც ისინი განიცდიან მხოლოდ ჩუმ სევდას“⁴¹ — წერს ი. გოლენიშჩევ-კუტუზოვი, დანტეს ცნობილი მკვლევარი.

დანტემ განსაჯა ყველა, და განსაზღვრა ყველას ადგილი, სად უნდა იყოს მითიური იასონი, ანთეოსი, ოდისეესი, სად უნდა იყვნენ ანტიკური ეპოქის დიდ პიროვნებათა კეთილი სულები... მათ არ სწამ-

⁴⁰ Д. Г. Байрон, Дневники, письма, М., 1963, с 224.

⁴¹ И. Н. Голенищев-Кутузов, Творчество Данте и мировая культура, М., 1971. с. 47.

ღათ ქრისტეს სამოთხე, ამიტომ ვერ იქნებიან იქ, არ არიან დამნაშავე ამაში თვითონ, მაგრამ მაინც, ისინი იქნებიან აიღის მსგავს სამეფოში, რადგან სხვაგვარის წარმოდგენა არ შეეძლოთ თვითონ.

ჯოჯოხეთში გახირულა უდიდესი ბოროტება, სიბოროტის დედადერძი, ლიუციფერი, პირველი მემბოხე, ბოროტების პირველი შემოქმედი. ეს ბოროტება, უშველებელი სიდიდის და ძალის, შეურყევლად გაზიდულა მთელ ჯოჯოხეთზე, როგორც დიდი დერძი, რომლის ღრგვლივ ბრუნავს მთელი ჯოჯოხეთი, როგორც საშინელი ბორბალი. იგი გაზიდულა და აქვს სამი სახე, ხოლო სამი შემზარავი ხანით უპყრია სამი უდიდესი დამნაშავე — იუდა, ღვთის გამცემი, სიბოროტის უმახინჯესი სახე, — ბრუტოსი და კასიუსი, სამშობლოსა და კაცობრიობის მტრები, ღვთითმოვლენილი კეისრის გამცემნი და მკვლენი. დანტესათვის ბრუტუსი და კასიუსი იმ დიდი, ღვთაებრივი მისიის ჩაწმლენი არიან, რომელიც იულიუს კეისარს უნდა შეესრულებინა ამქვეყნად, რომ კაცთა მოდგმა ბედნიერი ყოფილიყო და სიმართლის გზით ევლო. ამიტომაც მათ მიერ ჩადენილი დანაშაული კაცთა შორის უდიდესია იუდას დანაშაულის შემდეგ.

დანტემ შექმნა საოცარი სიმბოლოებისა და ალეგორიების სამყარო. მისი გრანდიოზული ეპოპეა სავსეა უჩვეულო, ქრისტიანულ-რელიგიური ჩვენებებით, რომლებიც ყოველთვის სიმბოლურია, დიდ განზოგადებასა და ქვეტექსტს შეიცავს. ჯოჯოხეთი, სალხინებელი, სამოთხე, თავისი მარადიული ბინადრებით, თავისი უჩვეულო, საოცარი ჩვენებებით, ქმნიან ერთიან, ყოვლისმომცველ სამყაროს და მათი ახსნა და განმარტებანი იქცა აღორძინების ეპოქის ბრწყინვალე მონაპოვრად და დიდი შთაგონების წყაროდ.

დანტეს სამყარომ, საოცრად ჩამოყალიბებულმა და ჰარმონიულმა, მისცა დასაბამი ახალ, გრანდიოზულ ერას, ჰუმანიზმს და ამ ახალ ერაში იგი არის ისევე ბუმბერაზი და შეუვალად მაღალი, როგორც ანტიკურ სამყაროში იყო ჰომეროსი. ამ ორი ტიტანისათვის არ არსებობს ტრაგედია, შეუძლებლობის ჭიდილი და დამარცხება სინამდვილესთან. მათთვის არსებობს მხოლოდ უსაზომოდ დიდი ტკივილი და ასევე უსაზომოდ დიდი შვება, რომელიც სამყაროში ქმნის საოცარ კანონზომიერებას და განაწესებს ყოველივეს უდიდესი სიმართლის ბედნიერი სხივებით.

ახალ ერაში დანტე არ დგას არც ერთ საფეხურზე (ისევე, როგორც ძველში ჰომეროსი), იგი მაღლაა, იგი თვითონ ქმნის საფეხურებს, სადაც უმშვენირეს ვარსკვლავებად განლაგდებიან ბრწყინვალე გუნდნი ახალი ეპოქის შემოქმედთა და ყველა მიიღებს მისგან თავის გზას.

მსოფლიო ლიტერატურაში აღმართულია ორი მწვერვალი — დანტე და ჰომეროსი. ისინი ისე მაღლა აზიდულან ცაში, ისე ახლო არიან თავიანთ ღმერთებთან, რომ მათვის აღარ არსებობს შეუძლებლობის ტრაგედია, მათვის ყველაფერი გასაგებია. გასაგებია, ყველაზე იდუმალი და შეუღწეველი, მათთვის ღვთაების კანონი არის უმაღლესი სიკეთე; და ჰარმონია, რომელიც ყველა მოვლენას საოცარი ჭეშმარიტების სახეს უძებნის და უდიდეს ტკივილს, თვით ჯოჯოხეთს, სამოთხის ნეტარებით დააგვირგვინებს. ამიტომ დაარქვა თავის ეპოპეას დანტემ „კომედია“, „ტრაგედიის“ საპირისპიროდ, როგორც ადამიანთა ზეარსებობისა და სატანჯველთა ბედნიერებით დაგვირგვინების სიმბოლო.

ტრაგიზმი არ არსებობდა ჰომეროსისათვის. მისთვის ღმერთთა ნება და კანონები (ისევე, როგორც მონათმფლობელურ ურთიერთობათა კანონები). იყო წმინდა, ხელშეუხებელი და მშვენიერი სინამდვილე. მისთვის სამყაროს ასეთი არსებობა ჭეშმარიტია და ბედნიერი. მისთვის არ არსებობს შეუძლებელი, და ბედისწერის მკაცრი სამართალიც კი არის კანონიერი, როგორც უმაღლესი ნების გამოხატულება, და არა ტრაგიკული აქტი, როგორც ესქილესა და სოფოკლესათვის.

ტრაგიზმი არ არსებობს დანტესათვის, მისთვის ადამიანური არსებობის ტანჯვა და ტკივილები, და თვით ჯოჯოხეთიც კი, რომელიც მან დედამიწაზე მყოფმა, ასე კარგად იხილა, მხოლოდ საფეხურებია, და ყველა სატანჯველი გამოისყიდება დიდი, ღვთაებრივი სიყვარულით და მაღალი რწმენით. ყოველივე განათდება სიკეთის ყოვლისმომცველი, უჭკნობი სხივებით. ამიტომ კაცთა არსებობა ყოველთვის შეიძლება იყოს ბედნიერი, რადგან ყოველგვარ ტკივილზე, უბედურებაზე, სიკვდილზე, მეუფებს დიდი სიკეთე, ირეალური სამოთხე, რომლისადმი რწმენა არის გამარჯვება ყოველგვარ დიდ სატანჯველზე, რადგან ადამიანი არ არის მხოლოდ მოკვდავი არსება, არამედ უკვდავი! მისი ცხოვრება რადგან მარადიულია, ამ მარადისობით იგი დიდი ჭეშმარიტების თვალთამხილველი, დაუსაბამო და უსაზღვრო სიყვარულის მონაწილე ხდება, ამით იგი ბედნიერია.

ჰომეროსი და დანტე არიან მაღლა და მათ ჰევით, მათი შემოქმედების ძალით, საფეხურებად წარმოიქმნება გრანდიოზული ლიტერატურა, მაღალი ტრაგედია, დიდი ლირიზმი, ვერსერიგების გამომხატველი დიდი პოეზია. ჰომეროსი გამოხატავს და მოიცავს ანტიკური სამყაროს თვალთახედვას და მორალს, დანტე განსაზღვრავს და აძლევს არსებობას ახალი რელიგიისა და მორალის ნორმებში შექმნილ დიდ მწერლობას, ახალ მსოფლიო ლიტერატურას, სადაც, შეიმდეგ. XVIII—XIX საუკუნეებში, წარმოიქმნება რომანტიზმი — ვერსერიგების დი-

დი პოეზია, ადამიანთა ტრაგიზმისა და კანონების ახლებურად განმს-
ჯელი და დამნახველი. დანტეს პოეზიისაგან გამომდინარეობს ლიტერ-
ატურა, რომელიც მთელ რიგ საკითხებს, თვალსაზრისთა სიმრავლეს
წარალურ და ეთიკურ საყრდენს მისგან მიიღებს. ამავე დროს, ეს
ახალი მწერლობა — ალორძინების პერიოდის ლიტერატურა, დანტე-
საგან გამოდის და სხვაგვარია, კი არ ემსგავსება მას, არამედ ახლებუ-
რია. ამ ლიტერატურას თავისებური დამოკიდებულება შეექმნება ყო-
ველი იმ საკითხის მიმართ, რომელიც მან იმ დიდი პირველწყაროსა-
გან, დანტეს პოეზიისაგან მიიღო. ასე, ჰომეროსის შემდეგ, ჰომეროსის
პოეზიისაგან გამომდინარე დიდი მწერლობა ჩამოყალიბდა ტრაგიზმის
ლიტერატურად, გამოუვალი წინააღმდეგობების, შემადრწუნებელი
ტკივილების გამომხატველ ლიტერატურად, გამოუვალი მდგომარეო-
ბების, რაც არ იცოდა „ილიადას“ მაღალმა ღვთაებრივმა კანონთა ჰარ-
მონიამ. დანტეს შემდეგ ევროპაში წამოვიდა ახალი თვალსაზრისისა და
წარალის გამომხატველი მწერლობა, ალორძინების პერიოდის ლიტერ-
ატურა, სავსე მაღალი ტრაგიზმით და უნაზესი, ტრაგიკული ლირიზ-
მით.

გაივლის კიდევ ერთი დიდი პერიოდი და კაცობრიობის რეალური
ცხოვრებისა და მის ურთიერთობათა გამომხატველად მოვა ახალი ვა-
რსკვლავთა გუნდი, რომანტიკოსები, რომლებიც იმავე სამყაროს სა-
ფუძურებზე წარმოიშვებიან და განლაგდებიან, იმავე რელიგიისა და
მორალის, იმავე ესთეტიკური იდეალების სფეროდან გამოვლენ, რაც
ასე ძლიერად ჩამოაყალიბა დანტემ, ალორძინების ეპოქამ. რომანტიზ-
ში მოვა იმ გზით, იმ საზრდოზე, იმ მორალზე, იმ რწმენაზე აღმოცე-
ნებული, და შექმნის სრულიად ახალ, თავისებურ კანონთა და შეხე-
დულებათა ერთობლიობას ხელოვნებაში, სრულიად ახლებურ ურ-
თიერთობათა და დამოკიდებულებათა ფორმებს, თავისებურ ხელწე-
რას და სრულიად თავისებური, ტრაგიკული გმირის იდეალს, რომე-
ლიც ასე განსხვავდება ალორძინების ხანის გმირის იდეალისაგან.

და მაინც, რომანტიზმის მოვლინება არ იქნება განსხვავებული
რელიგიის მორალურ-ესთეტიკურ წიაღში აღმოცენებული ხელოვნება.
ისე, როგორც ოდესღაც ქრისტიანული რელიგია, მისი მორალი და
ესთეტიკური იდეალი დაუპირისპირდა ძველად არსებულ ღვთაებების
ბანთეონს და ამ ღვთაებების კანონით განსაზღვრულ მორალს. ეს არ
იქნება ის დაპირისპირება, რაც მოხდა ახალი მსოფლიოს, ქრისტიანუ-
ლი ქვეყნების თვალსაზრისის გამომხატველი ახალი მიმართულება
ხელოვნებაში. სრულიად თავისებური, იგი ახალი საფუძური იქნება
იმ ერთიანი მორალურ-ესთეტიკური იდეალებით შექმნილი სამყაროს

შრავალფეროვანი სახის ჩვენებაში, სადაც მეუფებს უდიდესი მწვერვალი, დანტე და აძლევს მიმართულებას ყველა მის შემდგომ არსებულ თვალსაზრისებს.

3. ზეპსპირი და ალორძინების ხანა

ჰუმანიზმის ეპოქაში კვლავ იწყება თეატრის ალორძინება, მოდის ახალი, ჰუმანიზმის ეპოქის თეატრი. მას შემოაქვს სცენაზე ახალი მსოფლიოს თვალსაზრისი და მორალი, იქმნება ახალი ტრაგედია და კომედია.

უნაზესი მადონების და უკვდავი სიყვარულის სიმღერის შემდეგ მსოფლიოს ხელოვნების ცენტრში კვლავ დგება სცენა. იბადება შექსპირი — ქრისტიანული ეპოქის და მსოფლმხედველობის დრამატურგი, ანტიკური ხანის ტრაგედიისა და კომედიის მემკვიდრე, საცხე ჰუმანიზმის ეპოქის მორალით, ალორძინების ხანის უდიდესი პოეტი.

გოეთე წერს: „არ არსებობს უფრო დიდი სიამოვნება, ვიდრე თვალმდებარე უჭული ისმენდე შექსპირს, მის პიესათა დეკლამაციას“⁴².

სტენდალი შექსპირს უწოდებს „რომანტიკული პოეზიის გმირს“, რომელიც ძლიერ სულთათვის წერდა. მისივე აზრით, რომანტიკული თეორია, რომელსაც „Edinburg Rewiew“-ს (რომანტიკოსთა პერიოდული ორგანო ინგლისში—მ.კ.). მესვეურები თავის სტატიებში აყალიბებენ, არის იგივე ჰომეროსის, სოფოკლეს, დანტეს, არისტოს და ტასოს პოეტიკა“⁴³.

რომანტიზმის ცნობილი თეორეტიკოსები და კრიტიკოსები, მათ შორის დე სტალი, ჰაინე, ა. და ფ. შლეგელები, ბელინსკი და სხვ... გატაცებულები არიან შექსპირით, აცხადებენ მას თავიანთ წინამორბედად, კლასიციკურ ლიტერატურას შექსპირის შემოქმედებას უპირისპირებენ, რომანტიზმის დასაცავად. რომანტიზმს ისინი აცხადებენ, ერთი მხრივ, შუასაუკუნეობრივი მისტიციზმისა და სარაინლო ეპოქის, ხოლო, მეორე მხრივ, „დიდი ლიტერატურის“, ანტიკურისა და ალორძინების პოეზიის მემკვიდრედ.

„ჩვეულებრივ, გერმანულ გავლენებს მიაწერენ იმას, რაც ჩვენის აზრით, ინგლისურს განეკუთვნება“, წერს ბრუნეტიერი შექსპირისა და რომანტიკული სკოლის ურთიერთდამოკიდებულების გამო. „არა მარტო „ჰამბურგული დრამატურგიის“ ავტორი იყენებდა შექსპირს,

⁴² Гете, Шекспир и без конца Шекспир! Собр. соч. Гете в 8-ми томах, СПб., 1893, т. 7, с. 427.

⁴³ Стендаль, Собрание сочинений в 15-ти томах, Л., 1933—1950, т. 7, с. 109.

როგორც იარაღს ვოლტერის, რასინისა და კორნელის წინააღმდეგ, არამედ, შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურ ლიტერატურასთან შეხებამ გამოარკვია ხანგრძლივი ძილისაგან გერმანული ლიტერატურა და გონება. თანამედროვე გერმანული ლიტერატურა მომდინარეობს არა შვეიცარულიდან, ან შვაბურიდან, არამედ ინგლისურიდან⁴⁴.

შექსპირის პოეზია დრამატული პოეზიაა, იგი დაჯილდოებულია განსაკუთრებული, ქრისტიანულ ეპოქაში განუმეორებელი ნიჭით, ჩაწვდეს ადამიანის სულის უძირო სიღრმეს (ამ მხრივ მას მხოლოდ პომეროსი შეედრება).

ანტიკურ ქალთა ხასიათების საპირისპიროდ, სადაც მედეასა და ფედრას ძლიერი ვნებები სავსე იყო დანაშაულებითა და შურისძიების უსაშინელესი გრძნობებით, სადაც ანტიგონესა და ელექტრას ძლიერი და კეთილშობილური მისწრაფება სამართლიანი, მაგრამ სასტიკი შურისძიებისა ქმნიდა ტრაგედიას, ჰუმანიზმის ეპოქაში შექსპირმა შექმნა ოფელიასა და დეზდემონას, კორდელიასა და ჯულიეტას უფაქიზესი, სიყვარულით და სათნოებით სავსე ხასიათები. მათი ტრაგედია უსპეტაკეს სულთა ტრაგედიაა, უნაზესი და უსათუთესი განცდების შეჯახება სინამდვილესთან; ისინი იმსხვრევიან და იფერფლებიან ტრაგიკულ ზვარაკებად სიწმინდისა და სათნოებისათვის, მათ მოაქვთ სიკეთე და სისპეტაკე, მსგავსად რაფაელისა და ლეონარდოს მადონებისა და მათ მოაქვთ მსხვერპლად ქვეყნისათვის არა უმანკო პირმშო, რომ ამ წმინდა შესაწირავით ქვეყნად სიყვარული დალადებდეს, არამედ საკუთარი უმანკოება და სიყვარული მოყვასისადმი. ისინი ეწირებიან სიკეთეს, რომ სიკეთე იყოს ქვეყნად და მეუფებდეს სიყვარულის თაყვანისცემა. მხოლოდ ჰუმანიზმის ეპოქაში შეიძლებოდა მსგავსი ხასიათების შექმნა.

თუმცა აღორძინების ეპოქა ცნობილია თავისი მაღალი პოეზიით, მაგრამ პოეზიის არც ერთი ფორმა არ შეედრება იმ სიმაღლეს, რაც ამ დროს სიტყვის ხელოვნებაში დრამატული ფორმით შეიქმნა. პუშკინის სიტყვებით, „ადამიანთა სულისა და ვნებების მეუფედ გვევლინება დრამა“⁴⁵.

ცნობილი შექსპიროლოგის ანიქსტის გამოთქმით: „თუ აღორძინების ეპოქის მეცნიერება დღეს ბავშვურ თამაშობებს ემსგავსება, შექსპირის მიერ შექმნილი სამყარო და ხასიათები ისევე ეპასუხება დღევანდელობას და იწვევს დაუცხრომელ ინტერესს, როგორც საუკუნეთა

⁴⁴ Брунетьер, Европейская литература в XIX в., М., 1900, с. 6—7.

⁴⁵ А. С. Пушкин, О литературе, М., 1960, с. 244.

წინათ“⁴⁶. ანიქსტი არაერთხელ მიუთითებს რომანტიკოსების უსაზღვრო თაყვანისცემაზე შექსპირის მიმართ⁴⁷.

შექსპირის ტრაგედიათა სიუჟეტები, განსხვავებით კლასიკური ტრაგედიებისაგან, არის იმდროინდელი ნოველები, ან ცნობილი ისტორიული ამბები, სადაც ადამიანის ტრაგიზმის, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობათა საკითხები ახლებურად დგება. ჰუმანიზმის ეპოქაში ადამიანის ტრაგედია ღალატებს სიკეთეზე, სიყვარულისა და სიმატლის უძლეველობაზე, რომელიც მუდამ რჩება გამარჯვებული, მიუხედავად ტრაგიკული მსხვერპლისა, რომელიც ამ გამარჯვებას უნდა შეეწიროს. ასე იმარჯვებენ შექსპირის ტრაგედიებში სიკეთისა და ადამიანთა სიყვარულის იდეები, რომელთა გამარჯვება ისევე გარდუვალია ახალი თვალსაზრისით, როგორც გარდუვალი იყო ბედისწერის სასტიკი ძალა ანტიკურ ხანაში. ახალ ეპოქაში სისასტიკის, შურისძიების ყოველსმომცველ ძალას დაუპირისპირდა სათნოებისა და სიყვარულის ძალა, რომელიც დაუმარცხებელია და ღალატებს, თავის მარადიულ სამართალს.

შექსპირის პოეზია ტრაგიზმის, უბედურებათა და სიყვარულის პოეზიაა. იგი არის პოეზია სიბრალულის, კაცი თავის თავში როცა ვერ ერევა საშინელ მისწრაფებებს, მომხიბლავ ცდუნებებს, რომელიც სატანჯველად ექცევა ადამიანს. შექსპირის პიესებში არც ერთი კაცისმკვლელი არ ასრულებს თავის როლს ყოყმანისა და დამტანჯველი სინდისის ქენჯნის გარეშე. ასევე, არასოდეს არ რჩება ბოროტება მიუზღვევლად. გადახდება ყველას თავისი საქმის მიხედვით. ამით შექსპირი თავისი ეპოქის თვალსაზრისისა და მორალის გამომხატველია, რომლის მიხედვით, არსებობს მართალი საზღაური ყოველივესათვის, არ რჩება აკაცობა დაუსჯელი და კეთილი—მადლის გარეშე. ამ სასჯელს და მადლს განაწესებდა არა კაცი საკუთარი სურვილით, ანდა შურისძიებისა და სიკეთის ძალით, არამედ უმაღლესი სამართალი, რომელიც არსებობს.

სწორედ ამ ახალი მორალითა და რწმენით კეთილი სამართლისა განსხვავდება რენესანსის ეპოქის დრამატურგია ძველი, ანტიკური ეპოქის დრამატურგიისაგან; სადაც სამაგიეროსა და შურისძიებას მიჰყავდა ადამიანები საშინელ, გამოუვალ ტრაგიზმამდე და ეს ხდებოდა მათი ღმერთების შთაგონებით, რომლებიც ისევე იგზნებოდნენ სამაგიეროს სურვილით და შურისძიებით, როგორც ადამიანები.

თანაგრძნობა, რომელსაც იწვევს ტრაგიკული გმირი, განმანათლებ-

⁴⁶ А. А н и к с т, Творчество Шекспира, М., 1965, с. 594—597.

⁴⁷ А. А н и к с т, Теория драмы на западе в первой половине XIX в. (Эпоха романтизма), М., 1986.

ბელთა ეპოქაში ვრცელი მსჯელობის საგანია. ლესინგი არაერთხელ მიუთითებს შექსპირზე, როგორც ტრაგიკული გმირების უბადლო ოსტატზე⁴⁸. ლესინგი აღნიშნავს, რომ კორნელის სცენაზე გამოჰყავდა ან წამებულები, ან უსაზიზღრესი ბოროტმოქმედნი. ასეთი ტიპები, არისტოტელეს თვალსაზრისით, რომელსაც ლესინგი იზიარებს, თანაგრძნობას არ იწვევს, ამიტომ ტრაგედიის თემა არაა (წმინდანი ვალდებულია ეწამოს, ხოლო ბოროტება უნდა დაისაჯოს, ე. ი. თანაგრძნობას არ იწვევს).

თანაგრძნობას ადამიანის ტანჯვისა და ტკივილებისადმი მიჰყავს შექსპირი ადამიანთა განცდების ყველაზე შორეულ, უღრმეს ხვეულებამდე.

ადამიანისადმი უდიდესი თანაგრძნობა და სიყვარული, უმძიმესი ტკივილი მის ტკივილთა გამო, ამეტყვევლდა ჰუმანიზმის ეპოქის და ყველა დროებათა უდიდესი ტრაგედიით „ჰამლეტი“.

„ჰამლეტის“ ტრაგედია არის მაღალჰუმანური პიროვნების ტრაგედია, რომლის ცხოვრება ეჯახება მკაცრ და უბუნებო ადამიანთა ყოფას. ყოვლად შეწაზარავია ჰამლეტისათვის ის შეცოდებანი, რაც უეცრად დაინახა მანლობელთა შორის. ის, რაც შემადრწუნებელია და შემწაზარავი მისთვის, არ გამოიწვევდა ტრაგედიას იმ ჩვეულებრივ, მკაცრ და უგულო ადამიანთა შორის, რომლებიც ცხოვრობენ და სცოდავენ მის ირგვლივ ისევე, როგორც ყველგან და ყოველთვის, მარად.

ჰამლეტი ცხოვრობს ორი ცხოვრებით, სიყვარულით და სათნოებით სავსე მისი ბუნება საზრდოობს სიკეთით, ჰუმანური, ნათელი იდეალებით. ამით იგი არის ჭეშმარიტად ბედნიერი, სრულყოფილი კმნილება. მაგრამ მისი ფიზიკური არსებობა დაკავშირებულია იმ ცხოვრებასთან და ხალხთან, რომელთა აზროვნება და გრძნობა მიმართულია სრულიად სხვა საგნისკენ. მის ირგვლივ გამეფებულია ჩვეულებრივი, მკაცრი და პატივმოყვარე ადამიანთა შუასაუკუნეობრივი ყოფა, მათთვის საამოა და გასაგები ის ცხოვრება, რომელიც ბნელია და საშინელი კეთილი ჰამლეტისათვის. ჰამლეტი განასახიერებს სრულყოფილად ჰუმანიზმის ეპოქის მისწრაფებებს, მის სიკეთეს. ყოფა და გარემო, რომელშიაც უხდება ცხოვრება ჰუმანიზმის ამ გმირთა გვირგვინს, მისთვის არის „საშინელი ჯურღმული, საპყრობილე“.

სიგიჟემდე მიიყვანს კაცს ფიქრი მდგომარეობებზე, რომელთა განოსწორებაში ყოვლად უძლურია თვითონ. ისინი მას შეეხება და უშფოთებს სულს, მაგრამ შველა და გამოსწორება არაფრით შეუძლია. ზრთადერთი, რაც მოხერხდება, და ისიც საშინელია ჰამლეტისათვის, ეს შურისძიებაა. მაგრამ იგი არ ამსუბუქებს და არ აქარავებს უბედურე-

⁴⁸ Лессинг, Гамбургская драматургия, М.—Л., 1936, с. 272; 275; 277.

ბას, არამედ მხოლოდ, დამსახურებულ სამაგიეროს მიაგებს დამნაშავეებს, შურისძიებაზე, სისხლზე უნდა იფიქროს კაცმა, რომელიც სიკეთესა და სიყვარულში ჰპოვებს არსებობას. ეს საშინელი, მკაცრი შურისძიება სამართლიანი სასჯელი იქნებოდა იმ უბუნებო კაცისმკვლელთა და შემცოდეთათვის. იგი არა მხოლოდ ვნებასა და გულს აყლილი შურისძიება იქნებოდა, არამედ ყოვლად სამართლიანი სახელაური ბოროტისათვის.

დანიის პრინცი მოვალეა შეასრულოს აღთქმა (ცხვარმა მგელზე აღმართოს ხელი), იძიოს შური, მაგრამ... საშინელია ეს შურისძიება, ტრაგიკული იქნებოდა მისი გამარჯვებაც. ამ სამართლიანი, მორალურად კანონიერი შურისძიების შემდეგაც... წარმოუდგენელია სიცოცხლე ჰამლეტისათვის, რადგან სიცოცხლე თავისთავად ბედნიერებაა და შეუძლებელია გაგრძელდეს სიცოცხლე, როცა მარადიული სატანჯველი ახლავს მას. ყოველი სატანჯველი უნდა მივიდეს გარკვეულ ზღვართან, რომ ან თვითონ გაქრეს, ანდა სიცოცხლე დაღუპოს, შეიქმნას ტრაგედია, ე. ი. ან ძლიოს სიცოცხლემ და მოსპოს ეს სატანჯველი თავისი სიმართლითა და ბედნიერების უფლებით, ანდა, იმავე სიმართლის ქმნით, სატანჯველთან ერთად თვითონ სიცოცხლეს დაიღუპოს... მოხდეს ტრაგიკული აქტი, რომლის შემდეგ აღარ ბრუნდება ბედნიერება, თუ ბედნიერება კვლავ შესაძლებელია (კვლავ შესაძლებელია უტანჯველი ყოფის გაგრძელება ან მობრუნება), მაშინ არ ყოფილა ტრაგიკული სატანჯველი, არამედ — მხოლოდ სიძნელე, რომელსაც გმირის ცხოვრებიდან მხოლოდ ერთი მომენტი ეკუთვნის.

შეუძლებელია წარმოიდგინო, გაგრძელდეს ან დაბრუნდეს მედეას ცხოვრება (ხელოვნების თვალსაზრისით), თუმცა სცენაზე იგი ცოცხალი რჩება. მისი დარჩენა არის უფრო დიდი უბედურება, მარადიული სატანჯველი, რომელიც სიკვდილამდე არ გათავდება. მედეას სურვილის აღსრულება, მისი სამართალი და სასჯელი აკმაყოფილებს მის პიროვნულ პატივმოყვარეობას და ვნებას, მაგრამ წარმოშობს სატანჯველს უსაშინელესს, უმძიმესს, ტრაგიკულს.

ამიტომ იკლავს თავს ოტელო შეცდომისათვის, რომელმაც მას საშინელი ტრაგედია მოუტანა, ამიტომ კვდება ტანჯული ლირი შეცდომისათვის, რომელიც კვლავ მისი ტრაგედიის მიზეზი გახდა.

ამიტომ არის შეუძლებელი ჰამლეტის ცხოვრება და მეფობა, რადგან იგი უდიდეს განსაცდელშია მოვალეობის გამო, და აგრეთვე იმის გამო, რომ მისთვის უკვე ლაღადებს მძიმე ტრაგედია, როცა მომხდარია უმსგავსო ბოროტება.

ჰამლეტი იღუპება. გარდუვალია მისი დაღუპვა, რადგან შეუძლებელი გახდა მისთვის ბედნიერი სიცოცხლე. ბედნიერების კარი დაიხურა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მის ცხოვრებას საშინელი ბორო-

ტების ხელი შეეხოს. ამის შემდეგ აღარ შეიძლება არსებობდეს მისთვის ისეთი გამარჯვება, რომელიც დაუბრუნებს მორალურ სიმშვიდეს. თუ მოკლავს იგი მამის მკვლელს, განა ამით აღარ იქნება მამამისი მოკლული ძმის ხელით, და დედამისი ძმის მკვლელის და მამამისის მკვლელის მეუღლე? ხოლო შურისძიება, მხოლოდ შურისძიება ვერ მოუტანს კმაყოფილებას და მშვიდობას კაცის სულს, რომლისთვისაც არსებობს მხოლოდ სამართალი სიკეთის. რაა შურისძიება იმ ბოროტების გასაქრობად, რომელიც სასტიკმა დანაშაულმა მოიტანა, განა ამით ქრება ჩადენილი დანაშაულიც?

არ არის ხსნა ჰამლეტის მძიმე სულიერი ტკივილებისა იმ სამართლიან შურისძიებაში, რომელშიც ჰპოვებდა მორალურ ხსნას ორესტი. ამით არის ჰამლეტის ტრაგედია უფრო მძაფრი, უფრო მტკივნეული, და, ამასთან, უფრო ჰუმანური და მახლობელი ახალი დროისა და ახალი ეპოქის ადამიანებისათვის, ვინაიდან ამ ახალ ეპოქაში სიკეთის სიყვარული და თაყვანისცემა ადამიანთა თვალსაზრისისა და მორალის ამოსავალი გახდა.

შურისძიებით ვერ შევლა და ტკივილების ვერ მორჩენა იწვევს ჰამლეტში ყოყმანს, გადაუწყვეტლობას და იმ სამართლიანი მოქმედების შეჩერებას, რომლისკენაც მოუწოდებს მას მამაშვილური მოვალეობა და მის სატანჯველს ქმნის უფრო სასტიკს, უფრო საშინელს, უფრო მტკივნეულს.

და, როგორც შეუძლებელია შურისძიებით, სისხლით სიკეთისა და ბედნიერების ქმნა, ისევე შეუძლებელია სიკეთის მორალური დამარცხება. რაგინდ ძლიერი იყოს დანაშაულებრივი საქციელი, ყოველივეს მიუზღავს მართალი სამართალი სიკეთის, და არა შურისძიების. ახალი თვალსაზრისის, ახლებური მორალის გამომხატველ ავტორს არ მიაჩნია დანაშაულებრივი შურისძიება მართალ საზღაურად და საკმაოდ ხარკად შეურაცხყოფილი სიკეთისა, მისთვის არსებობს მხოლოდ მართალი სამართალი, რომელიც აზღვევინებს ხარკს დამნაშავეს, სჯის ბოროტებას და აკურთხებს კეთილს. შექსპირის ტრაგიკული გმირები (დადებითი გმირები), ისწრაფვიან არა შურის საძიებლად, დანაშაულებრივი შურისძიებით შეპყრობილნი, არამედ ისინი ენთუზიან სხვა მისწრაფებით, იტანჯებიან სულ სხვა სურვილებით. ისინი მიისწრაფვიან კეთილისაკენ, სიყვარულისაკენ, სათნოებისა და უმანკოებისაკენ და იტანჯებიან, რადგან ეძლევიან თავიანთ წმინდა, მართალ სურვილებს და მისწრაფებებს მთლიანად, უკომპრომისოდ.

ახალ ეპოქათა მორალის გამომხატველი ეს ახლებური თვალსაზრისი ჰუმანიზმის ეპოქის ტრაგედიას მანამდე არნახული სათნოებისა და სიკეთის მწვერვალებამდე აამაღლებს. ახალ დროებათა ტრაგიკული გმირის ხსნა და გამარჯვება არის არა შურისძიებით გამარჯვება და

სისხლის აღება, არამედ სათნოების ჩვენება, კაცთმოყვარეობის იდეებისადმი თავგანწირული მისწრაფება.

ასეთი მსოფლმხედველობის გამომხატველი გმირი არის ჰამლეტი, ახალი დროების პოეზიის უკვდავი სახე, მარადიული, თავისი დაუსრულებელი სიღრმეებით, საკითხების დაყენებით, უსასრულო სიმრავლის პასუხებით, სიკეთის, კაცთმოყვარეობის, სათნოების თვალსაზრისიდან გამომდინარე. მას შემდეგ ყოველი ახალი ეპოქა კვლავ უბრუნდება ამ სახეს, რადგან კაცობრიობა კვლავ და კვლავ, ახლებური ფორმებით მიისწრაფვის მართლისაკენ, თავისუფლებისაკენ, უკეთესი ახლისაკენ, რომელიც ყოველთვის მომავალშია და დაუსრულებელი ძიებებისა და მისწრაფებების საგანია. და იგი კვლავ უბრუნდება შექსპირის ჰამლეტს, ჰუმანიზმის გმირთა გვირგვინს და ჰპოვებს პასუხებს კითხვებზე, რომელთაც ბადებს ახალი ეპოქა და ახალი თვალსაზრისი, სიმართლისათვის მებრძოლი კეთილის გზით.

4. ანტიკური და ახალი ტრაგედია

როგორია ტრაგიზმის დაპირისპირება ანტიკურ და ახალ ტრაგედიაში? რაა ტრაგიკული დანაშაული, ანუ ვინაა ტრაგედიის მიზეზი? სხვადასხვანაირად უპასუხებს ამ კითხვას ანტიკური ტრაგიკოსი და შექსპირი. ანტიკურ ტრაგედიაში დანაშაულებრივ მოქმედებას ჩაღიან ოიდიპოსი, ანტიგონე, ელექტრა, ორესტი. ისინი არიან ტრაგიკული გმირები, რომლებიც დანაშაულს ჩაღიან, მაგრამ ჩაღიან მას არა საკუთარი ბოროტი ბუნების გამო. ანტიკური ტრაგედიის მიზეზია ბედისწერის გარდუვალობა, ღმერთების ნება, რომელთაც აქვთ შურისძიების სამართალი, და არა — ოიდიპოსი, ორესტი, თუნდაც მედეა. უბედურების მიზეზი — ბოროტება, არ შეადგენს ანტიკური გმირის თვისებას, ანტიკური გმირი უარყოფითი პიროვნება არაა, ბოროტება არ არის მისი პიროვნული თვისება. ტრაგედიას იწვევს არა პიროვნების დანაშაულებრივი მოქმედება, არამედ ბედისწერის კანონთა და შურისმაძიებელ ღმერთთა ნება-სურვილის გარდუვალობა.

შექსპირთან, ახალი მსოფლმხედველობის გამომხატველ ავტორთან, ტრაგედიის მიზეზია სწორედ ადამიანი, რომელსაც თავის ბუნებაში, ძალასთან ერთად, არ გააჩნია საკმაო სიკეთე. ამიტომ ტრაგედიის მიზეზი არის სიბოროტე, რომელიც კაცშია დებრძვის მასში კეთილ საწყისს. ახალ ტრაგედიაში უბედურება მოაქვს თვითონ ადამიანს, ხოლო განგება მხოლოდ კეთილისაკენ მოუწოდებს, საბოლოოდ იმარჯვებს კეთილი იდეალის მქონე პიროვნება, რომელიც, თუმცა ნადგურდება ფიზიკურად (ჰამლეტი, დეზდემონა, კორდელია და სხვ.). მაინც გამარჯვებული რჩება სათნოების სახის ჩვენებით.

ახალი დროის ტრაგედიაში აუცილებლად უნდა იყოს უარყოფითი ადამიანი, რადგან ახალი თვალსაზრისით ეშმაკეული ადამიანშია მხოლოდ, ღვთაება განუზომლად კეთილია, იქ არ არის ბოროტის მიგებისათვის ადგილი. კაცია მხოლოდ მიზეზი ყველა ადამიანურ უბედურებათა და ტკივილთა. ამიტომ, მასთან ბრძოლა და გამარჯვება შესაძლებელია. ხოლო ბრძოლა განგებასთან, ბედისწერასთან, ღმერთების შურთან, წმიდათაწმიდა მათ ნებასთან და მათ სასტიკ სურვილთან, შეუძლებელი იყო. გარდუვალი იყო ეს ნება, ტრაგიკული და უბედურების მთესველი ადამიანთა მოდგმისათვის.

ღმერთი იყო მაღალი და წმიდა, მისი სურვილი წმიდა იყო, მაგრამ იგი იყო მკაცრი და შეუბრალებელი, იყო სამართლიანი, და მისი სამართალი მოუწოდებდა შურისძიებისათვის, სამაგიეროსათვის.

ანტიკური ეპოქის გმირი ჩადის დანაშაულს და ამ დანაშაულით იქმნება ტრაგედია, თუმცა ღმერთების ჩაგონებით მოხდა იგი. სიმართლისათვის მოუწოდებს ზეგანგება, მაგრამ იგი არის სასტიკი და შურისმაძიებელი, ყველა ბოროტება და უბედურება მოდის მისგან, ბედისწერისაგან, რომელიც ყოვლისშემძლეა, ამიტომ ტრაგიკულია ბედი ძლიერ, სულით მაღალ ადამიანთა, და არც არსებობს ბედისწერისა და ღმერთების შურისაგან თავის დახსნის საშუალება. სიცოცხლის შემდეგ კი, გრძელდება სულთა უსხეულო არსებობა აიღში, რომელიც სვედიანია და დაუსრულებელი, და, რომელიც არასოდეს მიანიჭებს მართალს ზნეობრივ სიმშვიდეს, ბედნიერებას. იქ სიმშვიდეა მხოლოდ სევდით მოცული, ბნელით მოსილი და მარადმტანჯველი სამყოფელია იქ.

და, თუ ოდიპოსი სიკეთეს თესავს და სიმართლისათვის იღწვის, ანაოა, რადგან ბედისწერამ სასტიკად გასწირა იგი, მაგრამ რისთვის? -- არ არსებობს, ეს კითხვა ანტიკური ეპოქის თვალსაზრისში მაღალ ღმერთთა და ბედისწერის სამართლის მიმართ. მხოლოდ იმიტომ, რომ ლაიოს მეფეს აეკრძალა შვილიერება, და, მან ვერ შეძლო სრულად აღესრულებინა განგების ბრძანება. მაგრამ რატომ, რატომ უნდა დაისჯოს ასე სასტიკად ოდიპოსი, იგი ხომ მხოლოდ ღმერთების კეთილ ნებას ასრულებდა და თესავდა მხოლოდ სიკეთეს. ან, რატომ ისჯება ასე უწყალოდ მოკვდავთა შორის უდიდესი, პერაკლე, რომლის ცხოვრება, სავსე უმაგალითო მამაცობით, სიკეთისათვის ბრძოლა და თავგანწირვაა მთლიანად. მას დაუსრულებლად დევნის ძლიერი ღმერთი, შურით სავსე, რომლის შურს ვერ მოალობს ქვეყნად ვერავისარი კეთილი საქმე, ზეადამიანური და უძნელესი, შეუძლებელი ზოგჯერ თვით უკვდავთათვისაც. და არ იცავს პერაკლეს ამ შურისაგან, ამ დევნისაგან არაფერი, თვით მამა-ღმერთი, თითქოს კაცთა უბედურება არ შეეხებოდეს მათ, უკვდავებს, რომლებიც ქმნიან და მართავენ

ადამიანთა ცხოვრებას, განუწყესებენ გზებს სიმართლისა და სამართალის. ისინი ქადაგებენ ხელშეუხებ, წმინდა კანონებს, რომლებიც საესეა შურისგებით და სიმკაცრით. თითქოს კაცთა ცხოვრება იყოს სათამაშო, გასართობი! ასევე წამიერი გასართობია კაცთა ტანჯვა და სიხარული მათთვის, მარადიულ, ძლიერ ღმერთათვის. ხანმოკლეა ადამიანის არსებობა, რადგან ხანმოკლეა თვით ცხოვრება მათი. „ახალმა ჩეუფემ, ზევსმა — ამბობს მიჯაჭვული პრომეთე — ყველას დაუნაწილა პატივი, მხოლოდ კაცი დაივიწყა, და მაშინ აღვიმალღე ხმა მათ დასაცავად“⁴⁹ ... (ესქილე, „მიჯაჭვული პრომეთე“).

სრულიად სხვაგვარად განისჯება სიკეთის, მართალი სამართლის საკითხები ჰუმანიზმის ეპოქაში.

ჰუმანიზმის ეპოქის ტრაგედიაში იმარჯვებს სათნოება მსხვერპლის საფასურად. სიკეთის იდეალთა მარადიულ გამარჯვებაში გამოიხატება ჰუმანიზმის ეპოქის თვალსაზრისი მართლისადმი. ამ სიკეთის გვერდით, მასთან ერთად, აღარ არსებობს შური, ანდა შურისმაძიებელი ღმერთი და ყოვლად ძლიერი, დამცინავი ბედისწერა, რომლებიც განაგებდნენ და წარმართავდნენ კაცთა მოქმედებას. ახალ ეპოქაში კეთილი ბოლომდე და მთლიანად კეთილია, სამართალი მხოლოდ სიკეთით ჰპოვებს არსებობას. ზეძალა, მორალი და მსოფლმხედველობა მხოლოდ კეთილია, ხოლო სიბოროტე და დანაშაული ისევ კაცისაგან, მისი ეშმაკეული ბუნებისაგან წარმოსდგება, რომელიც ყოველთვის მცდარია და მორალურად დამარცხებული.

ჰუმანიზმის ეპოქაში არ დგას საკითხი, რატომ არსებობს ადამიანში ბოროტი. ბოროტი არსებობს კაცში, იგი საშინელია (შექსპირისეული იაგო, რიჩარდი). იგია მიზეზი ტრაგედიის, ხოლო ჩვენ ვებრძვით ამ კაცისეულ ბოროტს სათნოების სახის ჩვენებით.

რომანტიზმის ეპოქამ დააყენა ახალი საკითხი. რატომ არსებობს ბოროტება, თუ იგი კაცშია, ხომ მოდის იგი განგებიდან, ანუ შემოქმედრიდან სიკეთესთან ერთად. და თუ განგება, შემოქმედი, კეთილია მთლიანად, როგორღა მოდის მისგან ბოროტი. რატომ ისჯება კაცი იმისათვის, რომ არ შექმნეს იგი მთლიანად კეთილი. რა კანონია კეთილისა და სათნოების, რომელიც უშვებს თავის გვერდით ბოროტის არსებობას, ან, რატომ არსებობს უკვდავება მხოლოდ იდეათა, და, რატომ კვდება და იცვლება მშვენიერება — კაცი. რატომ არ არის ბედნიერება მარადი, თუკი იგი, ეს ბედნიერება არსებობს. რატომღა წარმავალი სილამაზე, ბედნიერება და თვით არსებობა კაცის? თუკი ყველაფერი შეეძლო შემოქმედს, რატომ შექმნა მან კაცთათვის სიკვდილი, ავადმყოფობა, სიბერე, და ბოლოს სიბოროტე. რატომ არსე-

⁴⁹ Э с х и л, Трагедия, М—Л., 1937, с. 188.

ბობს კაცში ბოროტი. რატომ არსებობს დანაშაული? და რომანტიკოს ავტორს გამოჰყავს თავისი ნაწარმოების გმირებად დანაშაულები ადამიანები, რომელნიც ჩადიან დანაშაულს და მაინც არიან კეთილნი, როგორღა არიან კეთილნი, თუკი ჩადიან სიბოროტეს? — არა შემთხვევით, შეგნებულად, ასეთი გმირებია ბაირონის კაენი, მანფრედი. შუასაუკუნეობრივი თვალსაზრისი მსგავსი გმირების არსებობას არ უშვებს. ახალ დროებათა სიკეთის თვალსაზრისი არ უშვებს ასეთ არსებობას. ეს რომანტიზმის მონაპოვარია და იხილვება მის გმირთა სახეების გაცნობით.

დგება პიროვნების, მისი თავისუფლების საკითხი. ასეთი გმირის დანაშაული ახსნილია მხოლოდ, და მხოლოდ პროტესტით, ან საზოგადოებრივი თვალსაზრისისა და პიროვნების სწრაფვითა შეჯახებით.

5. რუსული რომანტიზმი და ჰარტველი რომანტიკოსები

ქართულ რომანტიზმს ჩვენს ეროვნულ მწერლობაში მტკიცე საფუძვლები გააჩნია, საფუძველი რომ არ ჰქონოდა, რომანტიზმი ვერ მოიკიდებდა ფეხს ჩვენს ლიტერატურაში, დარჩებოდა ზერელე მიმბაძველობისა და მოღუბლი გატაცების საგნად.

საქართველოში რომანტიზმი ძლიერ და მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცა. ახალი ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნეში რომანტიზმით იწყებს სუნთქვას, ახალი ქართული ლიტერატურის პირველი წარმომადგენლები რომანტიკოსებია.

ლიტერატურული მიმართულება — რომანტიზმი — XVIII საუკუნის ბოლოს წარმოიშვა ევროპულ მწერლობაში და XIX საუკ. პირველ ნახევარში გამოიკვეთა როგორც ეპოქის დამახასიათებელი ძლიერი ისტორიული მოვლენა.

ტრაქტატში „გერმანიის შესახებ“ ჟერმენა დე სტალი პირველად ღმარობს ტერმინს „რომანტიკული“, რომელიც მან თავის მხრივ გერმანელი რომანტიკოსებისაგან აიღო (ფ. და ა. შლეგელები, ნოვალისი).

ტერმინი „რომანტიკულის“ ახსნას თავდაპირველად იძლევიან რომანტიზმის პირველი თეორეტიკოსები — ფრიდრიხ და აგუსტ შლეგელები, ჟერმენა დე სტალი, ლიუდვიგ ტიკი, ოდნავ მოგვიანებით — ჰიუგო, ჰაინე, სტენდალი და სხვ.

ჟ. დე სტალის აზრით, „რომანტიკული“ „ჩრდილოური“ ლიტერატურაა. იგი ლიტერატურას ყოფს „სამხრეთულ“ — კლასიკურ, და „ჩრდილოურ“ — რომანტიკულ ლიტერატურად. რომანტიკულ ლიტერატურას იგი უწოდებს სკანდინავიის, ინგლისის, გერმანულ ენოვანი ქვეყნების და სხვ. ევროპული ერების შუა საუკუნეთა ლიტერატურას და მის საფუძვლებზე წარმოქმნილ თავისი დროის ლიტერატურას.

„სამხრეთული“ ლიტერატურა დახვეწილია, ბრწყინვალე და ნათელი, ესაა ბერძნულ-რომაული „კლასიკური“ ლიტერატურა, ხოლო ახალი ლიტერატურა, „ჩრდილოური“ — ინგლისური, გერმანული, სკანდინავური — მოჭარბებული გრძნობებითა და მელანქოლიით განირჩევა, რასაც ამქვეყნიური ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობა წარმოშობს და არის ქრისტიანული ქვეყნების პოეზია⁵⁰.

რომანტიზმის წარმოშობისა და მისი ბუნების შესახებ, წერენ რომანტიზმის პირველი თეორეტიკოსები და კრიტიკოსები, ევროპის დიდი მწერლები, ლიუდვიგ ტიკი ნაშრომში „ხელოვნებისა და ხელოვანთა შესახებ“⁵¹, შელი — ცნობილ ტრაქტატში „პოეზიის დასაცავად“⁵², პიუგო თავის ცნობილ „რომანტიკულ მანიფესტში“ და „ერნანის“ წინასიტყვაობაში, სადაც დე სტალს ეკამათება, ახალი კუთხით გათავაზობს რომანტიზმის ახსნას⁵³. ჰაინე — ცნობილ კრიტიკულ წერილში „რომანტიკული სკოლა“⁵⁴, სადაც მიმოიხილავს მთელ რომანტიკულ ლიტერატურას, სტენდალი — წერილში „რასინი და შექსპირი“⁵⁵. ბელინსკი — კრიტიკული წერილების სერიაში ალექსანდრე პუშკინის შესახებ (წერილი მეორე)⁵⁶ და სხვ.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, არის ევროპული მოვლენა. საქართველო XIX საუკუნეში რომანტიზმის იდეათა ზიარებით, გახდა მონაწილე იმ ახალი იდეალების და კაცობრიობის ახალი სულიერი სწრაფვის, რომელმაც მოიცვა იმ პერიოდში მთელი პროგრესულად მოაზროვნე კაცობრიობა, ევროპულად ცივილიზებული სამყარო, მათ შორის რუსეთი. XIX საუკუნის საქართველოს ლიტერატურა და სულიერი კულტურა ევროპეიზმის ნიადაგზე მტკიცედ დგება და საბოლოოდ ემიჯნება აღმოსავლურ-სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებს, რომლებიც ამ ეპოქაში უკვე ნიადაგამოცლილ და ფაქტიურად ფუნქციადაკარგულ მოვლენად იქცა.

საქართველოში რომანტიზმი XIX საუკუნის დასაწყისშივე იკიდებს ფეხს. მას გამოუჩნდა ჩვენში ისეთი დიდი მიმდევრები, როგო-

⁵⁰ Ж. Де Сталь, Керина или Италия, М., 1969, с 397.

⁵¹ Л. Тик, Об искусстве и художниках, М., 1826.

⁵² P. B. Shelley, A Defence of Poetry, Poetry and Prose, Moscow, 1959.

⁵³ В. Гюго, Собр. соч. в 15-ти томах, М., 1953—1956, т. 3.

⁵⁴ Г. Гейне, Романтическая школа, Полное собр. соч. в 6-ти томах, СПб., 1904, т. 3.

⁵⁵ Стендаль, Россини и Шекспир, Собр. соч. в 15-ти томах, Л., 1933—50, т. IX.

⁵⁶ В. Белинский, Александр Пушкин (статья вторая), Собр. соч. в 3-х томах, М., 1948, т. 3.

რიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი. იგი გახდა განსაკუთრებით პოპულარული თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა შორის 30-იანი წლებიდან, სადაც ბარათაშვილი სწავლობდა იმხნად, და სადაც, მოწაფეობის წლებშივე მან შექმნა თავისი ბრწყინვალე ლექსი „შემოღამება მთაწმიდაზედ“.

არც ერთ ქვეყანაში, სადაც რომანტიზმმა მოიკიდა ფეხი და წარმოშვა მძლავრი ხმის პოეტები, არ იყო ისეთი დათრგუნვილი საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორც იმ დროს საქართველოში. მაგრამ აქ მაინც ჩამოყალიბდა ლიტერატურაში რომანტიკული მიმართულება და წარმოიშვა დიდი, საერთაშორისო ხმის პოეტი. ამ მოვლენას ეროვნული საფუძველი ჰქონდა, სწორედ ეროვნული საფუძველი იყო ჩვენში რომანტიზმის წარმოშობის მიზეზი, ქართული ეროვნული კულტურა, მისი ისტორია, ზეპირსიტყვიერება, ქართული ლიტერატურისა და მწერლობის ტრადიციები (არა აღმოსავლურ-სპარსული სტილი და მიმართულება ლიტერატურაში, არამედ სასულიერო—ფილოსოფიური პოეზია და გოდების თემისადმი ინტერესი) ქმნიდა შესანიშნავ წინაპირობას საქართველოში რომანტიზმის წარმოშობისათვის. ამიტომაც მიიღო ასე ორგანულად ქართულმა მწერლობამ რომანტიზმი და საკუთარ, ეროვნულ საფუძვლებზე წარმოშვა დიდი, საერთაშორისო მნიშვნელობის პოეზია.

ქართული რომანტიზმის მიმართება რუსულ რომანტიზმთან შემჩნეულ იქნა ჯერ კიდევ XIX საუკ. პირველ ნახევარში. მაშინ, როდესაც ქართული კრიტიკა მხოლოდ ისახებოდა და იკიდებდა ფეხს.

პირველი ქართველი კრიტიკოსები აღიარებენ ამ მიმართებას და მისი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობენ. მაგალითად, ნიკოლოზ ბერძნისძე 1859 წ. ვაზ. „კავკაზში“ გამოქვეყნებულ წერილში მიუთითებს ბარათაშვილის სულიერ ნათესაობაზე ლერმონტოვთან. იგი ბარათაშვილის პოეზიის ანალიზისას წერს: „მისი ნიჭი აღბეჭდილი იყო იმ უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების ნიშნით, იმ გამოუვალ მიუღწევლობით, რაც ასე საგრძნობია ლერმონტოვთან, და ბაირონის სკოლის სხვა მიმდევრებთან“⁵⁷.

ქართული ლიტერატურის პირველი კრიტიკოსები ბარათაშვილს მოიხსენიებენ ქართველ ლერმონტოვად, ქართველ ბაირონად. ამგვარ განცხადებებს თავისი საფუძველი ჰქონდა. ეს გამოთქმები გამოხატავდნენ საზოგადოებრივ აზრს ბარათაშვილისა და სხვა ქართველი რომანტიკოსების მიმართების შესახებ რუსულ მწერლობასთან, ლერმონტოვის, პუშკინის, ჟუკოვსკისა და სხვ. პოეზიასთან.

⁵⁷ Н. Бердзенов, Грузинская литература, „Кавказ“, 1859, № 3.

„ჩვენს ლერმონტოვს“ უწოდებს კირილე ლორთქიფანიძე ბარათაშვილს 1862 წ. „ცისკარში“ გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილში, სადაც „ცისკარის“ მიმართულებას აკრიტიკებს⁵⁸.

ლერმონტოვის პოეზიასთან ნათესაობაზე მიუთითებს, აგრეთვე, ანტონ ფურცელაძე 1864 წ. „ლიტერატურნი ლისტოკში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში, რომელიც ილია ჭავჭავაძის „კაცია — ადამიანისადმია“ შიძღვნილი. ბარათაშვილი, — წერს იგი — ცხოვრებას ლერმონტოვის, თავისი თანამედროვის მსგავსად უცქერისო⁵⁹. ხოლო სხვაგან ბარათაშვილს „ჩვენს ბაირონს“ უწოდებს⁶⁰.

რუსული რომანტიკული ლიტერატურიდან შესრულებული თარგმანები, გადმოკეთებები მრავლადაა ს. რაზმაძესთან, ვახტანგ, გრიგოლ ორბელიანებთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. რუსულ ლიტერატურასთან მიმართების კვალი ქართველ რომანტიკოსებზე მსჯელობის საგანი გამხდარა უკვე გასული საუკუნის შუა პერიოდში, ხოლო საბჭოთა ეპოქაში გამოქვეყნებული გამოკვლევები ქართველ რომანტიკოსებზე, რუსულ რომანტიკულ ლიტერატურასთან მიმართების თვალსაზრისით მდიდარ მასალას წარმოგვიდგენს.

* * *

მრავლისმეტყველია ფაქტი ალ. ჭავჭავაძის მიერ პუშკინიდან შესრულებული თარგმანების შესახებ.

XIX საუკ. 10—20-იან და 30-იან წლებში, როცა რომანტიზმი, ევროპიდან მონაბერი, რუსეთში მხოლოდ შლის ფრთებს, იგი უმაღლესად საქართველოში ლიტერატურის წამყვან ძალად. ამის დამადასტურებელია ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება.

საქართველოში 800—820-იან წლებში ალექსანდრე ჭავჭავაძე გვეგლინება პოეზიის მეუფედ, იგი იმხანად არა მხოლოდ ყველაზე მძლავრი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული მწერალია, არამედ — თანამედროვეობის სულის გამომხატველი. ალექსანდრე ჭავჭავაძე უპირისპირდება ძველ მწერლობას და იღებს გეზს ევროპული აზროვნებისა და პოეტური სამყაროს მიღებისა და შემოქმედებითი ათვისებისაკენ. ალ. ჭავჭავაძე ამ მხრივ პირველი პოეტია XIX საუკუნეში, რომელიც ახალი ქართული ლიტერატურის შექმნას აძლევს დასაბამს.

⁵⁸ თერგდალეული, ორიოდ სიტყვა „ცისკარზედ“ ჟურნ. „ცისკარი“, 1862, №9, გვ. 58—59.

⁵⁹ ანტ. ფურცელაძე, «Литературный листок», 1864, № 3.

⁶⁰ მონიძე ზურაბ, შეუსრულებელი სურათი, დროება, 1867, №35.

გამიჯვნა ახალსა და ძველს შორის გარკვეულ შეჯახებას იწვევს. გამწვავებისა და ძველის უარყოფის გარეშე არც ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება შექმნილა. პოეტი ძალიან თამამად და კატეგორიულად დაუპირისპირდა „ძველი მწერლობის“ პრინციპებს. მან თავისი შემოქმედების გათიშვა ძველთან გამოხატა ლექსით „პეტრე ლარაძეს“.

ძველთ მელექსეთ საქებელად,
ნიჰად ესე დაუღვიან,
რომ სიცრუვის უშვერებას
მკვერ-მეთქვობით დაბურვიან.
თქვენცა იცნობთ პეტრე ყარიბს,
ძველნი წესნი არ უგმიან,
ლექსნი მისნი ტყუილნიცა
სხვათა მართალთ ემგობიან.

პეტერბურგში განათლებამიღებული, რუსულ და ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარევი პოეტი ბრუნდება სამშობლოში და მისი პოეზია იწყებს ფაქტიურად სრულიად ახალ პერიოდს ქართული ლიტერატურის განვითარებაში.

ევროპეიზაცია, რომელიც ქართულ ლიტერატურაში XIX საუკუნეში მკვიდრდება, და რომელსაც ჰქონდა ძველ ქართულ მწერლობაში მყარი საფუძვლები, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებით იჭერს გაბატონებულ მდგომარეობას ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მის აზროვნებასა და ლიტერატურულ-ესთეტიკურ მრწამსში. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებით ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმი წამყვან მიმართულებად იქცევა.

პეტერბურგის სამყარო, ლიტერატურული და ესთეტიკური იდეალი, რომელიც იმ დროს წარმართავდა რუსეთის დედაქალაქის სულიერ ცხოვრებას, გამსჭვალული იყო რომანტიზმის სულისკვეთებით. ეს არის დრო რუსეთის ცხოვრებაში, როდესაც პუშკინი და მისი ლექსები იპყრობენ მოწინავე საზოგადოების გულსა და გონებას. ეს არის რუსეთის ლიტერატურის განუმეორებელი, ოქროს ხანა. ალექსანდრე ჭავჭავაძე მამისეულ ოჯახთან ერთად ამ არისტოკრატიისა და ინტელიგენციის ცენტრში ცხოვრობს და იმავე სულიერი საზრდოთი იკვებება.

XIX საუკ. 10—20-იანი წლების პეტერბურგი, ევროპის სხვა დედაქალაქთა მსგავსად, და მათ გვერდით, ბრწყინვალეებს თავისი საზოგადოებრივი ცხოვრებით, თავისი არისტოკრატიით, მოაზროვნებით, პოეტებით. 10-იან წლებში იწერება პუშკინის „თავისუფლება“ („Вольность“—1817 წ.) და 1821 წელს «ხანჯალი» («Хижа»), რომელიც

მრავალი წლის მანძილზე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა რუსეთში, ხელნაწერის სახითვე გადადის იგი უცხოეთში, იბეჭდება ფრანგულად პროზაული თარგმანით⁶¹. იგივე ლექსი ხდება პოეტის გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი.

პუშკინი და მისი პოეზია ამ დროს ხდება არა მარტო რუსული, არამედ, აგრეთვე ქართული ინტელიგენციის სულიერი საზრდო და ეპოქალური იდეალების გამომხატველი. პუშკინის ხსენებული ლექსები «თავისუფლება» და «ხანჯალი», რომლებიც დეკაბრისტების მარსელიოზას წააგავდა, 32 წლის შეთქმულთა უსაყვარლესი ნაწარმოებები გახდა. ქართველი შეთქმულები ამ ლექსს იმეორებდნენ ზეპირად და როგორც საომარ მარშს, ერთურთს ხელნაწერის სახით გადასცემდნენ.

პუშკინის პოეზიისადმი ალექსანდრე ჭავჭავაძის დამოკიდებულება არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში (იხ. დ. გამეზარდაშვილის, გ. ჯიბლაძის, ლ. ასათიანის, ა. კენჭოშვილის ი. ბოგომოლოვისა და სხვ. სათანადო გამოკვლევები).

რუსული ლიტერატურის ბრწყინვალე კლასიკოსის, პუშკინის პოეზიით გატაცება ქართველი ინტელიგენციისათვის და, ასევე, ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის, ნიშნავდა გატაცებას მოწინავე ევროპული, ცივილიზებული სამყაროს მისწრაფებებით, თავისუფლებისმოყვარე, ჰუმანისტური იდეალებით, რომელიც ასე მძაფრად და ასე პირდაპირ წამოაყენა რომანტიზმის ეპოქამ და მისმა დიდმა პოეტებმა და მოახროვნებმა. ევროპული სამყარო და მისი მორალური კრედო კარნახობს კაცობრიობას წინსვლისა და ჰუმანიზმის შეუღარებელ კანონებს: კაცთმოყვარეობას, ღმობიერებას — დაცემულისა და უბედურის მიმართ, თავისუფლების აუცილებლობას სხვადასხვა ეროვნებებსა და წოდებრივად განსხვავებულ, სულით მაღალ პიროვნებათა შორის. იქმნება რომანტიზმის გმირის სახე, რომელიც ქმნის ახალი ეპოქის ესთეტიკურ იდეალს.

ახალი ქართული ლიტერატურის პირველი პოეტია ალექსანდრე ჭავჭავაძე, მასთან ერთად გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვ. (ბარათაშვილი შედარებით ამ მწერლებთან უმცროსი თაობაა, ერთ, ორ და სამ ათეულ წელს, რომელიც მათ შორის ძევს, პრინციპული მნიშვნელობა აქვს), ესენი არიან მოღვაწეები და მწერლები, — პირველი თაობა, რომლებიც ევროპულ ლიტერატურულ სულსა და ევროპულ იდეალებს ამკვიდრებენ საქართვე-

⁶¹ Англо, «Шесть месяцев в России», см. А. С. Пушкин, Полное собр. соч. в 10-ти томах, М., 1959, т. 1, с. 577, примечания к стихотворению «Кинжал».

ლოში. პუშკინის ლექსი «ხანჯალს» არის მათი იდეალი შეთქმულების პერიოდში, და არა აღმოსავლური პანეგირიკული ხასიათის ოდა, რომელიც მათ სულიერ სამყაროს ამ დროს ველარაფრით ვერ გამოხატავს. ამ მოღვაწეთა გული და გონება არის გამსჭვალული იმ იდეალებით და ესთეტიკური მოთხოვნილებებით, რომლებსაც ამ ეპოქაში მსოფლიოს ევროპა სთავაზობს. ევროპული მაღალი ლიტერატურის დონე ამ პერიოდში რუსეთში განსახიერებულია პუშკინის შემოქმედებით, პოლონეთში — მიცკევიჩის, უნგრეთში — პეტეფის, ინგლისში — ბაირონის, შელის, უორდსვორტის, და სხვ. შემოქმედებით. მათი იდეალები და ესთეტიკური მრწამსი ედება მთელ ევროპას, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, და ევროპულად მოაზროვნე კაცობრიობის მოწინავე, მაღალკულტურულ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს.

XIX საუკ. დასაწყისის, 20—30-იანი წლების ქართველი ინტელიგენცია საზრდოობს ევროპული ლიტერატურით, მისი იდეალებით. პუშკინი, ჟუკოვსკი, უფრო მოგვიანებით ლერმონტოვი (30—40-იანი წლებიდან), ევროპის დიდ რომანტიკოსებთან ერთად (ბაირონის, მიცკევიჩის, ჰიუგოს, შელის, უფრო მოგვიანებით ჰაინეს და სხვ. შემოქმედებასთან ერთად), იპყრობს ქართველი ინტელიგენციის გულსა და გონებას.

პუშკინის პოეზია, იქ დასმული ზოგადსაკაცობრიო საკითხები, თემები, პოეტური მოტივები, განწყობილებები და მათი გამოხატვის ფორმა ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის მეტად მახლობელი და მიმზადველი ხდება. პოეტის საუკეთესო ლირიკის დიდი ნაწილი შექმნილია 1804 წ. აჯანყების პერიოდში, და მის ახლო ხანებში. 18—19 წლის ახალგაზრდა პოეტი ქმნის ბრწყინვალე, მაღალემოციურ, მამულიშვილური, და მოქალაქეობრივი ტკივილების გამომხატველ ლირიკას. მისი შემოქმედების შედეგთა დიდი ნაწილი სწორედ ამ პირველ პერიოდზე მოდის, ესენია: „ვაჰ, დრონი, დრონი...“, „ისმინეთ მსმენნო...“, „ვისაც გასურთ“, „ოჰ, წარმავალნო გზასა ქალნო“, „ოჰ, ვით გვემტყუნვა“, „თაესა უფლად“, „მსურდა ოხვრა“, „პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“, და სხვ. ქართველი ერის განთავისუფლებასათვის მოწყობილი აჯანყება მარცხით დამთავრდა: ზემოხსენებულ ლექსებში გამოსჭვივის გულისტკივილი და იმედგაცრუება მომხდარის გამო (უფრო მოგვიანებით, ალექსანდრე ჭავჭავაძე ფრანგულიდან თარგმნის კორნელის „სინას“, სადაც შეთქმულების ამბებია გადმოცემული).

1804—5 წლებში, როდესაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ცნობილი მოქალაქეობრივი ლირიკა იქმნება, რითაც იგი უკვე გვევლინება საქართველოში ახლებური მწერლობის დამფუძნებლად, რომანტიზმის შემომტანად, ბრწყინვალე რუსი პოეტი, პუშკინი, რომლის პოეზია

შემდგომში გაიტაცებს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, — ამ პერიოდში მხოლოდ 5 წლის ბავშვია. ალექსანდრე ჭავჭავაძეს რომანტიზმი საქართველოში შემოაქვს მანამდე, სანამ პუშკინით გატაცება დაემჩნეოდეს მის პოეზიას. იგი თავიდანვე, მეტად თავისებურ და ახლებურ ჟღერადობას აძლევს მშობლიურ ლიტერატურას. XIX საუკ. ევროპული და მსოფლიო ლიტერატურის სული და განწყობილება, რომანტიზმის იდეალები და სულისკვეთება ალ. ჭავჭავაძის პირველსავე ცნობილ ლექსებში სრულიად აშკარაა. იგი რომანტიკოსია, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შემოქმედების პირველ პერიოდშივე.

პუშკინით გატაცება და პუშკინის გავლენებზე ლაპარაკი შეიძლება ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში 20—30-იანი წლებიდან, ე. ი. მ ე ო რ ე პერიოდში, როცა იგი 35 წელს გადაცილებული იქნებოდა, ხოლო რომანტიზმის მოტივები მის ლირიკაში საგრძნობია თავიდანვე, 1804—1805 წლების ლირიკიდან. პეტერბურგში სამეფო კარზე აღზრდილი ალექსანდრე ჭავჭავაძე, კარგი მცოდნე ფრანგული ენისა და ლიტერატურის, თავიდანვე ევროპული ორიენტაციის პოეტია, მისთვის პოეზიისა და ლიტერატურის უახლესი მაჯისცემა ყოველთვის საგრძნობია, სწორედ ამიტომ, XIX საუკ. დასაწყისში, როცა რომანტიზმი ჯერ კიდევ სრულიად სუსტი მიმართულებაა რუსეთში (იგი მძლავრ მიმდინარეობად რუსეთში ხდება მხოლოდ 810.-იანი წლებიდან, ისიც უმეტეს წილად თარგმანებით⁶²) ალექსანდრე ჭავჭავაძე მთელი თავისი შემოქმედებით რომანტიზმის პოზიციებზე დგება. თავიდანვე, იგი მშობლიურ ლიტერატურაში თამამად ნერგავს ეპოქალურ სიასლეს, მას მიჰყავს ახალი გზით ქართული ლიტერატურის განვითარების ხასიათი. ეს გზა რომანტიზმზე გადის. კიტა აბაშიძე წერს, რომ არ ყოფილიყო ალექსანდრე ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი, იმდენი წვრილმანი საქმე გამოუჩნდებოდა ბარათაშვილის ნიჭს, რომ იგი ვერ შექმნიდა იმ დონის პოეზიას, რომელიც დაგვიტოვა⁶³. ამ ნათქვამში სრული ჭეშმარიტებაა. მართლაც, ალექსანდრე ჭავჭავაძე არის ის პირველი მძლავრი სეეტი, რომელსაც ახალი ქართული ლიტერატურა ეყრდნობა.

* * *

რუსული რომანტიზმის გავლენის კვალი ნიშნულია გრიგოლ ორბელიანთან, განსაკუთრებით ჟუკოვსკისთან სიახლოვე. გრ. ორბელიანის ლირიკაში ყურადღებას იპყრობს „მიბაძევები“ (როგორც თვითონ

⁶² Ю. Д. Левин, Прижизненная слава Вальтера Скотта в России, Сб., Эпоха романтизма. Л., 1975, с. 7.

⁶³ კ. აბაშიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ეტყულები, თბ., 1960, გვ. 34.

პოეტი უწოდებს) და თარგმანები პუშკინის, რილევის, ჟუკოვსკის ლექსებიდან. ამ საკითხებს არაერთხელ შეხებიან მკვლევარები. ჟუკოვსკის პოემასთან „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“ „სადღეგრძელოს“ მიმართების საკითხი საფუძვლიანადაა შესწავლილი ჯ. ჭუმბურიძის⁶⁴, ა. გაწერელიას⁶⁵, დ. ლაშქარაძის⁶⁶, ე. მალრაძის⁶⁷ და სხვ. ხათანალო გამოკვლევებში.

* * *

ნ. ბარათაშვილისა და მ. ლერმონტოვის სულიერ ნათესაობაზე უკვე მიუთითებს XIX საუკ. 50-იანი წლების ქართული სალიტერატურო კრიტიკა.

ალ. ცაგარელი 60-იანი წლების ბოლოს (1869 წ.) უძღვნის მეტად მნიშვნელოვან ნაშრომს მის თანამედროვე ქართულ მწერლობას, სადაც ფართოდ ეხება ბარათაშვილის პოეზიას, ქართულ რომანტიზმსა და მის ბუნებას. ამ წერილში ალ. ცაგარელი პირველად უკაფშირებს ქართულ მწერლობას ევროპულ ლიტერატურულ მიმართულებას, რომანტიზმს და ამავე დროს მიუთითებს ბარათაშვილის პოეზიის რუსულ რომანტიკულ მწერლობასთან კავშირზეც. ალ. ცაგარელი აყენებს საკითხს, რომ ბარათაშვილის პოეზიაში შეიძლება ვიპოვოთ იგივე საკითხები, რაც ბაირონისა და ლერმონტოვის ნაწარმოებებშია დასმული, და გაჩნდილია მანფრედის, ლიუციფერის, კაენის, მწერისა და დემონის ხასიათებში⁶⁸.

ლერმონტოვისა და ბარათაშვილის სულიერ ნათესაობაზე და ბედის მსგავსებაზე მიუთითებს ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფი კონსტანტინე მამაცაშვილი.

კ. მამაცაშვილი, თანამედროვე და მეგობარი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, იყო ამავე დროს ამხანაგი და თანამებრძოლი მეორე დიდი პოეტის, მ. ლერმონტოვის. კ. მამაცაშვილი ამ ორი პოეტის საინტერესო შედარებას იძლევა: „თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში იყო ლერმონტოვი. თითქმის ერთი ხნისა. იმათ აქვეთ მსგავსება

⁶⁴ ჯ. ჭუმბურიძე, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ და ვ. ჟუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“, მსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954; ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, თბ., 1958.

⁶⁵ ა. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი, კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი, წიგნი: გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული ა. გაწერელიასა და ჯ. ჭუმბურიძის შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1959.

⁶⁶ დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.

⁶⁷ ე. მალრაძე, გრიგოლ ორბელიანი, თბ., 1967.

⁶⁸ ალ. ცაგარელი, ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, დროება, 1870, №3.

პატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლვილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი აწმყო, მაგრამ მაშინ იმისთანა დროცო, რომ პატრიოტობა ორგულობად მიაჩნდათ. ჩემის პაზრით, პოემა „ბედი ქართლისა“, თუ მაღლა არა დგა ლერმონტოვის ლექსებზე, არასდროს არ ჩამოუვარდება“⁶⁹.

ლერმონტოვისა და ბარათაშვილის პოეზიათა საერთო საკითხებზე მსჯელობენ აგრეთვე თავიანთ გამოკვლევებში ი. მეუნარგია⁷⁰, კ. აბაშიძე⁷¹, ხომლედი⁷² (რომანოზ თანცხავა) და სხვ.

ერთი სიტყვით, ამ საკითხს თავისი საკმაოდ დიდი ტრადიცია გააჩნია. საბჭოთა პერიოდში ფართო გაშუქება მიეცა ამ ორი პოეტის შედარებით შესწავლას. ამ მხრივ, გ. ჯიბლაძის ცნობილი გამოკვლევა „ნ. ბარათაშვილი და მ. ლერმონტოვი“⁷³ განსაკუთრებით გამოირჩევა. ბარათაშვილისა და ლერმონტოვის პოეზიათა ნათესაობის საკითხს ფართოდ ეხებიან მ. ზანდუკელი⁷⁴, ა. გაწერელია⁷⁵, გ. ქიქოძე⁷⁶, ლ. ასათიანი⁷⁷, ი. ბალახაშვილი⁷⁸, შ. რადიანი⁷⁹, აპ. მახარაძე⁸⁰, გ. ასათიანი⁸², გრ. კიკნაძე⁸³, ი. ბოგომოლოვი⁸⁴. მ. ბარამიძე⁸⁵ და სხვ.

⁶⁹ კ. მამაცაშვილი, თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, დროება, 1881, №206.

⁷⁰ ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია თ. ნ. ბარათაშვილისა, ივერია, 1893 №№ 85—103.

⁷¹ კ. აბაშიძე, თ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, მოამბე, 1898, №6.

⁷² ხომლედი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი დრო, კვალი, 1896, №№22—24, 1897 №№ 2—9.

⁷³ გ. ჯიბლაძე, ნ. ბარათაშვილი და მ. ლერმონტოვი, მნათობი, 1936, №№5, 6.

⁷⁴ მ. ზანდუკელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ახალი ქართული ლიტერატურა, I, ბათუმი, 1935, მეორე გამოც., თბ., 1941.

⁷⁵ ა. გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მონოგრაფია, თბ., 1947.

⁷⁶ გ. ქიქოძე, რომანტიკოსების თაობა. ლიტ. ნარკვევები, 1938, გვ. 54—83; რჩეული თხზ. სამტრიადი, თბ., ტ. I, თბ., 1963.

⁷⁷ ლ. ასათიანი, ლერმონტოვი და ჩვენი ქვეყანა, ჩვენი თაობა, 1937, № 9.

⁷⁸ ი. ბალახაშვილი, მ. ი. ლერმონტოვის ქართველი ნაცნობები, ჩვენი თაობა, №4, 1941.

⁷⁹ შ. რადიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ქართული რომანტიზმი, მნათობი, №№11—12, 1942.

⁸⁰ აპ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, ტხშ, 1948.

⁸¹ გ. აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1955.

⁸² გ. ასათიანი, ქართველი ლირიკოსები, თბ., 1963.

⁸³ გრ. კიკნაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ახალი ქარ. ლიტ. ისტორია, I, ტხშ, დ. გამეზარდაშვილის რედ., თბ., 1956.

⁸⁴ И. Богомолов, Из истории грузино-русских литературных взаимосвязей (Первая половина XIX в.), Тб., 1967.

⁸⁵ მ. ბარამიძე, მ. ი. ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკასა და თარგმანებში, თბ., 1973.

მრავალი საკითხი უკვე განხილულია, მიკვლეულია და შესწავლილი ამ პოეტის ტექსტუალური შეხვედრის მომენტები. ჩვენ შევიჩერებთ ყურადღებას ზოგიერთ იმ საკითხთა ირგვლივ, რომლებიც მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ლერმონტოვის ადრეულ, ყმაწვილობის დროინდელ პოეზიაში არის ასეთი ლექსი „ანგელოსი“ (1831 წ.), როდესაც მას წერდა, ავტორი იყო 17 წლის ყმაწვილი (პირველად ეს ლექსი გამოქვეყნდა 1839 წ. კრებულში, *Одесский альманах на 1840 года*⁸⁵).

საინტერესოა, რომ ლერმონტოვი ყმაწვილობის დროინდელ ნაწარმოებთაგან, მხოლოდ ამ ლექსს ბეჭდავს თავის სიცოცხლეში (დანარჩენები, პოეტის გარდაცვალების შემდეგ მისი ხელნაწერებიდან დაიბეჭდა). ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს. ლერმონტოვს თვითონ მოსწონდა და უყვარდა ეს ლექსი.

По небу полуночи ангел летел
И тихую песню он пел,
И месяц и звезды и тучи толпой
Внимали той песне святой.

Он пел о блаженстве безгрешных духов
Под миртами райских садов,
О боге великом он пел и хвала
Его непритворна была.

Он душу младую в объятиях нес
Для мира печали и слез;
И звук его песни в душе молодой
Остался — без слов, но живой.

И долго на свете томилась она
Желанием чудным полна,
И звуков небес заменить не могли
Ей скучные песни земли.

(М. Ю. Лермонтов, «Ангел», 1831 г.)

ლერმონტოვის ლექსი წარმოადგენს პოეტის სულის პირველ გაღვიძებას და მალაღმისტიკურ სფეროებთან პირველ კონტაქტს. ამ ხაზით ჩვენ გვაინტერესებს შევადაროთ იგი ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთაწმიდაზედ“, რომლის პირველი ვარიანტი პოეტმა 16 წლის ასაკში დაწერა (1833 წ.).

ბარათაშვილის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „შემოღამება მთაწმიდაზედ“ არის პოეტის სულის პირველი გაღვიძება და პირვე-

⁸⁵ М. Ю. Лермонтов, Полн. собр. соч., М.—Л., 1936, т. I, примечания, с. 486.

ლი სიახლოვე იმ მაღალ, მისტიკურ და უსათუთეს სამყაროსთან, რომელიც პირველად გააღვიძებს გენიალურ სულში მაღალი პოეზიის გრძნობას.

თუმცა ეს ორი ლექსი სხვადასხვა დროს დაიწერა, — ლერმონტოვის პოეზიას 1833 წელს საერთოდ არ იცნობდა ბარათაშვილი, ლერმონტოვი, როგორც პოეტი, მისთვის ხელმისაწვდომი და მახლობელი გახდა მხოლოდ შემდგომ წლებში — 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, იმ პერიოდიდან, როცა ლერმონტოვის ნაწარმოებების გამოქვეყნება იწყება. მაგრამ ზემოხსენებულ ორ ლექსში — „ანგელოსი“ და „შემოღამება მთაწმიდაზედ“ — სწორედ სულიერი ნათესაობა იგრძნობა მათი ავტორებისა. ეს ორი ნაწარმოები არც ფორმით, არც თემატიკით, არც შინაარსით სრულებით არ ჰგავს ერთმანეთს. მაგრამ არსებობს მათ შორის დიდი მსგავსება — სულიერი ნათესაობა. ეს ტიპოლოგიური მსგავსებაა.

ლერმონტოვის სულში პირველად იღვიძებს დიდი პოეტი, როცა იგი წერს ლექსს „ანგელოსი“, ხოლო ბარათაშვილის სულის გენიალური გახსნა იწყება ლექსით „შემოღამება მთაწმიდაზედ“.

რომანტიკოსებისათვის მეტად ნიშნულია ბედისწერის განსაკუთრებული განცდა. ბარათაშვილის „მერანი“ გამოდგა წინასწარმეტყველური ნაწარმოები. სამშობლოდან გადახვეწის და დაუტირებელი სიკვდილის წინათგრძნობა ბიოგრაფიული ფაქტი გახდა მისთვის. პოეტის ტრაგიკული სრბოლის მონაწილე, მისი ერთგული რაში, ენათესავება უძველეს პოეტურ სახეებს შუასაუკუნეთა ევროპულ პოეზიაში. ცხენის და მხედრის სახე გარკვეულ ადგილს იკავებს რომანტიკოსების თემატიკაში.

ქიშნაძემ, ავი ძალებით გარშემორტყმულ გარემოში მხედარს შეგობრად, შემწედ და მონაწილედ ჰყავს ერთგული რაში, რომელიც აგრეთვე მისტიკურ ძალებთან კავშირშია და თავისი ძლიერი წინააღმდეგობით ბოროტისადმი უნდა იხსნას რაინდი (რომელიც, ზოგჯერ წმინდა გიორგის ესთეტიკური სახის გარკვეული თვისებების მატარებელია).

უძველეს პოეზიაში, ხალხთა მითოლოგიაში, ასევე ქართულ ფოლკლორულ ლიტერატურაში, რაშის ეს თვისებები ცნობილია. განსაკუთრებული სითბო, იმედი და ძალა მოსდევს რაშის იმ სახეს, რომელიც ძველი მითოლოგიიდან და ხალხური პოეზიიდან წამოსული, ჯერ შუასაუკუნეების ევროპულ სარაინლო ლეგენდებში დამკვიდრდა და შემდეგ რომანტიკოსთა მიერ ამ ლეგენდების ახალ ხორცშესხმაში შევიდა მომხიბლავ პოეტურ სახედ. ამის მაგალითია ჰაინეს, გოეთეს, შილერის, მიცკევიჩის, ბაირონის და სხვათა შემოქმედებაში ერთგული რაშისა და მხედრის ერთად წარმოდგენილი პოეტური სახე.

ქართულ პოეზიაში და ქართულ ფოლკლორში რაშის სახეს დიდი ტრადიციები აქვს. შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში ვეფხისტყაოსანი ამ სახის ბრწყინვალე ხორცშესხმის მაგალითს გვთავაზობს. ქართულ ხალხურ ზღაპრებში თქმულებებში და ლექსებში ხომ რაშისა და მხედრის მეგობრობა იდეალური სიყვარულითაა წარმოჩენილი. ამრიგად, ბარათაშვილს თავისი შესანიშნავი ლექსისათვის „მერანისათვის“ საფუძველს მისივე მშობლიური ლიტერატურა მეტად კარგად უმზადებს. ამავე დროს, ბარათაშვილი, დიდი რომანტიკოსი და თავისი დროის შვილი, გრძნობს ეპოქის მაჯისცემას და იმავე ინტერესებით აღივსება მისი პოეტური სულის სამყარო, რაც იტაცებდა მის თანამედროვე ევროპულ რომანტიკოსებს.

საბედისწერო რაშის სახე შესულა აგრეთვე ლერმონტოვის შემოქმედებაში. მისი ერთ-ერთი ცნობილი ლექსია „Спеша на север из далека...“ (დაწერილია 1837 წელს. ხოლო პირველად დაიბეჭდა 1845 წ.)³⁷.

ამ ლექსის ბოლო სტროფის შესახებ, რომელიც ნათესაობას ამჟღავნებს „მერანთან“ —

И прах бездомный по ущелью
Без сожаления развей.—

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებობს სათანადო მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის გ. ჯიბლაძეს (იხ. მისი გამოკვლევა, — „მერანი“, — მნათობი, 1945, № 1).

ამავე ლექსში არის მეტად საინტერესო სტრიქონები, რომლებიც ეძღვნება ბედით დევნილი მხედრისა და ცხენის ერთიან პოეტურ სახეს.

Спеша на север из далека,
Из теплых и чужих сторон,
Тебе, Казбек, о, страж Востока,
Принес я, странник, свой поклон.

Молю, чтоб буря не застала,
Гремя в наряде боевом,
В ущельи мрачного Дарьяла
Меня с измученным конем.

(М. Ю. Лермонтов, «Спеша на север
из далека...», 1837 г.).

ლერმონტოვის ამ სტრიქონთა შემდეგ კვლავ საგულისხმოა სუ-

³⁷ М. Ю. Лермонтов, Полн. собр. соч., М.—Л., 1936, т. II, примечания, с. 194.

ღიერი ნათესაობა „მერანთან“, რომელიც ლექსის მომდევნო სტროფებშია გამოხატული. ისევე, როგორც ქართველ პოეტს, ლერმონტოვს არ უნდა დაბრუნება სამშობლოში, თუკი იქ მას არ მოედიან, თუკი მისი განცდები და სულის ლტოლვა უპასუხოა, გაუზიარებელია მის მახლობელთაგან და მისი ხალხისაგან.

Но есть еще одно желанье!
Боюсь сказать! — Душа дрожит!
Что если я со дня изгнания
Совсем на родине забыт!

О, если так! Своей металью,
Казбек, засыпь меня скорей
И прах бездомный по ущелью
Без сожаления развей.

(М. Ю. Лермонтов, «Спеша на север
из далека...», 1837 г.).

ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ჩვენ მიერ განხილულ ლექსთა წყვილებში საქმე გვაქვს ეპოქალურ, ტიპოლოგიურ მსგავსებასთან. ფაქტია, რომ ბარათაშვილი არ იცნობდა ლერმონტოვის „ანგელოზს“, როცა დაწერა „შემოღამება მთაწმიდაზედ“ („ანგელოზი“ გამოქვეყნდა 1839 წ. „შემოღამება“ დაიწერა 1833 წ., ლერმონტოვის „Спеша на север...“ დაიბეჭდა 1845 წ., „მერანი“ დაიწერა 1842 წ.), მაგრამ ამ ლექსებში გამოხატული ორი პოეტის სულიერი ნათესაობა მეტად ნიშანდობლივია, საგულისხმო და საინტერესო.

ეპოქალური განწყობილებები და გამომსახველობითი ფორმები ამ ორი რომანტიკოსი პოეტის სულიერ სამყაროში მიმსგავსებულ მხატვრულ სახეებს წარმოქმნის. ეს მსგავსება ტიპოლოგიური ხასიათისაა.

ბარათაშვილი სუნთქვს იმ მაღალი იდეებით და იმ სულისკვეთების გამომხატველია, რომელიც რომანტიზმით გაჟღენთილ გარემოში წარმართავს მსოფლიო პოეზიის სულიერ ძალებს ერთიანი ვზით.

რომანტიკული ტენდენციები ქართულ ხალხურ პოეზიაში

ქართული მითოლოგია, ქართული ხალხური პოეზია უძველესია ისევე, როგორც ქართველი ხალხი. ძველ ხალხებს განსაკუთრებით ღმირადი ზეპირსიტყვიერება აქვთ.

ქართული პოეტური სიტყვა მის მითოსში, სიმღერებსა და ლეგენდებში დაიბადა. ხალხის პოეტური სიტყვა საფუძველია ყველა ლიტერატურული ეპოქისა და მიმართულების. ყველა ეროვნული ლიტერატურა და მწერალი ხალხური სიტყვიერების ფესვებზე დგას. ხალხური სიტყვიერების საფუძველებს დაშორებული მწერლობა და ლიტერატურა მკვდარია და უინტერესო, უმემკვიდრეო.

ქართული რომანტიზმი მის ეროვნულ ფესვებზე დგას. ხალხური პოეტური სიტყვა ამ ფესვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მაცოცხლებელი ძარღვია.

ხალხური პოეზია და მითოლოგია, რომელიც უძველესი საუკუნეებიდან მოსდევს ერს, მისი ლიტერატურული ტრადიციების და მორალურ-ესთეტიკური ნორმების შემუშავების მტკიცე ქვაკუთხეა.

ქართველი ერის სულიერ სამყაროს კვებავდა მისი მითოლოგია, ლეგენდები, ზღაპრები, ზეპირად თქმული ლექსები, რომელიც უძველესი, წარმართული ეპოქის სიღრმეებიდან მოდიოდა და ყოველი ახალი ეპოქის ესთეტიკურ იდეალში თავისი წვლილი, თავისი სახე, თავისი თვითმყოფადობა შეჰქონდა. ყოველი დროის ლიტერატურა, ყველა ქვეყანაში, საზრდოს ნაციონალური მითოლოგიით, თქმულებებით, ზეპირგადმოცემებით იღებდა. ზ. კიკნაძის თქმით, — „მითოსი, ... ისევე ძველი უნდა იყოს, როგორც მეტყველება. თუ წარმოვიდგინოთ იმ პირველ გააზრებულ სიტყვას, რომელიც ოდესღაც უნდა ეთქვა ადამიანს, ამ სიტყვაში კრისტალივით აისახებოდა მთელი სამყარო და ეს იქნებოდა მითოსის უმარტივესი სახე“¹.

ნაციონალური მითოლოგია და ხალხური პოეზია სპეციფიკურ ელფერს აძლევს ლიტერატურას, მის ეროვნულ სახეს ამკვეთრებს და

¹ ზ. კიკნაძე, უშამინარული მითოლოგია, თბ., 1979, გვ. 9.

თავისთავადობას მატებს. მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში იყო პერიოდები როგორც ჩვენთან, ისე სხვა ქვეყნებში, როდესაც ნაციონალური მითოლოგია და ისტორიული თემატიკა შედარებით ნაკლებად გამოიყენებოდა ლიტერატურულ მასალად. ასე მოხდა ადრე შუა საუკუნეებში, სქოლასტიკურსა და საეკლესიო მწერლობაში, ასევე ხდება ფრანგული კლასიციზმის პერიოდში, როცა სალონური ლიტერატურა იჭერს გაბატონებულ მდგომარეობას. ამ დროს ფრანგული ნაციონალური მითოსი და ხალხური პოეზია თითქმის აღარ არის ლიტერატურული პროცესის მონაწილე, სამაგიეროდ ლიტერატურული პროცესის გარდაუვალ მონაწილედ ხდება ბერძნულ-რომაული კლასიკური ლიტერატურა, რომელსაც საფუძვლად ჰქონდა თავის დროზე შესანიშნავად დამუშავებული მითოსი. ანტიკური მითოსი კლასიციზმის მიერ გამოიყენებოდა სულ სხვა ქვეყნის და სულ სხვა სულისკვეთების გამოსახატავად, რაც ერთგვარად ხელოვნურ განწყობილებას ქმნიდა ლიტერატურაში. დაკარგული იყო უშუალოება და გულწრფელობა ადამიანთა სულიერი განწყობილების, ტკივილების თუ მიზანსწრაფვისა და იდეალების გამოსახატავად. ყველაფერი ბრწყინავდა ცივი და ხელოვნური ბრწყინვალეობით, რომელსაც სიცოცხლე და სიბო, სინამდვილის უშუალოება აკლდა. როდესაც რომანტიკოსებმა გაზოიყენეს ანტიკური ლიტერატურიდან ზოგიერთი ცნობილი მითი, მაგალითად, პრომეთეს მითი, მათ სრულიად ახალი ფორმა და ახლებური, თანამედროვე ადამიანის ტკივილები და სურვილები მიუსადაგეს მას. ამიტომაც, პრომეთეს მითის ახლებური დამუშავება მახლობელი და მიმზიდველი გახდა რომანტიკოსებისათვის.

შელის „განთავისუფლებული პრომეთეს“ შესახებ თანამედროვე ინგლისელი მკვლევარი დ. ჯეიმსი წერს, — რომ, ესქილეს პრომეთესაგან განსხვავებით, შელის ნაწარმოების გმირები არიან არა ბერძნები, არამედ რომანტიზმის ეპოქის შვილები, რომლებიც თანამედროვე ადამიანის ტკივილებს გამოხატავენ, და ახლებურ ინტერპრეტაციას აძლევენ მითს².

რომანტიკოსებმა, კლასიციზმისაგან განსხვავებით, სულ სხვა სვალთ დაინახეს მითოლოგია. მათ აინტერესებდათ არა ბერძნულ გმირთა ხელახლა გადმოწერა, რომელიც თავის დროზე ბრწყინვალედ გამოხატავდა ხალხის გულის წადილს, მის იდეალებს, მის სწრაფვასა და ტკივილებს, და რომელიც მთლიანად იდგა ეროვნული მითოლოგი-

² D. Games, The Romantic Comedy (an Essay on English Romanticism), London, Oxford University Press, 1963, p. 128.

ის საფუძველზე და მის ბრწყინვალე და უშუალო გარდასახვას წარმოადგენდა.

ახალ საუკუნეებში რომანტიკოსებმა მითოლოგია, ეროვნული ეპოსი, შუასაუკუნეობრივი ევროპული ქვეყნების ლეგენდები, სიმღერები, ზღაპრები, სადაც ხალხის სული და მისი გმირის იდეალი ისახებოდა, მიიღეს ისევე უშუალოდ, როგორც ბუნება, რომელსაც ისინი დაუბრუნდნენ ხელოვნური ლიტერატურის ბრწყინვალეების შემდეგ.

ჰერდერი თავისი „ხალხური პოეზიის“ წინასიტყვაობაში წერდა, — „...პოეზია, და განსაკუთრებით სიმღერა თავიდან მთლიანად ხალხური იყო. ... სიმღერა მოითხოვს მასას, მრავალთა ხმოვანებას: მას სჭირდება მსმენელის ყური და ხმებისა და სულების გუნდი. იგი არასოდეს წარმოიქმნებოდა როგორც ასოებისა და მარცვლების ხელოვნება“³.

ჟირმუნსკის აზრით. „ჰერდერის მიერ წამოყენებული „ხალხური“ და „მწიგნობრული“ პოეზიის დაპირისპირება, ... პირველად მიუთითებდა ხალხთა მასების შემოქმედების მნიშვნელობაზე და მისი ისტორიული შესწავლის პრობლემას პირველად სვამდა, — პოეზიის წარმოშობის ზოგადი საკითხების შექმნა“⁴.

რ. იაკობსონისა და პ. ბოგატრიოვის თქმით, — „რომანტიკოსები მართლმდებარე იყვნენ იმდენად, რამდენადაც ხაზს უსვამდნენ ზეპირი პოეტური შემოქმედების კოლექტიურ ხასიათს და ზეპირსიტყვიერებას ენას უთანაბრებდნენ“⁵.

რომანტიზმის თეორეტიკოსთა აზრით, კაცობრიობის მეტყველება იწყებოდა პოეზიით, და ეს იყო ხალხური პოეზია. ამიტომ ხალხური პოეზია უნდა ყოფილიყო ამოსავალი და საყრდენი ყველა ლიტერატურისა.

ცნობილია რომანტიკოსების როლი ფოლკლორისტიკის, როგორც მეცნიერების განვითარებაში. რომანტიზმისა და ფოლკლორის უდიდესი თეორეტიკოსების — ძმები გრიმების, კუნის, მაქს მიულერის და „მითოლოგიური სკოლის“ სხვა წარმომადგენელთა — მრავალი საჯულისხმო მოსაზრება და ზოგიერთი თეორიული დებულება დღესაც ცოცხლობს ფოლკლორისტიკაში. თუმცა მათი დებულებების დიდი ნაწილი მომდევნო თეორიულმა სკოლებმა უარყო და შეცვალა ახლით.

³ Гердер, О народных песнях, Избр., соч., М.—Л., 1959, с. 72.

⁴ В. Жирмунский, Жизнь и творчество Гердера, в кн., Гердер, Избр. соч., М.—Л., 1959, с. XL.

⁵ რ. იაკობსონი, პ. ბოგატრიოვი, ფოლკლორი, როგორც შემოქმედების განსაკუთრებული ფორმა, კრებ. ქართული ფოლკლორი, X, თბ., 1981, გვ. 144.

რომანტიზმის პირველი თეორეტიკოსები და მისი პირველი წარმომადგენლები, რომლებიც უარყოფენ ლიტერატურაში და ცხოვრებაში ესოდენ დაკანონებულ ნორმებს, სულიერ ტკივილთა შევებას ჰპოვებენ ეგზოტიკურ, ხელშეუხებ ბუნებრივობაში. შატობრიანი ამას ეძებს ამერიკის უსიერ ტყეებში და მის არაცივილიზებულ მკვიდრთა უშუალოებაში და სითბოში. სხვები, — ბაირონი, დე სტალი, შელი, შლეგელები, ჰაინე და სხვ. — იტალიის, შვეიცარიის, საბერძნეთის, ესპანეთის, ხოლო ლერმონტოვი და პუშკინი — საქართველოს მკვიდრთა ცხოვრებაში, ამ ქვეყნის თვალწარმტაცი ბუნების სულში, მის გმირულ ისტორიულ წარსულში, — და ამავე დროს მის ტკივილთა გამოხატველ ხალხურ სიმღერებსა და ლეგენდებში. ბევრი რომანტიკოსი იწყებს ზღაპრების ვადამუშავეებას. — მაგ. ანდერსენი, პოფმანი, ყმები გრიმები, — ისინი იღებენ ხალხურ ზღაპრებს და ამუშავენ მათ, ზოგჯერ ახალ ინტერპრეტაციას აძლევენ. ხალხური ზღაპრების ლიტერატურული ვადამუშავეების შესანიშნავი მაგალითია პუშკინის ცნობილი „ზღაპრები“, „რუსლან და ლიუდმილა“, „ზღაპარი ოქროს თევზსა და მებაღურზე“, და სხვ. ასევე, ლერმონტოვიც ამუშავეს ნაციონალურ, რუსულ ლეგენდებს, ასე იქმნება მისი „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე“, „სტენკა რაზინი“, და სხვ. მსგავსი ხასიათის ლიტერატურის ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა, იმდენად დიდია და მეტად ნიშანდობლივი რომანტიკოსებისათვის. ზეპირსიტყვიერების მრავალი მთარეული სიუჟეტი და ლეგენდა რამდენჯერმე სხვადასხვა ავტორების მიერ იქნა დამუშავებული. ქართულ ფოლკლორში არსებობს ლეგენდა „თავფარავნელი ჭაბუკი“, მსგავსი ლეგენდა სხვა ხალხების ფოლკლორშიაც ყოფილა გავრცელებული. რომანტიზმის ეპოქაში იგი დამუშავედა შილერისა და ბაირონის მიერ. ასეთი თემები უამრავია. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრომეთეს საკითხი. პრომეთეს მიიტი, რომელიც მრავალჯერ იყო დამუშავებული ბერძნულ მწერლობაში, რომანტიკოსებისათვის საყვარელ თემად გადაიქცა. აქვე ვავიხსენოთ პრომეთეს ფოლკლორული ორეულის არსებობა ამირანის თქმულების სახით საქართველოში.

ი. ტენი წერს, რომ შეუძლებელია ხელოვანმა მხოლოდ თავისი თავიდან აიღოს იდეა და მხოლოდ თავისი ცხოვრების მაგალითით ან სურვილით განსაზღვროს და შეასხას ამ იდეას ხორცი. მაშინ ეს იდეა არ იქნება სრულქმნილი, ვინაიდან მწერლის მიერ ნაწარმოების წერისას ავტორს ეშველება მთელი თანამედროვე ეპოქა, მილიონობით ადამიანი, წინა თაობები, ისტორია, ამის გარეშე ადამიანი უძლურია შექმნას რაიმე მაღალი და საინტერესო.

„ადამიანები მისდევენ ყოველთვის საკუთარ გულისყურს. თუ მათი გულწ საესეა სევდით, მაშინ მათი დაკვირვების საგნადაც სევდა

იქცევა. ამის გამო ისინი ყოვლისმცოდნენი ხდებიან სევდის, სიმწარის, ტანჯვის, უბედურების, მოწყენილობის მიმართ, თუკი შემოქმედი მათ ოხვს რჩევას, ისინი მხოლოდ ამგვარ რჩევას აძლევენ. მაგრამ სიხარულის რაიმე ფორმათა შესახებ მათთან ბჭობა არაფრის მომტანი იქნება, რადგან ვერასოდეს გაგიზიარებენ იმას, რაც თვითონ არ გააჩნიათ. ამიტომაც, როდესაც მხატვარი ბედნიერების, მხიარულებისა და ლაღი ცხოვრების სურათების წარმოსახვას მოინდომებს, იგი მარტოკა აღმოჩნდება, თავისი ძალების ანაბარა, რადგან ვერავინ გაუწევს დახმარებას. ადამიანის ძალები კი, მოწყვეტილი ყველასაგან, ველარ იქნება დიდი, ამიტომაც მისი ნაწარმოებიც საშუალო დონის გამოვა. ხოლო როდესაც იგი მწუხარე გრძობათა წარმოსახვას მოინდომებს, მას დაეხმარება მთელი მისი საუკუნე. მას ხელთ ექნება წინარე თაობებისა და სკოლების მიერ მომზადებული მასალები. დასრულებული ხელოვნება, აღიარებული ხერხები, გაკვალული გზა... და მისი ნაწარმოები, რომლის შექმნაშიაც მონაწილეობას იღებდა უსახელოდ მილიონობით ადამიანი, იქნება განსაკუთრებით მშვენიერი, რადგან მწერლის შრომისა და გენიის გარდა, ნაწარმოები შეიცავს მილიონობით ხალხისა, მთელი წინა თაობების ნიჭსა და გენიას⁶.

ბერძნული მითები და თქმულებები როცა მუშავდებოდა ანტიკურ ეპოქაში, როცა ჰომეროსი, ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე ქმნიდნენ მითოლოგიის საფუძველზე კლასიკურ შედევრებს, მათი განწყობილება, მათი მსოფლმხედველობა, მათი განცდები და ტკივილები, და ბოლოს, მათი გემოვნება და ესთეტიკური იდეალები გამოხატავდა საკუთარი ხალხის მაჯისცემას, მის იდეალს და მრწამსს მეტად უშუალოდ. ამიტომ მათი შემოქმედება ეზიარა გენიალურ საიდუმლოებებს. ეს ძალა ამ დიდებულმა მხატვრებმა აიღეს საკუთარი ერის სულიერ ზისწრაფებათა წიაღში და გამოხატეს დიდი ეპოქის ცხოვრება. ასევე მოხდა, შუასაუკუნეების ევროპაში, როდესაც შეიქმნა დანტეს, არიოსტოს, ტასოს უკვდავი პოემები, როცა ხალხური შუასაუკუნეობრივი თქმულებები, ლეგენდები და ამავე დროს ეპოქის განწყობილება და სულიერი სწრაფვა იქცა მათთვის ამოსავლად და შთაგონების უშრეტ წყაროდ. პოეტის შთაგონება, ეპოქისა და ხალხის სურვილები კვლავ დაკავშირებული იყო მითოსთან, მხოლოდ ახალ პლანში. ასევე მოხდა, როცა ხალხური თქმულების საფუძველებზე გოეთემ შექმნა დიდებული ეპოპეა „ფაუსტი“.

კლასიციზტების ხელოვნური და სალონური ბრჭყვიალა ლიტერატურის შემდეგ, რომანტიკოსებმა კვლავ მიმართეს დედა-ბუნებას, წიმარტეს ადამიანის გულს.

⁶ И. Тэ н, Философия искусства, М., 1933, с. 33.

რუსო წერდა თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, „მე, და მხოლოდ მე ვგრძნობ როგორია ჩემი გული, და ვიცი კაცის ბუნება: მე არ ვგეგვარ არც ერთ ადამიანს, რომელიც კი შემხვედრია, და ვბედავ ვიფიქრო, რომ განვსხვავდები ყველა ადამიანურ არსებათაგან. და თუ არა ვარ სხვებზე უკეთესი, ყოველ შემთხვევაში, არც ერთ მათგანს არ ვგეგვარ.

მე წარმოვსახე ჩემი თავი ისე, როგორც ვიყავი: სულმდაბლად და შესაზიზლად, როცა ვიქცეოდი ცუდად, კეთილშობილად, სულგრძელად, და ამაღლებულად, როცა ვიყავ კეთილშობილი. მე ჩემი შინაგანი სამყაროს იდუმალეზანი გავაშიშვლე და ვუჩვენე ხალხს იმ სახით, რა სახითაც შენ, უფალო იხილე იგი. შემომიჯარეთ ირგვლივ მსგავსნი ჩემნი, დე ისინონ მათ ჩემი აღსარება. დე იკენესონ მათ, ჩემი სულმდაბლობით შეძრულებმა. გაწითლდენ ჩემ შეცდომათა გამო. მაგრამ დე, ყოველმა მათგანმა, თავისი მხრივ, ჩემსავით გულწრფელად გააშიშვლოს საკუთარი გული და, მაშინ, თუნდა ერთმა მათგანმა მაინც გაბედოს და თქვას: „მე ვჯობდი ამ კაცს“⁷.

რუსოს განწყობილებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს რომანტიკოსების მრწამსის ჩამოყალიბებისათვის. ამის გამო ი. ტენი წერს: „დამანგრეველი იარაღი, რომელსაც რუსო იყენებს, არის იგივე ახალი იდეა ადამიანური ბუნების შესახებ. რუსო მივიდა და იდეასთან საკუთარი გულის შესწავლით“⁸.

რომანტიკოსებმა კვლავ მიმართეს ფოლკლორს, როგორც ეროვნულ ფესვებს, როგორც ადამიანის სასიცოცხლო ძალას და უშუალო ძარღვს, რომლითაც ადამიანი დაკავშირებულია ბუნებასთან და დედასამშობლოს ნაცნობ სიტბოსთან.

„რა იყო გერმანიაში რომანტიკული სკოლა? — წერს ჰაინე თავის ცნობილ ტრაქტატში რომანტიზმის შესახებ, — სხვა არაფერი, თუ არა შუასაუკუნეობრივი პოეზიის გაღვიძებისა, იმგვარად, როგორც ეს პოეზია გვევლინება სიმღერებში, ფერწერასა და არქიტექტურაში. ხოლო ეს პოეზია ქრისტიანობიდან წარმოიშვა“⁹.

ჰაინე განიხილავს შუასაუკუნეობრივ ევროპულ პოეზიას („ნიბელუნგებს“, „გმირთა წიგნს“ „პარციფალს“, „ლოენგრინს“, „ლანსელოტს“, „მეფე არტურს“, „ტიტურელს“, „ტრისტან და იზოლდას“), უწოდებს მას რომანტიკულს და ახალი, მისი თანადროული მწერლობის, რომანტიზმის წარმოშობის საფუძვლად მიიჩნევს.

7 Ж. Руссо, Исповедь, СПб., 1901, с. 4—5.

8 И. Тэн, Происхождение современной Франции, в 3-х т., т. I, СПб., 1907, с. 157—158.

9 Г. Гейне, Романтическая школа, Полное собр. соч., т. 3, СПб., 1904, с. 264.

„ყველა ამ შუასაუკუნეობრივ ქმნილებაში გარკვეული ხასიათის პოეზია გვაქვს, რომელიც მას განასხვავებს ბერძნული და რომაული პოეზიისაგან. ამ განსხვავებათა აღსანიშნავად ჩვენ უკანასკნელს კლასიკურს ვუწოდებთ, ხოლო პირველს — რომანტიკულს“¹⁰.

მშობლიური ქვეყნის თავისთავადობამ უნდა განსაზღვროს მისი ლიტერატურის სპეციფიკა, მაშინ იქნება იგი გულწრფელი, საინტერესო და ამალღებული. ასეთი ლიტერატურა გახდება მახლობელი და მიმზიდველი ყველა ხალხისათვის, მაგრამ, პირველ ყოვლისა, იგი უნდა იყოს ნაციონალური, ამიტომ უნდა იღვეს მშობლიური ბუნების ძირებზე.

სტენდალი წერდა, „რომანტიკული თეორია კი ამბობს: ყოველ ქვეყანას უნდა ჰქონდეს თავისებური, განსაკუთრებული, მხოლოდ მისი ხასიათის შესადაო ლიტერატურა, ისე როგორც ყველა ჩვენგანს აცვია მხოლოდ მისი ტანისაოვის მორგებული ტანისანოსი“¹¹.

ღრმად ეროვნული ძირებიდან ამოდის ყველა დიდი ქვეყნის და ყველა გამარჯვებული ეპოქის პოეზია. ეროვნულ ძირებს ეყრდნობოდა აღმოსავლური ეპოსი, ასე შეიქმნა ინდოეთში მაჰაბჰარატა, სპარსეთში — ფირდოუსის „მეფეთა წიგნი“. დასავლეთ ევროპის პოეზია და ლიტერატურა რენესანსისა და რომანტიზმის ეპოქებში ღრმად ეროვნულ ნიადაგზე დგას. და ასევე საქართველოში, — მდიდარი ხალხური პოეზიის არსებობა მისი ლიტერატურისა და, კერძოდ, მისი რომანტიზმის განვითარებისათვის ქმნიდა საინტერესო წინაპირობას.

ქართული ხალხური ეპოსის დამუშავება და ლიტერატურულ, კლასიკურ რანგში აყვანა საქართველოში საუკუნეთა სიღრმეებში დაიწყო, როცა ჩაისახა ე. წ. საერო პოეზია. ამ საერო მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშია მოსე ხონელის მიერ დამუშავებული თქმულებები ამირანზე — „ამირანდარეჯანიანი“. სარაინდო რომანი. ხომ შუასაუკუნეების მსოფლიოში მეტად გავრცელებული ტიპის ნაწარმოებია.

ეროვნული ფოლკლორის ძველ ქართულ მწერლობაში დამუშავების საუკეთესო მაგალითია სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. უნდა ითქვას, რომ ამ ნაწარმოებს და იქ გამოყენებულ იგავებს მხოლოდ ქართული ზეპირსიტყვიერება არ ასაზრდოებს. უმეტესი ამ იგავთაგან ცნობილია აღმოსავლურ ლიტერატურაში, აგრეთვე ესოპეს არაკებში. ამავე დროს ცნობილია, რომ არაკების ნაწილი იმდროინდელი ევროპული, იტალიური აღორძინების ხანის თქმულებებია. ასეთებია, მაგალითად, არაკები მხატვრებზე, მეცნიერებზე, და სხვ. მაგრამ, სპეციალისტთა აზრით, იგავ-არაკების დიდი ნაწილი

¹⁰ იქვე, გვ. 269.

¹¹ Стендаль, Собр. соч., т. 7, М., 1958, с. 111.

ქართული წარმოშობისაა, ან გაქართულებული მთარული სიუჟეტებია.

სულხან-საბას არაკები სხვადასხვა დროისა, ან სხვადასხვა ხალხების ხასიათს კი არ ატარებს, არამედ გაერთიანებულია მწერლის მსოფლმხედველობით და ნაწარმოების სიუჟეტით. თხზულება დაწერილია დახვეწილი, თავისი ეპოქისათვის უაღრესად დამახასიათებელი სტილით. სულხან-საბას მიერ გაერთიანებული ეს არაკები აყვანილია მაღალ მხატვრულ სიმაღლეზე, კლასიკური ლიტერატურის დონეზე, ხოლო, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მათ ქართულ სინამდვილეში, ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და კულტურის განვითარების საქმეში, ამ საკითხზე ქართულ ფილოლოგიაში საკმაოდ ბევრი ითქვა სათანადო გამოკვლევებში.

ქართული აღორძინების ხანის მწერლობა, რომელიც სპარსულ-აღმოსავლური ლიტერატურული მოტივებით ძლიერადაა გატაცებული, ამავე დროს ეყრდნობა ფოლკლორულ სახეებს და თემატიკას. ნაციონალური ხალხური პოეზია და მისი სახეები აქ თავის როლს თამაშობს. ამ მხრივ, აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაში სრულიად განსაკუთრებულია დავით გურამიშვილი. ქართული, რუსული და უკრაინული ფოლკლორული სახეები და თემატიკა „დავითიანში“ დიდხელოვნებითაა გამოყენებული. გურამიშვილის მკვლევარები ამ საკითხებს არაერთხელ აღნიშნავენ.

XIX საუკუნეში ახალი ქართული ლიტერატურის შექმნისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სპარსულ-აღმოსავლური ტრადიციებისაგან ქართული ლიტერატურის განთავისუფლებას და ბუნებრივი, ხალხური მეტყველებისაკენ, — ხალხური, თუ გნებავთ, სასაუბრო ენისაკენ გეზის აღებას. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა რომანტიზმის შემოჭრამ და დამკვიდრებამ.

მ. ჩიქოვანის თქმით, „ამირანიანის ჩაწერა იწყება მაშინ, როცა ჩვენში, ისევე როგორც მთელს კავკასიაში, იღვიძებს ხალხურ სიტყვიერებისადმი მეცნიერული შესწავლის მისწრაფება. ეს იყო XIX საუკუნის 10-იან წლებში. ამირანის ციკლის თქმულებების პირველი წმინდა ქართული გამოცემა 1848 წელს დაიბეჭდა თეიმურაზ ბატონიშვილის საქართველოს ისტორიაში.

... თ. ბატონიშვილს აღნიშნული თქმულებები ჩაწერილი აქვს 1810 წლამდე“¹².

¹² მ. ჩიქოვანი, ხალხური ეპოსი, მიჯაჭვული ამირანი, ნაწ. 1, თბ., 1959, გვ. 31.

გ. შარაძის აზრით, თ. ბაგრატიონს ამირანის თქმულების ფიქსირება უნდა მოეზღინა უკვე საქართველოდან წასვლის შემდეგ (1810 წ. თ. ბაგრატიონმა საქართველო დატოვა სამუდამოდ და პეტერბურგს დაესახლა) „ისტორიაზე...“ მუშაობის პერიოდში, 30-იან წლებში, ზეპირგახსენების საფუძველზე (იხ. გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები, მაცნე, 1969, №5, გვ. 187).

ნიშანდობლივია, რომ ფოლკლორისადმი მეცნიერული დამოკიდებულების დასაწყისი ემთხვევა საქართველოში რომანტიზმის პერიოდს. ეს ფაქტი მნიშვნელოვანია. რომანტიზმის ეპოქაში საერთოდ იღვიძებს ფოლკლორისადმი განსაკუთრებული ინტერესი, გავიხსენოთ XVIII—XIX საუკ. ევროპელ რომანტიკოსთა დამოკიდებულება ხალხური პოეზიისადმი. ნიშნეულია, რომ რომანტიზმის დასაწყისშივე, პირველი რომანტიკოსები და რომანტიზმის პირველი თეორეტიკოსები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ხალხური შემოქმედებისადმი, ცნობილია მათი მოღვაწეობა და როლი ფოლკლორისტიკაში.

საქართველოში რომანტიზმის ეპოქაში უკვე იწყება ცხოველი ინტერესი ფოლკლორისადმი, ამავე პერიოდს განეკუთვნება ამირანიანის პირველი ჩანაწერებიც და მისადმი მეცნიერული დაინტერესების ფაქტები.

ამირანიანის პირველი ჩანაწერი ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს.

ქართული პრერომატიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოეტი და მეცნიერი, ბატონიშვილთა პლეადის ერთი სახელგანთქმული წევრი, თეიმურაზ ბატონიშვილი, XIX საუკ. 30-იან წლებში იწყებს თავის ცნობილ ისტორიის წერას. „ისტორია დაწყებითგან ივერიისა...“, რომელიც 1848 წ. პეტერბურგში გამოქვეყნდა, შეიცავს საყურადღებო ფოლკლორულ ჩანაწერებს.

თეიმურაზ ბაგრატიონს თავის თხზულებაში აინტერესებს საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი, „დაწყებითგან ივერიისა“ მეოთხე საუკუნემდე. მისი ისტორიის ძირითადი ნაწილი მითოლოგიურ თქმულებებს ეყრდნობა და ეროვნული ისტორიული ქარგა თქმულებათა საფუძველზე ყალიბდება.

ისტორიის შესავალ ნაწილშივე გადმოცემულია ორი ქართული მითოლოგიური თქმულება. ერთი მათგანი შეეხება ბრუტსაბძელას მთაზე დაბმულ ტარტაროზის ამბავს, ხოლო მეორე, კავკასიის ქედზე ღიჯაჭვულ ამირანს.

„არიან ზღაპარ სიტყვაობანიცა მეთეოლოგიურნი ივერიისათვის თქმულნი სხვანი და სხვანი რომელთაგანნი რომელნიმე მოვიხსენე აქა.

ჰგონებენ ერნი ივერიისანი და რომელნიმე სხვანიცა ნათესავთაგანნი ისტორიკოსნი, რომელ წამდვილ მთა იგი საყორნისა არს, რომლისაც სიმაღლესა კლდესა ზედა მიმსჭვალულ იყო პრომეტეოს იუპიტერის მიერ დასასჯელად სასტიკითა მო რისხვითა“¹³ ...

ქართული პრერომატიზმის წარმომადგენელი, თეიმურაზ ბაგრა-

¹³ თეიმურაზ ბატონიშვილი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა..., სპბ, 1848, გვ. 8.

ტიონი, ახდენს ხალხური სიტყვიერების ჩაწერას და გამოქვეყნებას. მის არქივში დაცული ხელნაწერი კრებულები, შედგენილი გასული საუკუნის 10-იან წლებში, შეიცავენ საგულსხმო ფოლკლორულ ჩანაწერებს. ეს ტექსტები გამოაქვეყნეს მ. ჩიქოვანმა¹⁴ და გ. შარაძემ¹⁵.

„ივერიის ისტორიაში“ ვრცლადაა მოთხრობილი მედეას მითი¹⁶.

„არიან სხვანიცა მეთეოლოგიური მოთხრობანი და ზღაპარ-სიტყვაობანი, ვითარცა იგი მედიასთვისცა კნინლა და ყოვლისა სოფლისა ისტორიკოსთა გვაუწყეს“¹⁷.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ გადმოცემულ არგონავტების თქმულებაში, მედეა კოლხიდაში ბრუნდება, ხოლო მისი ვაჟი ათენის მეფის პანდრონისაგან, სახელად შიდ, იპყრობს კასპიისპირა ადგილებს, და აარსებს იბერთა მიმართ კეთილმეზობლურად განწყობილ სახელმწიფოს შიდ. — „და უწოდა მას ადგილი შიდ“¹⁸.

როგორც ირკვევა, აკაკი წერეთელი „მედიასზე“ მუშაობისას ერთ-ერთ წყაროდ იყენებდა თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიას¹⁹.

ჟურნალი ცისკარი თავისი არსებობის პირველსავე თვეებში ვრცლად უთმობს ადგილს თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიიდან ამოღებულ ნარკვევს, კოლხიდა (მეგრელია)²⁰, ნარკვევი წარმოადგენს მედეას მითს. ისტორიის ტექსტი ზუსტადაა გადმოღებული, მხოლოდ თხრობა წყდება მედეასა და იაზონის კოლხიდიდან გამგზავრებით.

პირველი ქართული ჟურნალი—„ცისკარი“, რომელიც არსდება 50-იან წლებში, გარშემო იკრებს ქართველ რომანტიკოსთა უკვე შუახანს მიღწეულ თაობას. „ცისკრის“ ფურცლებზე ქვეყნდება ქართველ რომანტიკოსთა მთელი ნაწარმოებები, რომლებიც მანამდე ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდა საზოგადოებაში.

„ცისკრის“ ფურცლებზე აკიაფდა ნიკოლოზ ბარათაშვილის და ალ. ჭავჭავაძის უკვდავი ლექსები. უკვე შუახანში შესული გრიგოლ ორბელიანი, დალესტნის ბრძოლების მრისხანე გენერალი, „ცისკრის“

¹⁴ მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში, პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედიანსტიტუტის შრომები, ტ. V, 1948, გვ. 95—96.

¹⁵ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები, მაცნე, 1969, №5, გვ. 187—204.

¹⁶ თ. ბატონიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 85—100.

¹⁷ იქვე, გვ. 9.

¹⁸ იქვე, გვ. 100.

¹⁹ გ. შარაძე, აკაკის „მედიას“ წყაროებისათვის, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1972, № 2, გვ. 70—71.

²⁰ თეიმურაზ ბატონიშვილი, კოლხიდა (მეგრელია), ცისკარი, 1857, № 3, გვ. 33—47.

1858 წ. № 10-ში აქვეყნებს 32 წელს დაწერილ თავის შედეგს „იარაღის“.

საინტერესოა ერთი გარემოება, ალ. ჭავჭავაძის უამრავ სატრფიალო და პატრიოტულ ლექსთაგან „ცისკრის“ ფურცლებზე განსაკუთრებით კპოვებს ასახვას პოეტის ხალხურ მოტივებზე დაწერილი ლექსები, თარგმანები ლათონტენიდან, იგავები და სხვ.

ეს არ არის შემთხვევითი ამბავი. აშკარაა, რომ „ცისკრის“ მესვეურები და თვითონ მისი რედაქტორი ივ. კერესელიძე სწორედ ხალხურ მოტივებზე შეთხზულ ლექსებს, იგავ-არაკებს, თქმულებებსა და გადმოცემებს განსაკუთრებით ფართოდ უღებენ კარს ჟურნალში.

რომ გადავხედოთ „ცისკრის“ პირველსავე ნომრებს, აშკარად დავინახავთ ჟურნალის ტენდენციას, ხალხურ პოეტურ სამყაროსთან და ხალხურ მოტივებთან სიახლოვის სურვილს.

ჟურნალი პირველსავე (1857—1858 წწ.) ნომრებში ბეჭდავს ალ. ჭავჭავაძის თარგმნილ იგავებს, — „მგელი და კრავი“ (1857, № 2), „ჭრიჭინა და ჭიანჭველა“ (1857, №4), „თხისა და მგლისათვის“ (1858, №1).

„ცისკარში“ იბეჭდება ივ. კერესელიძის, დ. მგალობელოვის, ირ. ლორთქიფანიძის, ლუკა ისარლოვის და სხვ. იგავები, თარგმნილებიცა და ორიგინალურიც.

ჟურნალში ქვეყნდება პუშკინის „ზღაპარი თევზის მონადირესა და პატარა თევზზედ“. თარგმნილი დიმიტრი მგალობელოვის მიერ (1857, №8). ქვეყნდება დ. მგალობელოვის სხვა თარგმანებიც. — „ლომი, შემდგენელი სამსჯავროსა“ (1858, № I), „მგელი და მაჩვი“ (1858, №3), ივ. კერესელიძის „ვირი და ბულბული“ (კრილოვით), (1858, №I). ივ. კერესელიძის ლექსი, „ნანა“ (1857, №II), „ბერი და დათვი“ ლუკა ისარლოვისა (1857 № II). „ჩხიკვ-ყვავ-ბაყაყნი“, თ. ირ. ლორთქიფანიძისა (1857, №10).

ამ ჟურნალისათვის დამახასიათებელი შეიქნა ფოლკლორულ მოტივებზე შეთხზული ნაწარმოებების ბეჭდვა.

„ცისკარი“ აქვეყნებს ალ. ორბელიანის ეთნოგრაფიული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებს. ესენია, — უწინდელს დროს ბატონ-ყმობა საქართველოში („ცისკარი“, 1859, №II, გვ. 215—244), საქართველოს საზოგადოება (ივანე ბაგრატიონ — მუხრან-ბატონის ცხოვრება). (ცისკარი, 1859, №10, გვ. 173—180). ივერიელების გალობა, სიმღერა და ღიღინი (ცისკარი, 1861 № I, გვ. 141—160). „მნათობში“ იბეჭდება ალ. ორბელიანის ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი, ჩვენი ძველი სახეულობანი (აღზრდა ძველ საქართველოში ყოფა-ცხოვრება და ქალები), („მნათობი“, 1869, მის-ივნისი, გვ. I—II).

აღ. ორბელიანის ამ ნარკვევებში ფოლკლორული თემატიკა საინტერესოდ ფიგურირებს.

ქართველი რომანტიკოსები ხალხურ მოტივებს და თემატიკას ეწაფებიან. ცნობილია, რომ ქართველი რომანტიკოსების ენა მკვეთრად განსხვავდება XVIII საუკუნის ქართული სალიტერატურო ენისაგან. ბუნებრივი ხალხური მეტყველებისაგან გეზის აღება საერთო თვისებას წარმოადგენს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში. ამით ქართული რომანტიზმი მსოფლიო რომანტიზმის ზოგად პრინციპებს იზიარებს.

ხალხური მოტივები და ხალხური თემატიკა პირველი ქართველი რომანტიკოსის ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში მეტად ნიშანდობლივია. სწორედ ეს არის ერთი ის ძირთადი თვისება, რომლითაც ალ. ჭავჭავაძე დაუპირისპირდა ძველ თაობას, „ლარაძეთა“ წრეს. ალ. ჭავჭავაძის და პეტრე ლარაძის პოეტური პოლემიკა გულისხმობს ძველ, კლასიციზტურ მწერლობასა და ახალ, რომანტიკულ მწერლობას შორის დაპირისპირებას. ორი სხვადასხვა პრინციპების და სხვადასხვა სკოლის მწერლობა დაუპირისპირდა ერთმანეთს, რაც გამოიხატა ამ ცნობილი პოლემიკით.

ხალხური პოეტური მეტყველება, ხალხური მოტივები, ხალხური სული ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში უაღრესად ნიშნულია.

ხალხური პოეტური მეტყველების უკვდავი ძარღვი ფეთქავს ბართაშვილის ცნობილ ლირიკულ წიაღსვლაში პოემიდან „ბედი ქართლისა“, „მორბის არაგვი არაგვიანი“...

რომანტიკული მიმართულება მოითხოვდა ბუნებრივ მეტყველებასთან, ხალხურ პოეტურ ენასთან სიახლოვეს, იმ ინტიმურ და უშუალო გრძნობების გადმოსაცემად, რაც პიროვნების „მე“-დან უნდა წამოსულიყო, ეს „მე“ იყო უშუალო, შეუზღუდველი ბუნების შვილი, რომელიც თავის თავში ათავსებდა ზოგჯერ რთული სამყაროს რკივილსა და გულისტქმას, ეროვნულსა და საკაცობრიოს, პოეტურ სიმართლესა და მღელვარებას. ამიტომ მას არ შეეძლო სალონური, დაშტამპული ენით გადმოეცა თავისი გულის ვარამი. მას ჭირდებოდა გულის ენა, რაც ხალხის ეროვნულ საგანძურშია და მის პოეზიასთან ერთად მოდის. რომანტიკოსების სტილი უბრალოა, იგი ბუნებრივ, ხალხურ პოეტურ სამყაროსა და მეტყველებას უახლოვდება. რომანტიკული პოეზია თავისუფალია ევროპაში კლასიციზტებისა, ხოლო ჩვენში XVIII საუკუნის პოეზიის ხელოვნური ხატოვანებისაგან. XIX საუკ. დამდევრიდანვე, ჩვენში რომანტიზმის შემოსვლას და დამკვიდრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სამწერლობო ენის, ისე ლიტერატურული თემატიკის ხელოვნური ჩარჩოებისაგან განთავისუფლებისათვის. ამ

პერიოდებიდან იწყება გამიჯვნა ძველთან და ახალ, თანამედროვეობის პოზიციებზე გადასვლა ლიტერატურის სფეროში. რა დიდი როლი შეასრულა ამ საქმეში ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა, ჯერ კიდევ ბარათაშვილის პოეზიის დაბადებამდე, არაერთხელ იქნა აღნიშნული.

ი. გრიშაშვილს თავის ცნობილ ნარკვევში ალ. ჭავჭავაძეზე მოჰყავს. ალ. ორბელიანის მოგონება პოეტზე, „კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავეთ და სხვა სუბუქი და ლბილი წყობილება მიეცით, საიდან შემოიღეთ ასეთი მელექსობა.

—სწორედ გეტყვი, ჩვენი ბლიაძეებისაგან შემოვიღე (მესტივირეებისაგან)“²¹...

ე. ი. ქართულ ლიტერატურაში ადრე დამკვიდრებული ფორმისაგან „გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ი“, „ს უ ბ უ ქ ი“ და „ლ ბ ი ლ ი“ ჭავჭავაძისეული ლექსი დიდად ყოფილა დავალებული ხალხური პოეზიისაგან. ალ. ჭავჭავაძის ამ განცხადებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ი. გრიშაშვილს არ გამორჩენია ეს ფაქტი და ზემორე მოყვანილია ალ. ორბელიანის მოგონების გამო წერს, „როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის ლექსებს მისცა ხალხური იერო, ხალხური ლექსთწყობის სისადავე და უბრალოება, ... მისი სიმღერების ძალა და განცდა ხალხურს უახლოვდება“²².

ქართულ ფილოლოგიაში მიღებული იყო მოსაზრება, რომ ალ. ჭავჭავაძემ ყაზელ-ყასიდური სალექსო ფორმა აღმოსავლური ლექსთწყობიდან გადმოიღო. აკ. კენჭოშვილის აზრით, ჭავჭავაძის ყაზელ-ყასიდური სტროფის სათავეც კი ქართულ ფოლკლორში უნდა ვეძებოთ²³.

კიტა აბაშიძე თავის დროზე აღნიშნავდა, — ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი რომ არ ყოფილიყო, ბარათაშვილის ნიჭს იმდენი წვრილმანი საქმე გამოუჩნდებოდა, რომ იგი ვეღარ შესძლებდა შეექმნა ასეთი მაღალი დონის პოეზიაო²⁴.

ვფიქრობთ, გადაუჭარბებელია კიტა აბაშიძის ეს გამოთქმა. გრ. ორბელიანისა ალ. ჭავჭავაძის მიერ ახალი ქართული ლიტერატურისათვის გზის გაკვლევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

XIX საუკ. დასაწყისიდანვე, საქართველოში რომანტიზმის დამკვიდრების დროიდან, ქართული ლიტერატურა სულ უფრო და უფრო ცდილობს სამწერლობო ენა დაუახლოვოს ბუნებრივ ხალხურ მეტყვე-

²¹ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1957, გვ. 10.

²² იქვე.

²³ ა. კ ე ნ ჭ ო შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბ., 1959, გვ. 49.

²⁴ იხ. კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები, თბ., 1962, გვ. 34.

ლებას. ლიტერატურაში იჭრება ახალი თემები, რომლებიც ასახავენ ქართველი კაცის ჭეშმარიტ გულისტკივილს, მის სულიერ . მისწრაფებას, მის სევდას და მის იმედებს. ფოლკლორული თემატიკაც სულ უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ლეგენდები, სიმღერები, ზღაპრები, — აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ილიას შემოქმედებაში კლასიკურ გარდასახვას ეზიარება. თითქმის ვერც კი ნახავთ XIX საუკ. ქართულ ლიტერატურაში ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან ავტორს, რომლისთვისაც ხალხური პოეზიის სიტბო და გემო მანკობელი არ გამხდარიყოს.

ელ. ვირსალაძე²⁵ განიხილავს ჩვენში რომანტიზმის პერიოდში შექმნილ ზეპირსიტყვიერებას და წარმოაჩენს ამ ზეპირსიტყვიერების ზოგიერთ პარალელს რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

ელ. ვირსალაძე ამავე დროს მოიხმობს ძველ ქართულ ხალხურ ლექსს, სადაც ბარათაშვილის „მერანის“ მოტივი აშკარად საგრძნობია.

სიკვდილო სიცოცხლისადა, თავსა არ მოგცემ მუდარად,
წავალ, მინდორში მოვკვდები, შამან მეყოფის სულარად,
დამიტირებენ კაჭკაჭნი, ყორნები მოვლენ მუდამა.

ელ. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ ეს ხალხური ლექსი ეხმაურება რუსთაველსაც, და ბარათაშვილსაც²⁶.

...ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შავი ყორანი გამითხრის საფლავს, მდელთა შორის ტილის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას ზამაყრის!

ელ. ვირსალაძე მიუთითებს ლექსის „არ უკიჟინო სატრფოო ...“ ხალხურ პოეტურ ფორმასთან სიახლოვეზე. ნატერის ფორმულა, რომელაც ამ ლექსში გამოიყენება („მინდა მზე ვიყო“... „მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი“... და სხვ.) ხალხურიდან მომდინარეობს. ვირსალაძე ეყრდნობა ა. ვესელოვსკის გამოკვლევას ხალხურ პოეზიაში ცნობილი ნატერის ფორმულის შესახებ²⁷.

ა. ვესელოვსკის გამოკვლევით, მსოფლიო პოეზიაში მეტად ცნობილი ეს ფორმულა, ხალხური ლირიკული ლექსის სათავეებიდან მოდის. მართლაც, ფრანგული, გერმანული, რუსული, ახალბერძნული,

²⁵ იხ. ე. ვირსალაძე, XIX საუკ. I ნახევრის ხალხური პოეზიის პრობლემები და ქართველი რომანტიკოსები, კრებ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968, გვ. 34—52.

²⁶ იქვე, გვ. 51.

²⁷ იხ. ე. ვირსალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

სერბიული, შვედური ხალხური სატრფიალო ლექსი მის უხვ მაგალითებს გვაძლევს. ალ. ვესელოვსკის აზრით, სწორედ ხალხური პოეზიიდან გადავიდა იგი XVIII და XIX საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში (მაგ. . ჰაინეს და მიცკევიჩის პოეზიაში, და სხვ.)²⁸.

ბარათაშვილის ლექსის „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო“... ხალხურ პოეზიასთან მიმართება ცნობილია და მრავალჯერ აღნიშნული სამეცნიერო-კრიტიკულ ლიტერატურაში. უმთავრესია მაინც თვით პოეტის განცხადება ამ საკითხზე, მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში — „აი, ამ ქართულ ლექსს გიგზავნი მდაბიურად დაწერილს, როგორღაც ფიქრში, მომივიდა მე ვ არ და ჩ ე მ ი ნ ა ბ ა დ ი, იმის ხმაზედ“ — პოეტის ეს ორსტრიქონიანი განცხადება საფუძვლად დაედო ყველა გამოკვლევას, რომლებიც ამ ლექსის გარშემო დაწერილა და, საერთოდ, ბარათაშვილის ხალხურ პოეზიასთან მიმართების შესახებ აზრის განვითარებას.

ჩვენი მიზანია ამაჟამად არა იმ შეხვედრების ძიება ხალხური პოეზიისა ამა თუ იმ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან, რომელიც ასე მრავლად მოიპოვება, არამედ, თვით ხალხურ შემოქმედებაში მივაკვლიოთ ის ძაფები, ის რომანტიკული განწყობილებები და თემები, თუნდაც მოარული, რომლებიც შესანიშნავ საფუძველს უქმნიდა ქართულ ეროვნულ სულს რომანტიზმის წარმოშობისათვის. ასეთი მოარული თემებია პრომეთე-ამირანისა და თავფარავნელი ჭაბუკის თემა, თემატიკის მსგავსებით განირჩევა სხვადასხვა ხალხებში ლექსები წუთისოფლის ამაოებაზე, უბედურ სიყვარულზე, მზეთუნახავზე და სხვ. ხშირ შემთხვევაში აქ საქმე გვაქვს ტიპოლოგიურ მსგავსებასთან. ეს თემები და მათი განწყობილებანი ყველანი არ შესულან ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში უშუალოდ, დამუშავებული სახით. მაგრამ ამგვარი თემები და განწყობილებები არსებობდნენ ქართველი რომანტიკოსებისათვის, როგორც მათი სულიერი საზრდო, მათი შემოქმედების წინაპირობა, როგორც ქართული ეროვნული თვითმყოფადი კულტურის ნაწილი, ეროვნული სულის ერთგვარი გამოხატულება. რა თქმა უნდა, ტექსტუალური და თემატური შეხვედრის მომენტები ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და რომანტიკოსთა შემოქმედებიდან საინტერესოა, რამდენადაც ლიტერატურაში კლასიკურ სიმალღეზეა აყვანილი რომანტიკული გმირის ხალხური სახე. ევროპაში რომანტიკოსებმა გამოიყენეს პრომეთეს სიუჟეტი და ანტიკური მითიდან შექმნეს თანადროულობის გამომხატველი რომანტიკული ნაწარმოები. ცნობილია ამირანის პოეტური გარდასახვა აკაკისა

²⁸ А. Веселовский, Три главы из исторической поэтики, Историческая поэтика п. р. В. Жирмунского, Л., 1940, с. 364—366.

და ვაჟა-ფშაველას მიერ, XIX საუკუნეში არსებობდა დრამაც ამავე თემაზე სევასტი გაჩეჩილაძისა (ეს ლიტერატურულად სუსტი ნაწარმოები საინტერესოა მხოლოდ, როგორც, ფაქტი, როგორც ცდა ამირანის მითის დრამატული ფორმით დამუშავებისა²⁹. ეთერიანის თემაზე შექმნილია ვაჟა-ფშაველას პოემა, „ეთერი“. მედეას თემაზე აკაკი წერეთელმა დაწერა დრამა „მედია“.

ცნობილია, რომ ქართველმა რომანტიკოსებმა დაამუშავეს უძველეს, მზის კულტთან დაკავშირებული ლექსი, — „მზე შინა“, რომელიც ჩვენში იმღერებოდა ძეობასთან დაკავშირებით. ეს მშვენიერი და მეტად პოპულარული ქართული ხალხური ლექსი დაამუშავა ორმა რომანტიკოსმა, ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა.

წინამდებარე გამოკვლევაში გვეცდებოდა რაიმედნადმე მაინც წარმოვსახოთ ქართული ხალხური პოეზიის რომანტიკული მხარე, როგორც რომანტიზმის წინაპირობა. ამავე დროს ქართულ რომანტიზმში ლიტერატურულად ხორცშესხმულ პოეტურ ნაწარმოებებს განსაკუთრებით აღვნიშნავთ.

* * *

ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი მეტად ძველი და მეტად მომხიბლავი ლექსია „მზე შინა“. ამ ლექსის შესახებ ვახტანგ კოტეტიშვილი წერს, „ეს ლექსი უძველესი საწესო ხასიათის ლექსი არის. მართალია, როგორც ხალხური შემოქმედების წესია, ამ ლექსსაც ბევრი რამ ახალი შეუთვისებია და ამით თითონაც განახლებულა, მაგრამ ძველი დოკუმენტებიც შემოუნახავს, აღნიშნული ლექსი ეკუთვნის ბავშვის დაბადებისათვის განკუთვნილ წესს და იმღერებოდა გუნდის მიერ. ეს წესი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ამ ბოლო ხანებამდე ცოცხლად მოვიდა“³⁰.

ალ. ორბელიანი, როგორც ცნობილია, ძველი საქართველოს წესჩვეულებების დიდად მოყვარული და გარდასულ დღეთა დიდების მოტირალი პოეტი იყო. იგი „ცისკარში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში, „ივერიელების გალობა, სიმღერა და დიდინი“, შეეხება ქართული საწესო ხასიათის სიმღერებსა და ლექსებს. ლექსის „მზე შინა“ შესახებ ალ. ორბელიანი წერს, „უწინდელ დროს, ჩვილი ყმაწვილი რომ დაიბადებოდა, თან უნდა სიმღერით ეთქვათ ეს ლექსი ქალებს და ყმაწვილ ვაჟებს. „მზე შინაო, მზე შინაო, მზე შინ შემოდიო“ და სხვა-

²⁹ ს. გაჩეჩილაძე, „ამირანი“, დრამატული პოემა, აკაკი წერეთლის ეურნ. „კრებული“, 1899, № 11—12.

³⁰ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 322.

ნი. ეს ერთიანი ლექსია. ასეთი შესაფერი ლექსი ძეობისა, უკეთესია, ალარ იქნება“³¹.

ამ წესს და ამ სიმღერას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ალ. ჭავჭავაძეზეც. ალ. ჭავჭავაძე თვითონ თხზავს „მზე შინას“ მოტივებზე ლექსს (ლექსის სათაურია „ძეობა“) თავისი ასულის, ეკატერინე ჭავჭავაძის პირველი ვაჟის დაბადებასთან დაკავშირებით.

ალ. ჭავჭავაძეზე უფრო ადრე „მზე შინა“ ლიტერატურულად დაამუშავა გრიგოლ ორბელიანი. ამჯერადაც „მზე შინა“ ალ. ჭავჭავაძის ოჯახის წევრისადმია მიძღვნილი. ლექსი დაწერილია ალ. ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილის, სოფიოს დაბადებაზე. ეს ლექსი, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, მიჩნეულია გრ. ორბელიანის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად. ლექსში ხალხური მოტივი მეტად ლამაზად და პოეტურადაა შესული.

სიხარულო, შვებავ, ლხინო,
ახლისა აკვნის გუშაგნო!
მზევ, შინ შემოდო!

თქვენ, სულსა აღნავსა ახლად,
დაჰფრინვეთ თვალ მოუღულად!
მზევ, შინ შემოდო!

გიმღერ, გალხენ, — განისვენო,
ჩემო მაკრატლის გვირგვინო!
მზევ, შინ შემოდო!

ნუ გწყინს, ვარდო, ყვავილთ მეფევ,
რომ ზოგჯერ იასაც ვსუნავ,
მზევ, შინ შემოდო!

რა ვქნა, გულს ვერ ვეტყვი უარს.
ვარდიც მიყვარს, იაც მიყვარს!
მზევ, შინ შემოდო!

მაგრამ რაყიფთ ვუმზერ შენტან როს
მწვენ გულს მისმენ ცეცხლის უთოს,
მზევ, შინ შემოდო!

შენ სანთელი, მე ფარვანა!
დაე დაიწოს ბეჟანა!
მზევ, შინ შემოდო!

სიყვარულმა მათქმევინა,
თორემ მე ვინ, — ლექსი ვანა?
მზევ, შინ შემოდო!

³¹ ალ. ორბელიანი, ივერიელების გალობა, სიმღერა და ლილინი, ჟურნ. „ცისკარი“, 1861, № 1, გვ. 141.

აღ. ჭავჭავაძის „ძეობა“ შინაარსეულად უფრო ახლოსაა ხალხურ „მზე შინასთან“, აქ უშუალოდ მთელი პასაჟებია ხალხურიდან ზუსტად გადმოღებული. რაც შეეხება აღ. ჭავჭავაძის ლექსის ენობრივ ხასიათს, ამ მხრივ იგი უფრო მეტად არქაულია, ვიდრე გრ. ორბელიანის ნაწარმოები, და განსაკუთრებით, ვიდრე ხალხური „მზე შინა“.

აქვე მოვიყვან ორ დანარჩენ, აღ. ჭავჭავაძისეულსა და ხალხურ „მზე შინას“ ტექსტებს, რომ უფრო ნათელი გახდეს საერთოც და განსხვავებაც ამ სამივე ლექსიდან.

აღ. ჭავჭავაძის: „ძეობა“. —

მუზნო, ვლიდით, ისწრაფიდით,
მოფრინეიდით ყოვლის კიდით!
ჩანგს მართვიდით, ლექსს დათხზვიდით,
ებანს ჰკვირდით, მღერას რთვიდით,
მზისა ნაშესა ლომებრ ვაჟსა
ქებას სთქმიდით, შეასხმიდით:
მზევ, შინ შემოდით!

შვენის ყრმობა, განავსობა,
ლაწვ-ვარდობა, შავ-თვალობა,
მცირ ბაგეთა ბალახშობა
ზედ ეტყობა ლომძეობა!
აწ სამართლად გვმართებს ხმობა,
მზე დაწვა და მთვარე შობა:
მზევ, შინ შემოდით!

მზე წევს ტახტსა, სხივნი ჰკრთიან,
წინ უძს ჩვილი პირ-ბაკიან!
მელნის ტბანი მას დასტრფიან
ჰინდოთ ჩრდილნი ზე დასდგმიან
გარს ზეფირნი შეფრფინვიან,
სმიან, ხლტიან, ჰხმიან, ჰთქმიან:
მზევ, შინ შემოდით!

ვაჟის მამა პურადულად
მასპინძელობს მხიარულად;
ის ეყოფის სიქადულად,
რომ უშვენის ძე მთვარულად,
აძლევს მადლსა ზენაარსსა —
მშთესო ნიჭად შენეულად —
მზევ, შინ შემოდით!

ძე შობასა გიორგისას
უმღერ ხმასა ძეობისას;
ულოც ხილვას ამ სოფლისას,
ნერგ-ნაყოფსა დავითისას;
ერთგულურით მონა გულით
უსურვ განვლას ურიცხვ წლისას —
მზევ, შინ შემოდით!

მზე შინა და მზე გარეთა,
მზევე, შინ შემოდის.
უყვივლია მამალსაო,
მზევე, შინ შემოდის.
გათენდი, თუ გათენდები,
მზევე, შინ შემოდის.
მზე დაწვა და მთვარე შობა,
მზევე, შინ შემოდის.
ჩვენ ვაჟი დაგვბადებია,
მზევე, შინ შემოდის.
ღუშმანსა ქალი ჰგონია,
მზევე, შინ შემოდის.
ვაჟის მამა შინ არ არი,
მზევე, შინ შემოდის.
ქალაქს არი აკენისთენია,
მზევე, შინ შემოდის.
ვაჟის მამას მოუხდება,
მზევე, შინ შემოდის.
თეთრი კაბა ატლასისა,
მზევე, შინ შემოდის.
ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,
მზევე, შინ შემოდის.
ყაბახს სროლა, ბურთაობა,
მზევე, შინ შემოდის.
მზევე, შემოდი ბაკებსაო,
მზევე, შინ შემოდის.
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო,
მზევე, შინ შემოდის.

(ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, თბ., 1961, გვ. 25)

ხალხური პოეზიიდან, იმ ლირიკული ლექსების ნიმუშად, სადაც ადამიანის გულის სევდა და ინტიმური განწყობილებები იხატება, გამოდგება ლექსი, პირობითი სათაურით — „ჯავრიანი გული“. ხალხურ ლექსში ლაპარაკია ადამიანის გრძნობების მრავალფეროვნებაზე. იმ დაუცხრომელ ძიებაზე, სევდასა და სიხარულს რომ ერთმანეთით ცვლის:

გულო, ჯავრისგან მოკლულო,
რა დაგაყარო წამალი?
არც მოგიდგება ექიმი,
არც მოგეტევა სამარი.

პიროვნება ეძებს ინტიმურ ძაფებს საკუთარ სულში, რომ შეიცნოს თავისი გულის მისწრაფება, რომელიც დაუკმაყოფილებელია. მსგავსი პოეტური განწყობილებანი ეხმიანება რომანტიკული პოეზიის ხასიათს და მისწრაფებას:

ეს ჩემი გული ორია,
 ერთში წვიმს, ერთში დარია,
 აქტირდე — შეეყრი ღრუბლებსა,
 რომ გავიციხო — დარია.
 ეს ერთი გული მეტყოდა:
 მოკვდი, რათა ხარ მთელია!
 მეორეც ამას ამბობდა:
 იყავ, აჯავრე მტერია!

ხალხურ ლექსში სევდიანი გული შედარებულია საწვიმარ ღრუბელთან, — შედარება თანდათან დრამატულ ფორმას იღებს და უფრო და უფრო ამკვეთრებს განწყობილებას, „პატრონმომკვდარი“, დაჟანგული ხმლის, მიტოვებული ცხენისა და გაპარტახებული წისქვილის გახსენებით, —

ეს ჩემი გული რასა ჰგავს?
 ცასა ჰგავს შემოღრუბლულსა,
 პირშაკრულს, დამძიმებულსა,
 საწვიმრად გამზადებულსა;
 ქალსა ჰგავს ქმარყოფმოშლილსა,
 მამისას დაბრუნებულსა;
 ხმალსა ჰგავს პატრონმომკვდარსა,
 პირქანგიანსა, ოხერსა!
 ცხენსა ჰგავს პატრონმომკვდარსა,
 სადავე ჩამოშვებულსა;
 წისქვილს ჰგავს მიშლილ-მოშლილსა,
 სათავე გადაგდებულსა.

(ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 23—24).

ქართულ ხალხურ პოეზიაში მრავლადაა ფილოსოფიური ხასიათის ლექსები, სადაც წუთისოფლის ამაოებაზეა ლაპარაკი. მათი წარმოშობა ძველისძველია, მაგრამ განწყობილება კი — მარად ახალი. ეს ლექსები ეხმიანებიან საკაცობრიო სევდის მოტივებს, რომლებიც ასე ბრწყინვალედ გამოხატა „ეკლესიასტემ“, და, რომლის განწყობილებები ორგანულად შეეთვისა მრავალი საუკუნის შემდეგ რომანტიკოსთა პოეზიის ბუნებას. „ეკლესიასტეს“ განწყობილებათა მონათესავე, მისტიკურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებები ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებული იყო არა მარტო ლიტერატურული გზით, არამედ აგრეთვე მეტად საინტერესო, მაღალი ხალხური პოეზიით, ეს ხალხური პოეზია კი, ქართველი რომანტიკოსებისათვის მახლობელი და ნაცნობი იყო დედის ნანასთან და სამყაროს პირველ შეცნობასთან ერთად. ასეთი ლექსებია „ბინდის ფერია სოფელი“, „წუთისოფელი“, ლექსების ციკლი — „როსტომ თქვა“, და სხვ.

ბინდის ფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე,
ჩიტივით გაგვიფრინდება.
წამოგეწევა სიბერე,
მგელივით წამოგვარდება,
სიკვდილი გზაში გიყელებს,
თვალეები გაავდარდება.
მოგიგონებენ შვილები,
მზეს შეხედავენ მალლითა,
სოფელში შემოალამდა,
ბინდმა ძალღივით დაფლითა.

(ვ. კოტეტიშვილი, ხალხ. პოეზია, გვ. 24)..

აქვე მოვიყვანთ მეორე ხალხურ ლექსს, „წუთისოფელი“, რომელიც თემატურად და იდეურად შემომოყვანილ ლექსს ენათესავება.

წუთისოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი.
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი.
საცა სოფელში მიხვიდე,
სუყველგან ორი გზა არი,
შუაში არი ხმელეთი,
გარშემო დიდი ზღვა არი.

(ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 25)

წუთისოფლის ამაოებაზე დაწერილ ამ ლექსებს არ იმეორებს პირდაპირ არც ერთი ქართველი რომანტიკოსი. საქმე ის არის, რომ ხალხური პოეზიის დამუშავება ლიტერატურაში ძირითადად თემატიკის ან სიუჟეტის მიხედვით ხდება. მუშავდება თქმულეების, ან ზღაპრების სიუჟეტები, ლეგენდები, ეპიკური ხასიათის ნაწარმოებები. ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ზღაპრული თუ ეპიკური ხასიათის ტიპაჟი ახალი ინტერპრეტაციით. რაც შეეხება სუფთა ლირიკული, ინტიმური ხასიათის პოეზიას, აქ ხდება განწყობილებათა გადატანა, მოტივების გამოყენება. ხალხური ლირიკიდან მხატვრული სახეები და მოტივები ძალიან დიდი რაოდენობით გადადის ლიტერატურაში. მაგრამ ხალხური ლექსის თავიდან ბოლომდე მთლიანი გამოყენება, როგორც ერთიანი ნაწარმოებისა და ლიტერატურულად დამუშავება შედარებით იშვიათად გვხვდება.

წუთისოფლისა და ამაოების თემატიკა ზოგადსაკაცობრიოა, მაგრამ ქართულ ხალხურ პოეზიაში ამ თემის პოეტური ხორცშესხმა და განწყობილებათა გამოხატვის ფორმა ერთგნულია, ქართული, და იგი ძალიან ნახლობელია ქართველი რომანტიკოსებისათვის. ქართულ

ხალხურ პოეზიაში გამოხატული ამოებების თემა გარკვეულ ანარექსტს
ტოვებს რომანტიკოსთა შემოქმედებაზე:

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოება?...
მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუესებელი?

ბარათაშვილის ლექსის განწყობილება ნათესაობას ამჟღავნებს
ცნობილ და პოპულარულ ხალხურ ლექსთან, „ბინდის ფერია სოფე-
ლი“..., რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. ამავე ხალხურ ლექსთან საინ-
ტერესოა აგრეთვე ალ. ჭავჭავაძის ლექსის „ვაპ, სოფელსა ამას“ გან-
წყობათა გარკვეული ნათესაობა.

ვაპ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილმოყვრების დაარგუნვის მსურთა,
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!
....
სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მსევლობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,
და ყვავილოვნებენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.
....
გარნა მძლევა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქნნილი თვისდავე მიიქცევის,
ყველაკაი წარუვალს, განუღვივს,
რაცა ჰქონდა პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ალ. ჭავჭავაძის ნაწარმოებში, ისევე როგორც ბარათაშვილის
ლექსში, მაღალ ლიტერატურულ, კლასიკურ რანგშია აყვანილი ამო-
ების თემატიკა. ეს ნაწარმოებები თავისი განწყობილებებით, სახე-
ებით, იდეური სამყაროთი, ნათესაობას ამჟღავნებენ ამოების თემა-
ტიკის უძველეს პირველწყაროებთან, პირველ ყოვლისა, მსოფლიო
სევდის აკვანთან, „ეკლესიასტესთან“ და მის მოტივებთან. რომანტი-
კოსთა ეს თხზულებები მეტად საგულისხმო სიახლოვეს იჩენენ ძველ
ქართულ ფილოსოფიურ ლირიკასთან, ამავე დროს ქართული რომან-
ტიზმის ეს ცნობილი შედეგები ხალხურ პოეზიაში გამოხატული
ამოების თემის მოტივებსაც ეხმიანება.

ამკარად ტიპოლოგიური მსგავსებაა მსოფლიო სევდის გამომჩა-

ტყველ ამ სხვადასხვა ეპოქებში და ზოგჯერ სხვადასხვა ხალხებში შექმნილ თხზულებათა შორის. ამჯერად ეს ტიპოლოგიური მსგავსება მოიცავს „ეკლესიასტედან“ მოყოლებული, ძველი ქართული სასულიერო პოეზიის მრავალ თხზულებას, ქართველ რომანტიკოსთა მთელ რიგ ნაწარმოებებს და ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

ხალხური ფილოსოფიური ხასიათის ლექსთა შორის მეტად საინტერესოდ ჩანს როსტომზე გამოთქმული ლექსთა ციკლი, „როსტომ თქვა...“, რომელიც უნდა მომდინარეობდეს თემატურად როსტომიანის ქართული ვერსიებიდან. როსტომს მიეწერება ბრძნული გამონათქვამები წუთისოფელზე და მის წარმავალ ბუნებაზე. ეს ტექსტები უფრო ხშირად შაჰ-ნამეს ლიტერატურული ტექსტიდან კი არ მოდის და მის ფოლკლორულ გადამუშავებას კი არ წარმოადგენს, არამედ ხალხურია და ძველისძველი. შაჰ-ნამედან მომდინარეობს ტრაგიკული გმირის, როსტომის სახე, რომელმაც წუთისოფლის ამაოება მწარედ იგემა და გამოსცადა. იგი მისტიკური ელფერით იმოსება და ხალხურ სიტყვიერებაში მარადიული პესიმისტური სიბრძნის სახედ იქცევა:

როსტომ სთქვა: ესე სოფელი
კაცს ხელში გაუქანდება,
ვინცა სთქვა, ახლა მე დამრჩა,
არც იმას გაუთავდება.

ხოლო ბარათაშვილი ამბობს:

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავე მიწისთვის რაც ღღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...

არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, ხალხური როსტომის სკეპტიკური სიბრძნის შორეული გამოძახილია ბარათაშვილის ეს სტრიქონები. როსტომის სახელთან დაკავშირებული შესანიშნავი ლექსები მრავლადაა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში. ზოგ მათგანს მოვიხსნობთ:

როსტომ სთქვა: მიწა გრილია,
მტერსა არ უნდა რბილობა,
კარგია ვაჟკაცისათვის
ომშია გამოცდილობა.

*

როსტომ სთქვა, ერთი ქართული
ჩინეთის ქვაზე სწერია,
ვისიც მე ვიყავ ერთგული
ის გახდა ჩემი მტერია.

როსტომ სთქვა: დღემც კრულია
დაბადებისა ჩემისა,
რაც რომ მე გამოვიზარდე,
დღე ვერა ვნახე ლხენისა,
სიყმე სიბერედ ვაქციე
ვაქრა სინათლე ჩინისა,
ვერც გული გავალხინე რა,
უღელი მედგა რკინისა.

(ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია გვ. 225)

ხალხურ პოეზიაში სასიყვარულო მოტივებს მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მსოფლიო ლიტერატურაში სასიყვარულო ლირიკა ცნობილია, რომ ფართოდ საზრდოობს ხალხური სახეებით და მოტივებით. სხვადასხვა ლიტერატურულ ეპოქებში ეს სიანლოვე სასიყვარულო ლირიკისა ხალხურ პოეზიასთან სხვადასხვა დონით განისაზღვრა. რომანტიკული ლიტერატურა, რომელიც თავის საფუძვლად შუა საუკუნეების პოეტურ სამყაროს აცხადებს, ბუნებრივია, ახალი ძალით დაეწაფა ხალხურ სახეებს და სასიყვარულო მოტივებს. რომანტიკოსები სასიყვარულო ლეგენდებს, თქმულებებს და სიმღერებს ახალ პოეტურ გარდასახვას უძებნიან და ახლებურ სიცოცხლეს ანიჭებენ. ხალხურ სიტყვიერებაში ბუნება და სატრფო ხშირად ერთიან სახე-მეტაფორად წარმოდგებიან, ისინი მომდინარეობენ უძველესი, ხშირად მითოლოგიური საფუძვლებიდან. ეს სახე-მეტაფორა მეტად ხშირია, მისი მხატვრული ღირსება და პოეტური სიმართლე განაპირობებს მის უბერებლობას. ამ ღირსებათა გამო მათდამი ახალ შემოქმედებით ინტერესს იჩენენ სხვადასხვა ლიტერატურულ ეპოქებში, ხოლო რომანტიკოსები — განსაკუთრებით.

ქართულ ხალხურ სასიყვარულო ლირიკაში მრავალი ლექსი ბრწყინავს თავისი უბერებელი ღირსებებით, რომლებიც ქართულ ლიტერატურულ აზროვნებას და გემოვნებას საუკუნეთა მანძილზე კვებავდა. ამ ლექსთა შორის ყურადღებას იქცევს მრავალი, აქ მოვიყვანთ ორიოდე წინმუშს სამაგალითოდ (ესენია „შირაქის გზაზე“ და „აის ღრუბელნი მიყვარან“), რომლებიც განირჩევიან განსაკუთრებული სინატიფით, გრძნობათა პოეტური ამეტყველებით და ამავე დროს რომანტიკულ განწყობილებასთან ნათესაობას ამჟღავნებენ.

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მობრუნებს ქარიო,
წინ შემეყარა პეპელა,
წითლად უჩანდა მხარიო.
საყვარლის კაბას ვამსგავსე,
ღმერთო, დამწერე ჟვარიო.

(ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, გვ. 30)

ა ის ღრუბელნი მიყვარან,
ბოროლაზედ რო დიანო,
ერთი მეორის შაყრასა
ხარობენ, მეელიანო,
შაყრებიან ერთადა,
მანანას ჩამაყრიანო,
ჩაც უნდა ბევრი ეცადნენ,
ჩვენ ერთურთს ვერ გაგვყრიანო.

(ხალხური პოეზია, გვ. 31)

მსგავსი. ლექსები მრავლადაა ჩვენს ხალხურ პოეზიაში, ამ ხასიათის პოეტურ ქმნილებებში ასტრალური ბუნება და ადამიანის ტრფიალების გრძნობა ერთ პოეტურ სამყაროდ გარდაიქმნებიან. ასეთი ერთიანი პოეტური სამყაროს წიაღში იბადება თქმულება ეთერიანი, ლეგენდა თავფარავნელი ჭაბუკის შესახებ, „ქალი ხვარამზე“. „ქალი ხვარამზე“ ულამაზესი ხალხური ლექსია, იგი მალაღმნატურულ ღირსებებს ატარებს, წარმოშობით უძველესი სახე-მეტაფორაა, მზის ღვთაების თავყვანისცემის გარდასახვა სიყვარულის ფორმაში.

ამგვარი მითოსური ხასიათის თქმულებებში, ლექსებში და ლეგენდებში წარმოსახული სიყვარული მრავალპლანიანია, მას ღრმა ფილოსოფიური და თეოსოფიური საფუძვლები აქვს. ასტრალური მითოლოგიური სახეები ღებულობენ კონკრეტულ გამოსატყულებას, მითოლოგიური საფუძვლებიდან თქმულებებში და ლეგენდებში გადასულები, წარმოგვიდგებიან მზეთუნახავი ქალის, ან გმირი ვაჟის სახით. მათი ზეკაცური, მითოსური ბუნება იმოსება კაცობრივი თვისებებით, სიყვარულით, გმირობით, ვაჟკაცობით და სხვადასხვა ადამიანური ურთიერთობებით.

ხალხურ პოეზიაში შესული ეს ძველისძველი წარმოშობის მხატვრული სახეები უაღრესად მომხიბლავნი არიან, მათ აქვთ განსაკუთრებული გამძლეობის უნარი. ისინი უკვდავნი არიან და მოსდევენ კაცობრიობის სულიერ კულტურას და ენას დასაბამიდან. ხალხური პოეზიის ეს უძველესი სახეები საფუძვლად ედებიან ლიტერატურულ ტიპაჟს და იღებენ ახალ სიცოცხლეს ახალ გარდასახვასთან ერთად.

მზის კულტისადმი მიძღვნილი ლექსები და სიმღერები, თქმულებები და ლეგენდები თემატურად საერთაშორისო ხასიათის თხზულებებს წარმოადგენენ. მათ რიცხვშია „ქალი ხვარამზე“. სხვადასხვა ხალხების ფოლკლორი წარმოსახავს „მზე ქალის“ თემას და იგი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფოლკლორული თემაა. „მზე ქალის“ მეტაფორული სახე მრავალ გარდასახვას ეზიარება როგორც მსოფლიოს ხალხების ფოლკლორში, ასევე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ეს მეტაფორული სახე ლიტერატურაში შესუ-

ლია და დამკვიდრებული მთელი მისი მრავალპლანიანი სახეცვლილებებით და ერთ-ერთი უბრწყინვალესი მხატვრული სახეა.

„მზე ქალის“ მხატვრული სახე ქართულ პოეზიაში მეტად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, თვით ვეფხისტყაოსნის ჩათვლით. რომანტიკოსებთან ეს სახე ახლებურად აულერდება.

ქართველ რომანტიკოსებთან ხალხური სახე-მეტაფორები ახალ თვისებებს იძენენ. მნათობი, ვარსკვლავი, მზე, მთვარე, ვარდი და სხვ. ტრადიციული მეტაფორული სახეები, რომელთა საწყისი და ფუძე ხალხური პოეტური აზროვნებაა, ქართველ რომანტიკოსებთან კვლავ იკავებს ადგილს.

XVII—XVIII ს. ქართულ პოეზიაში ჭარბი მეტაფორები და ეპითეტები ავსებს სალექსო სტრიქონებს, მაგრამ „მზე“, „მთვარე“ და „ვარსკვლავები“ იქ მწიგნობრულ ელფერს ატარებენ და მოწყვეტილნი არიან დედაბუნებას, თავის საწყისს.

რომანტიკოსები დაუბრუნდნენ ბუნების სულს, და იქ იხილეს უკვდავების წყარო, რომელსაც დაეწაფნენ და მიიღეს ახალი შთაგონება. ხალხური პოეზია მათი შემოქმედების უშრეტ წყაროდ გადაიქცა. „მზე“, „მთვარე“, „ვარსკვლავები“ თითქოს ხელახლა შოვიდნენ ბუნებიდან პოეზიაში და ახალი ცხოვრება დაიწყეს.

ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმიდაზედ“, მისი უმანკო მთვარე და ობოლი ვარსკვლავი აღარ ჰგავს აღორძინების და კლასიციზტების მნათობებს. სხვა „მზე“ და „მთვარე“ ანათებს რომანტიკოსთა სტრიქონებიდან, სხვა თვისებებს ატარებს მნათობთა და ყვავილთა გუნდი.

ხალხური მეტაფორული აზროვნება ფართოდ შევიდა და დამკვიდრდა ქართველ რომანტიკოსებთან. ასეთი სახეებით მდიდარია ბარათაშვილის ლექსები, განსაკუთრებით კი — „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „ჩემს ვარსკვლავს“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „აღმოჰხდა მნათი“, „ჩინარი“, „მადლი შენს გამჩენს“ და სხვ.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში მრავლადაა მეტაფორული სახეები, რომლებიც წარმოშობით ასტრალურ სამყაროს უკავშირდება. ასეთი ლექსებია, „ძეობა“, „შენთან არს გული მნათობო“, „ელების კარი გაზაფხულისა“, „მოვედ მთოვარევე“, „მოველ წალკოტს სანუგეზოდ“, და სხვ.

ხალხური მოტივები განსაკუთრებით საგრძნობია გრ. ორბელიანთან, ფოლკლორული სახეებით სუნთქავენ მისი ცნობილი მუხამბაზები, „ბეჟანა მკერვალი“ და „ლოპიანა“, ხალხური მეტაფორული სახეებით განირჩევა გრ. ორბელიანის ლექსები სატრფოსადმი, რომლის აღრესატი, უმეტეს წილად, ნინო ჭავჭავაძეა. ასეთი ლექსებია, „ნ...

დმი“ (1829 წ.). „ნ ... დმი“ (1830 წ.). „მტირალ ნ ... ს“. „სო ... ორ“, „გაზაფხული“, „ეკატერინა ჭავჭავაძისას“ და სხვ.

ამ ლექსებში ჩვეულებრივია მიმართვა „მნათობო...“. მაგრამ ეს მიმართვა გრ. ორბელიანთან ჟღერს ახლებურად და სრულებით არ ემსგავსება XVII—XVIII საუკუნეების ქართულ პოეზიაში გავრცელებულ მეტაფორებს, „მზე“, „მნათობი“, ვარსკვლავი“, რომლებიც, იმხანად ჭარბი ხმარებისაგან გვევლინებიან უკვე გაცრეცილნი და ფერგამკრთალნი.

თავფარავნელი ჭაბუკის თემა, რომელიც ქართულ ხალხურ პოეზიაში გამოხატულია მშვენიერი თქმულებით, თავისი წარმომავლობით მეტად ძველია. მისი პარალელები არსებობს ძველ ბერძნულ მითოსში ჰეროსა და ლეანდრეს მითის სახით, რომელიც თავის დროზე ოვიდიუსმა და V საუკ. ბერძენმა პოეტმა მუსეოსმა დაამუშავეს. იგივე მითოლოგიური თემა რამდენჯერმე იქნა დამუშავებული ევროპულ ლიტერატურაში. რომანტიზმის ეპოქაში ბაირონმა შექმნა იმ ნითზე პოემა „აბიდოსელი საცოლე“, შილერმა ბალადა, „ჰერო და ლეანდრე“, გრილპარცერმა დრამა, „ზღვისა და სიყვარულის ტალღები“.

ევროპული „ჰერო და ლეანდრე“ მომდინარეობს ბერძნული მითოსიდან და ოვიდიუსისა და მუსეოსის დამუშავებული ვარიანტებიდან. ამ საკითხს თავის დროზე ყურადღება მიაქცია ვ. კოტეტიშვილმა. იგი წერს, „მართალია, ლექსი ძალიან დაახლოვებულია სატრფიალო რომანტიკასთან, მაგრამ მაინც შერჩენია რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ამჟღავნებს ლექსში დაცული მითოსის ნაწილებს და მათ ძველის-ძველობას. ლექსში შერჩენილი დაკუმენტების მიხედვით კიდევ გაძნელებოდა მისი ბუნებისა თუ ხასიათის დადგენა, რომ არ არსებულეიყო პარალელები მსოფლიო ფოლკლორიდან. ამ პარალელების საშუალებით კი ფარდა ეხდება ჩვენი ლექსის იმ ბუნდოვან სიმბოლიკას, რომელიც მხოლოდ ქართულ ნიადაგზე ვერ აიხსნებოდა“³².

ვ. კოტეტიშვილი მიუთითებს „თავფარავნელი ჭაბუკის“ თემას ბერძნულ მითოსთან, ერთი მხრივ ოვიდიუსისა და მეორე მხრივ ევროპაში — შილერის „ჰერო და ლეანდრეს“ პარალელებზე.

ბერძნული მითოსი შეეხება დარდანელის სრუტის საიდუმლოებას. ოდესღაც, ამ ორი მატერიკის ნაწილებზე, რომელთაც დარდანელი ჰყოფს, იყო შეყვარებული წყვილი, რომელთა სიყვარულს და ერთად ყოფნის სურვილს გამყოფი წყალი უშლიდა ხელს. ჰეროსა და ლეანდრეს დაუძლეველი სიყვარული ამ ორ მატერიკს აკავშირებს ერთმანეთთან. ჰერო მის ევროპულ ნაწილზეა, ლეანდრე აზიურზე.

³² ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 329.

ყოველ ღამით ლეანდრე გადაცურავს ზღვის ტალღებს, რომ იხილოს თავისი სატრფო, ჰერო. ყოველ საღამოს ჰერო აანთებს სანთელს და გზას უნათებს მიჯნურს, რომ ბნელ ტალღებში არ აებნეს გზა. ყოველ დღით, როცა ცისკარი ამოვა ცაზე, ლეანდრე ტოვებს სატრფოს და ტალღების გზით უბრუნდება თავის მშობლიურ მატერიკს.

ეს სიყვარული ტრაგიკულია, მისი დასასრულიც ტრაგიკულია, ბოროტ ძალთა ჩარევით, ზღვის ღვთაებათა ნება-სურვილით, ერთ ღამეს ატყდება ქარიშხალი, ჩაქრება სინათლე და ტალღები შთანთქმავს ლეანდრეს სიცოცხლეს. დღით, აფროდიტეს ქურუმში, ჰერო ნაპირთან იპოვის მიჯნურის უსიცოცხლო სხეულს. იგი თავს იხრჩობს ზღვაში. ჰეროს და ლეანდრეს სიყვარული შეერთდება ტალღებში და ზღვის სამეფოში განაგრძობს არსებობას. შილერის ბალადა მეტად ახლოა ამ ბერძნულ ვარიანტთან, მხოლოდ გათანამედროვეებულია, რომანტიზმის ეპოქის სულისკვეთებასა და იდეალებს, რომანტიკული სიყვარულისა და თავგანწირვის ხასიათს ატარებს.

ქართული ვარიანტი მითისა არ უკავშირდება დარდანელის სრუტეს, არამედ თავფარავანის ტბას. ეს „თავფარავანი“, ვ. კოტეტიშვილის განმარტებით, არა ისტორიული ადგილია, არამედ მითოლოგიური სახელი, სადაც „თავი“ გარკვეულ როლს თამაშობს. იგი წერს: „ჩვენშიაც „თავს“ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია, „თავი“ გარკვეულ საკულტო მოვლენას წარმოადგენდა; ამის ნიშნებს ჩვენს ზღაპრებშიაც მრავლადა ვხვდებით»³³.

მითის ქართული ვარიანტი არ ასახელებს ქალისა და ვაჟის კონკრეტულ სახელებს, ხოლო ამბავი მეორდება ისევე, როგორც ბერძნულ-ვერობულ მითში — შეყვარებული ვაჟი ყოველ ღამე გადაცურავს ზღვის ტალღებს, რომ შეეყაროს სატრფოს, ხოლო სატრფო სანთლებით გზას უნათებს მას. ბოროტი ძალა, დედაბერი, ჩააქრობს ამ სანთლებს ერთ ღამეს და ვაჟი ტალღებში იღუპება. აღარაფერია ნათქვამი ქალის თავგანწირული სიყვარულის შესახებ, რომელმაც, ბერძნული მითის მიხედვით, თავი მოიკლა, შეუერთდა მიჯნურის ბედს.

ქართული თქმულების ტექსტი ასეთია:

თავფარავნელი ჭაბუკი
ასპანას ქალსა ჰყვარობდა,
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,
გასვლას შიგ არა ზარობდა.
ქალი ანთებდა სანთელსა,
სანთელი კელაპტარობდა,
ერთი აესული ბებერი
ვაჟისთვის ავსა ღამობდა,

³³ ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.

სარკმელზე ანთებულ სანთელს
აქრობდა, აბეზარობდა,
თან ამას ეუბნებოდა,
წინადაც ეგა გყვარობდა.
ვაჟი მიაგრევეს ტალღებსა,
გულმკერდი არა ჩქამობდა.
ცალ ხელით დოლაბი მიაქვს,
ცალ ხელით ნიავექარობდა,
ზღვის გაღმა ერთი სანთელი
გამოღმა კელაპტარობდა.
ღამე ჩამოდგა წყვილი,
უკუნს რაზესა ჰგვანობდა,
ტალღა ტალღაზე ნაცემი
ვაჟის ჩანთქმასა ლამობდა.
დაჰკარგა ფონი, შეშვირდა,
მორევი ბობოქარობდა,
გათენდა დილა ლამაზი,
კეკლუცის თვალებს ჰგვანობდა,
წყალსა დაეხრო ჰაბუკი,
ქორობზე ეგდო, ქანობდა,
წითელი მოვის პერანგი
ზევიდან დაჰფარფარობდა,
ლემს დასჯდომოდა ზედ ორბი,
გულს უვლევავდა, ხარობდა.

(„თავფარავნელი ჰაბუკი“, ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია გვ. 29)

ჰერო და ლეანდრეს მითს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ბაირონზე. 1810 წ. ბაირონმა იმოგზაურა ჰელესპონტის ზღვაზე და დარდანელის სრუტესთან იხილა ორი პატარა ბერძნული ქალაქი, სესტი და აბიდოსი.

მითის მიხედვით აფროდიტეს ქურუმი ქალი ჰერო ცხოვრობდა სესტში, ლეანდრე — აბიდოსში.

მითოლოგიური თქმულებით გატაცებულმა ბაირონმა ლეანდრეს კვალზე ორჯერ გადასცურა დარდანელი. ბიოგრაფების ჩვენებით, მან ჰეროს კომკის ნანგრევებამდე მიაღწია მხოლოდ მეორედ. პირველად ღინებამ იგი სხვაგან გაიყვანა.

ბაირონმა მითით გატაცება და ეს რომანტიკული მოგზაურობა უკვდავყო პოემაში „აბიდოსელი საცოლე“.

ბაირონის ნაწარმოები არ წარმოადგენს მითის პირდაპირ გადამუშავებას შილერისა და ოვიდიუსის მსგავსად. მაგრამ თქმულების რეალობები აშკარად იჩენენ თავს პოემაში, რაც აღნიშნულია ბაირონის ბეკლევართა მიერ.

თავფარავნელი ჰაბუკის თქმულება სტიქიისა და ადამიანის სულის მარადიულ ერთიანობას და ტრაგიკულ დაპირისპირებას ასახავს

და ამავე დროს მარადიული სიყვარულის გარდაუვალ ტრაგიზმს. მიჯნური ქალ-ვაჟი სიკვდილის შემდეგ, სტიქიის ძალებში, ბუნებასთან ერთად მარადიულ სიყვარულს ეზაირებიან.

თავგანწირული სიყვარულის თემა რომანტიკოსი პოეტებისათვის განსაკუთრებით მიმზიდველია და მათ სულიერ სამყაროს ენშიანება. სწორედ ამიტომ ჰეროსა და ლეანდრეს მითი რომანტიკოსთა ყურადღების ცენტრში ექცევა.

საგულისხმოა, რომ ეს შესანიშნავი რომანტიკული თქმულება, რომელიც ასახვას ჰპოვებს ბაირონისა და შილერის შემოქმედებაში, ქართულ სინამდვილეში არსებობდა მეტად გავრცელებული თქმულების სახით. ვ. კოტეტიშვილის ცნობით, ი. კარგარეთელს ჩაწერილი ჰქონია უფრო ვრცელი ვარიანტი ქართლში, რომელიც პოეტური დახვეწილობის მხრივ, ვ. კოტეტიშვილის აზრით, აქ მოყვანილ ვარიანტს ღერ შეედრება³⁴.

რომანტიკული სიყვარული და წყალთან დაკავშირებული ბედისწერა, — წყალთან, რომელიც შუა გამყოფია დედამიწის, შეყვარებულთა წყვილის, და სხვ. სხვადასხვა ხალხებში, სხვადასხვა ზღაპრებსა და თქმულებებში მეორდება ნაირ-ნაირი ვარიანტებით, რაც მდინარეს, ტბას, ან ზღვასა და მის მაგიურ ძალებს უკავშირდება.

წყალთან დაკავშირებული საბედისწერო სიყვარულის რომანტიკა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში შესულია და დამკვიდრებული.

„თავფარავნელი ჭაბუკის“ თემატიკა და იქ დასმული პრობლემები საგულისხმო გამოხმაურებას ჰპოვებს ბერძნულ მითოსში. იგი დამუშავებული სახით გვევლინება ანტიკურსა და ევროპულ ლიტერატურაში. რომანტიზმის ხანაში ეს ლეგენდა დაამუშავეს დიდმა პოეტებმა ბაირონმა და შილერმა. რომანტიკოსებისათვის საინტერესო ფოლკლორული თემატიკა მოიცავს „ჰეროსა და ლეანდრეს“. იგივე „თავფარავნელი ჭაბუკის“ ტრაგიკულ, სასიყვარულო ამბავს. ამ საერთაშორისო მნიშვნელობის ლეგენდის ქართული ვარიანტის არსებობა მეტად საგულისხმოა და ნიშანდობლივი ქართული პოეტური ფოლკლორის რომანტიკული ელემენტების საძიებლად.

* * *

ქართული ხალხური ლეგენდებიდან მრავალია აღსანიშნავი თავისი მდიდარი რომანტიკული სიუჟეტით. ისინი ქართული ლიტერატურის ეროვნული საფუძვლების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ბევრი მათგანი გააერთიანა ვაჟა-ფშაველამ თავის შესანიშნავ პოე-

³⁴ ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 332.

მებში. მან მოუძებნა ლიტერატურული ფორმა ხოგაის მინდის და ლუ-
ხუმის ირგვლივ არსებულ მითებსა და ლეგენდებს, გოგოთურ და აფ-
შინას, ალუდასა და ზვიადაურის საგმირო ლექსებსა და თქმულებებს.
ყაზბეგი მთლიანად ემყარება თავის რომანებში მთის თემატიკას.
იგი აღწერს ბუნების შვილს, მთიელს, რომლის ხასიათი და ვნებათა-
ღელვა ედება საფუძვლად ყაზბეგის ყველა რომანს. მრავალი ხალხუ-
რი თქმულება, ლექსი და ზღაპარი გამოიყენეს თავიანთ შემოქმედუ-
ბაში აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ.

არაერთი ხალხური თქმულება და ლეგენდა, ზღაპარი და ლექსი
ვახდა ამოსავალი ქართული კლასიკური ნაწარმოებების შექმნისათ-
ვის, ხოლო მრავალი კიდევ ელოდება ლიტერატურულ ხორცშესხმას....
და პოტენციურად, როგორც ერის საგანძური, მის სულიერ საზრდოს
და ლიტერატურულ-ესთეტიკურ იდეალებს განასახიერებს.

ჩვენ გვინდა ვახსენოთ ბრწყინვალე ხალხური ლეგენდები „იამ-
ბე ციხის ნაშალო“, „გიგა და გიორგი“, „ქართლელი ქალის ტირილი“,
„ორშაბათობით აშენდა“, „მალა მთას მოსდგა უცხო ფრინველი“ და
სხვ. ჩამოთვლა ბევრის შეიძლება, მრავალ მათგანზე ბევრის თქმა შე-
იძლება, მათი ესთეტიკურ-პოეტური თვისებების გამო, მათი რომანტი-
კული ხასიათის, მითოლოგიური წარმომავლობისა და საგმირო რო-
მანტიკის გამო... ამ ბრწყინვალე ხალხური ლეგენდებიდან გამოირჩევა
„იამბე ციხის ნაშალო“. შალვას ციხე, რომელიც დღეს ნანგრევებადაა
ქცეული, ხალხურ სიმღერაში ცოცხლობს მარადიული სიცოცხლით.
სიმღერაში თითქოს ცოცხლდება შალვას ციხის ჰეროიზმით საგსე
დღეები, საგმირო საქმეები და მისი საამაყო შვილების ვაჟკაცური
შემართება. აუღებელი ციხე საღვთო ღალატით გატენეს. ასეთია
შალვას ციხის რომანტიკული ისტორია და ბედი.

იამბე ციხის ნაშალო,
რა დრო გაქვს გამოვლილო,
ვისი რა აგებული ხარ,
ვისი რა ჩამოშლილი,
ერთი სთქვა ციხის ნაშალო
ქალიან გასაკვირო,
შალვას აგებული ვარ,
სინისა მედგა ძირიო,
სისხლის ღვრა, შვილდის ზუალი,
ბევრი მაქ გამოვლილიო,
ხევის ბერს უკურთხებდევარ,
მაშინ არ იყო ღვდელიო.
მოულოცნია ჩემთვისა,
ნურც მოგერვა მტერიო,

(ხალხური პოეზია, გვ. 100)

შალვას ციხის გატეხა ხალხურ სიმღერას ზურაბ ერისთავის სახელთან დაუკავშირებია, თუმცა თქმულება ბევრად ძველია და წარმართული თავისი ხასიათით. ლეგენდაში ნათქვამია, რომ ციხის გვერდით იდგა შელოცვილი ალვის ხე, სანამ ეს ხე არ მოიჭრებოდა, ციხეც დაუნგრეველი იყო. ამ თქმულებას ხსნის ვ. კოტეტიშვილი: „მუხის თუ ალვის ხის წვერზე მიბმული ყოფილა ოქროს შიბი, რის გამოც ამ ხეს ცული არ უდგებოდა. ერთხელ ზურაბ ერისთავს მოუწადინებია ამ ხის მოჭრა, მაგრამ ცული ვერ მიეყენებინა. ერთ ღულელ ბერს ესწავლებინა, რომ კატა უნდა შემოაკლა ხეს და მაშინ მოიჭრებო, მეორე ვერსიით მუხა აბციაურს მოუჭრია, და მას აქეთ ეს გვარი არ მრავლდებო“³⁵.

* * *

იმ მრავალ მშვენიერ ლეგენდათაგან, რომლითაც ქართული ხალხური პოეზია ასე მდიდარია და ასეთ შესანიშნავ საზრდოს აძლევს ნაციონალურ მწერლობას ყოველ ეპოქაში და მათ შორის რომანტიზმის პერიოდშიაც, განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ეთერიანზე.

ეთერის თემა ჩვენთან ამეტყველდა მუსიკაში ფალიაშვილის ბრწყინვალე ნაწარამოებით. ლიტერატურაში ცნობილია ვაჟა-ფშაველას პოემა „ეთერი“. ეთერის ხსენება მრავალგანაა ჩვენს ლიტერატურაში, მათ შორის რამდენიმეჯერ აკაკი წერეთელთანაც. მაგრამ ეთერიანი, ლიტერატურულად დამუშავებული, როგორც დიდი ეპიკური თხზულება, ისევე, როგორც ამირანიანი, ჯერ კიდევ მოელის თავის შემოქმედს.

ეთერიანი და ამირანიანი ქართული ფოლკლორის რომანტიკულ-ჰეროიკული მიმართულების ძირითადი თემებია, რომელთა ირგვლივ ყურადღების განსაკუთრებული შეჩერება აუცილებელია ქართული რომანტიზმის ფოლკლორული საფუძვლების ანალიზის დროს.

„ეთერის“ თემა უძველესია ისევე, როგორც ამირან-პრომეთეს მითი, იგი თავისი წარმოშობით ასტრალურ ღვთაებრივ ძალებს უკავშირდება და, კეთილისა და ბოროტის, ნათლისა და ბნელის, სიყვარულისა და სიძულვილის დაპირისპირების არქაულ სიმბოლიკას შეი-

³⁵ ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 264.

ცავს. ამ თქმულებათა საწყისები მომდინარეობს არქაული სამყაროდან, როდესაც ადამიანი და ბუნება გაერთიანებული იყო ერთი სასიცოცხლო ძალით, ადამიანი იყო გასულიერებული ბუნების ერთ-ერთი ფორმა..., ხოლო დღეთაებები, ბუნების ძალები და კოსმიური სხეულები მზე, ვარკვლავები, მთავარე, ქარი, წვიმა, განსხეულებული ადამიანის სახეს ღებულობდნენ, და ადამიანური ყველა სისუსტე და სურვილი აწუხებდათ — სიყვარული, სიძულვილი, შური, მეგობრობა, სიხარული, წყენა...

მიხედვით ჩიქოვანი ეთერიანის თემის გამოქაჩილს ჰპოვებს „ტრისტან და იზოლდას“ თქმულებაში³⁶, განსაკუთრებით ამ თქმულების, ბოლო ნაწილში. იგი იძლევა ამ ნაწარმოებთა დაწვრილებით ანალიზს, შედარებას და წარმოსახავს, თუ რა აქვს საერთო, ფორმის მხრივ, იზოლდასა და ეთერის თავგანწირულ სიყვარულს და სიკვდილს, ხოლო სიკვდილის შემდეგ შეყვარებულთა სამარის სასწაულებრივ თვისებას. ტრისტანისა და იზოლდას საფლავებზე ამოსული მცენარეები გადაეჭდობიან ერთმანეთს... აბესალომისა და ეთერის საფლავებზე ამოვა ვარდი და ია, ან ვარდი... ყვავილები ერთმანეთისაკენ იხრებიან... ფეხით წყარო გაჩნდება, შიგ ვერცხლის თასი დევს, რათა გზად ზიმაველმა დამაშვრალმა მოიკლას წყურვილი, აღიდგინოს სიცოცხლის ძალა და შეყვარებულთა სულებს ლოცვით მიმართოს.

„ტრისტან და იზოლდა“, რომელიც შუა საუკუნეებში დაიწყო და საფრანგეთში, წარმოშობით კელტურ თქმულებათა რიცხვს განეკუთვნება. იგი რამდენჯერმე იქნა დამუშავებული, თავდაპირველად მისი გალექსილი ვარიანტები არსებობდა, ხოლო XII საუკუნეში საფრანგეთში რომანის ფორმას ღებულობს, რომელიც პროზით იწერება.

ა. ვესელოვსკი ასახელებს რამდენიმე ავტორს ადრეულ შუა საუკუნეებისა: ფრანგს, გერმანელს, ინგლისელს, რომლებსაც „ტრისტან და იზოლდა“ პოემის სახით დაუმუშავებიათ ძველი ხალხური ეპოსის საფუძველზე. იგი მიუთითებს, რომ მას შემდეგ, რაც შეიქმნა „ტრისტან და იზოლდას“ რომანული პროზაული ვარიანტი, მისი პირველწყაროები მივიწყებულ იქნა.

იზოლდას სევდიანი სიყვარულის თემა, რომელიც ტიპოლოგიურ მსგავსებას ამჟღავნებს ქართულ ეთერიანთან, თავისი უძველესი ეპიკური ფესვებით მრავალმხრივ არის საყურადღებო. სიყვარულის მარადიული თემა, თავგანწირული სულისკვეთება და მისი ტრაგიკული დასასრული, რომანტიკული განწყობილება და რწმენა მარადიული

³⁶ ვ. ჩიქოვანი, შუა საუკუნეების სამი რომანის „ტრისტან და იზოლდას“ „აბესალომ და ეთერის“ და „ვისი და რამინის“ ტიპოლოგიური ურთიერთობის პრობლემა, კრებ. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, 1971, გვ. 176—193.

სიყვარულისა გრძელდება იმიერ სოფელში გარდასვლის შემდეგაც. ეთერისა და აბესალომის, ტრისტანისა და იზოლდას სიყვარული უკვდავია, მას ვერც სიკვდილი შეცვლის და შეწყვეტს, არსებობის სახეა უცვლის მხოლოდ. ამის დადასტურებაა მიჯნურთა საფლავეებზე ვარდ-ყვავილთა საოცარი ცხოვრება... სწორედ ამ პოეტური დასასრულით უკავშირდება ეს ორი სასიყვარულო ეპიკური თემა ერთმანეთს. მიჯნურთა სიცოცხლისა და ტრფობის ასეთი დასასრული, სიკვდილის შემდეგ მათი სიყვარულის გამოვლენის ფორმის შეცვლა და გარდასახვა მცენარეთა მარად განახლებად არსებაში, არ ყოფილა მხოლოდ ამ ორი თქმულებისათვის ნიშანდობლივი, როგორც ვესელოვსკი მიუთითებს თავის გამოკვლევაში „ტრისტან და იზოლდას“ შესახებ, სხვა ხალხთა ფოლკლორშიაც გვხვდება და მას ღრმა თეისტური ძირები აქვს. ვესელოვსკი, როგორც ჩანს, არ იცნობს ეთერიანის თქმულებებს: „სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას ასეთი სიყვარული, ტრისტანისა და იზოლდას საფლავეებზე ამოსული ხეები ისე გადაეჭრობიან ერთურთს, რომ მათ ველარაფერი დააშორებს. შეყვარებულთა საფლავეებზე ამოსული ხეებისა და ყვავილების სახეები, რომლებიც ერთურთისაკენ იხრებიან და ისწრაფიან, თითქოს მათში გრძელდებოდეს ადამიანური სიცოცხლე და ჩაუმქრალი გრძნობა — ფართოდაა გავრცელებული გერმანულ, რომანულ და სლავ ხალხთა სიმღერებში, ქურთების, ავღანელების და სხვათა პოეზიაში.

ჩვენ ამ სახეს აღვიქვამთ დღეს როგორც პოეტურს, ოდესღაც კი იგი იყო ერთ-ერთი სიმბოლური გამოხატულება მსოფლშეგრძნებისა, რომელიც საერთო იყო კაცობრიობისათვის განვითარების გარკვეულ საფეხურზე: ადამიანი და ბუნება წარმოდგებოდნენ გამთლიანებულნი ერთი საერთო სასიცოცხლო ძალით, ბუნება იყო გასულიერებული (ანიმიზმი), ხოლო ადამიანი მის უთვალავ ფორმათა ერთ-ერთი ნაწილი...“³⁷.

ვესელოვსკი ასახელებს მრავალ ხალხს, სადაც მსგავსი ხასიათის თქმულებაა ფოლკლორში შემონახული, მაგრამ არ ასახელებს ქართველებს. როგორც ჩანს, „ტრისტან და იზოლდას“ ამ საკითხის ანალიზისას მას ეთერიანის ტექსტი ხელთ არ ჰქონია. „ტრისტან და იზოლდას“, მეორე მხრივ, კავშირი აქვს „ვისი და რამინის“ რომანთან, ამ კავშირზე მიუთითებს ვესელოვსკიც და მ. ჩიქოვანიც. მიუთითებენ ავრეთვე ნ. მარი, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე და სხვ. სათანადო გამოკვლევებში.

მ. ჩიქოვანის სამართლიანი შენიშვნით, თუმცა რომანს „ვისი და რამინი“ ბევრი აქვს საერთო „ტრისტან და იზოლდასთან“, ხოლო ამ

³⁷ А. Веселовский, Тристан и Изольда, Избранные статьи, Л., 1939, с. 117.

უკანასკნელს ეთერიანთან, ეთერიანსა და „ვისრამიანს“ შორის საერთო თითქმის არაფერია³⁸, გარდა იმისა, რომ, I. როგორც აბესალომი, ისე რამინი და ტრისტანი სატრფოთა დაკარგვის შემდეგ დასწეულდებიან, ლოგინად ჩავარდებიან, 2. რამინიც, მსგავსად აბესალომისა და ტრისტანისა, გულიდან დარდის გადასაყრელად, სანადიროდ მიდის, და ბოლოს ვ. სამივე ეს გმირი სატრფო ქალების დაკარგვის შემდეგ ისევ ეძებენ მათ... (პარალელები მ. ჩიქოვანისაა³⁹).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სატრფოს მოშორებით გამოწვეული დარდი, ალბათ, ყოველ მეორე სარაინდო რომანში, მიჯნურს ლოგინად ჩაადგებს და სატრფოს კვლავ მოპოვება ხომ სიყვარულის აუცილებელი პირობაა, და სამიჯნურო რომანისათვის ეს პარალელები თითქმის არც კი ჩაითვლება პარალელებად იმდენად ზოგად ხასიათს ატარებენ. აქ უბრალოდ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ უზოგადეს ტიპოლოგიურ მსგავსებაზე. თვითონ მ. ჩიქოვანი მიუთითებს: „აქვს თუ არა რაიმე საერთო ეთერიანს ვისრამიანთან? ძლიერ ცოტა, ვიტყვოდით ჩვენ თავიდანვე“⁴⁰. ჩვენ ვიზიარებთ მ. ჩიქოვანის ამ განცხადებას და უფრო კატეგორიულად ვამბობთ, რომ თითქმის არაფერი, იმდენად ცოტა.

ეთერიანი უჭკნობი სიყვარულის პოემაა. ეთერიანის თემა ტრაგიკული სიყვარულის თემაა, როცა ტრფიალნი, საოცრად შესაფერნი, და თითქოს განგებისაგან ერთურთისათვის გაჩენილნი, იტანჯებიან ქვეყნიურ კანონთა ვერაგი ბუნებით. თავისი ხასიათით, არა პასაჟების ნათესაობით, ეთერიანი მოგვაგონებს „რომეო და ჯულიეტას“ სიყვარულის ტრაგედიას. რომეო და ჯულიეტას სიყვარულის ამბავი შუა საუკუნეებში მოთხრობის სახით იტალიაში დამუშავდა, სანამ შექსპირის ტრაგედიაში მიიღებდა ხორცუმესხმას. აქ არ გავაგრძელებთ სიტყვას შექსპირის ტრაგედიის მაღალ ღირსებებზე, რომელიც სასიყვარულო პოეზიის ეტალონად იქცა მსოფლიო ლიტერატურაში. აღვნიშნავთ მხოლოდ თემატიკის ტიპოლოგიურ ნათესაობას, იდეათა ნათესაობას, რომელიც, ერთი მხრივ ფოლკლორულ ეთერიანში და, მეორე მხრივ, შექსპირის სრულყოფილ, მაღალ კლასიკურ ლიტერატურულ ქმნილებაში განსახიერდა. ისინი მეტად დაშორებულნი არიან ფორმით, მაგრამ არა იდეით, არა სურვილით და სიყვარულისათვის ტანჯვით.

„აბესალომ და ეთერი, ღმერთმა შეყარა ერთფერი!“ — ამბობს ხალხური თქმულება. ეთერი იკლავს თავს აბესალომის უსიცოცხლო

³⁸ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

³⁹ იქვე, გვ. 199.

⁴⁰ მ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრ., გვ. 190.

ცხედართან, მისივე ნაჩუქარი დანით. ისინი ერთად დაიმარხებიან. მათი სიყვარული თითქოს გრძელდება სამარეშიაც, რადგან მეტად ძლიერი იყო, სიცოცხლეზე უფრო ძლიერი. ხანმოკლე ცხოვრება მარადიულ გრძნობებს ვერ იტევს და ვერ შეზღუდავს დროის მონაკვეთით. უძლიერესი გრძნობა გადადის მისტიკურ სამყაროში და მარადიული არსებობის ფორმას იღებს. ამ მარადიული არსებობის ამქვეყნიური გამოხატულებაა მცენარეთა მარადგანახლებად არსებაში (ე. ი. ბუნებაში) გადასული სიახლოვის სურვილი, რომელიც თქმულებაში გამოიხატა შეყვარებულთა სამარეზე ია-ვარდის ერთურთისაკენ ლტოლვით. თითქოს უკვდავი სიყვარულის გრძნობა აღავსებს მისტიკური ძალით მცენარეს და უკარნახებს მას უჩვეულო მოძრაობას...

ჯულიეტა იკლავს თავს მიჯნურის დანით, ისინიც ერთად დასაფლავდებიან და, თუმცა არაფერია ნათქვამი მათ სამარეზე ამოსული ია-ვარდის შესახებ, რომლებიც აგრძელებენ ტრფიალთა გრძნობის ლალადის (გფიქრობთ, ეს შეუძლებელი იყო შექსპირის ტრაგედიის ფორმისათვის), მაგრამ მათი სიცოცხლისა და სიყვარულის გაგრძელება სიკვდილის შემდეგ განსახიერდება იმ ადამიანურ ურთიერთობებში, რამაც მტრობა მეგობრობით და თანავგრძნობით შეცვალა. სიყვარულის უკვდავება და მისი განცდა რომეო და ჯულიეტას ტრაგედიის დასასრულის შემდეგ თითქოს უფრო ნათელი და კონკრეტული ხდება.

ეთერიანის ტრაგიკული, რომანტიკული სული ქართულ რომანტიზმში არ გამოხატულა ნაწარმოების მიძღვნილ ამ თემაზე, მაგრამ მისი არსებობა იმ ქვეყანაში, სადაც რომანტიზმი მოვიდა და დაიმკვიდრა საპატიო ადგილი ლიტერატურაში, მნიშვნელოვანი ფაქტია. ეროვნული ზღაპარი და ლექსი ზრდიდა ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის გულსა და გრძნობას, რომელსაც ოდესმე რომანტიზმის იდეები უნდა მიეღო, ეგრძნო და გამოეხატა. მშობლიური „ნანა“ და „მზე შინა“, ეროვნული ჰეროიკული სული და თქმულებებში გამოხატული უსათნოესი სიყვარულის ტრაგედია იყო საფუძველი იმ დიდი გრძნობებისა, რომლებიც ოდესმე ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და ალ. ჭავჭავაძის სულსა და გულში უნდა აფეთქებულიყო.

შექსპირი, რომეო და ჯულიეტა რომანტიკოსების სათაყვანებელი სახეებია. რომანტიკოსებმა შექსპირი გამოაცხადეს თავიანთ დიდ წინამორბედად და მასზე დაყრდნობით შეებრძოლნენ კლასიციზმს. შექსპირი და მისი თემატიკა, შექსპირი და მისი იდეათა სამყარო, მისი ჰუმანიზმით სავსე ტრაგედიები, უკვდავ გრძნობათა გამომხატველი ადამიანები — საქართველოშიაც ეს იყო რომანტიკოსების იდეალი.

სრულიად განსაკუთრებული თემა ქართულ ფოლკლორისტიკაში, რომელსაც ყველაზე მეტად ენიჭება საერთაშორისო მნიშვნელობა, ეს არის ამირანის თემა, ანუ ამირან-პრომეთეს მითი და მისი პრობლემეტიკა.

ამირანი ქართულ ხალხურ ეპოსში ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟია. თქმულება ამირანზე უძველესია. იგი წარმართულ ღვთაებათა პანთეონის პერსონაჟებს უკავშირდება. მის ირგვლივ ხალხური ეპოსი თანდათან ყალიბდებოდა, სახეს იცვლიდა, მაგრამ ძველისძველ, არქაულ ფორმებს ბოლომდე ატარებდა. ამირანი დიდ მაგიურ და ღვთაებრივ ძალებთან შეჭიდებული გმირია, რომელიც კეთილისათვის იბრძვის. იგი ამავე დროს ღმერთთან მეტრძოლი ტიტანის თვისებებს ატარებს, რომელსაც ურჩობისათვის კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვავენ. ამირანის ორეულია ბერძნული მითოსის გმირი, პრომეთე. ამირან-პრომეთეს წარმომავლობაზე და ურთიერთკავშირებზე ქართველ მეცნიერთა მრავალი გამოკვლევაა მიძღვნილი.

ამირან-პრომეთეს თემატიკის კვლევით დაინტერესება დაიწყო XIX საუკუნეშივე. ივ. ჯავახიშვილი წერს: „საქართველოში ამირანის შესახებ მრავალი თქმულება არსებობს. ჩვენი ქვეყნის თითოეულ კუთხეში არის ჩაწერილი ამგვარი თქმულება და ყველას თავისი მნიშვნელობა აქვს“⁴¹.

XIX საუკუნეშივე სხვადასხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდებოდა ქართული თქმულებები ამირანზე, რომელიც შემდეგ ზ. ჭიჭინაძემ ერთად შეკრიბა და მოსე ხონელის ამირანდრეჯანიანის დამატებად გამოსცა: 1896 წ.⁴²

„ამირანის პიროვნების რეალურობა დღემდე სჯერა ხალხს“ -- წერს მიხეილ ჩიქოვანი⁴³.

ვსევოლოდ მილერის თქმით, ხალხური ეპოსი ცოცხლობს მანამდე, სანამ სჯერათ მისი სინამდვილე. როგორც კი დაიკარგება ეს რწმენა ზებუნებრივისადმი, ეპოსი კვდება.

„ამ რწმენის გარეშე სასწაულებრივისადმი ეპიკური პოეზია ვერ იარსებებს. თუკი ხალხში სკეპტიციზმი დაიბადა, თუკი მის თვალში

⁴¹ ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებები, სხვადასხვა თქმულებანი ამირანზე და მათი პირვანდელი სახის აღდგენა, ი. ქ., თხზულებანი 12 ტომად, I, 1979, გვ. 188.

⁴² მ ო ს ე ხ ო ნ ე ლ ი, ამირან-დარეჯანიანი, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა გამოკვლევითურთ, თბ., 1896.

⁴³ მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ამირანის თქმულების პოეტური ჩანაწერები, კრებ., ქართული ფოლკლორი, X. 1981, გვ. 5.

თქმულების შინაარსმა სინამდვილის გრძობა დაკარგა და ზღაპრად გადაიქცა, — ეპიკური ტრადიცია უკვე დასუსტებულა და იგი უცილობლად უნდა მოკვდეს“⁴⁴.

არამარტო სჯვრათ ამირანის არსებობის სინამდვილე, არამედ მთელი მისტიკები იმართებოდა ამ თემის ირგვლივ.

მ. ჩიქოვანის თქმით, „ამირანის თქმულება შორეულ წარსულში დრამატიზებული სრულდებოდა“, არსებობდა „ამირანის ფერხულე-ბი“, მიჯაჭვული გმირის თქმულება და მისი ცალკე ფრაგმენტები მეფერხისეთა რეპერტუარის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა“⁴⁵.

ნ. მარი⁴⁶ და ვ. ბარდაველიძე⁴⁷ თვლიან, რომ ამირანი მომდინარეობს უძველესი მითოსური მზის ღვთაებისაგან. ივ. ჯავახიშვილი აგრეთვე აღიარებს ამირანის უკვდავ, ღვთაებრივ ბუნებას⁴⁸.

ქართული ღვთაება ბარბარ — ბაბარ (ვ. ბარდაველიძე), ბარ-პარ-ფარ (ნ. მარი). ნათესაობას ამჟღავნებს სემიტურ და შუმერულ უძველეს მზის ღვთაებასთან, საიდანაც ბარდაველიძისა და მარის აზრით, უნდა მომდინარეობდეს ამირანის, როგორც მზის ღვთაების, უფრო გვიანდელი განსახიერება. ქართულ-შუმერულ-სემიტური ღვთაება და მისგან მომდინარე ამირანის მითი, ამავე ხალხებში წარმოქმნილი, გადადის, ერთი მხრივ, ბერძნულ ღვთაებად (პრომეთე), ხოლო, მეორე მხრივ, ქართულ-აფხაზურ-სომხურში (ამირანი—აბრსკილ—მგჰერ)⁴⁹ და წარმოქმნის მითოსურ საფუძველზე ცნობილ თქმულებებს.

ამირანის წარმოშობის მითოსურ საფუძველს აღიარებს მ. ჩიქოვანიც⁵⁰, თუმცა მისი აზრით, იმ სახით, როგორც იგი დღესდღეობით მოგვეპოვება ქართულში, ეპიკური საგმირო ეპოსია და არავითარ შემთხვევაში მითი.

44 В. М и л л е р, Очерки русской народной словесности, Былины, I—XVI, М., 1897, с. 7.

45 მ. ჩ ი ქ о в ა ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

46 Н. М а р р, I. Из Пиренейской Гурии, Избр. работы, т. IV, с. 52. მისივე, Кавказоведение и абхазский язык, избр. труды, т. I, с. 74.

47 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., 1941, გვ. 117.

48 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 191—192.

49 ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრომი.

50 მ. ჩ ი ქ о в ა ნ ი, ქართული ეპოსი, მიჯაჭვული ამირანი, წიგნი II, თბ.; 1965, გვ. 229. მ. ჩიქოვანი წერს, „ამირანის ეპოსი არ არის თავისუფალი მითოლოგიისაგან. ამირანი, როგორც მატრიარქატის დროინდელი მხატვრული ძეგლი, მნიშვნელოვნადაა დავალებული ძველი ქართული მითოლოგიისაგან, რაც მას წინ უსწრებდა და ნიადაგს უმზადებდა“.

თ. ჩხენკელის აზრით, ამირანი ქართული მითოსის ცენტრალური პერსონაჟია⁵¹.

ამირანის თქმულების მითოსურ ბუნებას ხაზს უსვამს აგრეთვე მწერალი დ. შენგელაია⁵².

ამირანის ბერძნული ორეულის, პრომეთეს შესახებ აზრი მომდინარეობს ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქიდან. ბერძნულ-რომაულ წყაროებში (სტრაბონი, არიანე, ფილოსტრატე) იგი ქართული მითოსური თქმულებიდან მომდინარედ მიაჩნიათ.

პრომეთე მძლავრი მითოლოგიური ღვთაებაა. მის შესახებ შექმნილი მითი უაღრესად მიმზიდველი და შთამბეჭდავია. ეს მითოსური თქმულება ანტიკური ხანიდან რომანტიზმის ეპოქის ჩათვლით წარმოქმნის უბრწყინვალეს ლიტერატურულ-მხატვრულ სახეებს. იგი მსოფლიო ლიტერატურულ გმირთა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველ სახედაა მიჩნეული.

ამირანის უძველესი მითოსური წარმოშობის შესახებ თვალსაზრისს, მხარს უჭერს თავისთავად ის ფაქტი, რომ მისი ორეული, პრომეთე, მძლავრი მითოსური გმირია, რომელსაც მეტად ინდივიდუალური, ორიგინალური და თავისებური ჟღერადობა აქვს. მისი ფილოსოფიური სიღრმე და მხატვრული სრულყოფა მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი მონაპოვარია, რომელიც კვებავს ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული თვით დღევანდელობამდე კაცობრიობის სულიერ ძალებს.

რომანტიზმის ეპოქაში კლდეზე მიჯაჭვული გმირის სახემ განსაკუთრებული თანაგრძნობა მოიპოვა და წარმოშვა ახალი ლიტერატურული შედეგები.

ხალხური ეპოსი არის ის დედაბოძი, რომელმაც უნდა შექმნას ნაციონალური დიდი ლიტერატურა. ასე შეიქმნა დიდი ლიტერატურა ანტიკურ ეპოქაში, საბერძნეთში ილიადასა და ოდისეას მითების დაზუსტებით, რომში ენეიდას საფუძველზე, ინდოეთში ძველი ვედების და მაჰაბჰარატას საფუძველზე, ასევე სპარსეთში ეროვნული თქმულებების საფუძველზე შეიქმნა ფირდოუსის შაჰ-ნამე. ქრისტიანულ სამყაროში, შუა საუკუნეების და აღორძინების ხანის ევროპაში, ლიტერატურა კვლავ საზრდოობს ხალხური ეპოსიდან, ხალხური ეპოსის ფესვებზე დგანან: დანტე, არიოსტო, ტასო, შექსპირი, სერვანტესი, უფრო მოგვიანებით გოეთე.

რომანტიკოსებისათვის ხალხური პოეზია, ხალხური ეპოსი ხდება ძირითადი ამოსავალი და დასაყრდენი შემოქმედებით საქმიანობაში. მათი ძირითადი პრინციპული ნიშანია ხალხური პოეზიიდან და შუა-

⁵¹ თ. ჩხენკელი, ტრაგიკული ნიღბები, თბ., 1971, გვ. 81.

⁵² დ. შენგელაია, წერილები, თბ., 1955, გვ. 189.

საუკუნეების რომანული ლიტერატურიდან გამოსვლა. ამ ძირითადი ნიშნით გაემიჯნენ ისინი მანამდე არსებულ ლიტერატურულ სამყაროს. მათი სახელწოდებაც ხომ სწორედ აქედან მომდინარეობს. ისინი არიან რომანული ეპოქის მიმდევარნი, ოსიანი და მისი სამყარო, ჩრდილოური შუასაუკუნეობრივი ეპოსი, რომანულ ხალხთა თქმულებები, ლეგენდები, რომანები, ზღაპრები და სიმღერები იქცევა ლიტერატურის ინტერესის საგნად. და რომანტიზმის ეპოქაში კვლავ დგება ყურადღების ცენტრში ტანჯული გმირის, ღმერთებთან მეზობლო ტიტანის — პრომეთეს — სახე. იგი მეტად მონუმენტურ ხორცშესხმას ლეზულობს რომანტიკულ ლიტერატურაში.

თავის დროზე ვ. კოტეტიშვილი წერდა: „პომეროსიდან მოყოლებული დღევანდლამდე პოეტური ფოლკლორი შთაგონების წყარო იყო. რაც კი რამ დაწერილა დიადი და გენიალური, სათავე ხალხური შემოქმედების წიაღში ეძებნება. ამ ფაქტის წინააღმდეგ ვერ წავა ვერც ერთი ლიტერატურის ისტორიკოსი“⁵³.

ა. ვესელოვსკი ასე აგვიწერს ეპოსის ჩამოყალიბების პროცესს ხალხურ საფუძველზე: „ეპიკური სიმღერა გამოცალკევედა, იგი ხალხში თაობიდან თაობაზე გადადის. მახლობლური ლირიკული სიმპათიები თანდათან ქრება. არ ქრება მონათხრობისადმი ინტერესი; ცოცხალ მეხსიერებას მოწყვეტილი, დაშორებული სიმღერები მეორდებიან, ისინი თავს იყრიან სიღის, ანდა ილია მურომეცის გარშემო, ანდა კულიკოვის ველის ირგვლივ. ამდაგვარი ნახევრად ხალხური, ნახევრად პიროვნული ამბავ-სიმღერები შემორჩნენ. სწორედ ისინი უნდა დადებოდნენ საფუძველად დიდ ეპოპეებს, ამასთან, ჩვენთვის სულერთია — ილიადა და ოდისეა ეწოდება ეპოპეას, თუ სიმღერა როლანდზე“⁵⁴.

ამირანის თქმულების დამუშავება მოხდა საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებში. ვეფხისტყაოსნის ავტორი მის არსებობას უკვე ადასტურებს როგორც ფაქტს. ამირანის ეპოსი დამუშავდა როგორც სარაინდო რომანი და მის ავტორად შოთა რუსთაველი მოსე ხონელს ასახელებს. მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“ ტიპიური სარაინდო რომანია, სადაც გმირი ებრძვის დევებს, ავსულებს, რაინდებს, უმეგობრდება სხვა რაინდებს, ანდა ჯერ დაამარცხებს, ხოლო შემდეგ დაუმეგობრდება, მეგობრობისა და ძმადნაფიცობის ეთიკეტი დაცულია იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს სარაინდო რომანების გმირის ეთიკა, ხოლო მიცემული სიტყვა და პირობა შეიძლება ზოგჯერ დაირღვეს კიდევ, თუ გმირი ამას საჭიროდ ცნობს, ასეთი პირობის და-

⁵³ ვ. კოტეტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

⁵⁴ ა. ნ. ვესელოვსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

რღვევას გარკვეული სიძნელენი და უბედურებანი მოსდევს... გმირი მი-
დის მზეთუნახავის საძებნელად, რომელიც უნახავად შეუყვარდება, და
რომლის მოპოვება დიდ სიძნელეებთნ არის დაკავშირებული. ყოველი სი-
ძნელე ბოლოს მაინც გადალახული უნდა იქნეს, თუნდაც ამას გმირის
სიცოცხლეც შეეწიროს... ამგვარი საკითხების მთელი წყება, რომელ-
საც „ამირანდარეჯანიანის“ სიუჟეტი წამოჭრის, ჰპოვებს სათავეს ხა-
ლხურ ამირანიანში⁵⁵, მაგრამ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“
დაკარგულია დედნის, ხალხური ამირანიანის, პოეტური მხარე, და არ-
ქაული, მითოსური პლანი. „ამირანდარეჯანიანში“ ხალხური ეპოსის
პოეზია კვდება, იკარგება გმირთა სახეების მითოსური, ლეტაებრივი
ბუნება. „ამირანდარეჯანიანი“ პროზაული რომანია. ფაქტია მსოლოდ
ერთი, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, სარაინდო რომანთა შორ-
ის, როლანდის ან სილის ეპოსზე, „ვისრამიანისა“ და „ტრისტან და
იზოლდას“ ოქმულეებებით შექმნილ რომანთა სიმადლეზე ვერ ადის.
„ამირანდარეჯანიანი“, ეს შუა საუკუნეების სარაინდო რომანების
ტიპის ნაწარმოები, თავისი მხატვრული ღირსებებით საშუალო დო-
ნეზე დგას და სრულებითაც ვერ ავლენს არქაული, მითოსური ამირა-
ნის სახის შესაძლებლობებს.

ამირან-პრომეთეს მითის ქართული, შუასაუკუნეობრივი ლიტე-
რატურული დამუშავება ოდნავადაც ვერ უტოლდება პრომეთეს ბერძ-
ნულ და ეგროპულ ვარიანტებს. ამირანის მითი ამ მხრივ ელოდება
თავის ღირსეულ ავტორს...

ქართული მითოლოგიის ამირანი ლეტაებრივი წარმომავლობის
ნიშნებს ატარებს.

ამირანი უკვდავია.

უსუსს ბეჭებშუა მზის მსგავსი ნიშანი აქვს და ბადრს მთვარის
მსგავსი. ხოლო თვით ამირანი ჰგავს შავ ღრუბელს, საავდროდ გამზა-
დებულს. ოქროს ნაწნავიანი დედისაგან, მონადირეთა მდარგელი ქალ-
ღმერთი დალისაგან მას ნიშნად ოქროს კბილი გამოჰყვა. ეს ოქროს
ნაწნავი და ოქროს კბილი, სპეციალისტების აზრით, მზის წილობის
ნიშნებია.

ამირანის ცნობილი გომია „ყორნის ნაშობია», „ორბის ლეკვია“,
მას ბეჭებზე „ორბის ფრთები აქვს“. მისი წარმოშობა მისტიკურია და
ზებუნებრივი, როგორც უძველესი მითოსური ქმნილებისა. ამირანიანის
პერსონაჟები ლეტაებრივი წარმომავლობის ნიშნებს ატარებენ.

ამირანი კეთილისათვის მებრძოლი, ლეტაებრივი ბუნების გმირია.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ყამარ — კამარ — ქეთუს მოტაცება

⁵⁵ მ. ჩიქოვანს თავის ნაშრომში „მიჯაჭველი ამირანი“ (იხ. მისი ქართული ეპო-
სი, წიგნი I. წიგნი II) ხალხური ამირანიანისა და „ამირანდარეჯანიანის“ ურთიერთ-
მიმართების პრობლემები დაწვრილებით აქვს გამოკვლეული და განხილული.

უნდა ნიშნავდეს ღვთაებრივი ცეცხლის მოტაცებას ციდან⁵⁶, ხოლო კამარის მამა ღრუბელთა მეუფის, მეხთა მტეხელი ზევსის. ორეულად ჩანს. მითის ამ ნაწილში თითქოს პრომეთეს მიერ ზეციური ცეცხლას მოტაცების ქართული ვარიანტი იჩენს თავს.

ამირანი ტანჯული გმირია, ისევე, როგორც პრომეთე, მისი ბერძნული ორეული.

ღმერთთან მებრძოლი ამირანი-პრომეთე, რომელიც კავკასიის კლდეზე მიაჯაჭვეს და რომელიც სიკეთისათვის იტანჯება, წარმოქმნის უძლიერეს მხატვრულ სახეებს მსოფლიო ლიტერატურაში.

რომანტიზმის ეპოქაში ამ სახეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

რომანტიკოსებს უყვართ კავკასიის ქედზე მიჯაჭვული ტანჯული გმირი. მათ ხიბლავთ და იტაცებთ ამ გმირის მემამბოხე, უდრეკი სული, მისი თვისებები — თავდადება კაცთა სიყვარულისათვის, უძლეველთან შერკინება და მარადიული სატანჯველი სიკეთის საზღაურად. ამ გმირის იდეით გასხივოსნებული რომანტიკოსები ქმნიან ახალ, დიდებულ სახეებს ეპოქის სულისკვეთების გამოსახატავად.

პრომეთეს თემაზე შეიქმნა შელის დიდებული დრამატული პოემა „განთავისუფლებული პრომეთე“, ბაირონის პოემა „პრომეთეოსი“, პრომეთეს სახე შესულია ჰაინეს, მიცკევიჩის, პუშკინის, ლერმონტოვის და სხვ. თხზულებებში, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, ეპოქალური პოეტური სახე.

ალ. ჭავჭავაძეს აქვს ერთი საკმაოდ ვრცელი ლექსი „კავკასია“, სადაც იგრძნობა პუშკინის „კავკასის“ გავლენა. თავის ლექსებში ჭავჭავაძე ეხება ამირან-პრომეთეს თემას. პოეტი კავკასიონის კალთების აღწერისას იხსენებს მითოსურ თქმულებას, რომ ამ მთებზე ოდესღაც პრომეთე მიაჯაჭვეს. მაგრამ ლექსი არ ისახავს მიზნად მიჯაჭვული გმირის ტანჯვათა და მიჯაჭვის მიზეზთა შესახებ მსჯელობას. ტანჯული და თავგანწირული გმირის სულისკვეთების თანამედროვეობასთან შეპირისპირება არ წარმოადგენს ალ. ჭავჭავაძის ამ ლექსის შინაარსს.

ალ. ჭავჭავაძეს პრომეთე-ამირანის მითოსური თქმულებიდან აინტერესებს კავკასიის კლდე და მისი თვისება, უძლეველობა. ღვთაებრივი გმირის პირქუში სამყოფელი, მისი მარადიული წამებისათვის განკუთვნილი კავკასიონის კლდე ზებუნებრივი ძალითაა მოსილი, იგი ხელშეუხებია და დაუძლეველია. ეს კლდე თვითონაც იქცევა მითოსურ ადგილად. თავისი ბინადარის, წამებული და განდევნილი ღმერთის წყალობით იგი უპირისპირდება ოლიმპოს მთას, გამარჯვებულ და

⁵⁶ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

ბედნიერ ღმერთთა ნათელ სამყოფელს. კავკასიონის კლდე, ამირან-პრომეთეს მითოლოგიური თქმულების მიხედვით, ისევე შეუვალია ცოცხალთათვის, როგორც ოლიმპო, იგი მაღალ ღმერთთა განმგებლობაშია და მისი ბედი მხოლოდ მარადიულ არსთა ნებას ემორჩილება.

სწორედ ეს თვისება კავკასიონის კლდისა აქვს ნაგულისხმევი ალ. ჭავჭავაძეს, როდესაც პრომეთეს მითს მოიხსენიებს.

ალ. ჭავჭავაძე წერს, რომ «სოფლის დასაბამით» განგებისაგან დაწესებული იყო ეს კლდე ხელშეუხებ და დაუძლეველ ადგილად. მაგრამ ღვთაებრივი ძალით მოსილი ადგილიც დაძლეულ იქნა. იგი გატყდა და დაირღვა, რუსეთის ჯარებმა ციციშვილის მეთაურობით აღდგეს აუღებელი კლდე და ხელშეუხებ, მითოსურ მთებზე ფართო გზები გაჭრეს.

ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეტეს დაბმულსა,
ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოკდა ვულსა, —
მთა რეცა განგებ ზღუდელ აღშენებული სალად,
დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად:
გარნა რომელს ბოლოსდა, როსს ხედარად აღზრდილი,
მიებრჯნა რა უდრეკლად მამაცი ციციშვილი;
შეიწრებულმან თერგმან კრძალვით იცნო საზღვარი
და ტინმან შარა გზათა ფართოთ განულო კარი;
შეეკრნენ ჩრდილოს ვაშტნი წიაღსა გრანიტთასა,
არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მათასა;
ფოლადნი, ქვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მჩენელნი ცეცხლთა
ჰსცემდნენ, ჰგლეჯდნენ, ქუხოდნენ. — და კავკასი მკვნესარედ
ეხოთა მიერ წყულულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!
განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.

(ალ. ჭავჭავაძე, კავკასია)

ამირან-პრომეთეს ურთიერთობის საკითხი მრავალმხრივ არის საინტერესო. ეს ინტერესი მეცნიერებაში დიდი ხანია დაიწყო. რომანტიკოსები პრომეთეს საკუთარ გმირად აღიარებენ, რომელიც შესანიშნავად გამოხატავს და ესადაგება რომანტიზმის ეპოქის სულისკვეთებას და იდეალებს. ბაირონის „პრომეთეოსი“, შელის „განთავისუფლებული პრომეთე“, რომანტიზმის ეპოქალური ნაწარმოებებია, რომელთაც თანადროული პოეზიის მიმართულებასა და ეპოქის განწყობილებებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინეს.

პრომეთეს ორეულის, ამირანის, თემატიკა და იდეალები საქართველოში უძველესი დროიდან, საუკუნეების სიღრმეებიდან მოსდევს

ერის სულიერ ძალებს. პეროიზმით და ჰუმანიზმით სავსე ტანჯული გმირის ეს მონუმენტური სახე მოუწოდებდა ქართველ ერს სიყვარულისაკენ, თავდადებისა და გმირობისაკენ, მარადიული იდეალებისაკენ. ეს მაღალი იდეალები კვებავდა ქართველი რომანტიკოსების გულს და გონებას, უკარნახებდა თავგანწირულ, დიდ ბრძოლას სიკეთის ღაღადებისათვის, რომ პრომეთე-ამირანის სიმბოლური ცეცხლი არ დამქრალიყო დედამიწაზე და ისევ მოეტანა კაცთა შორის სიყვარული და სათნოება.

კველი ქართული სასულიერო პოეზია და რომანტიზმის საკითხები

იმისათვის, რომ გავარკვიოთ ქართული რომანტიზმის საფუძვლები, უნდა მივმართოთ აუცილებლად ქართული ენის ისეთ ცნობილ და მნიშვნელოვან ძეგლებს, როგორცაა ქართული საგალთბლები, დავითნი, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები.

ქართული რომანტიზმისა და ძველი მწერლობის საკითხების შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა, მათ შორის ქართული ლიტერატურის ცნობილ მკვლევართა — კ. კეკელიძის¹, ალ. ბარამიძის², გ. ჯიბლაძის³, ა. გაწერელიას⁴, პ. ინგოროყვას⁵, გ. ქიქოძის⁶, გ. ნადირაძის⁷, გ. ასათიანის⁸, დ. გამეზარდაშვილის⁹, ა. კენჭოშვილის¹⁰ გამოკვლევები. ხსენებულ ნაშრომებში ძირითადად განხილულია აღორძინების პერიოდისა და გარდამავალი ხანის მწერალთა შემოქმედების მნიშვნელობა ქართული რომანტიზმისათვის. ხოლო ძველი ქართული სასულიერო პოეზიის როლი ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებისათვის შედარებით ნაკლებად ყოფილი კვლევის საგანი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხისადმი არ არის მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი, სადაც რომანტიზმისა და ძველი ქართული სა-

¹ კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევედა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, №3.

² ალ. ბარამიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, III, 1946; ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ VI. საიუბილეო კრებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968.

³ გ. ჯიბლაძე, ნ. ბარათაშვილი და ი. ლერმონტოვი, „მნათობი“, 1936, №№ 5, 6.

⁴ ა. გაწერელია, ბარათაშვილის პოეტიკა, „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 27; ნიკოლოზ ბარათაშვილის თემა და სტილი, „ჩვენი თაობა“, 1937, №9.

⁵ პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965.

⁶ გ. ქიქოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, — იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, თბ., 1922.

⁷ გ. ნადირაძე, პოეტი და ადამიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1938.

⁸ გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბ., 1969.

⁹ დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

¹⁰ ა. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბ., 1953.

სულიერო პოეზიის პრობლემა ძირითადი იქნებოდა. მაგრამ ამ საკითხის შესწავლას მაინც აქვს გარკვეული ისტორია. ძველი ქართული სასულიერო პოეზიის მნიშვნელობას ქართველ რომანტიკოსთათვის ეხებოდან კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, გ. ასათანი ზემოხსენებულ ნაშრომებში.

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, ევროპული მოვლენაა, იგი წარმოიშვა ევროპული ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების შედეგად. რომანტიზმის ცნობილი თეორეტიკოსები და კრიტიკოსები რომანტიზმის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევენ შუა საუკუნეების ევროპულ სამყაროს, მის დიდ პოეზიას, მის სევდას და მისტიკას. ადრეული შუა საუკუნეების სული, მისი განწყობილება და ინტერესთა სფერო განისაზღვრებოდა ერთგვარად სასულიერო პოეზიის ხასიათით, ხოლო ეს პოეზია ევროპულ სამყაროსთან ანათესავებდა საქართველოსაც, სადაც ადრეული შუა საუკუნეების პოეზია, ისევე როგორც ევროპაში, ეყრდნობოდა რელიგიურ თემებს, რომელიც იყო მისთვის მასალა პოეტური განწყობილების გამოსახატავად. საქართველოსა და ევროპაში ადრეული შუა საუკუნეების მწერლობა და პოეზია, ფილოსოფია, ეთიკისა და ესთეტიკის ნორმები გამომდინარეობდა საერთო რელიგიური თვალსაზრისიდან, მისი მორალისა და ეთიკის ნორმებიდან. ამიტომ ამ პოეზიის ხასიათი საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქრისტიანულ სამყაროში, იყო საერთო ევროპული.

პოეზიაში არსებობენ პარალელები და ძირები. განსხვავება მათ შორის დიდია. ქართული რომანტიზმის ტექსტუალური პარალელები უხვად შეგვიძლია მოვძებნოთ აღმოსავლურ პოეზიაში, მაგრამ ეს მხოლოდ ლიტერატურული პარალელებია და არა ამ პოეზიის საფუძველი, ორგანული შეხვედრა, ეს არის სამოსი პოეტური სიტყვისათვის, გარეგნული ფორმა, რომელშიაც სრულიად სხვადასხვა შინაარსი ძევს და სრულიად სხვადასხვა განწყობილება და თვალსაზრისი იგულისხმება. ასევე რომანტიზმის ეპოქის ქართული პოეზია მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლური პოეზიისაგან, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მათ შორის პარალელებს უხვად ვიპოვით — ვარდ-ბულბულიანის თემა იქნება ეს, თუ მშვენიერების მეტაფორული აღწერა, ღვინისა და ღვინისადმი ლტოლვა, რაც ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში ასე უხვადაა ნასესხები აღმოსავლურისაგან. ძალიან დიდი განსხვავებაა ბარათაშვილის ვარდ-ბულბულსა და აღმოსავლური „ვარდ-ბულბულიანის“ განწყობილებათა შორის.

პოეზიის ძირები ემყარება არა ასეთ პარალელურ ტექსტთა შედარებას, არამედ იმ ორგანულ კავშირებს, რომელიც საერთო კანონზო-

ზეიერებიდან გამომდინარეობს და რომელსაც კავშირი აქვს არა იმდენად იმხანად არსებულ ლიტერატურულ ფორმებთან და გამოთქმებთან, რასაც ახალი მიმართულება თუ განწყობილება მზამზარეულს ითვისებს ძველიდან, როგორც მატერიალურ სამოსს — არამედ პოეზიის ძირებს კავშირი აქვს ერის სულიერ ცხოვრებასთან.

ლიტერატურული პარალელები საინტერესოა თავისთავად და მას თავისი მნიშვნელობა აქვს. საინტერესოა ფრანგოლოგიური დამთხვევები, თემატიკის განმეორება, მეტაფორები, ლექსიკური დამთხვევები და სხვ. სხვადასხვა ეპოქის მწერალთა შემოქმედების შედარებითი შესწავლისას, მაგრამ ამ კომპონენტებზე დაყრდნობა ლიტერატურული მიმდინარეობის ძირების, მისი წარმომავლობის ანალიზისათვის ხშირად შეიძლება მცდარი იყოს.

ფრიალ საინტერესოა და ნიშანდობლივი გრ. ორბელიანთან მუხამბაზური თემა, ალ. ჭავჭავაძესთან ღვინისა და მშვენიერების ანაკრეონტული ხაზი, ბარათაშვილთან ვარდი და ბუღბუღი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოხატავს აღმოსავლური პოეზიის იმ სულს, რომლის ფორმა და თემატიკა გამოყენებულია ამ პოეტებთან.

როგორია ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები? ევროპულ რომანტიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, წინ უძღოდა დიდი ლიტერატურული ტრადიციები, საიდანაც იგი გამომდინარეობდა ორგანულად და ქმნიდა საკუთარ სახეს.

რომანტიზმი, ეს არის ევროპის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ლიტერატურული მოვლენა, იგი არ არის აზიური და მუსულმანური ქვეყნების ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრე. სწორედ ამიტომ მხოლოდ იმ ქვეყნებმა მიიღეს რომანტიზმი და მხოლოდ იქ შეიქმნა მისი გამომსახველი ლიტერატურული გარემო, რომელიც ერთიანი ევროპული კულტურიდან მოდის. ყველა ქვეყნის რომანტიზმი თავისებურია — რუსული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური თუ ქართული. მაგრამ ყველა ისინი ქრისტიანული სამყაროს ლიტერატურიდან და მისი მორალიდან საზრდოობენ და იზადებიან, და აქ გამოხატვისი არ არსებობს.

საქართველო თავის ლიტერატურული ტრადიციებით ევროპული ქვეყნების მონათესავეა, როგორც ქრისტიანული მორალისა და ეთიკის მატარებელი ქვეყანა. და, მიუხედავად იმისა, რომ იგი, ევროპას მოწყვეტილი, უფრო აზიურ გარემოცვაში იყო, თავისი თვითმყოფობა და კულტურა შეინარჩუნა და მტკიცედ დაიცვა თავისი მწერლობით, მორალითა და ეთიკით, რომელიც ევროპულია და არა აზიური, ქრისტიანული და არა მაჰმადიანური. რომ ეს ლიტერატურული ტრადიციები და ეს მორალი მეტად მტკიცე აღმოჩნდა ჩვენში, დადასტურდა ყველაზე მძიმე ეროვნული არსებობის პერიოდებში, როცა საქართვე-

ლომ შეინარჩუნა თავისი მორალური სახე, და ამ გზით, ეროვნული თვითმყოფობა. აღმოსავლური ლიტერატურული ტრადიციები მე-19 საუკუნეში თანდათან უფრო ფერმკრთალდება და იმარჯვებს რომანტიზმში, ევროპული საერთაშორისო ლიტერატურული მიმდინარეობა, ხოლო რომანტიზმის შემდეგ — ასევე საერთაშორისო, ევროპიდან მომდინარე რეალისტური მიმართულება.

რომანტიზმის გამარჯვებისათვის საქართველოს აღმოაჩნდა დიდი ლიტერატურული, მორალური და ეთიკური ძალა, რომლის საფუძვლები იწყება შორეულ საუკუნეთა სიღრმეში, როცა პირველი ბიბლიური წიგნები ითარგმნებოდა, იწერებოდა პირველი საგალობლები, ყალიბდებოდა ქრისტიანული მორალისა და ეთიკის ნორმები.

საქართველო მტკიცედ დაადგა ქრისტიანიზმის გზას და აღმოსავლური ქვეყნების გარემოცვაში მან სწორედ ამით შეინარჩუნა ეროვნული თვითმყოფობა, მრავალ სიძნელეთა მიუხედავად.

ქრისტიანული სამყაროს ეთიკა და პოეზია გახდა ქართული პოეტური აზროვნების შთაგონებისა და განვითარების წყარო, მისი სულიერი საზრდო, რომელმაც იგი მრავალ საუკუნეთა მანძილზე პირუთვნელად შეინახა.

ქართული პოეზია ადრე შუა საუკუნეებისა — სასულიერო პოეზიაა. ამ პოეზიის, მისი ესთეტიკის და მისი გავლენების შესწავლის გარეშე ძნელია იმსჯელო შემდგომ საუკუნეთა ქართულ პოეზიაზე, მით უფრო რომანტიზმზე, რომლის საფუძვლები ამ პოეზიის მორალსა და ესთეტიკას მტკიცედ უკავშირდება. ამ პოეზიის განხილვის გარეშე ძნელია ახსნა, თუ რატომ შეძლო ქართულმა პოეტურმა აზრმა რომანტიკული სამოსის გამოყენება და არ დაემორჩილა მოძველებულ აღმოსავლურ გარემოცვას და ტრადიციებს. საქართველო ხომ, ყველა ქვეყნებზე მეტად, სადაც რომანტიზმმა მოიღვა ფეხი, მოწყვეტილი იყო ევროპას და მის უშუალო გავლენებს ამ მხრივ.

როგორი იყო ეს ტრადიციები, როგორ პოეტურ გარემოს უმზადებდა საუკუნეთა მანძილზე მომავალს ქართული პოეტური აზრი, რით საზრდოობდა ქართველი ტრადიციულად, რით აღიზრდებოდა მისი გონება და სული, როგორი იყო ის ეთიკური და ესთეტიკური სამყარო, რომელსაც ეწაფებოდა პოეზიით გატაცებული ქართველი, როგორი იყო ის წიგნები, რომლებიც ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის სულს წვდებოდა, და მათ მამა-პაპათა მორალსა და ეთიკას ქმნიდა. ისინი ხომ ახალ ევროპულ კულტურასა და ახალ ლიტერატურულ მიმართულებას არც ისე ადრე დაუკავშირდნენ, არა ტრადიციულად, არა ოჯახიდან... ისინი ხომ ევროპულ გარემოცვაში არ აღზრდილან. ხოლო ევროპული ლიტერატურა ისევე იყო მათთვის მისაწვდომი, და არა უმეტეს, ვიდრე აღმოსავლური, აზიური ქვეყნების არისტოკრატიული

წრეებისათვის, რომელთა წარმომადგენლები ვერასოდეს გახდებოდნენ რომანტიკული პოეზიის მონაწილენი, როგორც პოეტური ნიჭიც არ უნდა ჰქონოდათ — დიდი ფირდოუსისა და ნიზამის ერის შთამომავლები. მათი რწმენა და მათი მორალი საამისო ესთეტიკურ საფუძვლებს არ ქმნიდა.

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისებაა, აგრეთვე, მისი ეროვნული უბედურების შეგნება და მით გამოწვეული სევდა. ეს ქართული რომანტიზმის სპეციფიკაა, მსგავსი პოლიტიკური გარემოება, რა თქმა უნდა, როგორც არაერთხელ აღინიშნა სპეციალურ გამოკვლევებშიც, რომანტიკულ განწყობილებას მეტად კარგად შეესაბამებოდა და ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ ნიშანდობლად იქცა. მაგრამ ეს ქართული რომანტიზმის სპეციფიკაა, რომელიც არაა დამახასიათებელი ყველა იმ ქვეყნისათვის, სადაც რომანტიზმი წარმოიქმნა. იგი რომანტიზმის წარმოშობისათვის გარდაუვალი და აუცილებელ მომენტს არ შეადგენდა და არც განსაზღვრავდა რომანტიზმის წარმოშობას, თუმცა იგი მეტად კარგად ეთვისებოდა რომანტიკული არსის ბუნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ის ქვეყანა, სადაც მსგავსი სიტუაცია და ტკივილები იბადებოდა, წარმოქმნიდა რომანტიზმს, შეუერთებდა მის საერთაშორისო ხმას თავის გმინვას. მაგრამ ასე არ მომხდარა, მრავალი დაჩაგრული და დაბეჩავებული ქვეყანა გმინავდა ტკივილებით, მაგრამ რომანტიზმს არ შეუერთია თავისი პოეტური ხმა, ასევე, ევროპის დიდი ქვეყნები, რომანტიზმის დიდი კერები არ განიცდიდნენ ამგვარ ეროვნულ ტკივილს, ნავალითად ინგლისი (არა შოტლანდია), გერმანია, რუსეთი და სხვ. — მაგრამ იმდენად ორგანული იყო რომანტიკოსთათვის ეროვნული იავესუფლებისათვის ბრძოლა, რომ დიდი რომანტიკოსი პოეტები სხვა ქვეყნებში ეძებდნენ ასეთ ტკივილებს და განიცდიდნენ ეროვნებათა უუფლებობით და ჩაგვრით გამოწვეულ ტანჯვას (მაგ. — ბაირონი საბერძნეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, და სხვ.). საქართველო განიცდიდა ეროვნულ ტკივილებს, და მისი რომანტიკოსების სევდა, ამ მხრივ, ეროვნული ძირებით იკვებებოდა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს თვისება არაა გადამწყვეტი რომანტიკული მიმართულების ჩამოყალიბებისათვის, იგი მხოლოდ ერთ-ერთი სპეციფიკური პირობაა. მაშინ როდესაც მთელი აღმოსავლეთი გმინავდა უუფლებობით, მათ ვერ გამოხატეს რომანტიკული მიმართულება თავისი პოეზიით. ასეთი მიმართულების გამოსახატავად საჭირო იყო სხვა საფუძვლები, სხვა მორალური, ეთიკური და ესთეტიკური გარემო, რაც საქართველოში, ისევე, როგორც ევროპაში — ყველგან, სადაც რომანტიზმმა მოიღვა ფეხი, — მზადდებოდა მრავალი საუკუნის

მანძილზე, ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე მისი პოეზიით, ეთიკით და მორალით.

ქართული პოეტური აზრი საუკუნეების მანძილზე, ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში, ვითარდებოდა ეკლესიასტეს, ფსალმუნის საგალობლების, წმიდათა ცხოვრებების, ბიბლიური ამბების და ოთხთავის პოეზიითა და ესთეტიკით. ეს იყო მისი შექმნის და ჩამოყალიბების აკვანი, მისი თვალთახედვის და განწყობილების განმსაზღვრელი და წარმმართველი. ასეთია ქართულ დამწერლობასთან დაკავშირებული პირველი პოეტური ძეგლები — „შუშანიკის წამება“, „აბოტფილელის წამება“ თუ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — ქართული ლიტერატურის მარგალიტები. ასეთია ქართულად ამეცხველებული „ეკლესიასტე“, „ფსალმუნნი“ და დაბადების სხვა წიგნები, რომლებიც ყველა ევროპული ქვეყნის პოეტური აზრის განვითარების და ჩამოყალიბების დედაბოძად გადაიქცა, სადაც შემდგომ მოვიდარენესანსი, და უფრო გვიან, მათსაფუძველზე — ახალი და განსხვავებული ევროპული პოეტური აზრის განვითარების საფეხურზე — რომანტიზმი, ხოლო ბოლოს — რეალიზმი.

აკად. კ. კეკელიძე განიხილავს ბარათაშვილის პოეზიაში წუთისოდელის სევდის განცდას და უკავშირებს მას ძველ ქართულ მწერლობაში ამ მოტივის არსებობას. მისი სიტყვებით: „თუ ავიღებთ უძველესი ხანის საეკლესიო სტილის მწერლობას, დავინახავთ, რომ იობის წიგნისა და ეკლესიასტეს კავშირი ლეიტმოტივია მისი“¹¹. გ. ასათიანის აზრით, „ქართული რომანტიზმის ისტორია შეიძლება დაიწყოს ძველი ქართული სასულიერო პოეზიის პირველი ნიმუშებიდან“¹².

ეკლესიასტეს თემა — ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო — წითელ ზოლად გასდევს მთელ რომანტიკულ ლიტერატურას, ქართულსა და ევროპულს, ეს არის რომანტიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თემა, მის მოტივთა ყღერადობა — პესიმიზმი, უიმედობა, ამქვეყნიური ამაოების თვითშეგნება, რომლის გამო ეკლესიასტე გოდებს, მაგრამ არაფის არ ებრძვის. რომანტიკოსების პესიმიზმი ამ მხრივ საინტერესოდ განსხვავდება მისი წინამორბედისაგან. რომანტიკოსთა პესიმიზმი ამაოების აღიარებაა და, ამავე დროს, ვერსერიგება მასთან. ეს თვისება განსაკუთრებით ნიშნეულია რომანტიკოსთა პოეზიისათვის.

ქართულ რომანტიზმში ამაოების თემა ისე ნიშანდობლივია და ისე კარგად გამოხატული, რომ ერთი თვალის გადავლებითაც უცებ

¹¹ კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 3, გვ.153.

¹² გ. ასათიანი, „მერანი“ და მისი ავტორი, თბ., 1969, გვ. 13.

ამოტივტივდებიან მისი ბრწყინვალე შედეგები ბარათაშვილთან, გრ. ორბელიანთან, ალ. ჭავჭავაძესთან. ჩვენ ამათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ და უეცრად შეიქმნება შთაბეჭდილება გრანდიოზული ტრადიციისა და დიდი ლიტერატურული შედეგებისა, რომელიც არაერთხელ დააფიქრებს წამკითხველის გონებას და გულს.

ასეთი მკვეთრად გამონათული ლექსებია ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“, „სული ობოლი“, „ეპოვე ტაძარი“, ალ. ჭავჭავაძის „გოგჩა“, გრ. ორბელიანის „თამარ მეფის სახე ბეთანის ეკლესიაში“ და სხვ.

* * *

ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო!

ეკლესიასტეს მოტივი რომანტიკოსებთან მეტად ნიშნეულია, ნიშნეულია ქართველ რომანტიკოსებთანაც. რომანტიკოსთა პესნიშიში სათავეებს იღებს ეკლესიასტეს უიმედო გოდებაში, რომელსაც არა აქვს დასასრული, არა აქვს გამოსავალი. არა აქვს ის გამოსავალი, რასაც გრძნობს „ფსალმუნის“ ავტორი, ან ქრისტიანულ საგალობელთა ავტორები.

„ამავოება ამაოთა, თქვა ეკლესიასტე, ამავოება ამაოთა, ყოველივე ამავო, რად უმეტესობა კაცისა ყოველსა შინა შრომასა მისსა, რომელ შტრების მზესა ქტშე, ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქტშყანა ჰვიეს უკუნისამდე...“

მე ეკლესიასტე მეფე ვიყავ ისრაელსა ზედა, იერუსალმსა შინა, და მივეც გული ჩემი რომელ გამოძიებად და განხილვად სიბრძნით ყოველთა თუს ყოფილთა კაცთა ცათა ქტშე, რამეთუ ზრუნვა ბოროტი მოსცა ღმერთმან ძეთა კაცთა მიმოტაცებად მას შინა, ვიხილენ თანა ყოველნი ქმნულნი ნაქმარნი მზესა ქტშე, და აჰა, ყოველი ამავობა¹³.

მეფეთა წიგნი აღიარებს სოლომონს ყველაზე ძლიერ და ყველაზე ბრძენ მეფედ, რომლის ბადალი არ უხილავს აღმოსავლეთს, და თვით ეგვიპტეს¹⁴. ეკლესიასტესათვის არ არსებობს აუსრულებელი სურვილი, არ არსებობს დაუძლეველი მტერი, და სიბრძნე, დაფარული მისი გონებისათვის. და ყოველივე ამაოა!

„ვანვადიდენ ქმნულნი ჩემნი, აღვიშენენ ჩემდა სახლნი, დავნერგენ ჩემდა მტილნი და სამოთხენი, და დავნერგენ მათ შინა ხენი ყოვლისა ნაყოფისა... მოვიგენ მონანი და მხვეალნი, და სახლის წულნი

¹³ „ეკლესიასტე“, თ. I, დაბადება. წიგნი II, თბ., 1884.

¹⁴ დაბადება, წიგნი II, მეფეთა წიგნი, თ. 3.

იყვნეს ჩემდა მრავალ უმეტეს ყოველთა პირველ ჩემსა ყოფილთა, იერუსალჴმსა შინა, და შევიკრიბე მე ვერცხლი და ოქრო, და სიმდიდრე ზეფეთა და ქჴმცყანისა,... და განვადიდენ და შევიძინე სიბრძნე უფროს ყოველთა მყოფთა პირველ ჩემსა იერუსალჴმსა შინა, და სიბრძნე ჩემი დავადგინენ ჩემდა. და ყოველი, რომელი ითხოვეს თვალთა ჩემთა, არა დავაკლე მათგან და არა დავაყენე გული ჩემი ყოველისაგან სიხარულისა ჩემისა, რამეთუ გულმან ჩემმან განიშუნა ყოველსა ზედა შრომასა ჩემსა, და მოვიხილე მე ყოველთა ზედა ნაქმართა ჩემთა, და რუდუნებისა, რომელ ვირუდუნე ქმნად და აჰა, ესეცა ამავე“¹⁵.

უსასრულოა ეკლესიასტეს სევდა: არა აქვს აზრი არც სიმდიდრეს, არც მეფობას, არც ძალას და არც თვით სიბრძნეს და მეცნიერებას, — ვინც შეიძინა ცოდნა, „შეიძინა ლმობა“.

რადგან — არაფერია ახალი ამ ქვეყნად, ყველაფერი იყო და ყველაფერი იქნება, და არა აქვს დასასრული ამ წრეთა ტრიალს, როგორც არა აქვს დასასრული ბრუნვას მზისას, წყალთა დინებას და ქართა ქროლვას, რომელიც უბრუნდება მარად და მარად კვლავ თავის საწყისს. რადგან, — „აღმოცდების მზე და დაცდების მზე; და ადგილადვე თვსდა მიიზიდავს, ესე აღმოაბრწყინვებს მუნ, მოვალს სამკრითკერძო და გარე მოვალს ჩრდილოთ კერძო. გარემოს გარე მოვლით ვალს სული, და სიმგრვლესა თვსსა გარე მოიქცევის სული, ყოველნი ღვარნი შესდიან ზღჭასა შინა და ზღჭა არა არს აღვსებულ, ადგილსა ზედა სადაცა ღვარნი მივლენ, მუნცა იგინი მიიქცევენ მისლვად...“

და არა რაჲ არს ყოველივე ახალ მზესა ქჴმცე, რომელ აღმოიტყვს და ოქჴას, აჰა, ესე ახალ არს. აწ იქმნა საუკუნეთა შინა წინადასწარ ჩჴმცნისა. არა არს ვსენება პირველთა, და უკანადასკნელთა ქმნილთა; არა იყოს მათდა ვსენება ყოველთაჲ ქმნილთა უკანადასკნელ“¹⁶.

უსასრულოა ყოველი და განმეორებადი, და არ არსებობს მარადიული არც თუ ხსოვნა. ყველაფერი წარმავალია, რადგან. — „ძალდი ცოცხალი იგი უფრომს ლომისა მკჴდრისა“, ყველაფერი ერთიანდება ერთი დასასრულით, — არარაობით, დავიწყებით, ამაოებით.

მერე რა, თუ უძლიერესი ვიყავ ხელმწიფე, — წერს ეკლესიასტე, — ვინ იცის, ვინ მოვა ჩემს შემდეგ, ვინ დაეუფლება ჩემს ნაღვაწს და ნაშრომს, გაიგებს, თუ არა ჩემს სიბრძნეს და ჩემს საქმეს, რომელსაც მოელის იგივე დასასრული, რაიც ყველაფერს მზის ქვეშეთში, — დავიწყება და განადგურება, არარად ქცევა, — ამაოება ამაოთაჲ.

ყველაფერს დრო აქვს და ყველაფერი წარმავალია, ბედნიერება, სიცილი, მხიარულება და მწუხარება, გლოვა და სილატაკე, ავადმყო-

¹⁵ „ეკლესიასტე“, თ. I.

¹⁶ „ეკლესიასტე“ თ. 1.

ფობა, განშორება, დუმილი და უბედურება, ბრძოლები, ძიებები და სიმდიდრე, სიყვარული და სიძულვილი, ბედნიერება და უბედურება, მშვიდობა და ბრძოლა — ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველაფერი ამოაო:

„ყოველთავე ჟამი, და ჟამი ყოვლისა ნივთისა ცათა ქტჭშე. ჟამი შობად და ჟამი სიკუდილად, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხურად დანერგულისა. ჟამი წყლულად და ჟამი კურნებად... ჟამი ტირილად და ჟამი სიცილად, ჟამი გოდებად და ჟამი განცხრომად. ჟამი განყრად ქუათა და ჟამი შეკრებად ქუათა, ... ჟამი სიყუარულისად და ჟამი სიძულვილისად, ჟამი ბრძოლისად და ჟამი მშვიდობისად“¹⁷.

ესე ყოველი დააწესა შემოქმედმა და მას ვერ შეცვლის ვერაფერი, მისი ნებაა მხოლოდ მარადიული ამ ცვალებადში¹⁸, ხოლო დანარჩენი წარმავალია.

მზის ქვეშეთში ყოველივე ამოაო. და, ვინაიდან ბოროტება დიდი უბედურებაა, უნდა შევეცადოთ კეთილი ვიყვეთ, ერთადერთი, რაც ჩვენ ხელთაა. უბედურია კაცი, რომელმაც დიდი სიმდიდრე შეიძინა და დიდხანს იცხოვრა, მაგრამ ვერ გაძღა გული მისი. მასზე ბედნიერია ყველა გლახაკი, რადგან, ვინ იცის, რაა უმჯობესი კაცისათვის ამოებით სავსე ცხოვრების გზაზე? ათასი წელიც რომ იცხოვრო, მაინც სიკვდილი მოვა, და მით გასწორდება ყოველივე¹⁹.

ამიტომ, კეთილი ხაქუ და კეთილი სახელი უმჯობესია ყოველგვარ ძვირფას ნელსაცხებელზე, — „კეთილ არს სახელი უფროს ზეთისა კეთილისა და დღე სიკუდილისა უფროს დღისა შობისა მისისა. კეთილ არს სლვად სახლსა შინა გლოვისასა, ვიდრე სლვად სახლსა შინა სუმისასა: ვინათგან ესე აღსასრული ყოველსა კაცისა და ცოცხალმან მისცეს გულსა შინა მისსა. კეთილ არს გულსა წყრომა უფროს სიცილსა, რამეთუ შეჭმუნეასა შინა პირისასა ისანატრელოს გული. გული ბრძენთა სახლსა შინა გლოვისასა, გული უგნურთა სახლსა შინა სიხარულისასა“²⁰.

მე, ეკლესიასტემ ვეძიე სიბრძნე და ვეძიე კაცი შეფუცდომელი, მაგრამ ვერ ვიხილე. არ არის კაცი დედამიწაზე, რომელიც სიკეთეს ჩადის მხოლოდ და არასდროს ცოდავს.

„ყოველივე ვიხილე დღეთა შინა ამოებასა ჩემისასა, არს მართალი წაწყმედილ სიმათლესა შინა თუსსა, და არს წმიდა გებული სიბოროტესა შინა თუსსა“²¹.

¹⁷ „ეკლესიასტე“, თ. 6.

¹⁸ იქვე, თ. 7.

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

²¹ იქვე.

რა უნდა ქნას კაცმა ამ უსაშველო, უსასრულო და უბერუდ ყოფაში, ამო ცხოვრებაში? — აყენებს საკითხს ეკლესიასტე, — ერთადერთი, რაც შეუძლია კაცს, და რაც მის ხელთაა, ეს არის სიმართლის გზით სიარული, რადგან ყოველგვარი ფუფუნება, სიხარული, ძალა, სიბრძნე და მეცნიერება განმეორებადია, ცვლადი და ამო, რადგან ყველაფრის ზოლო სიკვდილია და დავიწყება. არაფერია მარადიული, არც სიჭაბუკე, არც ახონება, არც სილამაზე, არც ძალა და არც მეცნიერება, — ბევრ გამოძიებას ბევრი შეცდომები მოსდევს. „და განაგდე გულს წყრომა გულისაგან შენისა, რამეთუ სიჭაბუკე და უგუნურება არაა არს“²².

„ფრიად იძია ეკლესიასტე, რომელ პოვნად სიტყვათა ნებისათა, და დაწერილთა სიწრფოებისა, სიტყვათა ჭეშმარიტებისადა. სიტყვათა ბრძენთანი, ვითარცა კარის საკუჭთელნი, და ვითარცა სამსჭვალნი განმსჭვალულნი, რომელნი შეწყობილებისაგან მოეცნეს მწყემსისა ერთისაგან, და მრავალნი მათგან შეილო ჩემო განეკრძალე; ქმნად წიგნთა მრავალთა არა არს დასრულება, და სწავლა მრავალი შრომა არს ჯორცთა. დასასრული სიტყუსა ყოველი ისმინე: ღუთისა გეშინოდენ და მცნებანი მისნი დაიცვენ, რამეთუ ესე ყოველსა კაცსა“²³.

და როცა მოვა აღსასრულის დღე, იყავ ნართალი, ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტება და ერთადერთი ხსნა, რაც ჩვენ ხელთაა, სხვა ყველაფერი ამოა, ხოლო ვიდრე ხარ ჭაბუკი ძალ-ლონით სავსე, ვიდრე შენი სიხარული არ დალეულა, არ მოახლებულა ჟამი შენი დატარებისა, გახსოვდეს ბოლო დღე, და აღსასრული, რომელიც გარდუვალია და სევდით მოსილი. იყავ მზად ამ დღისათვის, დაიმარხე გულსა და სულში სიმართლე, რომელიც მხოლოდ ღვთაებრივია, რომ მის სამსჯავროს წარუდგე მართალი²⁴. სხვა ყველაფერი ამოა და საშინელი და სევდის მომგვრელი თავის წარმავლობით, დავიწყებით, აუცილებლობით, ბოლო დღის გარდუვალობით. ყოველივე ამოა ამ ქვეყნად!

ყოველივე ამოა ამ ქვეყნად! — მაღალი პოეზიით ნათქვამი ეს სიტყვები გადასწვდა საუკუნეების სივრცეებს და თქვა თავისი სევდიანი საგალობელი. მისი უოერადობა, უკვდავი პოეზიის სიმართლე, ანათებენ ბრწყინვალე პოეტურ სტრიქონებს სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა ხალხებში, სხვადასხვა ლიტერატურულ ტენდენციებში. ქართველ რომანტიკოსთა შორის ამოების თემა, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, გავრცელებულია და მიღებული. ამ თემას განეკუთვნება დიდ ქართველ რომანტიკოსთა ბრწყინვალე ლექსები, მათ შო-

²² იქვე, თ. 11.

²³ „ეკლესიასტე“, თ. 12.

²⁴ იქვე.

ჩის ბარათაშვილის „ნაპოლეონ“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „გოგჩა“, — ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შედეგრი, გრ. ორბელიანის — „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

ბარათაშვილი, პიროვნება და პოეტი, ბედისწერასთან მოსაუბრე პირველად წარმოგვიდგება ლექსით „ხმა იღუმალი“. პოეტი გრძნობს თავის პიროვნულ, განსხვავებულ დანიშნულებას, და თუმცა არ იცის კეთილია თუ ბოროტი, ბედნიერია თუ სევდიანი ეს მომავალი, მაგრამ მზად არის წინ აღუდგეს გამოუცნობ ბედს. ამ ლექსში პირველად ისმება ზეძალებით შთაგონებული პიროვნების ხვედრის არსებობის საკითხი, რომლის ძალა პოეტმა იგრძნო საკუთარ თავზე, საკუთარი ცხოვრების მომავალი გზების ძიებათა სფეროში.

ამის შემდეგ იგი მრავალჯერ დაფიქრდება პიროვნებათა, ადამიანთა წარმავალ ცხოვრებაზე და მათ ბედზე. განმარტოებულს, წყლის ტალღათა მარადიულად მჩქეფარე ზვირთების მზირალს, მას კვლავ და კვლავ წარმოუდგება ადამიანთა ცხოვრება, პიროვნებათა ბედი, ყოფიერების ამოება და ძლიერ სულთა და ძლიერ ხელმწიფეთა ამო შრომა, ამო სურვილი — შეცვალონ რაიმე ბედის მარადიულ საბრძანებელში, სადაც ყოველივეს ელოდება საკუთარი ხვედრი — წარმავალი დიდების მტკვრით დაფარვა. ადამიანთა ცხოვრებას განაგებს ბედი, იგი ქმნის მათ დიდებას და იგი ანგრევს მათ აშენებულ სახელმწიფოებს, მათ აღესაბამებელ სურვილებს მტვრად აქცევს.

ასეთი განწყობილებითაა დაწერილი ლექსები — „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“.

ბუნების წიაღში განმარტოებულს, წყნარად მოდუღუნე ზვირთების მარადიული დინების ხმაში, პოეტს მოერევიან ფიქრები წუთისოფლის ამოებაზე, ადამიანთა წარმავალ დიდებაზე, დაუკმაყოფილებელ სურვილებზე, კაცთა ხვედრის უდრტვინველ ძლიერებაზე:

არ ვიცი, ამ ღროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოება?...
მანც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?

თითქოს „ეკლესიასტეს“ ძირითად საკითხს და მის მარადიულ სევდას ხმას უერთებს რომანტიზმის ეპოქის დიდი პოეტი.

ბარათაშვილის წინაშე დგება ყოფიერების მარადიული პრობლემები. ადამიანთა სურვილების დაუკმაყოფილებლობა და ყოველ აღსრულებულ სურვილთა ამოება. უმადლესი ხელმწიფენიც კი, უმდიდრესნი და უძლიერესნი, არასოდეს კმაყოფილდებიან მოპოვებულ დიდებით და ძლიერებით, მათ უნდათ მეტი, უნდათ მეორე, კიდევ

სხვა, და ასე დაუსრულებლად. ისინი ეომებიან ერთმანეთს, წაართმევენ, მოიპოვებენ ახალ დიდებას და მოკვდებიან ამ სურვილისთვის. მოკვდებიან იმ მიწისათვის, რადაც უნდა დღეს თუ ხვალ თვითონ გადაიქცნენ! აქ წამოიჭრება დიდი, მტკივნეული საკითხი, რომელიც ასე აწუხებდა ყველა რომანტიკოსს — და რომელიც აწუხებდა „ეკლესიასტეს“ ავტორს, — საკითხი ადამიანის წარმავალი არსებობისა, მიღწეულის წამიერყოფისა და აუცილებელი ნგრევისა და განადგურებისა.

მსგავსი სურათი ადამიანური ცხოვრების და დიდების წამიერყოფის, ბედის ცვალების და ამო ბედნიერების მსხვრევისა წარმოსახა ქართული რომანტიზმის მეორე დიდმა წარმომადგენელმა — ალ. ჭავჭავაძემ ლექსში „გოგჩა“. ნიშანდობლივია, რომ ეს ლექსი ბარათაშვილის ლექსზე ოთხი წლით გვიან დაიწერა („ფიქრნი მტკვრის პირას“ დაიწერა 1837 წ., ხოლო „გოგჩა“ 1841წ.). უფროსი თაობის წარმომადგენელი, ქართული საზოგადოების ცენტრალური ფიგურა და იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული პოეტი ალ. ჭავჭავაძე ახალგაზრდა ბარათაშვილის განწყობილებათა გავლენებს აშკარად განიცდის.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების შედეგრი და ქართული პოეზიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ლექსი „გოგჩა“ სრულყოფილი და დახვეწილი ფორმით წარმოსახავს თავისი საუკუნის რომანტიკულ განწყობათა პრობლემას, ამოების ტრაგიზმს.

მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი,
სამგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა,
სად ჰყავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა, —

ჰმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ.
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა
თვალთა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!

სურათი თანდათან უფრო მკვეთრდება და წარმოსახებიან ციხე-დარბაზთა მშენებლები, ვაჭრები, ლაღად მონავარდუ ჭაბუკ-მხედარნი, გეფენი, რისხვითა და წყალობით მოცულნი, მშენიერი ბანოვნები, იოსეირნენი წალკოტთა შორის...

აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;

აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანერთთა.

...და ყველაფერი ამოა, ყველაფერი იყო და აღარ არის, გაქრა
დროის სასტიკი ხელით, მოისპო და განადგურდა. აი, მომავალი
ჩვენი —

მკრამ რა!?!... დროსა მსრველის ცელით, ყოელთა წარწყმედით,
ციურთა მჯობნი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

— ამბობს პოეტი. აი, ბედი და ჭეშმარიტი დასასრული ადამი-
აწური არსებობისა, ბრწყინვალეებისა, დიდებისა, ფუფუნებისა, ადამი-
ანის შრომისა და ცდილობისა.

ძველებურად აღელვებს ტალღებს მხოლოდ გოგჩა, და ძველე-
ბურად აწყდება ნაპირს, იმავე მთებში ჩაძირული, იმავე ლაყვარდი
ცის ქვეშ მდებარე. იგი ირეკლავს მარადიული ბუნების სურათს და
ეხმიანება დროთა ბრუნვას, როგორც საუკუნეთა წინათ, თვითონ უც-
კლელი.

„ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქჷცყანა ჰგიეს
უკუნისამდე. აღმოკდების მზე და დაკდების მზე, და ადგილადვე
თუსდა მიიზიდავს ...“ — ამბობს „ეკლესიასტეს“ ავტორი. მხოლოდ
ბუნება არის მარადიული, სხვა ყველაფერი ცვალებადია, წარმავალი,
რასაც ნგრევა და განადგურება მოელის. ამიტომ არის სევდა მარა-
დიული ქვეყნად.

შატობრიანი, შეძრწუნებული ვეზუვის ვულკანის ნახვით გამო-
წვეული შთაბეჭდილებებით, ფილოსოფიურად დაფიქრებული ადამი-
ანთა დიდების წარმავლობაზე, წერს; „რას ნიშნავს მთელი ეს სამეფო-
თა გადატრიალებანი ბუნების ამ მოვლენის გვერდით, რომელიც სა-
ჩეს უცვლის დედამიწასა და ზღვას? რამდენად უფრო ბედნიერნი იქ-
ნებოდნენ ადამიანები, რომ ამდენ დროს არ ხარჯავდნენ ერთმანეთის
ტანჯვისათვის. ერთხელაც არ გაუხსნია ვეზუვის თავისი საშინელი
უფსკრულის ხახა ქალაქების ჩასანთქმელად ისე, რომ ადამიანთა შო-
რის არ წასწყდომოდა სისხლისა და ცრემლის ღვარს — ურთიერთ
შორის შულლით გამოწვეულს. როგორია ადამიანთა არსებობის პირ-
ველი ნიშნები, რაიც იმ ვულკანის ჩამქრალ ფერფლში იხილეს?
საწამებელი იარაღები და ბორკილგაყრილი ჩონჩხები“²⁵.

ადამიანი მოკვდავია, და რაც არ უნდა აკეთოს მან, სულერთია,
ყველა მის ამქვეყნიურ საქმეს განადგურება ელის. თუ ასეა, იქნებ
არც ღირდეს ადამიანის ყოფიერება, რადგან ასე უცნაურადაა შექმ-
ნილი ცხოვრების კანონები, და არ ძალგვიძს ბრძოლა მასთან და რაი-

²⁵ Ш а т о б р и а н Р. Воспоминания, в 2-х ч., М., 1817, ч. I, с. 53.

ნეს შეცვლა? — ეს შეცვლა ცხოვრებისეულ კანონთა, მის ზღუდეთა გადალახვა და დიდი თავგანწირვა მოვა ოდესმე ავტორთან ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირას“. იგი დაანგრევს ყოფიერების კანონთა ამაოების სახეს, პოეტმა იცის და გრძნობს, რომ ამაოების შეცნობით არ უნდა გათავდეს ადამიანის სურვილი და მისწრაფება, მან უნდა მომავალში იხილოს ახალი და უცხო ცხოვრება. ბარათაშვილის პოეზიაში ამ იდეის ყველაზე სრულყოფილი ხორცშესხმაა „მერანი“. ამ სიახლისა და შებრძოლების სურვილით, ამ პროტესტის გრძნობით და თავგანწირვით რომანტიკოსთა პესიმიზმი მკვეთრად განსხვავდება „ეკლესიასტეს“ უიმედო მისტიკისაგან.

იმ წარმავალი დიდებით შემოსილ (რომელიც ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ წარმოსახა პოეტმა) ბედისტრიალით აშენებულ და დამსხვრეულ ხელმწიფეთა კონკრეტულ და ბუმბერაზ ფიგურას სედავს ბარათაშვილი ნაპოლეონის პიროვნებაში. ეს ის დიდი პიროვნებაა ის ძლევამოსილი ხელმწიფე, რომლის ბედი და ცხოვრების კანონთა ტრიალი დააფიქრებდა წყლის ტალღათა მარადიული დინების ხმაში ფილოსოფიურად განწყობილ პოეტს. ეს ნაპოლეონია, ძლევამოსილი და ბედის ბრუნვით განდიდებული ხელმწიფე, უდიდეს საქმეთა შემოქმედი, მაგრამ კიდევ უფრო დიდ სურვილთა და მისწრაფებათა მქონე, — მისწრაფებათა, რომელსაც დედამიწა ვერ დაიტევს და ვერ გაუძლებს თავისი კანონთა რიგით.

მაგრამ მე გვაშში სული ვერლა მომთავსებია!
მითხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;
ჟამი ჩემია, და ჟამისა მე ვარ იმედი!

საოცარი სინათლით დახატა პოეტმა დიდებული და პატივმოყვარე ხელმწიფის სულის ლტოლვა, მედიდური გულის წადილი. ეს სურვილია ამავე დროს რომანტიზმის დაუკმაყოფილებელი გმირის მისწრაფება, რომელიც ბედისწერას მიჰყვება და, რომელსაც ამ ქვეყნად საკუთარი ხვედრი და სურვილები ყველა კანონთა მალლა დაუსახავს. ამ სურვილებს არა აქვს საზღვარი, არა აქვს ზღუდე და არასოდეს უწერია აღსრულება.

თვითონ სამარეც მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!

ნაპოლეონი, ასეთი საინტერესო და სასურველი გმირი რომანტიკოსი ავტორთათვის, ასეთი საინტერესო თავისი სულიერი მისწრაფებებით და საქმეებით, ასეთი ბუმბერაზი, ასეთი თავისებური, კაცთა შიმართ დანაშაულებითა და ამავე დროს სიკეთით სავსე, პატივმოყვა-

რე და ძლიერი, ბედის ბრუნვის დიდებული ქმნილება, ძლიერი და დამარცხებული, ჩვენი პოეტისათვის წარმოადგენს ბუმბერაზს, კოლორიტულ პიროვნებას, ღირსეულს თავისი დამარცხებითაც, თავისი დიდი სურვილებით და დიდი, ყოფიერების კანონებში დაუტყვევლი ცხოვრებით.

ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვსცნათ ჩვენ მისი!
თვითონ სიკვდილიც მას უებრად აღმოგვიჩინებს;
დამქრალი ცეცხლი და ზღვის დღევა წარმოგვიდგინებს
მის ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს!

ბარათაშვილისათვის ნაპოლეონი არის დიდი პიროვნება. პოეტმა შესანიშნავად დაინახა ის დამახასიათებელი და საინტერესო თვისებები, რომლებიც ამ საკვირველი ცხოვრების მქონე და საოცარი საქმეების ჩამდენ ხელმწიფეს გააჩნდა და ესოდენ განახსნავებდა ჩვეულებრივი ხელმწიფეების და ადამიანების წრისაგან; დაინახა, ამავე დროს, ის ზოგადადამიანური, რაც ყველაშია მოკეპული და ვერ პოვებს გამოვლენისათვის ვერც გზას და ვერც ძალას. იგი ბუმბერაზი და ძლიერია თავისი დამარცხებითაც — ასე გაიგო ნაპოლეონის პიროვნება პოეტმა. ძნელია მისი სულის და საოცარი გულის ლტოლვის ახსნა, ბუმბერაზი სიკვდილშიაც, იგი დიდი, დამქრალი ცეცხლია და აღელვებული, უშველებელი ოკეანე, იგი არის ადამიანთა შორის მოვლენილი საკვირველება.

პოეტი, აღფრთოვანებული და შთაგონებული ნაპოლეონის პიროვნებით, წარმოსახავს მის ბუმბერაზ ფიგურას და იძლევა განზოგადებულ, დიდებულ სახეს დიდბუნებოვანი პიროვნებისას და გმირასას, რომლის ცხოვრება და ყოფიერება ბედისწერისა და ჟამის შეუსაბამო ჭიდილში უნდა დაიმსხვრეს, იმ ბედისწერის, რომელმაც მხოლოდ ღალატი და გაწირვა იცის. ასე მოხდა, და ასე უნდა მომხდარიყო, რადგან წუთისოფელი ამაოა, იგი გააქრობს უდიდეს სახელმწიფოებს, დაამარცხებს უდიდეს ხელმწიფეებს და მის ძლიერ, გარდაუვალ კანონთა სისასტიკეს ვერაფერი შეცვლის. ასეთია ბარათაშვილის მიერ გაგებული ბედის ამოება ლექსში «ნაპოლეონ».

ასე განიცადეს ბედისწერის ამოება რომანტიკოსებმა, და ასევე განიცადა იგი ბარათაშვილმა, რომლის მსოფლმხედველობას და პოეტურ მრწამსს, ისევე როგორც, საერთოდ რომანტიკულ ლიტერატურას, კვებავდა „ეკლესიასტეს“ მრავალსაუკუნოვანი სევდა: «ყოველთავე ჟამი, და ჟამი ყოვლისა ნივთისა ცათა ქტუშე, ჟამი შობად და ჟამი სიკუდილდ, ჟამი დანერგვად და ჟამი აღმოფხურად დანერგულია...»²⁶

²⁶ „ეკლესიასტე“, თ. 3.

ბარათაშვილისათვის უდიდესი უბედურება იწყება უდიდესი მარტობით, რომელთან შედარებით, პოეტის გაგებით, არაფერია ადამიანთა დაკარგვით გამოწვეული მარტობა და ტკივილები, რადგან ამ ტკივილებს პოეტი შველის სამყაროს კანონთა ფილოსოფიური განსჯით და მომავლის რწმენით, მაგრამ სულის მარტობა არის უდიდესი მარტობა, უიმედო სატკივარი, რაც განსახიერებულია ლექსით „სული ობოლი“.

პოეტი სულით მარტობაში განიცდის უდიდეს უბედურებას, იგი არის სასომხიდილი და შეძრწუნებული ამ მარტობით და ერთადერთ შვებად მხოლოდ ოხვრა-გოდება ეხატება.

„ადამიანო — შენ მხოლოდ წამიერი სიზმარი ხარ, სნეული ოცნება, და თუკი ამქვეყნად შენ რაიმეს წარმოადგენ, მხოლოდ შენ სულიერ ტანჯვათა და სევდიან ფიქრთა შემწეობით!“ — წერდა შატო-ბრიანი რომანტიზმის გარიჟრაჟზე.

ხოლო ბარათაშვილი წერს —

ძნელი არის მარტობა სულისა;
მას ელტიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

ასეთ სახეს იღებს ბარათაშვილის ლექსით ამეტყველებული პიროვნების დიდი სევდა, რომელიც რომანტიკოსთაგან ასე შესანიშნავად განიცადა მრავალმა დიდებულმა და ცნობილმა პოეტმა. ბარათაშვილო არაგისაგან არ სესხულობს ფორმას თავის სულიერ განწყობილებათა გამოსახატავად, იგი თავისთავად მოდის, როგორც ორგანული და აუცილებელი, როგორც მისი სულის განწყობათა გამომხატველი საკუთარი ფორმა და მისი ნათესაობა რომანტიზმის ამ დიდ კორიფეებთან არის ნათესაობა სულიერი, ორგანული და ნამდვილი.

არა მარტო ამაოების თემაა ეს ნიშანსვეტი, რომელიც ძველი აღთქმის წიგნებიდან მომდინარე კვებავდა ქრისტიანული სამყაროს პოეზიას, რომელმაც თავისი განვითარების სხვადასხვა სახეცვლილებებით გამოიარა სქოლასტიკის ეპოქა, რენესანსი, რომანტიზმი.

ამაოების თემის უიმედობა და ტრაგიკული განცდა ამქვეყნიური ყოფიერებისა, მისი ზღვარდაუდებელი ტკივილი და გოდება, რომელიც შემდეგში ასე კარგად გამოხატა რომანტიკულმა განწყობილებამ, ახალი აღთქმის წიგნებში პოეტს იმედს, ნათელ სვეტს, რომ ამ ტკივილების მიღმა არსებობს სიხარული და მარადიული ნეტარება კეთილ სულთა სამარადისო სამყოფელში. ტრაგიზმი პოეტს სასოებას. ტკივილები — დაამებას, წყვდიადი და ეკლიანი გზა — ტანჯვის გზა

მართალთა, — სინათლეს და ბრწყინვალეობას, მარადიულ ზეიმს, შფოთვა და ტკივილები — მარადიულ დამშვიდებებს და საღმობათა დაამეზას. კაცობრიობის მაძიებელ სულს სჭირდებოდა ეს ვნებათა და ჭირთა დამამშვიდებელი ნავთსაყუდელი, და მან იგი იპოვა. მაგრამ უფრო აღრე, სანამ ახალი აღთქმის წიგნები დაიწერებოდა და ახალ რელიგიაში კაცობრიობა პოვებდა ამ სიხარულს და იმედს, არსებობდა „ფსალმუნნი“, რომელიც ქადაგებდა მარადიულ ნეტარებას ღვთაებისთან კავშირში, თუმცა მას არ გააჩნდა ახალი რელიგიის ჩამოყალიბებული კრედო, ჩამოყალიბებული სისტემა იმ მოძღვრებისა, რომელსაც უნდა მოეჩანა ამოების იქით კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ტკივილთაგან ხსნისა და იმედის სხივი.

ებრაელთა ბიბლიური მეფის — დავითის—საგალობლები არის ვედრება ღვთისადმი, და ეს ვედრება არის არა მარტო ტკივილებით საგსე, არამედ კაცობრიობის ტკივილებზე ზეასული, იგი არის სულის ნეტარება და რწმენა სულიერ საღმობათა დაამეზისა, რომელიც მხოლოდ ღვთაებასთან, უდიდეს სიკეთესთან საუბრით და აღსარებით მოიპოვება.

შემდგომმა კაცობრიობამ დავითის ტკივილები და იმედები მიიღო, როგორც სულის სიმშვიდე და მარადიული სიკეთის დიდი იმედი, რომელიც ფარავს ამქვეყნიურ ამოებას და მის ტკივილთა უსაზღვროებას. ამ ტკივილებს იგი დაუდებს საზღვარს დიდი სიკეთის არსებობაში — ვედრებითა და სულის განწმენდით.

„2. ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე რაასთვის დამიტყვევ მე? შორს არიან ცხოვრებისა ჩემისაგან სიტყუანი ბრალთა ჩემთანი.

„3. ღმერთო, ღმერთო ჩემო, დღისი ვმა ვყავ შენდამი და არა ისმინე ჩემი; და ღამე და არა იღუაწე ჩემთვის.

8. ყოველნი, რომელნი მხედვიდეს მე, მეკიცხევდეს მე, იტყოდეს ბაგითა და ხრიდეს თავთა.

9. ესვიდა უფალსა, ივსენინ იგი, რამეთუ ჰნებავს იგი.

11. ...ღმერთი ჩემი ხარი შენ, ნუ განმეშორები ჩემგან, რამეთუ ჭირი მახს მე.

12. და არავინ არს, მწე ჩემდა“²⁷.

დავითის საგალობელთა უკვდავება და დაუცხრომელი ინტერესი მათდამი განაპირობა მისმა დიდმა მხატვრულობამ. საგალობელთა მაღალი პოეზია და მისი უმაღლესი იდეალი მარადიული საზრდო აღმოჩნდა მომავალი კაცობრიობისათვის. იგი ასაზრდოებდა არა მარტო

²⁷ ფსალმუნნი, № 21, თბ., 1960.

ებრაელ ხალხს უძველესი დროიდან, ხოლო შემდგომ — როგორც წმინდა წიგნის ნაწილი, — ქრისტიანული მოძღვრების მიმდევარ რელიგიურ სფეროებს, არამედ ყველა მაღალ პოეზიას, რომელიც ამ რელიგიის მორალისა და ესთეტიკის განზიარებელი შეიქნა.

საგალობელთა ავტორი ახალი აღთქმის მიმდევართა მიერ აღიარებული იქნა, როგორც წინასწარმეტყველი, ხოლო მისი „ფსალმუნნი“ — როგორც წინასწარმეტყველური საგალობლები ღვთაების მოვლინების და მისი სიკეთის შესახებ.

„1. ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უმჯულოთასა არა დაჯდა“²⁸, — წერს „ფსალმუნის“ ავტორი. ეს არის „ფსალმუნის“ ძირითადი ღერძი, მისი მორალური კრედო, მისი ამოსავალი.

ღვთაების მოწოდებით და მისი ნებით დაიპყრო ტახტი ებრაელთა მეფე დავითმა, ღვთაებისავე შეწევნით დაამარცხა მან მტრები, რადგან მისდევდა მის მცნებას და სულიერ ტკივილებს მიაწოდებდა მას, რათა გამძლავრებულიყო სიმართლის ღაღადისი დავითის ხელით, აღსრულებულიყო ღვთაებრივი ნება მისი ძლიერებით. ხოლო მტერი იყო ფრიცხვი და დაუსრულებელი, ასე აღიარა დავითის მეფობა და ძლიერება მისმა ერმა, და შემდგომ — მომავალში ქრისტიანულმა კაცობრიობამ. ღვთაებრივი მეფე, წინამორბედი დიდი რელიგიური მოძრაობისა და უდიდესი პოეტი — ასე წამოვიდა დავითის ცხოვრების ისტორია და მისი პოეზია მოეფინა საგალობლებად მთელ მსოფლიოს.

«1. რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი?»

2. შეითქუნეს მეფენი ქუეყანისანი და მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათვს და ცხებულისა მისისათვს.

3. განვხეთქნეთ აპეურნი მათნი და განვაგლოთ ჩუენგან უღელი ღათი.

4. რომელი დამკვდრებულ არს ცათა შინა, ეცინოდის მათ და უფალმან შეურაცხყვნეს იგინი.

5. მაშინ იტყოდის მათდა მიმართ რისხვითა მისთა და გულის წყრომითა მისითა შეაძრწუნნეს იგინი.

6. ხოლო მე დავდეგ მეუფედ მის მიერ ზედა სიონსა, მთასა წმიდასა მისსა.

7. თხრობად ბრძანებასა უფლისასა. უფალმან მრქუა მე: ძე ჩემი ჯარი შენ, მე; დღეს მიშობიე შენ.

²⁸ ფსალმუნნი, № 1.

8. ითხოვენ ჩემგან და მე მიგცე შენ (წარმართნი სამკვდრებლად შენდა და დაპყრობად შენდა კიდენი ქუეყანისანი“²⁹.

„დავითნის“ საგალობლები ნეტარებაა და სულის სიმშვიდე, ხსნა და ტკივილთა დაამება, რაც მიიღო დიდ პოეზიასთან ერთად მომავალმა პოეტურმა აზრმა კაცობრიობისამ და, აგრეთვე, ქართულმა პოეზიამ საუკუნეთა სიღრმიდან. ასევე მიიღო ქართულმა რომანტიზმმა ეს დიდი საზრდო.

„4. უფალი, ტაძარსა წმიდასა მისსა, უფალი, ზეცას არს ტაძარი მისი; თუალნი მისნი დავრდომილსა ხედვენ და წამნი მისნი განიკითხვნენ ძეთა კაცთასა.

5. უფალმან განიკითხოს მართალი და უღმრთოჲ, ხოლო ვის უყუარს სიცრუე, მას სძულს თავი თვისი“³⁰.

„აჰა, ესერა ელმოდა სიცრუე, მუცლად-ილო საღმობაჲ და შვა ეშჯულოება“³¹.

„34. რად-მე განარისხნა უღმრთომან ღმერთი? — რამეთუ თქუა გულსა შინა თვისსა: არა გამოიძიოს.

36. შეჰმუსრე მკლავი ცოდვილისაჲ, და უკეთურისაჲ, იძიოს ცოდვაჲ მისი, და არა იპოს“³².

თუ „ეკლესიასტე“ იყო გოდება სამყაროს არსებობის ამოებათა გამო, „ფსალმუნნი“ ხედავს სულ სხვა ბედნიერებას სამყაროს არსებობაში. მისი გალობანი არის სამადლობელი ამ სამყაროს შემოქმედისადმი, რომელმაც შექმნა სიკეთით და სიყვარულით მისი საოცრებანი. მან შექმნა კაცი და განასხვავა მეტად მცირედ ანგელოზთაგან, მისცა კაცს უდიდესი საჩუქარი — ამქვეყნიური ცხოვრება. მისცა სამყარო მზით, ვარსკვლავებით, ზღვით, ღედამიწით და მისი მობინადრენით, და დაწესა იგი უფლად ამ მშვენიერ ქმნილებათა შორის. ამიტომ არის იგი უდიდესი სამადლობელის ღირსი, ამიტომ დაღაძებს დავითი მადლიერებით აღვსილი. სამყაროს და კაცის შექმნა ეს არის უდიდესი შემოქმედება ზეძალის მიერ და მისი უდიდესი სიყვარულის გამოვლინება.

„4. რამეთუ ვიხილენ მე ცანი, ქმნულნი თითთა შენოანი, მთოვარე და ვარსკვლავები, რომელ შენ დააფუძნენ.

5. რაჲ არს კაცი, რამეთუ მოივსენე მისი, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ მოხედავ მას?

6. დააკლე იგი მცირედ რაჲმე ანგელოზთა, დიდებითა და პატივითა გვრგუნოსან ჰყავ იგი.

²⁹ ფსალმუნნი, № 2.

³⁰ იქვე, № 10.

³¹ იქვე, № 7.

³² იქვე, № 9.

7. და დაადგინე იგი ზედა ქმნულსა კელთა შენთასა, ყოველივე დაამორჩილე ქუეშე ფერკთა მისთა“³³.

დავითის ცხოვრება, მისი სულიერი წონასწორობა არ არის მხოლოდ ნეტარებით აღსავსე ბედნიერება, დავითის ნეტარება ტანჯვისა და ბრძოლის გზაზე გადის, რომელიც სიმართლით და ჭეშმარიტებით მოიპოვება. დავითის „გალობანი“ წინასწარმეტყველურ ქმნილებად აღიარეს, მასში დაინახეს კაცობრიობის იდეალი, უმაღლესი სიკეთისაკენ სწრაფვა და ბრძოლა მისთვის. ამ ბრძოლის გზაზე მრავალი ტანჯვაა. ეს, ტანჯვა არა მხოლოდ ერთი კაცის და ერთი ეპოქის ტანჯვაა, იგი მარადიული კაცობრიობის საერთო სატანჯველია, როგორც მოპოვებული ნეტარება ადამიანთა მოდგმის საერთო ბედნიერებაა. საგალობლები სავსეა ბიბლიური თქმულებებიდან მომდინარე მითებით ადამიანთა შექმნისა და შემდგომი პერიოდის შესახებ, ჯვარცმისა და მის ტკივილთა შესახებ.

„5. გარე-მომადგეს მე საღმობანი სიკუდილისანი და ღუართა უშჯულოებისათა შემადრწუნეს მე;

6. საღმობათა ჯოჯოხეთისათა მომიცვეს მე და მომეწიფნეს ჰე მახენი სიკუდილისანი.

7. ჭირსა ჩემსა ვხადე უფალსა და ღმრთისა ჩემისა მიმართ ღალად ყვავ; შეისმინა ტაძრით წმიდით მისით ჳმისა ჩემისა და ღალადება ჩემი მის წინაშე მიიწიოს ყურთა მისთა“³⁴.

დავითის სულიერი განცდები და ტკივილები ზოგადკაცობრიულია, იგი გამოხატავს რელიგიური კაცობრიობის ტანჯვას და შვებეს. იგი წინასწარმეტყველური ხედვით ხედავს მის შემდგომად მოსულ სატანჯველებს და მათ მსვლელობას. — „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ადგილნი მისნი!“ — წერს იგი. დავითის საგალობლები, ისევე, როგორც სოლომონის წიგნები, აღიარებულ იქნა მოსამზადებელ გზად მესიის მოვლინებისათვის.

„ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე. რაჲსათჳს დამიტყვე მე?“³⁵ — ფსალმუნის ეს გამოთქმა ახალ აღთქმაში ჯვარცმული ღმერთის სიტყვებია ტანჯვის ძელიდან ნათქვამი. ამავე საგალობელში წინასწარმეტყველის ხილვით მოცემულია ჯვარცმის საშინელება, რომელიც ახალი აღთქმის ავტორების სიტყვით, ელოდაო აღსრულებას. «და ვითარცა ჯუარს აცუს იგი, განიყვნეს სამოსელი მისი, განიგდეს წილი, რაჲთა აღსრულებულიყო თქმული იგი წინამსწარმეტყ-

³³ ფსალმუნნი, № 8.

³⁴ იქვე, № 17.

³⁵ იქვე, № 21.

უელისა მიერ, რომელსა იტყვს: განიყვნეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი»³⁶.

„და მეცხრესა ოდენ ჟამსა კმა-ყო იესო კმითა დიდითა და თქუა: ელი, ელი, ლამა საბაქთანნი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო რაისათვს დამიტევებ მე?“³⁷.

ხოლო „ფსალმუნნი“ წერს.

„2. ღმერთო, ღმერთო ჩემო, მომხედენ მე; რაჲსათვს დამიტევებ მე? შორს არიან ცხოვრებისა ჩემისაგან სიტყუანი ბრალთა ჩემთანი.

17. რამეთუ გარე მომადგეს მე ძაღლებ მრავალ და კრებულმან უკეთურმან გარე-მომიცვა მე; განჟურითნეს ჳელნი ჩემნი და ფერგნი ჩემნი.

18. და აღრაცხეს ყოველ ძუალები ჩემი; მათ მიხილეს მე და განმიცადეს მე.

19. განიყვნეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“³⁸.

და კიდევ ერთი, საგალობელთა პოეზიის უბრწყინვალესი ადგილი, ეს არის ფსალმუნი № 41. იგია უნათლესი მზის, ღვთაების ხილვა უმაღლესი პოეზიის გზით. ძნელია მონახო სიტყუები, რომელიც გამოხატავდეს ამ პოეზიის ზეაწეულ მშვენიერებას, მის ხილვათა ბრწყინვალეობას, მისი ლექსის განმარტებას.

„2. ვითარცა სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურინ სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო.

3. სწყურის სულსა ჩემსა ღმრთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა: ოდეს-მე მივიდე და ვეჩუენო პირსა ღმრთისასა?

4. იქმნენს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამე, რამეთუ მეტყუედ მე მარადღე: სადა არს ღმერთი იგი შენი?

6. რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო, ანუ რად შემადრწუნებ მე? ესევედ ღმერთსა, რამეთუ მე აეუარო მას, მაცხოვარსა პირისა ჩემისასა და ღმერთსა ჩემსა.

7. სული ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა, ამისათვს მოგიკსენო შენ ქუეყანით იორდანით და ერმონით, მთით მცირით.

8. უფსკრული უფსკრულსა ხადის კმითა ზეგარდამოსაქანელთა შენთაჲთა. ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი მე ზედა-გარდამხდეს“³⁹.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა, დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!

³⁶ ახალი აღთქმა, მათე, 27, 35, თბ., 1963.

³⁷ იქვე, მათე, 27, 46.

³⁸ ფსალმუნნი, № 21.

³⁹ ფსალმუნნი, № 41.

არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

გულთა მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე:
შენ უწინარეს ჩემსა უწყვი, რაც ვიზრახო მე,
და — ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად?
მაშა ღუმილიც მიითვალე შენდამი ლოცვად!

ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ განსაკუთრებით უახლოვდება ფსალმუნთა სულის განწყობილებას და მის ღაღადისს მარადიული სიკეთის და სიყვარულის პირველწყაროს, ღვთაების მიმართ.

ფსალმუნთა ავტორის ტკივილები არ არის ტკივილები მხოლოდ ერთი პიროვნების, მხოლოდ ერთი ეპოქის, მხოლოდ ერთი ერის. ეს არის კაცობრიობის ზოგადი ტკივილები, ყველა ეპოქისა და ყველა მიმართულების, სხვადასხვა რელიგიურ განშტოებათა. მისი ვედრება და მისი ხსნა, მისი ხილვები უმაღლესი სიკეთის, რწმენა მარადიული დიდი სიკეთის არსებობისა, რომელიც ადამიანური ყოფიერების საფუძვლად მიაჩნია, — მარადიულია და ზოგადი, როგორც ეკლესიასტეს გოდება, რომელიც წარმოადგენს საწინააღმდეგო მხარეს იმ დიდი სიმართლის ძიებაში, სადაც ფსალმუნნი ზედავს შვებას და იმედს. ეს შვება და იმედი მიიღო მისგან მომავალმა კაცობრიობამ მის დიდ პოეზიასთან ერთად, ყოფიერების ტკივილთა ნუგეშად და მარადიული არსებობის აზრად.

დავით მეფის პოეზია წამოვიდა უძველესი ბიბლიური წიგნებიდან, როგორც უპირველესი მის წიგნთა შორის და როგორც უმაღლესი ღვთაებრივი ნიჭით აღსავსე საგალობლები. ასევე შევიდა იგი ახალი რელიგიის კანონმდებელთა მიერ წმინდა წიგნების რიცხვში და შეიქმნა ახალი ეპოქის, ევროპული მორალისა და ესთეტიკის განუყოფელი ნაწილი, — და საყვარელი წიგნი, რომელმაც გამოიარა მრავალი საუკუნე, მრავალი თვალსაზრისი, ასაზრდოვა მრავალი ეპოქა, მრავალი ქვეყნის ლიტერატურა მისი სხვადასხვა მიმართულებით. ფსალმუნნის გავლენა მეტად დიდია ძველ ქართულ პოეზიაზე, მის აზრთა დინებაზე. ახალ ქართულ ლიტერატურაში, რომანტიზმის ეპოქაში, ამ გავლენის მკვეთრი მაგალითია აგრეთვე გრიგოლ ორბელიანის ლექსი „ფსალმუნი“.

ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას?...

— სულთა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკითხვად
და სიყვარულით შეიწყალა ცდომილი ვნებით...
ვინც ამა სოფლის დიდებასა მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, ჰსცნობს რა მის შუქს ფუქწარმავალსა
ვინც ძლიერების ხმითა მადლით ამცნო სიმართლე

და ძმას დაცემულს მიჰსცა ხელი და აღადგინა!...
იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
ღვთისა ღიდების გალობითა ნათელმოსილი.

ორბელიანის ლექსი ფსალმუნის ძირითად აზრს და მის მორალურ კრედოს ეყრდნობა. ამასთან, შინაარსეულად იმეორებს ფსალმუნის მოძღვრებას. იგი გამომდინარეობს ძირითადად ფსალმუნი №1-დან.

ფსალმუნთა განწყობილებასთან, მის ამალღებულ სულიერ სწრაფვასა და მისტიკურ პოეტურ სულთან ქართულ რომანტიზმში, განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ბარათაშვილის ლექსი „შემოღამება მთაწმიდაზედ“.

* * *

ადრეულ შუა საუკუნეებში, ქრისტიანობის დამკვიდრების პერიოდისა, თანდათან წარმოიშვა მოთხოვნილება ახალი რელიგიური ჰიმნების შექმნისა, იმ პერიოდში, რელიგიური ჯღზევების ხანაში პოეზია წარიმართა ძირითადად რელიგიური საგალობლებისა და ჰიმნების ხაზით. ქრისტიანული ორთოდოქსალური სარწმუნოების წიაღში შექმნილი ეს საგალობლები მომდინარეობენ ძველი აღთქმის საგალობლებიდან, განსაკუთრებით „ფსალმუნნიდან“, აგრეთვე ახალი აღთქმის წიგნებიდან და მისი თემატიკის პოეტურ ამეტყველებას ისახავენ მიზნად.

ამ საგალობელთა უკვდავება და საუკუნეთა გადაწვდომა განაპირობა მათმა მაღალმა პოეტურმა ღირსებებმა და ფილოსოფიურმა სიღრმემ. ცნობილი და ღიდი ჰიმნოგრაფები — ნეტარი ავგუსტინე, იოანე დამასკელი, კოზმა იერუსალიმელი, ანდრია კრიტელი და სხვ. იყვნენ მაღალი რანგის პოეტები და ამავე დროს ფილოსოფოსები. მათი ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნება განსაკუთრებით საინტერესო და ხანიერი აღმოჩნდა სწორედ მათი პოეზიის მეშვეობით, იქ სადაც სიბრძნე და აზრი პოეტურ სამოსელში გამობრწყინდა.

ქართულ სასულიერო ფილოსოფიურ პოეზიას ღიდი ხნის ისტორია აქვს, ამ პოეზიით დაინტერესება და მისი მეცნიერული შესწავლა ჩვენი საუკუნის ბოლო წლებში განსაკუთრებით გაცხოველდა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია პ. ინგოროყვას⁴⁰, გ. იმედაშვილის⁴¹, ე. მეტრეველისა⁴² და მ. ქავთარიას⁴³ ნაშრომები.

⁴⁰ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954.

⁴¹ გ. იმედაშვილი, I. ვეფხისტყაოსნის პარალელები მეთათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში, კრებ., ლიტერატურული ძიებანი, II, თბ., 1944; 2. ქართული კლასიკური საგალობლის პოეტიკის საკითხები, ლიტ. ძიებანი, XII, თბ., 1959, XIII,

ქართული ეკლესია ბიზანტიური ეკლესიის მიმდევრად დარჩა. ამიტომ მისი დოგმებისა და მისი მღვდელთმსახურების წესებთან ერთად, გაიზიარა მისი მწერლური მონაპოვარიც — როგორც ყველა იმ ზალხებმა, რომლებიც მისდევდნენ ქრისტიანული სარწმუნოების ბიზანტიურ გაგებას — გაიზიარეს მისი რიტუალები. ამ რიტუალებთან ერთად მისი პოეტური მხარეც — მისი ჰიმნები, საგალობლები, იადგარები, კალენდრები, და სხვ. ეს ჰიმნები, ძლისპირები და ღმრთისმშობლის საგალობლები, დაწერილი დიდი თეოლოგებისა და პოეტების მიერ, ქართულად ამეტყვევლდა როგორც სასულიერო პოეზიის ორგანული ნაწილი და თავისი გავლენა იქონია ქართულ მწერლობაზე, პოეზიაზე, მისი მორალისა და ესთეტიკის სახის ჩამოყალიბებაზე. იგი, ისევე როგორც ბიბლიური წიგნები, იქცა ქართული პოეზიის განუყოფელ ნაწილად.

ქართული ძლისპირები, რომლებიც ხელნაწერების სახით ჩვენ-წამდე შემონახულა, წარმოადგენენ კრებულებს, რომლებიც საწელიწადო იადგარს ერთვოდა, ზოგ შემთხვევაში ცალკე კრებულების სახითაც დგებოდა.

ამ საგალობელთა ქართული ტექსტების ნაწილს რამდენიმეჯერ აქვეყნებს პ. ინგოროყვა⁴⁴. ძლისპირთა ტექსტები ბერძნული დედნებითურთ პირველად გამოქვეყნდა ამ ბოლო წლებში ე. მეტრეველის მიერ⁴⁵.

ე. მეტრეველის გამოკვლევით, ეს ძლისპირები არის გადმოთარგმნილი ბერძნულიდან სხვადასხვა დროს (ადრეულ შუა საუკუნეებში, VII—IX საუკ.). ძლისპირთა ავტორთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა VII—VIII საუკუნეთა ორი პოეტი ჰიმნოგრაფი, იოანე დამასკელი და კოზმა იერუსალიმელი, რომელთა ჰიმნები და გალობები განსაკუთრებული პოპულარობით და მოწონებით სარგებლობდა. ცნობილია, აგრეთვე, სახელები შემდგომ დიდ ჰიმნოგრაფთა: ანდრია კრიტელის, ვერმანე პატრიარქის, ელისე მონაზონის, თეოდორე სტუდიელის (მათი მოღვაწეობის ფარგლებია VII—IX საუკ.), რომელთა რელიგიური ხასიათის ჰიმნები, იოანე დამასკელის და კოზმა იერუსალიმელის ჰიმნების გვერდით, შესულა იმ კანონთა ირმოლოგიონის კრებულში, რომლის მიხედვით უნდა მომხდარიყო ყველა სხვა გალობათა

1960; 3. ძველი ქართული მხატვრული ენისა და სტილის მიჯნაზე. კრებ. ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები V—XIII სს. თბ., 1965.

⁴² ე. მეტრეველი, ძლისპირნი, თბ., 1971.

⁴³ მ. ქავთარია, ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII სს., თბ., 1977.

⁴⁴ პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბ., 1913; მისივე, გიორგი მერჩულე, თბ., 1954; მისივე, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965.

⁴⁵ ე. მეტრეველი, ძლისპირნი, თბ., 1971.

ვაწყობა და ახმოვანება. ეს ჰიმნები, ძლისპირები და ღმრთისმშობლისანი გადაიქცა საერთაშორისო ხალხთა პოეზიის საკუთრებად, რომელთა საფუძველზე საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა, აგრეთვე, ქართული საგალობლები, ქართული პოეზიისა და ქართველი ერის სულიერი საგანძურის მშვენიერი ნაწილთაგანი.

ვედრებასა ჩემსა განვჰყენ უფლისა მიმართ:
და მას აუვარებ ბრალთა ჩემთა მარადის:
რამეთუ ბოროტითა აივსო სული ჩემი:
და სიმტკიცე ჩემი ჯოჯოხეთა მიეანლა:
და იონაჲსებრ ვლალადებ
აღმომიყვანე მე ღმერთო ჩემო⁴⁶.

ეს ძლისპირები წარმოადგენენ, ბიბლიური დავითის საგალობელთა მსგავსად, ვედრებასა და პოეტურ მიმართვას უმაღლესი ძალისადმი, ღვთაებისადმი, რომლის დიდ სიკეთეს და სამართალს ადამიანური არსებობა უნდა გაემართლებინა. ეს არის მაღალი პოეტური და ფილოსოფიური ლექსები ქვეყნის შექმნაზე, სიკეთის ძალთა ღაღადისზე, მის ყოვლისშემძლებლობაზე და მარადიულ ზეიმზე, რომელიც დაუამებს ადამიანებს მათ კაცურ ცხოვრებით მიღებულ ტანჯვასა და ტკივილებს.

სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს:
ღვლეითა ცოდვისაჲთა:
და საშინელად დამნთჳამს მე:
და მოვივლტი შენთა ნავთსაყუდლისა
და ესრეთ ვლალადებ:
დანთქმისაგან მიჯსენ მე მრავალმოწყალე⁴⁷.

ძლისპირები, ანუ ჰიმნები, მიმართული ღვთაების სახელისადმი, საინტერესოა მათი მაღალი პოეზიით, ხატოვანი სახეებით, სიკეთის სიყვარულით და რწმენით სიმართლის ღაღადებისა. ამიტომ იქცა იგი საუკუნეთა მანძილზე პოეტური მეტყველების წამყვან ნიმუშად და მისაბაძ პირველწყაროდ.

ასევე საინტერესოა და ძლისპირების გვერდით დგას ღვთის მშობლის სახელისადმი მიძღვნილი ჰიმნები, ე. წ. „ღმრთისმშობლისანი“, უჭკნობი პოეტური სახეებით სავსე, ბიბლიური წიგნებიდან გამომდინარე თქმულებებით შემოსილი საგალობლები.

ღრუბელსა სულმცირესა
მიემსგავსე მარიამ ეგვიპტეს შესლვითა,
რაჟამს გეტვრთა შემოქმედი შენი

⁴⁶ ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ძლისპირნი. № 61, გვ. 31.

⁴⁷ იქვე.

მკლავთა ზედა, ქალწულო,
მზის-თუალი სიმარტლისაჲ
შენ დაგეფარა⁴⁸.

ცათა უვრცელემს ღარი შენ:
ქერაბინთა უმაღლესო მშობელო სიტყვასაო
უბიწოო ქალწულო მარია⁴⁹.

ვითარცა ნავთსაყუდელსა მშუდსა,
შეგდრებულნი ესე
ღმრთისმშობელსა ჩუენ ყოველნი ვადიდებთ⁵⁰.

ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი იყო ის ძირითადი ღერძი; რომლის ირგვლივ იქმნებოდა საგალობელთა მთელი წყება, სავსე ფიფილოსოფიური, მორალური და ეთიკური ღირსებებით. ამ საგალობელთა შორის რამდენიმე მკვეთრად განირჩევა თავისი პოეტური ღირსებებით და მარადიული პოეზიის სამკვიდრებელში კპოვებს ადგილს. ასეთია, პირველ ყოვლისა, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

ქართული ქრისტიანული მწერლობის თემები მრავალჯერ დამუშავდა ჩვენს ლიტერატურაში შემდგომ საუკუნეებში, ახალი და ახალი ხორცმესხმა მიიღო სხვადასხვა ეპოქებში, სხვადასხვა თვალსაზრისების შესაბამისად, ასეთი მარადიული თემებია, სასულიერო მწერლობიდან მომდინარე, წმინდა ნინოს თემა, წმინდა გიორგის თემა, ჯვარცმისა და აღდგომის თემა, და სხვ. ეს თემები და მისი გამოძახილი გვხვდება ქართველ რომანტიკოსებთანაც და მე-19 საუკ. არარომანტიკოს დიდ მწერლებთან. მაგალითად, განსაკუთრებით უშუალო მიძღვნიები ამ თემებისადმი გვხვდება ვახტანგ ორბელიანთან, ამ მხრივ საგულისხმოა მისი პოემა წმინდა ნინოზე. საგულისხმოა, აგრეთვე, აკაკი წერეთლის პოეზიაში წმიდა სამეულის — ნინო, ქეთევან, თამარის — გამოჩენა, ლირიკული წიაღსვლა „თორნივე ერისთავში“... ასეთი ლირიკული წიაღსვლა რომანტიკული პოემების მანერაა, მსგავსი ლირიკული შემოსვლები ტექსტში უცხოა კლასიკური პოემისათვის, მაგ. ვეფხისტყაოსნისათვის, „ილიადასათვის“ და სხვ., აგრეთვე XVI—XVII საუკ. ქართული პოემებისათვის.

ამასთან დაკავშირებით მსურს ყურადღება შევაჩერო კიდევ ერთ ძეგლზე ძველი ქართული პოეზიიდან. ეს არის აბუკურას მოთხრობა, — „მოთხრობაჲ აბუკურაჲსი წამებისათჳს მიქაელ საბაწმინდელისა“ (იხ. კ. კეკელიძის გამოც., 1918 წ.).

⁴⁸ ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, ღმრთისმშობლისანი, № 4. გვ. 36.

⁴⁹ იქვე, № 5, გვ. 27.

⁵⁰ ძლისპირნი, ღმრთისმშობლისანი, № 20, გვ. 42.

„აბუკარას“ შინაარსი ასეთია: მამა მიქაელ საბაწმინდელი მშვენიერი, ფერმკრთალი სახის ახალგაზრდა მონაზონი, შეუყვარდება დედოფალს, ამირა მუმნის ცოლს, სეიდას. რადგან ქალი ვერ აცდუნებს რელიგიურ ჭაბუკს, დასწამებს მას ცილს, თითქოს ჭაბუკი ბერი ახალგაზრდა დედოფლის შეურაცხყოფას ცდილობდა და ამ გზით დალუპავს ჭაბუკს. ეს ამბავი, რომელიც ძალიან წააგავს ბიბლიური იოსებ მშვენიერის ამბავს, ახალ საუკუნეებშიაც დამუშავდა რამდენჯერმე (იგი დამუშავდა ანტიკურ ეპოქაშიაც, — ფედრას ტრაგედია, კლასიციზმის ეპოქაში რასინის მიერ დამუშავებული; მსგავსი მოთხრობა შაჰ-ნამეშიაც არის ჩართული, თეიმურაზ პირველის პოემა „იოსებ-ზილიხანიანი“ ამავე თემას ეძღვნება). ამ მშვენიერ ძველ თქმულებას რომანტიკოსთა ინტერესიც გამოუწვევია, ევროპაში იგი დამუშავებული აქვს ბაირონს, რა თქმა უნდა, როგორც რომანული ამბავი და არა როგორც სარწმუნოებრივი მოთხრობა.

ვერმიდწეული ტრფობის რომანტიკა და ხორციელი ტრფობის უარყოფა, მაღალ სულიერ ლტოლვათა გამო ზენა სფეროებისადმი მეტად ნატიფადაა გადმოცემული სარწმუნოებრივი ხასიათის ამ პოემაში, თუ რიტმულ მოთხრობაში. პ. ინგოროყვა მას განიხილავს როგორც პოემას: „სილაბური უკვეთელი ლექსი ტაეპობრივი რიტმიკით“⁵¹.

ს ე ი დ ა

პოი, კირვეულო ჭაბუკო!
ტყუე თუ ხარ — გამოგიყიდო,
და თუ სნეულ ხარ განგკურნო,
გლახაკ თუ ხარ განგამდიდრო!

მ ი ქ ა ე ლ

ტყუე ვიყავ სოფლისაჲ,
და აწ ვსნილ ვარ უფლისაჲ;

მონაჲ ვიყავ ცოდვისაჲ,
და აწ მონაჲ ვარ მაღლისაჲ;

არა ვარ სნეულ გუამითა,
არცა გლახაკ საფასითა,

არამედ სნეულ სულითა,
და ნაკლულ სინანულითა
წყლულ ქრისტემს სიყუარულითა!⁵²

⁵¹ პ. ინგოროყვა, თხზ. კრებ., ტ. III, გვ. 164—165.

⁵² „მოთხრობაჲ აბუკურამსი, წამებისათჳს მიქაელ საბაწმიდელისა“, თ. IV; პ. ინგოროყვა, თხზ. კრებ., ტ. III, გვ. 167.

აბუკურას პოემა სასულიერო პოეზიაში არსებული რომანული ელემენტის ბრწყინვალე ნიმუშია, რომელიც თემად იყენებს მოარულ სიუჟეტს და გადააქვს იგი სარწმუნოებრივ ასპექტში. ეს სიუჟეტი ჩრავალჯერ დამუშავდა შემდგომ ეპოქებში და გამოხატა ამ ეპოქათა ინტერესი და დამოკიდებულება სინამდვილისადმი.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში „საწელიწადო იადგარი“ მოთავსებულია იოანე მინჩხის საგალობელი „აქებდითსა“, მიძღვნილი თეოდოსი მეფისადმი. ამ საგალობელს პ. ინგოროყვა ადარებს ბარათაშვილის „მწყემსო კეთილოს“ პოემიდან „ბედი ქართლისა“⁵³.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოთავსებულ ერთ-ერთ ძლისპირს — „სოფლისა ზღუად აღძრულ არს“ პ. ინგოროყვა ადარებს ბარათაშვილის ლექსს „ჩემი ლოცვა“ (ეს ძლისპირი, რომელსაც პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანძთელის ორიგინალურ ნაწარმოებად თვლის, ე. მეტრეველს თავის წიგნში „ძლისპირნი“, მოყვანილი აქვს ბერძნული დედნითურთ⁵⁴.

პ. ინგოროყვას მოჰყავს ტექსტუალური შეხვედრები ამ ორი პოეტური ნაწარმოებიდან და დაასკვნის, რომ ეს საერთო გამოწვეულია არა იმით, რომ ბარათაშვილი იცნობდა ძლისპირის აღნიშნულ ტექსტს, არამედ მათი „კონგენიალური შეხვედრით“: „ნ. ბარათაშვილი, რასაკვირველია, არ იცნობდა X საუკ. ხელნაწერებში დამარხულს გრიგოლ ხანძთელის ძლისპირს. აქ ჩვენ გვაქვს კონგენიალური შეხვედრა ორი გენიოსი მგოსნისა“⁵⁵.

რომ ბარათაშვილისათვის უცხო არ იყო ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუშები, ამას მოწმობენ მისი ბიოგრაფებიც. ი. მეუნარგია წერს: „ლოცვანი, დავითნი ჟამნი, სამოციქულო, სახარება, ე. ი. ათასი წლის ქართული ენა, ... შეიქმნენ ქვაკუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართულ მწერლობაში“⁵⁶. მისი თქმით, კარგი ქართული ენა დავითნ-სახარებისა და ვეფხისტყაოსნისა, რომელიც ბარათაშვილმა პატარაობიდანვე ისწავლა, და ახალი გარდამავალი დრო“⁵⁷ — შეადგენენ ბარათაშვილის წარმატების აუცილებელ პირობას.

ეს საგულისხმო ცნობაც რომ არ შემოენახა მის ერთ-ერთ პირველ ბიოგრაფს, მისი პოეზიისა და ცხოვრების ანალიზით ისეც ცხადი იქნებოდა, რომ ბარათაშვილი თავისი ეროვნული პოეზიის საფუძველზე მტკიცედ დგას და მის ჭეშმარიტ სიმაღლეებს ეზიარება, ამ

⁵³ პ. ინგოროყვა. თხზ. კრებ., ტ. III, გვ. 57.

⁵⁴ ე. მეტრეველი, ძლისპირნი, 1971, გვ. 23.

⁵⁵ პ. ინგოროყვა, თხზ. კრებ., ტ. III, გვ. 77.

⁵⁶ ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თბ., 1945, გვ. 17.

⁵⁷ იქვე. გვ. 50.

პოეზიაში შედის ძლისპირებიც და საგალობლებიც, „ფსალმუნნიც“ და „ეკლესიასტეც“, ახალი და ძველი აღთქმის წიგნები, წმინდათა ცხოვრებები. ეს ლიტერატურა ქართველი მკითხველისათვის, და მისი უფრო პოეტისათვის, იყო მეტად მახლობელი და სათაყვანებელი. ამ პოეზიის გარეშე არ არსებობს ქართული მწერლობის განვითარება, მისი ეტაპები, მისი მორალური და ესთეტიკური მხარე. ძლისპირები, ისევე როგორც „ფსალმუნნი“ და ბიბლიური წიგნები, იგალობებოდა და იკითხებოდა ქართულ ეკლესიებში სისტემატურად, იკითხებოდა ოჯახებში მწიგნობართა შორის... ასევე იკითხებოდა ბარათაშვილის ოჯახში და იმ წრეში, სადაც პოეტი აღიზარდა.

დავით აღმაშენებელი

ქართული შუასაუკუნეობრივი პოეზიის გვირგვინია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“.

ქართული შუასაუკუნეობრივი სული ყველაზე მკვეთრად და რელიეფურად გამოიხატა დავით აღმაშენებლის ამ საგალობლით. ეს მაღალპოეტური ნაწარმოები ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა, როდესაც ადრე შუა საუკუნეების ქართულ პოეზიაზე ვლაპარაკობთ.

ქართველი ერის პოეტური გენია XII საუკუნის დასაწყისში გამოიხატა რელიგიური ხასიათის პოეტური საგალობლით, ხოლო საუკუნის ბოლოს შოთა რუსთაველის უკვდავი პოეზით.

ამრიგად, XII საუკუნე გვევლინება მწვერვალად შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში, სადაც რელიგიურიცა და საერო პოეზიაც განუმეორებელ სიმაღლეებს აღწევს და მთელი ერის კულტურაზე და სულიერ ძალებზე ახდენს არნახულ გავლენას. ქართული შუასაუკუნეობრივი ლიტერატურის ეს პერიოდი განსაკუთრებულია. იგი მოჰყვება ერის არსებობას როგორც მისი მანათობელი მეგზური მომავალ ეპოქებში.

„დავითნ-სახარების“ გვერდით ბარათაშვილს წინ ედო ვეფხისტყაოსანი, რომელიც ზედმეტი სიყვარულით საკუთარი ხელით გადაწერა. ხოლო ძველ ქართულ საგალობელთა შორის, ვფიქრობთ, მოისმენდა უკვდავი მეფის უკვდავ ქმნილებას სულის განწმენდაზე, უმაღლეს იდეებზე, უმაღლეს სიკეთეზე. თავგანწირულ კაცობრივ და ღვთაებრივ სიყვარულზე. ამ გრძნობათა წიაღში ყალიბდება ბარათაშვილის სულიერი სამყარო და მისი შემოქმედების თანამგზავრად იქცევიან ეს იდეები, რომლებიც მან ბავშვობის ასაკიდან ასე შეიყვარა.

„გიბრძანებს და მოგახსენებს მეფეთა მეფე და ვით,..... უკვდავი და დიდების მოყუარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნება და არამოდეს მოვიკსენებდი ღღესა ამას სამარადისოდ მისლვისა ჩემი-

სასა და ვერ უძლე დატყვებად საწუთოსა, ვიდრე არა დამიტყვა მე საწუთომან⁵⁸.

XII საუკუნე იწყება დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე მეფობით და მთავრდება თამარის ხანით, დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ძლიერი სახელმწიფო იყო საწინდარი თამარის ოქროს ხანისა. მაგრამ დიდებული მეფე დავით უკვდავია არა მარტო თავისი სამეფო საქმეებით, არამედ ასევე თავისი პოეზიით. „გალობანი სინანულისანი“ დავით მეფის ერთადერთი ლირიკული საგალობელია, რომელშიაც გამოიხატა დიდბუნებოვანი მეფის სულიერი ცხოვრება და მარადიულ იდეალთადმი სწრაფვა.

ქართველი ხალხის დიდი პოეზია, მისწრაფებანი და პოეტური ხმა ყველა დროში თავისებურ ფორმას და მიმართულებას იღებდა ეპოქის შესაფერისად. ადრეული შუა საუკუნეების ფილოსოფია გამოდიოდა ქრისტიანული რელიგიიდან და პოეზიაც სულის განწმენდისა და ხორცის უარყოფის პოეზია იყო. ძველი ქართული სასულიერო პოეზია გამოდის ქრისტიანული ფილოსოფიიდან. ამ რელიგიის ფილოსოფია დაედო საფუძვლად ჩვენი წარსულის იმ დიდ პოეზიას, რომელშიც დავით აღმაშენებელს „გალობანი სინანულისანი“ დააწერინა.

კაცობრიობის ცოდვათა თავსდება, რაც ასე კარგადაა გამოთქმული დავით აღმაშენებლის საგალობელში, დამახასიათებელია მსოფლიო რანგის დიდ მისტიკოსთათვის. მსოფლიო სევდის, მისტიკის სათავეები ქრისტიანულ პოეზიაში საძებარია ნეოპლატონიკოსებთან, ხოლო ყველაზე ადრე „ეკლესიასტეში“. ნეოპლატონიკოსთა მისტიკა მოდის ანტიკური მისტიკიდან, კერძოდ, პლატონიდან. შემდეგ ამ ხაზს თავისებურად ავითარებს ქრისტიანული მწერლობა, პოეზია. ამავე განწყობილების ტიპური გამომხატველია ქართული საგალობლები, და, საერთოდ, ქართული სასულიერო პოეზია.

მისტიკის შემდგომი, თავისებური და განსხვავებული ფორმა შემუშავებს რომანტიკოსებმა.

ქართულ სინამდვილეში ქრისტიანული პოეზია სხვადასხვა ხასიაის იღებს, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ გვერდით, რომელიც უმაღლესი საკაცობრიო სევდის გამოხატულებაა, არსებობს სახელმწიფო ინტერესების შემცველი რელიგიური საგალობლები, ნიკოლოზ გულაბერიძის „გალობანი სუეტისა ცხოველისანი“ და იოანე შავეთელის „გალობანი ვარძიის ღმრთისმშობლისანი“.

ამათგან სრულიად განცალკევებით დგას დემეტრე მეფის იამბიკოები. ღვთიშობლისა და წმინდა შიოს სახელისადმი მიძღვნილი ეს სადიდებელი ჰიმნები, სრულიად განსხვავდება იმდროინდელი სასუ-

⁵⁸ დავით აღმაშენებლის ანდერძი, თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 51—52.

ლიერო პოეზიის სტილისაგან. საოცარი სიანლოვე ნალხურ მეტყველებასთან ამ პიმნებს ხდის ფრიად საინტერესოსა და საგულისხმოს. დემეტრე მეფის ღვთისმშობლის სახე სრულიად არ ჰგავს იმ პერიოდის ქრისტიანული მწერლობისათვის ცნობილ და მიღებულ ღვთისმშობლის გაგებას. დემეტრეს იამბიკო თავისი ნათელი, ხალისიანი ფერებით ახლოს დგას „ქებაჲ ქებათაჲს“ სიცოცხლის სიყვარულთან. ასეთმა განწყობილებამ მოუპოვა მას საერთო სახალხო სიყვარული და განაპირობა მისი განალხურება.

სასულიერო ფილოსოფიურმა მწერლობამ განსაკუთრებულ სიმალღეს მიაღწია მეთორმეტე საუკუნის დასაწყისისათვის, მაგრამ საუკუნის მეორე ნახევრიდან თანდათან პრიორიტეტს უთმობს საერო მწერლობას, რომელმაც ეს ეპოქა ესოდენ გააღიდა ვეფხისტყაოსნით.

ამგვარად, XII საუკუნეში საქართველომ მიაღწია თავისი პოლიტიკური ძლიერების ზენიტს დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქების შექმნით. ამავ საუკუნეში მწერლობაში მოხდა არნახული აღმავლობა, შეიქმნა საერო და სასულიერო პოეზიის შედეგები. დავით მეფის „გალობანი სინანულისანი“ ამ აღმავლობის ბრწყინვალე ნიმუშია.

დავით აღმაშენებელი გამეფდა XI საუკუნის მიწურულში, 1089 წელს. მან სახელმწიფო ჩაიბარა დასუსტებული და გაპარტახებული. დავით მეფის მემატთანე ასე აგვიწერს იმდროინდელ საქართველოს ყოფას: „მოოკრდა ქუეყანა და ტყედ გარდაიქცა, და ნაცვლად კაცთა მკეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მას შინა. და იყო ჭირი ზოუთმენელი ყოველთა ზედა მკვდრთა ქუეყანისათა, შეუსწორებელი და აღმატებული ოდესმე ყოფილთა, სმენილთა და გარდასრულთა ოკრებათასა.

რამეთუ წმიდანი ეკლესიანი შექმნეს სახლად ჰუნეთა თვისთა, ცეცხლი უცხო და მბრძოლი, რომლითა მოიწუა შენებელი ყოველი, მდინარენი სისხლთანი, ნაცვლად წყლისა ნაკადულთა, მრწყევლნი ქუეყანისანი ხოლო გზანი სიონისანი იგლოვენ არაყოფისათჳს მათ ზედა მელღესასწაულეთასა“⁵⁹. ასეთ ვითარებაში გამეფდა თექვსმეტი წლის დავით და, ამიერიდანო, — წერს მემატთანე, — „იწყეს ნიავთა ცხოვრებისათა მობერვად“⁶⁰. ვინაიდანო, — „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, ღიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოღვაწეობა და ვით, ღმრთისა მამისამან, და თვით სამოცდა-

⁵⁹ ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 320.

⁶⁰ იქვე, გვ. 323.

მეთვრამეტე მან შვილმან დავითისამან და-
ვით⁶¹. ეს მოხდა ქრონიკონ 309-ს, ე. ი. 1089 წელს.

ტახტზე ავიდა ღვთაებრივი შთამომავლობის მქონე მეფე. ასე
აღიარა იგი მატთანემ, და შემდგომმა ლიტერატურამ და ისტორიამ⁶².

დაუცხრომელი ენერგიით, ნიჭით, უამრავი ბრძოლითა და გამარ-
ჯვებებით გააძლიერა დავით აღმაშენებელმა სახელმწიფო. ააშენა
ეკლესია-მონასტრები, აავღო დიდი ტაძარი გელათი, ააყვავა კულტურა.
საქართველო მის ხელში ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო შეიქ-
ნა, სამაგიეროდ დაიმკვიდრა უკვდავი სახელი — აღმაშენებელი.

დავით მეფის მოძღვარი და მემატთანე, არსენი ბერი, აღტაცებუ-
ლი დავითის სამეფო საქმეებით, წერს, დავითს რომ ღირსეული აღმწე-
რელი ყოლოდა, მისი სახელი აქილევსივით პოპულარული ვახდებ-
ოდაო.

დიდგორის გამარჯვების გამო მემატთანე ამბობს: „არა დიდ იყავ
აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს... ჰქონებო-
დესმცა ამათ ბრძენთა (იგულისხმება ჰომეროსი და არისტოტელე —
მ. კ.) თხრობათა ნივთად საქმენი დავითისნი, და მათმცა აღწერნეს
ჯეროვნად მათისაებრ რიტორობისა, და მაშინლამცა ღირს ქმნილ იყ-
ვნეს ჯეროვანსა ქებასა“⁶³

მემატთანის თხზულებას მკვეთრ ზოლად გასდევს დავით აღმაშე-
ნებლის, ერთი მხრივ, ბიბლიურ დავითთან შედარება და ამ გზით მისი
ღვთაებრივი წარმომავლობის მტკიცება, და, მეორე მხრივ აღექსან-
დრე მაკედონელთან დაპირისპირება.

დავით მეფის ცხოვრება აღსავსეა საზრუნავებით, მოქმედებით,
გამარჯვებათა სიხარულით, მაგრამ არა მოწყენით და პასიური უმო-
ქმედობით მას, როგორც მეფეს, არ გააჩნია მიუღწეველი ოცნებები.
მაგრამ მის სულში დაუსაღვურებია მისტიკას, სინანულს, პესიმისტურ
განწყობილებას ადამიანთა არსებობის საკითხებზე. დაუკმაყოფილებ-
ლობაა გამომწვევი ამ გრძნობის, თუ სხვა რამ? სად უნდა ვეძებოთ
მისი ფესვები? იქნებ, მეფის პირად ცხოვრებაში? მაგრამ მან ხომ ყვე-
ლაფერი გააკეთა როგორც მეფემ, მან ხომ ყველა საწადელი აღისრულა,
მისი მოღვაწეობა იყო საფუძველი „ქვეყნის აღშენებისა“, ყოველი დი-
დებული მეფე იქნებოდა კიდევ უფრო სვებედნიერი, თუ ამგვარ უმაღ-
ლეს სახელწოდებას მიანიჭებდა ხალხი — „აღმაშენებელი“. ეს სახელი,
კიდევ ერთხელ, დავითის მეფობის ბედნიერების ნათელყოფაა.

⁶¹ იქვე, გვ. 324.

⁶² ნ. მარს ქართველ მეფეთა ღვთაებრივი შთამომავლობის პირველ ამღარებლად
ლიტერატურაში იოანე შავთელი მიიჩნია; იხ. Н. Марр, Древнегрузинские одо-
писцы, 1902, გვ. 24.

⁶³ ქართლის ცხოვრება, გვ. 324.

მაგრამ, რა ტკივილი აწუხებდა მეფეს? რა ცოდვები ჰქონდა ასეთი სასტიკი? ყველა ისტორიკოსი, ჩვენი თუ უცხო, აღტაცებულია მეფის სიქველით, ვაჟკაცური ლმობიერებით. რა აღარდებდა ბედნიერ ხელმწიფეს, ან, რა აღარდებდა საუკუნეთა წინათ ბიბლიურ სოლომონს, „ეკლესიასტესა“ და «ქებაჲ ქებათაჲს» ავტორად აღიარებულს? იქნებ, ამ ორ ძლიერ ხელმწიფეს, რომელთა განწყობილება ასე წააგავს ურთიერთს, სადარდელი ერთი და იგივე ჰქონდათ.

„უკვდავი და დიდების მოყუარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაჲ“ — ასეთია დავით აღმაშენებელი თავისი დაუცხრომელი საზრუნავებით, შენებით და ომებით, სიცოცხლით და სინანულის საგალობლით. იგი იგრძნობდა ტკივილს, როგორც მეუფე, რადგან გრძნობდა პასუხისმგებლობას ქვეყნისა და მომავლის წინაშე. მას უნდა ეგრძნო ადამიანთა ნაღველი და სიხარული ყველაზე მეტად, რადგან ის იყო მათი ჭეშმარიტი მეუფე, შემქმნელი მათი ბედისა.

სიცოცხლის მოყვარე მეფე, რომელსაც იმდენი საზრუნავი ჰქონდა, ჰპოვებდა ერთგვარ სიმშვიდეს მისტიკურ-რელიგიურ განწყობა-თა პოეტურ ხმაში ამეტყველებით.

შემდეგ, XVII საუკუნეში, დიდებული მეფე-პოეტი, თეიმურაზ პირველი, რომლისთვისაც ცხოვრება გულმოდრწალე არ ყოფილა და რომელმაც თავისი სევდიანი ხმა მთელ ქვეყანას მოჰფინა, თუ სევდენიერ პოლიტიკოსად არა, დიდ პოეტად მაინც დარჩა. თეიმურაზის პოეზიაში საკაცობრიო სევდის განცდა კავშირშია მეფის პირად უბედურებასთან. მაცდური ბედი თავის ქვეყნისა და პირადი უბედურება თეიმურაზისათვის თითქმის განუყოფელია. მუხთალი ბედის სისასტიკე მთელი სიმკაცრით განიცადა მგოსანმა მეფემ.

მაგრამ დავით აღმაშენებელი, ეს დიდებულების და ძლიერების მარაგანდვლით მოსილი მეფე, სადღაც, სულის სიდრმეში ფილოსოფიურად განწყობილი, სიმშვიდეს „გალობათა სინანულში“ ეძებს. და, მართალია, მას არ უთქვამს სოლომონივით, „ამაოება ამათა და ყოველივე ამაო“, მაგრამ, თუ არ არის „ყოველივე ამაო“, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ქვეყნის ამაოების იქით შეიძლება იხსნა თავი მარადისობაში. ეს ქვეყანა კი მაინც დარჩა „ამაოებად ამათა“.

სოლომონს ეს საიდუმლოებით მოცული მარადისობა არ გააჩნდა დამხსნელად სულისა, და, როცა ქვეყნის ყოველგვარ სიტკბობას მიღწია და აღარაფერი დარჩა სანატრელი, მისთვის ყველაფერი „ამაოებად“ იქცა, „რამეთუ ყოველივე ამაო და ყოველივე ერთსა ადგილსა მივალს. ყოველივე შეიქმნა მიწისაგან და ყოველივე მიიქცევის მიწად“⁶⁴.

⁶⁴ „ეკლესიასტე“, თავი გ, იხ. კ. კეკელიძე, „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“, ტფილისი, 1920, გვ. 196.

დიდი სევდაა წარმავლობისათვის, რომ ყველა მის საქმეს წაიღებს და დაივიწყებს დრო. გინდა ის, და გინდა უგუნური ვინმე, დროისათვის ყველა ერთია, — და ვინ იცის, ვინ იხელმწიფებს ჩემს ნაშრომ-ნაღვაწზე — ბრძენი თუ უგუნური, რომელი გააპარტახებს ყოველივეს, და ყოველივე ამოდ იქცევა, რამდენიც არ უნდა განვადი-ლო საქმენი ჩემნი...⁶⁵

ქართველ მეფეთა გენეალოგიის გამოყვანა ბიბლიურ დავითისაგან მრავალმხრივ არის საგულისხმო. დავითისა და სოლომონის სიბრძნე და ფილოსოფია მათ შთამომავლად წოდებულის, მეფეთა მეფის დავითისათვის განსაკუთრებით მახლობელი და საინტერესო ყოფი-ლა. ფილოსოფოსი სოლომონ ბრძენი, დიდი დავით, ავტორი ფსალ-მუნთანი, და მათი მემკვიდრე, მეფეთა მეფე ქართველთა დავით, ბიბ-ლიურ ღვთაებრივ მეფეთა შთამომავლად აღიარეს.

დავით აღმაშენებლის რწმენა ძლიერია. ძლიერია მისი პიროვნე-ბა. თავისი რწმენით იგი მიდის ღმერთამდე, ღმერთის რწმენით — ადამიანის მარადიულობამდე. მას წამს ადამიანისა და სამყაროს ძლი-ერება, წამს ცხოვრება, და მაღალი იდეალი ადამიანის მიერ შექმნი-ლი, წამს ქვეყნად ს ი კ ე თ ი ს სილიაღე.

ცნობილია, რომ იოანე პეტრიწი იდეენებოდა მრავალგზის, ხოლო დავით აღმაშენებელი მას თანაუგრძნობდა, მფარველობდა, პეტრიწს წამს აბსოლუტური „კეთილობა“ ღმერთისაგან, აბსოლუტური ერთი.

აღმაშენებელს წამს ღმერთი — შემოქმედი კეთილისა, მისთვის ბოროტი მეორეული მოვლენაა, წარმავლობაა. კეთილი მარადიულია.

დავით აღმაშენებლის გაგებით, ბოროტი შეიქმნა იქ, სადაც კაცი ვერ ავიდა თავისი სახის სრულყოფამდე. მიზანი ადამიანისა არას სრულყოფა ღმერთის დარად. აქ უკვე კაცში იმარჯვებს მხოლოდ აბ-სოლუტური „კეთილობა“ (მარადიული კეთილი).

ეს უმაღლესი იდეალი, უმაღლესისადმი სწრაფვა უნდა განხორ-ციელდეს ადამიანში ღმერთის აღდგომით.

მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე ს ი ნ ა ნ უ ლ ი თ ა ღ ღ გ ო მ ი ს ა ე⁶⁶.

აქ ადამიანი ხდება მარადიული, როგორც სიკეთე, როგორც ნა-თელი, როგორც საუკუნეთა სელა — „ნათელი ზეშთა საუკუნეთა“.

კეთილმა ღმერთმა შექმნა კაცი თავის სახის (ხატის) მსგავსად.

⁶⁵ „ეკლესიასტე“, თავი ბ, „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“ გვ. 185—191.

⁶⁶ დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი, „გალობანი სინანულისანი“, VIII გალობა, III ანტიტროფი; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954. გვ. 600—606..

მისცა გრძნობა, გონება და სიტყვა თავისებური. ხოლო კაცმა ვერ დაუმადლა.

ხატსა თვისსა მამსგავსე
და საკრველად გრძნობადისა
და გონიერისა მყოფობისა დამაწესე,
შენებრ არსთა სიტყუებითა
ჩემ შორისცა შეკრებითა,
ხოლო მე უმადლო გექმენ.

ბუნებოთნი რაჟ ძალნი —
არა სჯულთაებრ ვიწჳმიენ, —
მ ს გ ა ვ ს ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა ვ ა კ ლ დ ი დ ა
დ ა ვ ჰ ბ ა დ ე ბ ო რ ო ტ ი .

ბოროტის დაბადება ადამიანისეულია, და არა ღმერთისეული, ბოროტი დაიბადა იქ, სადაც კაცმა ვერ შეძლო ღმერთის მსგავსებამდე ასვლა.

ადამიანი ცოდვილია.

ამიტომ ღმერთ-მამაკაცად მოგვევლინა ზეციური უფალი, რომ, როგორც ღმერთმა, გვიხსნას ცოდვებისაგან. მან, რომელსაც ადამიანი, წმინდა ქალწული დედად ჰყოლია.⁶⁷

მე, ადამიანმა, კანონი გონებისა ცოდვებსა და ხორციელ ვნებების კანონს დავუმორჩილე⁶⁸.

აქ ავტორი წარმოგვიდგება აღმწერელად ადამიანთა ცოდვებისა „დასაბამითგან დასასრულამდე“, თუ რატომ იყო საჭირო ქვეყნად ღმერთის ადამიანად მოვლინება, რა ჩაიღინა კაცობრიობამ, ადამიანმა, რომელიც შემოქმედმა თავისი სახის მსგავსად შექმნა, და მისცა მას გონება და შესაძლებლობა ქვეყნის სრული მფლობელობისა.

დავითი გვევლინება იმ ცნობილი თეოლოგიური მოძღვრების გადამომცემად, რომელიც ქრისტიანული რელიგიის დედააზრს შეადგენს. მთავარი მიზანი ქვეყნად ღმერთის კაცად მოვლინებისა იყო აღდგომა, როცა ძე ადამიანისა აღდგა ღმერთად, და როგორც ღმერთმა, დაიბრუნა თავისი პირველი სახე, ხოლო, რადგან ის ამავე დროს იყო კაცი, და მაინც აღდგა, მასთან ერთად აღდგა მთელი კაცობრიობა და გოლგოთის გზით მას მიეცა გზა ხსნისა. ამიტომ ადამიანებმა ამქვეყნად უნდა იზრუნონ იმ ქვეყნისათვის, მარადისობისათვის, და ტანჯვისა და მოთმინების გზით მათთვის გაიხსნება გზა სამოთხისა. მაგრამ, რომ არ ყოფილიყო აღდგომა, მაშინ, პავლე მოციქულის სიტყვებით, ამაო იქნებოდა ადამიანთათვის მოთმენაც და ცოდვების ჩადენაც, რადგან, თუ

⁶⁷ „გალობანი სინანულისანი“, III გალობა, 4 ანტისტროფი.

⁶⁸ იქვე, IV გალობა.

სულერთია, ვერ ველირსებით მარადიულ ხსნას, რა საჭიროა მაშინ ჯოღოთა, რა საჭიროა მოთმინება.

აქვე გავიხსენოთ სოლომონის «ეკლესიასტეს» მთავარი ხაზი — ამოება ამოთა, რომელიც ფარავს ყველაფერს და რომლის იქით არ არსებობს არაფერი. ხოლო ერთადერთი რაც გვაქვს, სოლომონის გაგებით, ეს არის დღევანდელი, დღევანდელი სიამე და სიხარული, — ეს ერთადერთი მისცა ღმერთმა მზის ქვეშეთში კაცს, „და ვაქე მე სიხარული. ვითარმედ არარაჲ არს კეთილ კაცისა მზისა ამას ქუეშე; გარნა ჭამად და სუმაჲ და მხიარულობად: და ესე თანაყოს მას შრომათა მისთა შინა დღეთა ცხოვრებისა მისისათა რავდენი მისცნა მას ღმერთმან მზესა ამას ქუეშე“⁶⁹.

მივეცეთ დღევანდელი დღის სიტკბობას, რადგან იმის იქეთ მხოლოდ ამოებაა, — „რამეთუ ძალლი ცოცხალი, იგი უკეთეს უფროს ლომისა მკუდრისა. ვინაიდან ცოცხალნი სცნობენ რამეთუ მოკუდებიან, ხოლო მკუდარნი არა არიან მეცნიერ არარაჲსა, და არა არს სახსენებელი მათი.

და სიყვარული მათი, და სიძულვილი მათი, და შური მათი ეგერა წარწყმდა და ნაწილი მათი არღარა არს უკუნისადმე ყოველთა ქმნულთა მზისა ამას ქუეშე“⁷⁰.

ხოლო პავლე მოციქული ამბობს, „ანუ ჩჳენ რაისამელა ვიჭირვებთ ყოველსა ჟამსა? ... რაითმე სარგებელ არს ჩემდა, უკუეთუ მკუდარნი აღსდგებიან? ვჰსჭამოთ და ვჰსუაოთ; რამეთუ ხვალე მოვჰკუდებით!“⁷¹.

ვხოცოთ ერთმანეთი, დაღვაროთ სისხლი მოყვასისა, დავლიოთ, დავეტრეთ და ავაოხროთ მოყვასი ჩვენი, თუკი ყოველივე ამო იქნება. მაგრამ, რადგან ერთხელ აღდგა ადამიანი, ეს ყველას აღდგომაა, ვინც იმის საქმეს ირწმუნებს და ადამიანებმა უნდა ვიზრუნოთ მარადიული ხსნისათვის.

დავით აღმაშენებლისათვის გზა სინანულისა არის გზა აღდგომისა, —

მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის
ყოვლისავე სინანულით აღდგომისაჲ.

დავით აღმაშენებლის ღირსება ამ თემის თავისებურად გაგებაშია. ეს ცნობილი კონცეფცია ქრისტიანული რელიგიისა დავითის აღუქვამს თავისებური პოეტური ხედვით და ღრმა ადამიანური განწყო-

⁶⁹ „ეკლესიასტე“, თავი ზ, იხ. „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ“. გვ. 215.

⁷⁰ იქვე, თავი თ, გვ. 217.

⁷¹ ახალი აღთქმა, პავლეს ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, თავი XV, ტფილისი, 1879, გვ. 364—365.

ბილებით. მართალია, სასულიერო მწიგნობრისათვის დამახასიათებელი და ცნობილი ფორმაა ლოცვა-ვედრება ღმერთისადმი ცოდვათა შენდობისათვის, მაგრამ დავეითისეულ „სინანულის გალობაში“ არის სხვა, რითაც ის ჩვეულებრიობისაგან განსხვავდება.

მისი ვედრება არ არის მხოლოდ თავის ვედრება.

შიო მღვიმისადმი მიცემულ დავით აღმაშენებლის ანდერძში გვხვდება ფრაზა, რომელმაც დააფიქრა მკვლევარები.

რა ცოდვა ჰქონდა დავითს ისეთი, რაღაცა ცოდვა უნდა ჰქონოდა ახალგაზრდული, — წერს თ. ჟორდანიას და შემდეგ ზოგიერთი სხვა ჩვეულებარი. ქრისტიანული გაგებით ყველა კაცი ცოდვილია, და უცოდველი მხოლოდ ღმერთია. ადამიანები შენდობას ითხოვენ უფლისაგან ცოდვათა გამო, რომელიც მათ ადამიანურ არსებობას უცილობლად თან ახლავს.

„... და მილოცენ ესრეთ: უფალო ღმერთო, დავითს მიუტევე ბრანნი მისნი სიყრმისა და ცდომილებისანი!“⁷².

ხოლო ფსალმუნი ამბობს, „ცოდვათა სიჭაბუკისა და უმეცრებისა ჩემისათა ნუ მოიხსენებ; წყალობითა შენითა მომიხსენე მე სიტკბობებისა შენისათვის უფალო“⁷³.

იქნებ აქედან მოდის ესოდენ გავრცელებული ფორმა ქრისტიანული სითავმდაბლისა უფლის წინაშე. იქნებ ასეთივეა დავით აღმაშენებლის ფრაზა სიყრმის ცოდვებზე? იქნებ ასეც იყოს, ან, არა მთლად ასე.

ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ვილაპარაკოთ დავით მეფის ცოდვებზე, როცა ამის საბუთი არა გვაქვს, ანდა გამოვაცხადოთ უცოდველად, როცა თვითონ გრძნობდა თავს კაცად, და მოითხოვდა შენდობას. ეს ყოველი უფრო მეტად გასაგები ხდება, როცა ვუფიქრდებით დავით მეფის მსოფლგაგებას როგორც ქრისტიანისა, და როგორც „გალობანი სინანულისანი“ ავტორისას.

დავით აღმაშენებლის რწმენა თავისი დროისათვის პროგრესული მოვლენა იყო.

ყოველ დიდ განცდაზე და განწყობილებაზე გავლენა აქვს ადამიანის პირად ცხოვრებას. პირადი განცდით, პირადი სიხარულითა და წუხილით იწყება შესვლა ზოგადსაკაცობრიო ცხოვრებაში, — მის გაგებასა და განცდაში.

ასეთი წუხილი ჰქონია ჩვენ მეფესაც, დავით აღმაშენებელს. მაგრამ ავტორი „გალობანი სინანულისანი“ გვევლინება როგორც საერ-

⁷² დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმისადმი მიცემული, იხ. „ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა“. თ. ჟორდანიას გამოც. 1896.

⁷³ ფსალმუნი დავითისი, 24, მ. შ ა ნ ი ძ ე, „ფსალმუნნი“, გვ. 55.

თოდ კაცობრიობის ცოდვათა თავსმდები. მისი ვედრება არ არის მხოლოდ თავის ვედრება. ეს არის ვედრება რელიგიური კაცობრიობისა, რომელსაც არსებობის მანძილზე ამდენი ცოდვა ჩაუდენია, და ავტორი „სინანულისანი“ გვევლინება თავსმდებად ამ კაცთა ცოდვეზის. იგი ევედრება ღვთისმშობელს შეუდოს ცოდვები, მაგრამ ეს არის ცოდვები საერთოდ ადამიანებისა დასაბამიდან დასასრულამდე. და ის რომ მეუყვა, მფლობელი და პატრონი ადამიანთა ქვეყნად, ამიტომ ყველა იმათ უბედურებას, იმათ ცოდვებს ეზიარება. სწორედ ამიტომ არის ის ცოდვილთა „პირველი, საშუალი და დასასრული, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ“⁷⁴.

შემოსეს პორფირით მეფობის შარავანდედით, ხოლო მე ბილწთა ვნებათ მივეც თავი, რადგან ვინც მძლეუთა-მძლეა ყოველივე მას ემონება, მძლეუთა მძლე იმონებს ძლეულს⁷⁵.

კაენის ცოდვა, სეითის ძეთა ურცხვობა და ხუთქალაქელთა შეგინების სიბინძურე, —

უფროხად ვამრავალწილე,
ვითარცა რაჲ დაღმართ მსრბოლმან
მდინარემან უკეთურებისაჲ⁷⁶.

ყოველი ცუდი ადამიანური, — სხვადასხვა დროის ხალხთა და ცოდვილთა, ჩემში ჩაწურულან.

მე — ყველა ცოდვილთა შორის უცოდვესი ვარ.

ხალხთა სიყვარულით, მისი ხსნისათვის ქვეყანას წმინდა ქალწული მოევილინა, რომ თავისი სიწმინდით, ქალწულებრი დედობის შუამდგომლობით იხსნას ცოდვილნი, —

...რომელთაჲ პირველი,
საშუალი და დასასრული, —
მე ვარ, ვითარცა უფსკრული,
შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ.

დავითის ფსალმუნში ვკითხულობთ „გარე მომადგეს მე საღმობანი სიკუდილისანი და ღუართა უსჯულოებისათა შემადრწუნეს მე“⁷⁷.

ხოლო ეკლესიასტე ამბობს, «ყოველნი ღვარნი შესდიან ზღუასა შინა და ზღუა არა არს აღვსებულ, ადგილსა ზედა, სადაცა ღვარნი მივლენ, მუნცა იგინი მიიქცევიან მისლვად“⁷⁸.

⁷⁴ „გალობანი სინანულისანი“, გალობა 11, ანტიტროფი IV.

⁷⁵ იქვე, გალობა II, სტროფი I.

⁷⁶ „გალობანი სინანულისანი“, გალობა II, ანტიტროფი II.

⁷⁷ ფსალმუნნი, ფ. 17, გვ. 33, 1960.

⁷⁸ „ეკლესიასტე“, თ. ა, გვ. 18-1, 1920.

ყველა ცოდვილი მე ვარ, — რადგან მე ვარ ადამიანი, ადამიანი, პირველ ყოვლისა, ერთი და ყველა ადამიანი ერთად. მე ვარ თვით კაცობრიობა, გაძლიერებული ხელმწიფე ცხოვრების სიტკბოებით და ცოდვებით სავსე, მომთრგუნნი სუსტთა, მოძალადე და მფლობელი კაცთა, მათი ცოდვების მფლობელიც მე ვარ. აი, ამიტომ არის იგი დასაწყისი და დასასრული ცოდვის. — „პირველი, საშუალო და დასასრული“, მისგან მოდის ცოდვა, და მასშია ყველა ცოდვა. როგორც მეფეს და როგორც ადამიანს, მას თავის თავზე გადააქვს ყველა ადამიანური ცოდვა, რაც კი კაცობრიობაში იცის. სწორედ ამიტომ არის — „ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწებისა ღუართად“.

ელინთა მიერი ვერ ცნობაჲ
სიბრძნითა ღმრთისაჲთა ღმრთისაჲ
და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ
ცვალებაჲ თაყუანის-ცემისაჲ სრულ ვჰყავ, რაჟამს
თითოეულსა ვნების კერჰსა ვჰმსახურე.

ელინთა სიბრძნე ღმერთისეულია. ის ეთაყვანა კერპებს ელინთა და მათ სიბრძნეს, რომლებმაც ვერ ცნეს ჭეშმარიტი ღმერთი. ის იყო ისრაელთა მეფეს რომ ბაძავდა, ბაძავდა ურჯულოებს, უსმენდა წარმართთა ვარსკვლავთმრიცხველობას.

სოლომონისაჲსა
წურბლისა მსგავსად ვერ მაძლარი
სხუათა სოფლის —
კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობად, და ღმრთის
საზღვართ ვაზრალობდ.

საზღვარი არ არის ღმერთის დადებული, უსაზღვროდ მისცა მან კაცს ყოველი, ხოლო თვით შექმნეს საზღვრები სახელმწიფოთა და ღვთის დაწესებული დაარქვეს.

მე გადავლახე საზღვარი მეზობლების სახელმწიფოთა, ძალით დავიპყარ, სახლები და მამულები ვიმრავლე, არ მივდიე წესებს სარწმუნოებისას, ძალმომრეობით შევბილწე ქორწინების სარეცელი⁷⁹.

ვერცხლი, როგორც მიწა და ოქრო, როგორც უბნის თიხა მოვიბვეჭე და ანგარებას მივეც თავი⁸⁰.

ეკლესიასტე ამბობს: „განვადიდენ საქმენი ჩემნი. ვიშენე მე სახლები. დავნერგენ მე სავენაჯენი.“

⁷⁹ „გალობანი სინანულისანი“, გალობა V, ანტიტროფი II.

⁸⁰ იქვე, გალობა V, სტროფი I.

ვიქმენ ჩემდა მტილნი და სამოთხენი, და დავნერგენ მათ შინა
ხენი ყოვლისა ნაყოფისა.

მოვიგენ მონანი და მკვევალნი, და სახლისა ნაშობნი მესხნეს მე
და მონაგებნი ველთანი და მროწეულთაჲ ფრიადი იყო ჩემი უფროის
ყოველთა რაიოდენი იყვნეს უწინარეს ჩემსა იმლმს.

შევიკრიბე მე ვერცხლი და ოქრო, სიმდიდრე მეფეთა და ქუეყან-
ისა“⁸¹.

ხოლო დავითნი, — „დავაწულილნე იგინი ვითარცა მტუერი წი-
ნიშე პირისა ქარისასა და ვითარცა თ ი ხ ა ე უ ბ ნ ი ს ა დ ლ ა ვ თ უ რ-
გ ნ ე, ი გ ი ნ ი“⁸².

სიტყუაჲ წმიდაჲ და
ბჰეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო
მლიქვნელთა ძმატული სივერაგე ვითნე,
და შემასმენელთანი
დავიტკბენ ზრახვანი,
და ცრუნი გავსცენ მსჯავრნი.

კრემლი ქურივთანი
და ობოლთა ბრგუნილი ტირილი არაჲ შევიწყალე.

ამ ცოდვათა განსაწმენდად ქალწულის სისხლისაგან ხორციელი
ღმერთი შეიქმნა.

„ამისათვის ქალწული დედაჲ და შობაჲ ახალი სიტყვისაჲ (იქმ-
ნა)“, რომ დედობრივი შუამდგომლობით „დაადნოს ყოველი ნივთი
შეცოდებისაჲ“.

და როცა მეფობის დრო გადამივა, დიდება ჩემი მტვრად იქცევა,
სხვამ მიიღოს სკიპტრა ჩემი, —

მაშინ შემეწყალე მსაჯულო ჩემო!⁸³.

როცა მოვა დღე განკითხვის და მე ქედდრეკილი განსაკითხავად
წარვდგები, როცა მსაჯული მართლად სჯიდეს, —

მართალნი ნეტარებდენ,
ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,
მაშინ შემეწყალე, იესუ ჩემო!

მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ
სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის

ყოვლისავე ს ი ნ ა ნ უ ლ ი თ ა ღ ღ გ ო მ ი ს ა დ.

⁸¹ „ეკლესიასტე“, თავი ბ, გვ. 184—185.

⁸² ფსალმუნნი, გალობა 17, გვ. 38.

⁸³ „გალობანი სინანულისანი“, გალობა VIII, სტროფი I.

ასეთია მისტიკურ-რელიგიური განწყობილებით დაწერილი „გალობანი სინანულისანი“ დავით აღმაშენებლისა, სადაც უკვდავი პოეტური ფორმით გამოხატულია ზოგადსაკაცობრიო სულიერი ტკივილები. ეს ტკივილები განცდილია როგორც საკუთარი, და ვედრება ხსნისათვის არის ვედრება ერთისა ყველასათვის, ყველას ცოდვების თავსმდებისა.

XII საუკუნის საქართველო შეიქმნა და აშენდა დავით აღმაშენებლის მეფური ტალანტით და პოეტური აზროვნებით: მანვე მისცა დიდი გასაქანი ქართულ ფილოსოფიურ მწერლობას. მისი თანამდგომლობითა და თანამშრომლობით აყვავდა ქართული აზროვნება და მწერლობა. ის ამავე დროს, თავისი ეპოქის დიდი პოეტი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია.

დავით აღმაშენებლის საგალობელი არის შესანიშნავი ნიმუში თავისი დროის მოწინავე იდეების გამომსახველი პოეზიისა. დავით აღმაშენებლის პოეზია გამოდის ქრისტიანული ფილოსოფიიდან და განსაკუთრებით ძველი ალექსის წიგნებიდან. მისი პოეტური აზროვნების მასაზრობელი ლიტერატურული წყარო არის ბიბლიური დავითისა და განსაკუთრებით სოლომონის პოეზია. ეს კარგად იგრძნობა „ფსალმუნთან“ და „ეკლესიასტესთან“ გალობანი სინანულისანის შეპირისპირებით.

დავით აღმაშენებლის საგალობელი თავისი განწყობილებით, იდეით, სახეებით მოდის მსოფლიო მისტიკური მწერლობიდან. მისი პოეზია უმაღლესი რანგის პოეზიაა. მისი სევდა მსოფლიო სევდაა.

დავით აღმაშენებლის საგალობლის „მსოფლიო სევდა“ ქართულ რომანტიზმს დახვდა როგორც წინაპირობა თავის ეროვნულ ლიტერატურაში.

ქართველმა რომანტიკოსებმა ჰპოვეს საყრდენი იმ მისტიკური სევდისათვის, რომელიც მათ სულისკვეთებას ასე კარგად შეესატყვისებოდა.

ქართული შუა საუკუნეების მისტიკური პოეზია მაღალმხატვრულ ღირსებებს ატარებს, ხოლო ზოგი ამ ლიტერატურულ ქმნილებათაგან მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებია. მათ შორის პირველ რიგში დავით აღმაშენებლის საგალობელს დავასახელებთ.

* * *

ბარათაშვილის პოეზიისათვის მახლობელია „ფსალმუნნი“ და „ეკლესიასტი“ თავისი მარადიული სევდით, რაც ასე კარგად შეესადაგა რომანტიკოსთა განწყობილებას. ბარათაშვილისათვის მეტად მახლობელია და სისხლ-ხორციეული ძველი ქართული საგალობლები. გა-

ვისხენოთ პოეტის ბიოგრაფის, მეუნარგიას სიტყვები ამ საკითხზე და შემდეგ გადავხედოთ ბარათაშვილის უკვდავ პოეზიას, სადაც ვიგრძნობთ ძველი ქართული სასულიერო პოეზიის სურნელებას თითქმის ყოველ ლექსში, თითქმის ყოველ სტრიქონში. ასეთი ლექსებია „ჩემი ლოცვა“, „შემოღამება მთაწმიდაზედ“, „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“, „არ უკიჟინო სატრფოო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „ნაპოლეონ“. ამ ლექსთა რომანტიზმი შეზავებულია ამაოების თემისა და „ფსალმუნთა“ მისტიკური სულის წარმტაცი მშვენიერებით, მაღალი პოეზიის უჭკნობი სხივებით.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებში ის ხასიათი და მიმართულება, რაც მახლობელია ქართველი რომანტიკოსებისათვის, ბარათაშვილთან ერთად, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისათვის, როდესაც ისინი წერენ თავიანთ შედევრებს, ლექსებს — „გოგჩა“, „ფსალმუნი“, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და სხვ. ყველა ამ პოეტურ ნიმუშზე დაწვრილებით არ შეგჭერებულვართ, მხოლოდ ვეცადეთ გვეჩვენებინა ძირითადი ტენდენციები, თუ რა მიიღო ახალმა ქართულმა პოეზიამ ძველიდან, რას დაემყარა მისი ნაციონალური ძირები, რა იყო იმ ძველიდან მარად მნიშვნელოვანი და რა ახდენდა გავლენას რომანტიზმის წარმოქმნის პროცესში ქართულ ლიტერატურაზე, რომელიც თვისობრივად განსხვავდება ძველი ლიტერატურისაგან, მაგრამ საზრდოობს მისგან. ეს მარადიული საზრდო ქართველი ერის სულიერი კულტურისა არის ის მაღალი პოეზია, რომლის ნიმუშებზეც აქ შევჩერდით.

ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები მტკიცედაა დაკავშირებული მის ეროვნულ ლიტერატურასთან, ამ ლიტერატურის ტრადიციებთან და განვითარებასთან.

ქართულ რომანტიზმს ჰყავს თავისი ლიტერატურული წინამორბედები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოში ამ მიმართულების წარმოშობა და მისი განვითარება. რომანტიზმი, როგორც ყველგან, ასევე საქართველოში, მომდინარეობს საერთაშორისო ლიტერატურის კანონზომიერი განვითარების საფუძვლებიდან. მაგრამ იგი იმარჯვებს საქართველოში იმიტომ, რომ პოულობს აქ, სათანადო წინაპირობას, სათანადო ნიადაგს. ეს წინაპირობა, ეს ნიადაგი არის ქართული ეროვნული მწერლობა, მისი ჩასახვის პირველ საუკუნეებიდანვე. ეს ლიტერატურა, ქართული მწერლობის ადრეულ პერიოდებში, იყო ძირითადად სასულიერო ლიტერატურა, მთარგმნელობითი თუ ორიგინალური. მაგრამ ეს მთარგმნელობითი ლიტერატურა, რომელზედაც ჩვენ ამ ნაშრომში ვგქონდა საუბარი, საერთაშორისოა, იგი კაცობრიობის სხვადასხვა ხალხთა ზოგადი საკუთრებაა და, ამდენად, ქართველი ხალხის საკუთრებაც, რადგან საქართველოში, ისე-

ვე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ეს ლიტერატურა იქცა სი-
სხლხორცეულ ნაწილად მწერლობისა და შექმნა ამ ქვეყნებში დიდი
ტრადიციები. ამ მწერლობამ წარმართა ქართველი ერის მორალის,
ეთიკისა და ესთეტიკის ხასიათი, მისი განვითარება და თვითმყოფობა.
ამიტომ იგი ისევეა ქართული ლიტერატურის საკუთრება, როგორც
სხვა ქვეყნების — საბერძნეთის, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის,
რუსეთის, გერმანიისა და სხვ. ქართული სასულიერო პოეზიის ნია-
დაგზე ამოიზარდა ქართული ლიტერატურა, შეიქმნა მისი ეროვნული
სახე, მისი მორალური კრედო, მისი ესთეტიკური იდეალი. იგი წარმა-
რთაედა საუკუნეთა მანძილზე ქართული ლიტერატურის დინებას, სად-
აც XIX საუკუნეში, სრულიად კანონზომიერად, შეიქმნა რომანტიზმი,
— ევროპული საერთაშორისო ხმის და მიმართულებების გამოძახილად.
საქართველოში შეიქმნა იგი როგორც მეტად მნიშვნელოვანი ლიტე-
რატურული მოძრაობა, რომელმაც წარმოქმნა ქართული ლიტერატუ-
რის ბრწყინვალე შედეგები, საერთაშორისო მნიშვნელობის პოეტუ-
რი ნაწარმოებები.

ვეფხისტყაოსანი და ქართული რომანტიზმის საკითხები

ქართულ შუასაუკუნეთა ლიტერატურაში წარმოიქმნება ბუმბერაზი მწერალი, რომელიც მთელ ეროვნულ სულს და თვითმყოფადობას უდიდესი ძალით შემოსავს და მის ღონეს განუზომლად მაღლა ასწევს.

შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში წარმოიქმნება უდიდესი მნიშვნელობის ნაწარმოები, პოემა (ეპოსისა და რომანის თვისებების ერთდროულად შემცველი) ვეფხისტყაოსანი, რომელიც თავისი ღირსებებით, ყველა ეპოქისა და ყველა ერის სულიერ საგანძურს განეკუთვნება. მაგრამ მისი მნიშვნელობა და ადგილი სულთა ქართულია, ხოლო, პირველ რიგში, იგი თავისი ეპოქის შემოქმედებითი წვის ნაყოფია და მისი მორალურ-ეთიკური თვალსაზრისის გამომხატველი.

სარაინდო და სამიჯნურო რომანისა და ეპოსის ის თვისებები, რომლებიც ამ ნაწარმოებს აქვს, თავისი ეპოქისა და შუა საუკუნეთა სულის გამოძახილია, მისი ანარეკლია.

ახალი ქართული ლიტერატურისათვის ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას და მის გავლენას მრავალი ლიტერატურის კრიტიკოსი და მკვლევარი შეეხო.

უდიდესი ეროვნული ნაწარმოების მნიშვნელობა მთელ მის ლიტერატურაზე გრძელდება, ეს ბუნებრივია და კანონზომიერი. ვეფხისტყაოსნის მიმართ თაყვანება მწერლებისა და პოეტებისა, მის მისაბაძ ნაწარმოებად დასახვა დაიწყო ადრევე, ე. წ. ალორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში. ცნობილია თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ VI-ს, ქართული ალორძინების პერიოდის ამ უდიდეს მგოსანთა, დამოკიდებულება შოთა რუსთაველის უკვდავი პოემისადმი.

XIX საუკუნის მწერლები, რომლებიც უპირისპირდებიან ძველ, დრომოჭმულ, აღმოსავლურ, მიმბაძველობით ტრადიციებს, უდიდესი თაყვანისცემით და უსათუთესი გრძნობებით ეკიდებიან ეროვნულ საუნჯეს, ვეფხისტყაოსანს, ვისრამიანს, თეიმურაზ პირველისა და ვახტანგ მეექვსის შემოქმედებას, ძველ ქართულ სასულიერო პოეზიას..

ახალ ქართულ ლიტერატურაში აქტიურდება კრიტიკული სული წარსულისადმი, უარყოფილია დრომოჭმული, მეორე და მესამე ხარისხის პოეტები და მათი ტრადიციები, რომლებსაც შთამომავლობისათვის მნიშვნელობა არა აქვთ, უარყოფილია მიმბაძველობითი, პანეგირიკული პოეზია, რომელსაც სასტიკ ბრძოლას უცხადებენ ჯერ ალექსანდრე ჭავჭავაძე და რომანტიკოსები (გავიხსენოთ პეტრე ლარაძისადმი მიძღვნილი ალ. ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი¹), ხოლო შემდგომ — სამოციანელები, რომლის საუკეთესო მაგალითია ი. ჭავჭავაძის წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შემილი“-ს თარგმანზე“², და აკაკი წერეთლის, — „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“³.

ახალი ქართული ლიტერატურის, XIX საუკუნის ლიტერატურის შესწავლები ახლებურად აფასებენ ლიტერატურულ ტრადიციებს, მის მარადიულ ღირსებებს, ხოლო მოძველებულ ფორმებს უარყოფენ და ბრძოლას უცხადებენ.

სწორედ ეს, ახალი ენერჯითა და ახალი ევროპული ცოდნით გასწავლული და შეიარაღებული, განათლებული თაობა, ახალი ლიტერატურის შემქმნელი და შემოქმედი, ქართულ ეროვნულ მწერლობას და მის მარგალიტებს გამოაცხადებს თავისი ლიტერატურის საფუძვლად.

პირველთაგანი ამ ახალი ლიტერატურის საფუძველთა შორის, ქართული ლიტერატურის უდიდესი ნაწარმოები, ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო -
ქ ა ნ ი ა.

ვეფხისტყაოსანი იქცა ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელთა და მის კლასიკოსთა მარადიული შესწავლისა, ფიქრისა და ინტერესის საგნად.

ცნობილია ფაქტი, რომ უდიდეს ქართველ რომანტიკოსთა შორის ნ. ბარათაშვილს, თავისი ხელით გადაუწერია ვეფხისტყაოსანი, მასვე ჰქონია გამოკვლევა „ვისრამიანზე“⁴, ამ ნაწარმოების თარგმანი რუსულ ენაზე, ვისრამიანი მის პირად წერილებშიაც კი იხსენიება.

ვეფხისტყაოსნის მიმართ ბარათაშვილის დამოკიდებულებაზე, და მის შემოქმედებაში ან ნაწარმოებით გატაცების კვალზე წერენ ბარათაშვილის პირველი ბიოგრაფები.

¹ ალ. ჭავჭავაძე, პეტრე ლარაძისადმი, ალ. ჭავჭავაძე, ლექსები, თბ., 1949, გვ. 123.

² ი. ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა..., ჟურნ. „ცისკარი“, 1861, № 4; თხზ. სრული კრებული ათ ტომად პ. ინგოროყვას რედაქც., თბ., 1953., ტ. III.

³ ა. წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, „ცისკარი“, 1865, № 9. თხზ. სრული კრებ., 15 ტომად, ტ. XI, რედ. გ. აბზიანიძე, 1960.

⁴ ი. მ. ენაგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თბ., 1945.

ცნობილია, რომ ი. მეუნარგია ამ მხრივ, პირველ, ყველაზე მნიშვნელოვან დაკვირვებას იძლევა ბარათაშვილის „მერანისა“ ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილებთან მიმართების შესახებ.

აი, რას წერს იგი:

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში...

თვით რუსთაველს არა აქვს ბარათაშვილზე უკეთესად გამოთქმული. გაიხსენეთ ის ტაეპი „ვეფხისტყაოსნისა“, სადაც ავთანდილი სწერს როსტევეან მეფეს:

თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ლარიბი მოგკედე ლარიბად, ვერ დამიტეროს მშობელმან,
ველარ შემსულრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან...

ამ ორი ხანიდან უკეთესის ამორჩევა გემოვნებაზეა დამოკიდებული⁵.

„მერანისა“ და ვეფხისტყაოსნის დამოკიდებულების შესახებ წერენ აგრეთვე სხვა ცნობილი მკვლევარები და იზიარებენ მეუნარგიას მოსაზრებას, გამომდინარეობენ რა ამ ორი ნაწარმოების შემომოყვანილი შედარებიდან. ეს მკვლევარებია: პ. ინგოროყვა⁶, შ. რადიანი⁷, აბ. მახარაძე⁸, გ. აბზიანიძე⁹ და სხვ.

რომანტიკოსთა შემოქმედების ძირების ძიებას ეროვნულ მწერლობაში, შუა საუკუნეთა ქართულ ლიტერატურაში, საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს. საკმარისია გავიხსენოთ ზოგიერთი ცნობილი გამოკვლევა: კ. კეკელიძის¹⁰, ა. ბარამიძის¹¹, გ. ჯიბლაძის¹², ა. გაწერელიას¹³, პ. ინგოროყვას¹⁴, გ. ქიქოძის¹⁵, გ. ნადირაძის¹⁶, გ. ასათიანის¹⁷ დ. გამეზარდაშვილის¹⁸, ა. კენჭოშვილის¹⁹ და სხვ.

⁵ ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა..., გვ. 55.

⁶ პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, — „მნათობი“, 1938, №9, 10.

⁷ შ. რადიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ლიტერატურული გარემო, ლიტერატურული ძიებანი, III, 1947, გვ. 1—13.

⁸ აბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თსუ. 1948, გვ. 169—235.

⁹ გ. აბზიანიძე, ქართველი კლასიკოსები, თბ., 1950; ნარკვევები ბარათაშვილზე, იხ. გვ. 117—168.

¹⁰ კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1963, № 3.

¹¹ ალ. ბარამიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, III, 1946; ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ VI, საიუბილეო კრებ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968.

¹² გ. ჯიბლაძე, ნ. ბარათაშვილი და მ. ლერმონტოვი, მნათობი, 1936, №№5, 6.

¹³ ა. გაწერელია, ბარათაშვილის პოეტიკა, სალიტერატურო გაზეთი, 1933, №27; ნიკოლოზ ბარათაშვილის თემა და სტილი, ჩვენი თაობა, 1937, №9.

ახალ ქართულ ლიტერატურაში, მისი კრიტიკის განვითარებაში, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძის ცნობილ წერილს— „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“, სადაც ი. ჭავჭავაძე ახალ პროგრამას უსახავს ქართულ მწერლობას და მის ეროვნულ სულს ახალი იდეალისაკენ და ახალი გზებისაკენ მოუწოდებს.

ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილსა და შოთა რუსთაველს მოიხსენიებს ერთად, როგორც მისაბაძსა და სამაგალითოს ეროვნული მწერლობისათვის, ილია უსახავს გზას ქართულ მწერლობას და აზროვნებას და ეს გზა გადის მის დიდ ლიტერატურაზე, ვეფხისტყაოსანზე, რომანტიკოსების — ბარათაშვილისა და ალ. ჭავჭავაძის პოეზიაზე.

ილია წერს: „როცა ვკითხულობდით თარგმნილ „შეშლილსა“, სწორედ უნდა მოგახსენოთ, ხან გვეცინებოდა და ხან გვაწუხებდა, რომ ეგრეთ უენო ენად ვნახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაილიდინა ჩვენმა უკვდავმა რუსთაველმა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღვლიანად დაიმღერა „ქართლის ბედი“ და თავისი მართლადა ზეგარდმო შთაგონებული წერილი ლექსები!...“²⁰

ახალი ქართული ლიტერატურა, რომანტიკოსების თაობა ვეფხისტყაოსანს ხელიხელსაგოგმანებელ ნაწარმოებად მიიჩნევს. იგი მისი ეროვნული თვითმყოფადი ლიტერატურული საფუძველია, მაშინ, როდესაც ქართული რომანტიზმი კატეგორიულად უპირისპირდება ძველ, მიმბაძველობით, პანეგირიკულ, აღმოსავლურ, დეგრადაციის გზაზე დამდგარ ლიტერატურულ ტრადიციებს, რომელიც ასე მომძლავრდა გვიანდელი შუა საუკუნეების XVI—XVIII საუკ. მეორე და მესამე ხარისხოვან მწერალთა თხზულებებში, და რომელთაც საზოგადო-

¹⁴ პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965.

¹⁵ გ. ქიქოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, იხ. ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, თბ., 1922.

¹⁶ გ. ნადირაძე, პოეტი და ადამიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1938.

¹⁷ გ. ასათიანი „მერანი“ და მისი ავტორი.

¹⁸ დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

¹⁹ ა. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბ., 1953.

²⁰ ი. ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილი“-ს თარგმანზედა, — „ცისკარი“, 1861, № 4, თხზ. სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბ., 1953, ტ. III, გვ. 7—27.

დღეობაში საშიში ავტორიტეტიც მოიპოვეს. სწორედ ამ უსარგებლო მწერლობის მიერ დამკვიდრებულ ყალბ ტრადიციებს ებრძოდა ილია ჭავჭავაძე, ხოლო მანამდე — რომანტიკოსების თაობა ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის შეთაურობით, ამ უსარგებლო თემებსა და გავლენებს, მის სტილსა და მანერას ერთიანად ამსუხვერვეს ახალი ქართული ლიტერატურა, და, კლასიკურისა და ევროპულის, — თანამედროვეობის გამომხატველი პოეზიისა და გენიალური მემკვიდრეობის ფუძეზე, წარმოქმნის ახალ ეროვნულ ლიტერატურას, რომანტიკულ ლიტერატურას, რომელიც მსოფლიოს მაჯისცემას და მოწინავე იდეალებს ეხმიანება და მასთან ერთად დგება საუკუნის მოწინავე მწერლობის გვერდით.

* * *

ვეფხისტყაოსნის შესავალში წარმოდგენილია კოდექსი მიჯნურობისა, და მსჯელობა პოეტიკის ნორმებისა და თვისებების შესახებ.

ტარიელი, როგორც ტიპი, სრულიად ამართლებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც ავტორი წაუყენებს ნაწარმოების შესავალში იდეალურ მიჯნურს.

ნაწარმოების შესავალში მრავალი უმნიშვნელოვანესი საკითხია წამოჭრილი, რომელსაც რუსთველოლოგიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ერთ-ერთი ძირითადი კვლევის საგანია კიდევ იგი სპეციალისტებისათვის.

ამჯერად გვაინტერესებს შესავალი, როგორც ტიპური შუასაუკუნეობრივი პოემისათვის დამახასიათებელი თვისებების შემცველი წეგლი.

შუა საუკუნეების ნაწარმოები, სამიჯნურო და სათავგადასავლო პოემა ან რომანი აღმოსავლეთსა და ევროპაში გარკვეული მორალურ-ეთიკური და პოეტიკის ნორმების მიხედვით ყალიბდება.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთში ამ პერიოდში გადმოვიდა მთელი რიგი თემებისა, მოტივებისა, სახეებისა, რომელთაც ევროპაში განსხვავებული ქრისტიანული მორალისა და ეთიკის მიხედვით, სრულიად ახლებური თვისებები შეიძინეს. ერთი ასეთი მნიშვნელოვანი თემაა „ვის ო რამინისა“ და „ტრისტან და იზოლდას“ რომანი. „ვისრამიანის“ პოპულარობა და გავრცელება საქართველოში ცნობილია და კარგად შესწავლილი. იგი მეტად მნიშვნელოვან წინაპირობად და გარკვეულ ლიტერატურულ საფუძვლად ედება ჯერ კიდევ ქართული შუა საუკუნეების მწერლობას. ვეფხისტყაოსანში ამ ნაწარმოების შესახებ მსჯელობა და მისი ავტორიტეტით მოხსენიება ბუნე-

ბრივია და სრულიად გამართლებული. „ვისრამიანისა“ და ვეფხის-ტყაოსნის ურთიერთმიმართების საკითხი აგრეთვე რუსთველოლოგიის ერთ-ერთი საინტერესო და მრავალჯერ განხილული საკითხია.

„ვისრამიანის“ პოპულარობა საქართველოში, როგორც სამიჯნურო რომანისა, ვრცელდება თვით XIX საუკუნემდე. ქართველი რომანტიკოსები მას არა თუ იცნობენ, როგორც ეროვნული ლიტერატურის კლასიკურ მაგალითს, არამედ სიყვარულით სწავლობენ და იკვლევენ მას. გავიხსენოთ ბარათაშვილის მიერ „ტიფლისის გიმნაზიის ყვავილში“ „ვისრამიანის“ ნაწყვეტის გამოქვეყნების ფაქტი, მისივე რუსულ თარგმანში, რაც შემთხვევითობას სრულიადაც არ მიეწერება. ბარათაშვილი, ისევე როგორც მისი მეგობრები, სწავლობენ მშობლიური ლიტერატურის კლასიკურ ნიმუშებს, სასულიერო და საერო მწერლობას, მდიდარ ქართულ ლიტერატურას, რომელიც შემდგომში, მათი სულიერად ჩამოყალიბების ერთ-ერთი მძლავრი საფუძველთაგანია.

ვეფხისტყაოსნის ბოლოთქმა სიამაყის გრძნობით მოიხსენიებს რამდენიმე ქართულ ეპიკურ ნაწარმოებს, რომელთა გვერდით თავის თხზულებას ადგილს მიუჩენს.

ცნობილი სტროფი ვეფხისტყაოსნის ეპილოგიდან ასე მეტყველებს, —

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დიღარვეთ—სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ცარიელ—მასსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

აქ მოხსენიებულია სამი მნიშვნელოვანი ეპიკური ნაწარმოები. ვეფხისტყაოსანზე ადრე შექმნილი, მათ შორის მეოთხედ პოეტი ასახელებს თავის უკვდავ თხზულებას.

ამ სამთაგან პირველი ამირანის მითზე შექმნილი ნაწარმოებია, რომელიც, როგორც ჩანს, უმნიშვნელოვანესად მიაჩნია რუსთაველს. დღემდე ჩვენამდე მოღწეულია ამირანდარეჯანიანის პროზაული ვარიანტი, სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სწორედ ესაა ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული მოსე ხონელის თხზულება. სარგის თმოგველის ნაწარმოები, როგორც ჩანს, საგმირო-სათავგადასავლო პოემა ან რომანი უნდა ყოფილიყო, რომელიც დღემდე დაკარგულად ითვლება. შავთელის ნაწარმოების სახელი პირობითად მიაკუთვნა ნიკო მარმა სახოტბო ქებითი ხასიათის თხზულებას²¹, რომელიც მრავა-

21 Н. Я. Марр, Древнегрузинские одописцы, СПб., 1902.

ლი ნიშნის მიხედვით წინ უსწრებს ვეფხისტყაოსანს და XII საუკუნეში შექმნილად ითვლება. მეცნიერებამ გაიზიარა მარის აზრი, რომ სწორედ ეს, ნ. მარის მიერ მიკვლეული და თავის დროზე შესწავლილი ნაწარმოები უნდა იყოს ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული ეპიკური თხზულება, რომელსაც რუსთაველი ესოდენი ავტორიტეტით მოიხსენიებს.

ფაქტია ერთი რამ, რუსთაველის ეპოქაში, იმ დროს, როდესაც კეფხისტყაოსანი იწერება, მას ჰყავს საქართველოში წინამორბედები. ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია.

ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში, XII საუკუნეში, რამდენიმე ეპიკური თხზულება იქმნება, მათ შორის ისეთ დიდებულ თემანზე, როგორც ამირანის მითია. ხოლო დაგვირგვინება ამ ეპიკურ თხზულებათა რიგისა, წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნით, მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი ნაწარმოებით.

აქამდე ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი, —

ამბობს რუსთაველი თავისი თხზულების შესახებ გარკვეული სიამაყის გრძნობით, თვითშეგნებით იმ შემოქმედისა, რომელმაც თავისი დიდებული გენიის ძალა, პირველ ყოვლისა, თვითონ იცის. პოეტი ამბყად აცხადებს ამის შესახებ, მიუხედავად იმ დიდი წინააღმდეგობისა, რაც აშკარად ჩანს მის მიმართ ნაწარმოების შესავალი სტროფებიდან.

შუა საუკუნეები ეპოსის დამუშავების ხანაა ევროპაში. აღმოსავლეთში შექმნილი ეპიკიდან მრავალი საგულისხმო მასალა გადადის ამ პერიოდში ევროპაში, განსაკუთრებით არაბული სამყაროს გზით. ეს მასალა სრულიად ახლებურ მორალურ-ესთეტიკურ პრინციპში გარდაიქმნება ქრისტიანული სარაინდო ხასიათის თხზულებათა რიგად, რომელსაც ქრისტიანული სული და ეთიკა ასაზრდოებს.

შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში წარმოიშობა სამი ჯნურ ოსარაინდო ხასიათის პოემები, რომელნიც საზრდოობენ ქრისტიანული ეთიკათა და ესთეტიკით, ამდენად მსოფლმხედველობრივი წყარო მათ საერთო აქვთ, რაც გარკვეულად განსაზღვრავს კიდევ მათ ინტერესებს, მათ მორალურ მხარეს, მათ სულიერ იდეალებს. ეს სულიერი იდეალები, ეს ინტერესები და ეთიკური ნორმები ახალ საუკუნეებში, ქრისტიანულ სამყაროში ევროპულ ქვეყნებსა და საქართველოში შუა საუკუნეებიდან გადმოდის, როგორც მისი ლიტერატურის და სულიერი ცხოვრების საფუძველი.

შუა საუკუნეები და იქ წარმოშობილი ლიტერატურა, ლიტერატურული იდეალები, ასაზრდოებს ახალ საუკუნეებს, კერძოდ, ყველა-

ზე მკვეთრად იგი თავს იჩენს რომანტიზმის ეპოქაში, როცა შუა საუკუნეები და მისი გმირული, კეთილშობილი სული იქცევა განსაკუთრებული თავყანისცემისა და ინტერესის საგნად.

შუა საუკუნეები წარმოქმნის საკუთარ, მშობლიურ საფუძველს ახალი ლიტერატურის განვითარებისათვის, რაც რომანტიზმის ეპოქით იწყება.

ქართული შუა საუკუნეები ბრწყინვალე ეპოქაა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის, მისი სულიერი კულტურის წარმოქმნისათვის.

ძველი ქართული მწერლობა, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, ფრესკული მხატვრობა, სახვითი ხელოვნება, ქართული ეროვნული მუსიკა, საგალობლები, რომლებიც კი ჩვენამდე მოღწეულია, შექმნილია შუა საუკუნეებში. ამ კულტურის წარმოშობა ემთხვევა ქრისტიანული რელიგიის დაფუძნებას.

ქართული შუა საუკუნეების სულიერი საგანძური არის ქართველი ერის თვითმყოფადობის დასაყრდენი, იგი აძლევს ეროვნული არსებობის მყარ საფუძველს და ინდივიდუალურ სახეს მის ეროვნულ მოძრაობას ახალ საუკუნეებში.

შუა საუკუნეებში შექმნილი კულტურა აძლევს მიმართულებას და საფუძველს, ინდივიდუალურ თვისებებს ქართული ლიტერატურის და ხელოვნების ახალ პერიოდს, რომელიც XIX საუკუნეში იწყება. ლიტერატურაში იგი ემთხვევა რომანტიზმის დამკვიდრების ხანას.

ქართული რომანტიზმი ქართული შუა საუკუნეებით იკვებება, მისი ეთიკურ-ესთეტიკური იდეალებით, მისი მსოფლმხედველობრივ-მორალური კრედოთი, რომელიც მისი რელიგიისაგან გამომდინარეობს. ეს საფუძველები მეტად ახლოა ევროპის მოწინავე ქვეყნებში ამავე პერიოდში წარმოშობილ ეთიკურ-ესთეტიკურ, მორალურ-სარწმუნოებრივ იდეალებთან, რაც გამომდინარეობს საერთო ქრისტიანული სარწმუნოების მორალიდან და ეთიკიდან, ეს საერთო საფუძველი განსაზღვრავს ესთეტიკურ ნორმებს და სულიერ იდეალებს.

შუა საუკუნეების საქართველოში წარმოიქმნება უმდიდრესი ქრისტიანული ხასიათის პოეზია, ე. წ., სასულიერო პოეზია, და ამავე დროს წარმოიქმნება მთელი რიგი პოემებისა, რომელთა ხასიათი ახლოს დგას ამავე პერიოდში ევროპაში წარმოშობილ პოემათა ხასიათთან.

XII—XIII საუკუნის ევროპული და ქართული პოემები უდავოდ სარგებლობენ ძველი აღმოსავლური კლასიკური პოეზიით, განსაკუთრებით ეპიკური პოეზიით.

აღმოსავლური სამყაროსა და თემატიკის გავლენა აშკარაა ადრეულ ევროპულ შუა საუკუნეების რომანში, პოემაში. საქართველოში

ეს გატაცება აღმოსავლური პოეზიით და მისი დიდი, კლასიკური ლიტერატურის ერთგვარი ზემოქმედება კიდევ უფრო საგრძნობია. ეს გასაგებიცაა. საქართველო ხომ მეტად ანლო მეზობლურ გარემოცვაშია ბრწყინვალე ლიტერატურული ტრადიციების ქვეყანასთან, სპარსეთთან.

ევროპაში აღმოსავლური პოეზიის გავლენები უფრო არაბული სამყაროს გზით შედიოდა, რომელიც, თავის მხრივ, სპარსულიდან ბევრ საზრდოს იღებდა.

საქართველოში სპარსულ-აღმოსავლური პოეზიით დაინტერესება თავს იჩინს XII—XIII საუკუნეებსა და შემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით, და უფრო მომეტებულად. XVI—XVII საუკუნეებში, იმ პერიოდიდან, როდესაც იწყება პოემების დამუშავება, ეპიკურ-რომანული ჟანრის ბატონობა ქართულ ლიტერატურაში.

ადრეული შუა საუკუნეების ქართული პოეზია სასულიერო პოეზიაა, იგი მთლიანად გამომდინარეობს ქრისტიანული თემატიკისა და ბიბლიური პოეზიის წიაღიდან. ლიტერატურაში ამ პერიოდში დაუშვებელია, და, ამდენად, წარმოუდგენელიც სხვა თემის დამუშავება და პოეზიისათვის სხვა ფორმის ძიება.

იმავე პერიოდის ევროპაში ადრეული შუა საუკუნეები VI—XI-საუკ. აგრეთვე ასკეტიკურ-სქოლასტიკური ლიტერატურის ბატონობის ხანაა, რომელშიაც თანდათან შეიჭრება სარაინდო თემატიკა. ჯვაროსნული ლაშქრობები დიდად უწყობენ ხელს ლიტერატურაში ახალი თემის შემოჭრას და დამკვიდრებას. ჯვაროსანი რაინდები, ქრისტიანული იდეალებისათვის თავდადებული კეთილშობილი გმირები იკავებენ ადგილს ლიტერატურაში. მათი პოეტური სახეები ხალხური ლეგენდებიდან და თქმულებებიდან ოფიციალურ პოეტთა შემოქმედებაში გადადის. ამავე დროს, აღმოსავლეთში წარმოებული ლაშქრობები ბევრ ახალ თემას, მრავალ ახალ სიტუაციას და ახლებური ლიტერატურული გმირის სახეს უკარნახებს მწერლობას.

იქმნება გმირი როლანდის შესახებ თქმულება, — პოემათა მთელი ციკლი, რომელიც არაერთხელ მუშავდება შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში, მათ შორის უდიდესი პოეტის — არიოსტოს — მიერ.

მეფე არტურისა, მისი რაინდის ლანსელოტისა და სხვათა შესახებ თქმულებები მუშავდება არაერთი პოეტის მიერ. იდეალური რაინდისა და მიჯნურის სახე თანდათან ლიტერატურის ცენტრში დგება.

შუა საუკუნეების ევროპულ ლიტერატურაში სრულიად განსაკუთრებულია იდეალური მიჯნურის, დიდგვაროვანი რაინდისა და გმირის სახე, რომელიც ეტრფის მზეთუნახავ სეფექალს. ამ მიჯნურს არასოდეს უნახავს თავისი სატრფო, მაგრამ ეთაყვანება მთელი ცხო-

ვრება, და მხოლოდ ერთხელ, სიკვდილის წინ, იხილავს მის მშვენიერსახეს. ბედნიერება და სიკვდილი ერთად ეწვევა ჭეშმარიტ მიჯნურს და უდიდეს სიხარულს განაცდევინებს. ტრფიალთა სიყვარული გრძელდება მარადიულ არსებობაში. ასეთია უადრესად ცნობილი და აღიარებული ლეგენდა პოეტისა და გმირის, ჟოფრუა რუდელისა და მშვენიერი გრაფის ასულის მელისანდა ტრიპოლისის სიყვარულის შესახებ. რომანტიკოსებს იტაცებს ამ ტიპის მიჯნურთა სახეები. რამდენიმე დიდმა რომანტიკოსმა მიუძღვნა ნაწარმოები მელისანდასა და ჟოფრუა რუდელის სევდიანი სიყვარულის ამბავს. მათ შორის გამოირჩევა ედმონდ როსტანის ლირიკული დრამა „შორეული დედოფალი“ და ჰაინრიხ ჰაინეს „ჟოფრუა რუდელი და მელისანდა ტრიპოლისი“. ლეგენდაში მისტიკური, იდეალური სიყვარული უპირისპირდება მგრძობელურ ვნებას და ღვთაებრივ სამყაროში აამაღლებს ადამიანის ბუნებას. ამგვარ სიყვარულზე წერს შოთა რუსთაველი, —

სიყვარული აგვამაღლებს, ვით ექვანნი ამას ჟღერენ.

იდეალურ სიყვარულს უმღერიან ტრუბადურები, მოხეტიალე პოეტები, ისინი ეტრფიან ქალს რომელიც არასოდეს უხილავთ თვალით, მაგრამ რომელიც იდეალია, და ღირსია თაყვანებისა. პოეტისათვის და მიჯნურისათვის ისიც კმარა, რომ არსებობს სადღაც ამგვარი სრულყოფილი არსება, რომელიც ნახევრად მისტიკურ და ნახევრად ღვთაებრივ წარმოსახვით სახეს ატარებს და აამაღლებს მასზე ოცნებით შეეკვარებულ პოეტის სულს და სარაინდო და საგმირო საქმეებისაკენ უბიძგებს მას.

იდეალური, უბიწო სიყვარული მიჯნურს მთელი ცხოვრების მანძილზე უდიდეს მოვალეობას აკისრებს — ეთაყვანოს ერთადერთ იდეალურ ქალს. ეს ქალი აუცილებლად სრულყოფილია როგორც თავისი მშვენიერებით, ასევე სულიერი თვისებებით და მდგომარეობით. იგი ძილზე უდიდეს მოვალეობას აკისრებს — ეთაყვანოს ერთადერთ იდეალური რაინდია. რაინდობა კი, გარდა მკლავის სიძლიერისა და მშვენიერი გარეგნობისა, მოითხოვს ასევე უდიდეს უბიწობას და უკეთილშობილეს სულიერ თვისებებს.

ამ მხრივ რუსთაველის სამიჯნურო კოდექსი იზიარებს ევროპაში შემუშავებულ სამიჯნურო-სარაინდო ნორმებს.

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია, —

აცხადებს ვეფხისტყაოსნის ავტორი. რუსთაველი შესავალში გადმოგვცემს დაწვრილებით და სისრულით მიჯნურისა და პოეტის აუცილებელ თვისებებს და მოვალეობებს. იგი პროფესიონალი პოეტია,

„ხელობით“ პოეტი, ხოლო სრულყოფილია იმით, რომ აქვს ზეშთაგონება მიჯნურისა.

მე რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი,
ვის მორჩილებს ჭარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.

იგი ხელობით პოეტიცა, და მომღერალია თავისი დედოფლის, — მბრძანებლის (რომელსაც მორჩილებენ ჯარები, ე. ი. სუზერენი ქალის). ეს მიჯნურობა, ზეშთაგონება, რომელიც სულიერ საზრდოს და მუზის სამსახურს მოითხოვს მხოლოდ, არავეთარ შემთხვევაში არ გულისხმობს რაიმეგვარ სხვა სიახლოვეს.

შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით აღვა, —

ასეთივეა ევროპული შუა საუკუნეების ტრუბადურის ტიპი, რომელიც, ამავე დროს, რაინდია, იგი შეყვარებულია შორეულ დედოფალზე, რომელიც, შეიძლება არც კი უნახავს, ანდა უხილავს როგორც შორეული ნათება, ან სიზმარეული ხატი. მაგრამ ზეშთაგონება და იდეალი არის მგოსნის შემოქმედების წყარო, მისი მუშათა საფუძველი, ასეთი საფუძველია სწორედ, რაზედაც რუსთაველი ევედრება შემოქმედს, რომ არ მოაკლდეს არასოდეს მიჯნურის ზეშთაგონება, სულიერი დიდი ვნება, — როგორც უდიდესი წყალობა ღვთისა, მისი არსებისა და მისი პოეზიის საფუძველი —

ჰე ლმეროო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი, სიკვდიდმდე გასატანისა...

ეს იდეალური ტიპი მიჯნურისა, უერთგულესი სახე გმირისა და პოეტისა, რომელიც შესავალშივე დაგვიხატა რუსთაველმა, ფიგურირებს მთელი პოემის მანძილზე. მისი ერთგვარი ორეულია, პირველ ყოვლისა, ტარიელი, — როგორც იდეალური მიჯნური და გმირი, ნაწარმოების ცენტრალური პერსონაჟი. ამავე სამიჯნურო თვისებების ნატარებელია ავთანდილი, თუმცა მას პოემაში სხვა ფუნქციებიც აკისრია, იგი მოხმობილია, პირველ ყოვლისა, ტარიელის მხსნელად და მეგობრად, კეთილ რაინდად.

კეთილშობილი და თავდადებული, ტანჯული გმირისათვის მებრძოლი ავთანდილი, რომელიც შუა საუკუნეობრივი რაინდის ტიპია, ხოლო, მეორე მხრივ, წმინდა გიორგის მისტიკურ სახესაც ენათესავება, ამავე დროს, ხერხთა მცოდნეცაა. ამ თვისებით იგი ემსგავსება ჰომეროსის საყვარელ გმირს — ოდისევსს.

მიჯნურს თავისი თვისებები აქვს. ყველას არა აქვს მიჯნურობის უფლება, მიჯნური დაბადებით რჩეულია, რჩეულია თავისი პიროვ-

ნული თვისებებით და აგრეთვე, მდგომარეობით. მიჯნური უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მისთვის წაყენებულ პირობას —

მიჯნურსა თვალად ს ი ტ უ რ ფ ე მართებს, მართ ვითა მზეობა,
ს ი ბ რ ძ ნ ე, ს ი უ ხ ვ ე, ს ი მ დ ი დ რ ე, ს ი ყ მ ე და მ ო ც ა ლ ე ო ბ ა,
ე ნ ა, გ ო ნ ე ბ ა, დ ა თ მ ო ბ ა, მ ძ ლ ე თ ა მ ე ბ რ ძ ო ლ თ ა მ ძ ლ ე ო ბ ა,
კ ის ა ც ე ს ს რ უ ლ ა დ არ ა ს ჭ ი რ ს, ა კ ლ ი ა მიჯნურთ ზნეობა.

პოეტური ნაწარმოები უნდა მიეძღვნას რ ჩ ე უ ლ პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ს. მ ე ფ ე რ ჩ ე უ ლ ი ა, და მ ი ჯ ნ უ რ ი ც რ ჩ ე უ ლ ი ა. არსებობენ აგრეთვე მონები, რომლებიც მათ უნდა შეეწირონ, ეს მათი მოვალეობაა, და მათი ბედნიერებაც ესაა.

სიყვარულისათვის სატრფოსაგან მძიმე დავალება უნდა მიიღოს მიჯნურმა და აასრულოს.

„წ ა დ ი, ი გ ი მ ო ყ მ ე ძ ე ბ ნ ე...“ — უბრძანებს თინათინი გამიჯნურებულ ავთანდილს. ძნელი და მძიმე საქმეა, სახიფათო და სავაჟკაცო საქმე უნდა აასრულოს სიყვარულისათვის კარგმა მოყმემ, მიჯნურმა.

„წ ა, შ ე ე ბ ი ხ ა ტ ა ე ლ თ ა, თავი კარგად გამაჩვენე...“ — ნესტან-დარეჯანი თავის მიჯნურს მოუწოდებს საომრად, დიდი საგამირო საქმეების ჩასადენად, რომელიც საჭიროა სატრფოს გულისა და ხელის მოსაპოვებლად.

ესეც ერთ-ერთი კოდექსია სარაინდო-სამიჯნურო ნაწარმოებისათვის, — სქემა, რომელსაც იყენებს შუა საუკუნეობრივი რომანი, პოემა თუ მოთხრობა, ან ზღაპარი, როგორც ქართულში, ასევე ევროპულში.

ტ ა რ ი ე ლ ი — რაინდი, რომანის მთავარი პერსონაჟია. მთავარი გმირია, ამიტომ ყველაზე მშვენიერია, ყველაზე მამაცია, მისი განცდები და გრძნობები ყველაზე დიდია და ძლიერი, იგი სათაყვანებელია სხვა პირთაგან. მისი ცხენი მ ე რ ა ნ ი ვ ი თ მიჰქრის. —

იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად,
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად.

ქართულ ლიტერატურაში პირველად აქ გვხვდება „მერანის“ ხსენება. ამ საკითხთან დაკავშირებით კარგ დაკვირვებას გვთავაზობს პროფ. გ. აბზიანიძე²².

როგორც ჩანს, „მერანი“ ჯადოსნური რაშია, ან მისი მსგავსი არსება, მფრინავი რაში, პეგასი. — ნახევრად ღვთაებრივი არსება, რო-

²² გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1955.

მელსაც განსაკუთრებულ შემთხვევაში ადარებს პოეტი ტარიელის ცხენს.

ტარიელის ცხენი ნამდვილად ატრიბუტია რაინდისა. შავი რაში, ერთგული, ყველა რაშიზე უფრო ძლიერი და მარდი. სარაინდო პოეზიაში „რაში“ გმირის განუყრელი თანამგზავრია. გმირი და რაში ხშირად განუყოფელ, ერთიან მხატვრულ სახეს ქმნიან. იდეალური მხედრის სახე გულისხმობს იდეალური გმირისა და იდეალური რაშის ერთიანობას. ეს რაში ისევე ჭარბობს დადებითი თვისებებით სხვა ცხენებს, როგორც მისი პატრონი, — უპირველესი გმირი, სხვა გმირებს აღემატება თავისი თვისებებით. ამ მხრივ, ვეფხისტყაოსანი სრულიად იცავს სარაინდო ნაწარმოების პოეტიკის ნორმებს.

ტარიელის რაში შავია, რადგან გმირი ტრაგიკულია. მისი მწვავე განცდები მხოლოდ შავ (და არა თეთრ!), მგლოვიარე ფერის მქონე მეგობარს მოითხოვს.

არავინ იცის, რა ფერია ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „მ ე რ ა ნ ი“, მაგრამ იგი პოეტის შავ ფიქრსა და მომყვან შავ ყორანთან ერთად ტრაგიკული შავი ფერის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ცხენი განუყრელი მეგობარია რაინდისა, მისი ტანჯვისა და მისი შფოთვის მონაწილე, თანაზიარი მთელი მისი ცხოვრებისა და მასთან ერთად მებრძოლი, ასევეა ტ ა რ ი ე ლ ი ს შ ა ვ ი რ ა შ ი და ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს მ ე რ ა ნ ი.

ბარათაშვილის მერანის სიმბოლიკას უდიდესი ფესვები აქვს სარაინდო ლიტერატურაში, ხალხურ პოეზიაში. გმირისა და რაშის ერთიანი სახე — სიმბოლო მსოფლიო ლიტერატურაში უძველესია და იგი რომანტიკულ პოეზიაში შესანიშნავად შემოდის და იკავებს ადგილს მის უდიდეს პოეტთა შემოქმედებაში, როგორც ერთ-ერთი თბილი და მიმზიდველი სახე.

ვერობელმა რომანტიკოსებმა შუა საუკუნეების პოეზიაში მეტად კარგი საყრდენი პოვეს, ამდენად მათთვის ბუნებრივია მხედრისა და მისი განუყრელი, ერთგული მეგობრის, ნახევრად მისტიკური არსების — რაშის—სიმბოლური სახის დამკვიდრება და მიღება.

თუ უფრო შორს გავიხედავთ, უძველეს ხალხთა შემოქმედებაში, ვნახავთ იგივე მდგომარეობას, მითიური ნახევარღმერთები, ხშირად გვევლინებიან ნახევრად ღვთაებრივ, მისტიკური თვისებების მქონე ცხენზე ამხედრებული, რომელიც მათ თვალუწვდენ სივრცეებზე გადააფრენს, რათა განაშოროს ტრაგიკულ განსაცდელს (ასეთივეა თეზევსის მაგალითი).

ამგვარი ცხენის ყველაზე სრულყოფილი სახეა პეგასი, მფრინავი რაში, რომელსაც, ვფიქრობთ, ქართულში „მერანი“ განასახიერებს.

ამის საფუძველს იძლევა ვეფხისტყაოსნის სტრიქონები. ვეფხისტყაოსანში ორჯერ მოიხსენიება „მ ე რ ა ნ ი“.

პირველად, როდესაც მხედარი — ტარიელი—თვალთაგან ჯადოსნური სისწრაფით გაუქრა მეფე როსტევეანს, — როგორც უხორცო არსება, — ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს იგი მნახველებზე, ასეთივე კონტექსტში იხმარება შედარება ტარიელის ცხენისა მერანთან.

იგი ლალი და უკადრი მივა ტანისა მრხვევლად.
ტ ა ი ჭ ი მ ი უ ქ ს მ ე რ ა ნ ს ა, მიეფინების მზე ველად.

მეორედ, როდესაც ხატაელ ძმებს შეხვდება ველად გაჭრილი გმირი ტარიელი, —

ანაზღად მოყმე გამოჩნდა, კუშტი, პირ-გამჭეშავია,
ზედა ჯდა შავსა ტაიჭსა, — მ ე რ ა ნ ი რ ა მ ე შ ა ვ ი ა.

თვალთა წინა წაგვივიდა, ლალი, კუშტი, ამაყი, წა!

უდიდესი გმირი ღირსია ყველაზე დიდებული რაშისა. რაში, რომელიც მას ეკუთვნის, და თითქოს მისთვისაა მოვლენილი ამქვეყნად, არ შეიძლება სხვა მხედარს ოდესმე ატარებდეს, იგი მხოლოდ ერთადერთი, რჩეული გმირისათვისაა გაჩენილი და მისი გამარჯვებებისა და ტრაგიკული განცდების მონაწილე ხდება.

სწორედ ასევე, უდიდესი გმირთა შორის, ალექსანდრე მაკედონელი, ფლობს ლეგენდარულ ცხენს, ბუცეფალს, რომელიც გაუხედნავი, ვერვისგან მოთვინიერებული, ალექსანდრემ მოათვინიერა. ლეგენდარული ცხენი, ბუცეფალი, გმირი ალექსანდრეს ყველა უდიდესი ლაშქრობების მონაწილე ხდება.

ბუცეფალისა და მისი მხედრის ბედი ტიპიურია მაღალ გმირთა ცხოვრებისათვის. ეს ისტორიული დეტალი დიდ ლიტერატურულ სახეთა ცოცხალი საფუძველია.

ვეფხისტყაოსნის გმირი, ტარიელი, როგორც კი გამოჩნდება ნაწარმოებში, მასთან ერთად ფიგურირებს მისი რაში.

ნახეს. უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლისა პირსა,
შავი ცხენი საღავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა.

ასეთია ტარიელის პირველი გამოჩენა პოემაში. იგი ზის მტირალი წყლის პირას უღრან ტყეში განმარტობით და მის გვერდით მისი ერთგული მეგობარი, შავი რაში დგას მხოლოდ.

ხშირად ესხა მარგალიტი ლავამ-აბჯარ-უნაგირსა,
ცრემლსა ვარდი დაფორთვილა, გულსა მდულრად ანატირსა.

გმირის აბჯარზე და ცხენის უნაგირზე აციალებული მარგალიტები თითქოს ასოციაციას ქმნიან გმირის ცრემლებისას, აქ მარგალიტე-

ბი ემსგავსებიან ცრემლებს, რომლებსაც მღუღრად ანატირი ვარდი აფრქვევს.

ეს საოცრად ნატიფი სურათი თითქოს თავიდანვე წარმოქმნის მხედრისა და რაშის ერთიანი სახე-სიმბოლოს შთაბეჭდილებას.

გმირის განუყრელი მეგობარი, შავი რაში, მის მძიმე ღღეთა მონაწილე, მის შავ ფიქრთა და ტანჯვათა მესაიდუმლე, გმირის ტრაგიკულ განცდათა ერთადერთი მოწამეა.

ადამიანთა საზოგადოებიდან გაქცეული გმირი, სასოწარკვეთილებაში მყოფი ტარიელი, განმარტოებულ ტანჯვათა მოწმედ გაიხდის მხოლოდ ერთ არსებას, ცხენს, — რომელმაც უნდა გადაატაროს იგი უღრან და უნაპირო უღაბნოზე, კლდე-ღრეზე, შორს ადამიანთა სადგომებიდან, სადაც მისი სიყვარული ტანჯვად იქცა.

გმირს არც სურს თანაგრძნობა, რადგან ჩვეულებრივ კაცთა თანაგრძნობა ცნობისმოყვარეობასთანაა ნაზიარები, რომელიც გმირის სატანჯველს კი არ შეეღის, არამედ უფრო აღრმავეებს.

ასეთი მხედრის სახე წარმოსდგება რუსთაველის პოემიდან, რომელიც ენათესავება ბარათაშვილის დევნილ გმირს, „მერანში“ გამოხატულს. გმირის ნაწამები სული ეძებს განმარტოებას, ასეთია ტარიელის სახე პირველი გამოჩენისთანავე, სანამ მასთან ბედით მოვლენილი, თეთრ რაშზე ამხედრებული ავთანდილი ნათელი სხივივით მოვიდოდეს.

საზოგადოებიდან განდგომა, გადახვეწა უკაცრიელ სიმარტოვეში, შორს კაცთა სადგომიდან, ჩაძირვა საკუთარ, გამოუვალ ფიქრებში და ტანჯვათა მორევში, რომელიც ასე რელიეფურად იკვეთება ტარიელის სახეში, ბარათაშვილის განცდათა წინამორბედია, რომელიც „მერანით“ გამოიხატა.

მაგრამ ბარათაშვილთან დაუშვებელია ნათელი სხივი და საოცნებო სატრფოს კვლავ დაბრუნება. საზოგადოებიდან განდგომილი გმირის პესიმიზმი, „მერანით“ გამოხატული, უარყოფს ბედნიერების კვლავ დაბრუნებას, ბედნიერება დედამიწაზე მხოლოდ ილუზია იყო და გაქრა სამუდამოდ. ბარათაშვილის მხედარი გადალაგავს უძირო და უნაპირო სივრცეებს, რომ უსაზღვრო სევდაში ჩაიძიროს და გააქროს ბედის მყივანი ძალა. მისი პროტესტი კაცობრიობის უმაღლესი მისტიკის და პესიმიზმის გამოხატულებაა, რომელიც განსაკუთრებულ, ახალ ფორმას მიიღებს რომანტიკული გმირის სულისკვეთებაში და რომანტიზმის ეპოქაში ახლებურად ამეტყველდება. ბედთან ბრძოლის ეს უდიდესი პროტესტი უარყოფს ამქვეყნიურ ყოველგვარ კავშირს. შეუძლებელთან ბრძოლა ზეადამიანური ძალით და ზებუნებრივი თავგანწირვით უნდა მოხდეს, ამიტომ უნდა გაწყდეს ყოველგვარი კავშირი იქ, სადაც ბედის კანონები მოქმედებს, ადამიანურ ცხოვრებასთან.

ამის გამო უარყოფილია ყოველგვარი სინხარული და ნეტარება, თვით სატრფოს ცრემლებიც კი მკვდარ სამარეზე ... უდიდესი პროტესტი მხოლოდ უდიდეს თავგანწირვას მოითხოვს. ამიტომ მკვდარია ფიქრი ბედნიერებაზე, სიყვარულზე, ნაცნობ სითბოზე და თვით სამშობლოს მიწაზეც კი... კაცთა ბუნებას აღემატება თავგანწირვის ასეთი ფორმა, ის ზებუნებრივ ძალას მოითხოვს. ამ არაადამიანური ძალით და ზებუნებრივი თავგანწირვით ხდება ბედის შემბოჭავ ბორკილის მსხვრევა და სანუკვარი გამარჯვების მოპოვება ბედისწერაზე.

ეკლესიასტეს უძირო სევდა არ იცნობს ასეთ პროტესტს, ეს რომანტიზმის ეპოქის მონაპოვარია და ქართულ სინამდვილეში ფორმას იღებს უდიდესი ეპოქალური ნაწარმოებით „მერანი“.

„მერანი“ მთავრდება გამარჯვებით. მაგრამ ეს სიცოცხლის გამარჯვება კი არაა, არამედ ცხოვრების კანონებზე გამარჯვება. ბართაშვილის ნაწარმოებში მთელი სიგრძე-სიგანით წარმოსდგება რევოლუციური რომანტიზმის პრობლემა და მისი მიზანი. „მერანში“ გამოსხატული ბედის დამსხვრევა და ბედისწერაზე გამარჯვება სიცოცხლისა და ცხოვრების მსხვერპლად შეწირვით ხდება. ამ გამარჯვებას ენაცვალება ყველა ცხოვრებისეული სითბო, სიტკბო და სინაზე. სიცოცხლის გამარჯვება „მერანის“ პრობლემა არ არის, იგი რუსთაველის და ჰომეროსის პრობლემაა და უმაღლესი კლასიკური ლიტერატურისა და ხელოვნების საგანია. რევოლუციური რომანტიზმის ბრძოლა და გამარჯვება პესიმიზმის და მისტიკის სფეროებში გადადის, ვინაიდან ამქვეყნიურ, მოწესრიგებულ გამარჯვებას არ გულისხმობს, არამედ ამქვეყნიურის გადალახვას, მსხვრევას, თავგანწირვას და ბედისწერასთან ბრძოლას. რომანტიკოსებთან ბედისწერის დაძლევა მოწესრიგებულ ცხოვრებას არ გულისხმობს. ასეთი გაგება რომანტიზმის არსის საწინააღმდეგოა. რომანტიკოსის იდეის გამარჯვება არის სიკეთის გამარჯვება, იგი აბსოლუტური სიკეთისა და სიყვარულის ძალთა ზეიშია, მაგრამ ამქვეყნიური ცხოვრების ძალთა ზეიმს რომანტიკოსებთან არ ეძებნება ფორმა. ეს რომანტიკულსა და რეალისტურ ხელოვნებაში სიკეთის გაგების ძირითადი წინააღმდეგობაა, რომანტიკოსის ბრძოლითა და თავგანწირვით მოპოვებული გამარჯვება ირეალურ სამყაროში იმკვიდრებს სიყვარულისა და სიკეთის მარადიულ ზეიმს, მისი გამარჯვება და ამ გამარჯვებით მოპოვებული ნეტარება ამქვეყნიური ცხოვრების საზღვრებს სცილდება და ირეალურში, მისტიკურში იმკვიდრებს ადგილს.

რუსთაველთან იდეის გამარჯვება სიცოცხლის ზეიშია, ამ გამარჯვებით მოპოვებული სიკეთე კაცთა ცხოვრების ამქვეყნიურ არსებობაში ჰპოვებს სამყოფელს.

მაგრამ გამარჯვება არის სიხარული, როგორი მსხვერპლის ფასადაც არ უნდა მოიპოვებოდეს იგი. გამარჯვება არის სიხარული და ბედნიერება, რომელ სფეროებისაკენაც არ უნდა იყოს იგი მიმართული.

„მერანში“ დამარცხებულია სიკვდილი, ასევე ვეფხისტყაოსანში. გამარჯვებაში აღარ არსებობს სიკვდილის ზეიმი. ბედისწერის ძალთა გადალახვა სიკვდილის დაძლევაა. სიხარული, რომელსაც მიადწევს უდიდესი თავგანწირვით რომანტიკოსი, სიკვდილის ძალთა უარყოფით ზეიმობს მარადიულ არსებობას. მაგრამ ეს სიხარული რომანტიკოსისათვის უდიდეს ამქვეყნიურ ტანჯვასთანაა დაკავშირებული და იგი მოიპოვება მხოლოდ ირეალურ, მისტიკურ არსებობაში. ამქვეყნიურ ცხოვრებაში კი მისი ხვედრია მხოლოდ ტანჯვა-წამება და ღვენა უდიდესი სიყვარულის წილ.

ასე იმარჯვებს სიკვდილზე ამაღლებით ბაირონის ღვენილი გმირი, მანფრედი, და ბარათაშვილის „თავგანწირული მხედარი“, ღვენილი უდიდესი ღვენით.

მაგრამ არაადამიანური ტკივილით მოპოვებული ყველა სიკეთე და სიყვარული ბედნიერებას მოუტანს მომავალში ადამიანთა თაობებს და ნაკარნახევია მათდამი უსაზღვრო სიყვარულით, რომელიც არასოდეს არ ჭკნება და ფერს არ იცვლის.

„რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა ვაუადვილდეს“.... — ეს უსაზღვრო სიყვარული კაცობრიობისადმი არის უდიდესი მასტიმულირებელი ძალა და ყველა დიდი შემოქმედის სანუკვარი ოცნება, რომლისთვისაც იგი სწირავს საკუთარ ყოფიერ ბედნიერებას. ამ უსაზღვრო სიყვარულს კაცობრიობისადმი რომანტიკული და რეალისტური ხელოვნება ანსახიერებს სხვადასხვა ფორმით.

მშობლიურ ლიტერატურაში ბარათაშვილის „მერანი“ ჰპოვებს მჭიდროდ კარგ საყრდენს. ტარიელი და მისი ზღაპრული რაში, ეს ერთიანი სახე — სიმბოლო, რომელიც ასე რელიეფურად იკვეთება რუსთაველის ნაწარმოებში, არის ბარათაშვილის „მერანის“ ეროვნულ საფუძველი.

მერანის თავგანწირული სრბოლა მხედრითურთ ირეალურ, სევდიან შორეთში, სახეობრივ დასაყრდენს ჰპოვებს რუსთაველის პოემაში, უღრან და უსიერ ტყეებში, უკაცრიელ უდაბნოში გადახვეწილ შავ ტაიჭოსან, სევდიან მხედართან. ზღაპრული შავი რაში მერანით გააქროლებს თავის მხედარს განსაცდელისაგან გადასარჩენად, ადამიანთა ცნობისმოყვარე ტყვეობისაგან თავის დასაღწევად.

მაგრამ ამ გმირებს აქვთ თავ-თავიანთი სამყარო, საპირისპირო და განსხვავებული. ერთისათვის გამოუვალი ბედისწერა აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და მასთან შებრძოლება და თავისდადება ამ

ზრძოლაში უდიდეს გამარჯვებას მოასწავებს, ხოლო მეორისათვის ისტანჯველი ნათელი სხივით შეიცვლება და გამარჯვება სიხარულის ზეიმით გვირგვინდება. რუსთაველის ეპიკისათვის არ არსებობს მიუღწეველი მიზანი. ამ ორ ნაწარმოებში სხვადასხვა მიზნებია დასახული და გამარჯვებაც შესაბამისად განსხვავებულ სფეროებს მოიცავს.

ვეფხისტყაოსნის გმირი განასახიერებს კლასიკური ეპიკის თვალსაზრისს, ბარათაშვილის მხედარი კი რომანტიზმის ღვიძლი შვილია და მის სწრაფვათა პირუთვნელი გამომხატველი.

ტ ა რ ი ე ლ ი , რ ო გ ო რ ც ნ ა მ დ ვ ი ლ ი რ ა ი ნ დ ი , ს ა რ ა ინდო ეპოქის შვილი, ფეოდალური სამყაროს ეთიკის გამომხატველია.

ტარიელი ხოცავს როსტევიანის ხელქვეითებს იმიტომ, რომ არ სურს მათთან ლაპარაკი (მათ გუნებაზე არ არის) მაგრამ ვრიდება თვითონ მეფეს, როცა კი მეფე გაემართება მისკენ, ტარიელი გაეცლება, გაიქცევა.

მეფეზე ხელის აღმართვა ღვთაებრივი დანაშაულია, რომელსაც სასტიკად უნდა ერიდოს კაცი, ამ დანაშაულისათვის დიდი სასჯელიც ელის ადამიანს.

მთელ იმ ხოცვა-ჟლეტაში, რომელიც პოემის მანძილზე ხდება, მეფე არსად არ იღუპება ნაძალადევი სიკვდილით. გაიხსენოთ სასტიკი ომი ხატაელებთან, სადაც ცხენ-კაცის გორები დგება, მაგრამ დამარცხებული მეფე უვნებლად მიჰყავთ გამარჯვებულთან, ხოლო იგი დიდსულოვანია, და ამიტომ შეიწყნარებს დამარცხებულ გვირგვინოსანს, —

რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მივიყვანე.

ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი სააკვანე.

გვირგვინოსთანთა მიმართ ეტიკეტის დაცვას ემსახურება პოეზიის შესავალში, პირველ სტროფშივე გადმოცემული სიტყვები, — რომ ხელმწიფე, უფალმა თავისი სახისა და ნების გამოსხატულებად მოავლინა ამქვეყად. —

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,

ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერიითა,

მის განარსყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერიითა.

ამგვარად, მეფეზე ხელის აღმართვა ღვთაებრივი დანაშაულია, ასეთი დანაშაული საბედისწეროა და მას დიდი უბედურება მოსდევს. ასეთია სარაინდო მაღალი ეტიკეტი ფეოდალურ ხანაში. ასევეა ეს საკითხი დასმული ვეფხისტყაოსანში.

გამოუვალაი მდგომარეობა, სატრფოს სიტყვები და მისი დაკარგვის შიში ტარიელს აიძულებს ხვარაზმშას ვაჟზე აღმართოს ხელი.

ეს საბედისწერო ნაბიჯი ხდება მიზეზი ვეფხისტყაოსნის გმირთა უბედურებისა, რომლისაგან დახსნა დიდი ტანჯვისა და წამების შემდეგ ხერხდება მხოლოდ.

ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად, —

ეს სიტყვები გამოთქმულია სასიძოს მოკვლის განზრახვასთან დაკავშირებით:

მიბრძანა თუ, ხამს ღიაცი ღიაცურად, საქმე დედლად,
დიდსა სისხლსა ვერ შევაქნევ, ვერ ვიქნები შუა კედლად,
რა მოვიდეს, სიძე მოკალ, მათთა სპათა აუწყებულად,
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა
ნედლად.

სასიძოს, მეფის ძის მოკვლა საბედისწერო დანაშაულია. მეფური სისხლის დაღვრა საბედისწერო ცოდვია, იმიტომ, რომ მეფე ღვთით მოვლენილი არსია, მისივე სახის დარი (ამქვეყნიური მბრძანებელი, მარადიული ქვეყნის მბრძანებლის დანიშნულია). გადაწყვეტილებას — მოიშოროს თავიდან არასასურველი საქმრო — მხატვრულად ამართლებს ნესტან-დარეჯანის განრისხებული სურვილი. ქალის აზრით, დიდი მორალური უსამართლობაა, მისი სურვილის წინააღმდეგ, მისთვის მეუღლედ სპარსელი უფლისწულის მოყვანა, რადგან მას სხვა უყვარს, და, ამავე დროს, ეს საყვარელი ადამიანი ღირსეული სამეფო კაცია. ყველა სამეფო ღირსებით შემკული მისი რჩეული მიჯნური უნდა მოაშორონ და უცხო ტომის ხელმწიფე მოუყვანონ თანამეცხედრედ — ეს დიდი ზნეობრივი უსამართლობაა, რომელსაც, ქალის აზრით, ზენაარი არ მიემხრობა, ამიტომაც, სრული უფლებით, მართალ სამართალს განაჩინებს. ეს არის ზნეობრივი სამართალი, რომელიც მეტად განსხვავდება ამ შემთხვევაში ორთოდოქსალური კანონისაგან, და უპირისპირდება მას.

ეს მართალი სამართალი, ეს ზნეობრივი სიმართლე, გააცოცხლებს ხმელ ხესაც კი, იმიტომ, რომ ღმერთია მისი მეურვე. ხმელი ხეჩვეული კანონთა მსვლელობით არასგზით არ უნდა გაცოცხლდეს, ისევე როგორც არასგზით არ უნდა დაიდგაროს უფლისწულებისა და მეფეთა სისხლი, მაგრამ, ღვთის მართალი განგებით, ცოცხლება გამხმარი ხეც, სასწაულებრივი დაშვება ხდება ბუნების კანონთა რიგში (მსგავსი დაშვება ბიბლიაში პოეებს საფუძველს), ასეთივე სასწაულებრივი დაშვებაა მეფის ძისათვის სიკვდილის განაჩენის გამოტანა, რომელსაც საფუძვლად უდევს მორალური სიმართლე, ღმერთისაგან დაწესებული ზნეობრივი ჭეშმარიტება.

მეფის ძის სიკვდილმა მაინც მოიტანა დიდი უბედურება.

ამ უბედურებისაგან გამოსხნა ხორციელდება მხოლოდ ღვთით მოვლენილი კეთილი მეგობრების (სიკეთისათვის მოწოდებული

გმირების) ჩარევით, სადაც მთავარ როლს ასრულებს თეთრ ცხენზე ამხედრებული კეთილშობილი გმირი ავთანდილი.

თეთრი ცხენი, თეთრი რაში, — პოეზიაში, მითოლოგიაში (და ზოგჯერ თვით მეფეთა ცხოვრებაშიც) იმედისა და შველის სახე-სიმბოლოს გამოხატავს. ტრაგიკულ განსაცდელში მყოფ გმირს მოევლინება მეგობარი თეთრი ცხენით. ამავე სიმბოლურ გამოხატულებას კავშირი აქვს წმინდა გიორგის სახესთან, რომელიც, თეთრ ცხენზე ამხედრებული, კლავს ბოროტებს, გველეშაპს. ადამიანთა მოდგმის საკეთილდღეოდ, თეთრ ცხენზე ამხედრებული გმირი — წმინდანი—ანთავისუფლებს კაცობრიობას ბოროტი ძალის მეუფებისაგან და, ადამიანთა სულსა და არსებაში სინათლეს ამკვიდრებს.

სინათლის ღვთაების, აპოლონის ფუნქციები დაეკისრა თეთრ ცხენზე ამხედრებულ წმინდა გიორგის ქრისტიანულ რელიგიაში. ეს სახე მეტად ძლიერ ზეგავლენას ახდენს ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაზე. წმინდა გიორგი ხომ ქართველ ხალხში ყველაზე ძლიერი და ყველაზე პოპულარული წმინდანია²³.

ამგვარად, თეთრ ცხენზე ამხედრებული ავთანდილის სახე და მისი ფუნქციები ქართულ სინამდვილეში მეტად დიდ ეროვნულ საფუძვლებზე დგას. ქართული შუა საუკუნეების რელიგიისა და პოეზიის აღზევების ხანაა, იგი თავის საკუთარ, ნაციონალურ, საყვარელ გმირებს წარმოშობს, რომლებიც საფუძვლად ედებიან მთელ ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურას მომავალ საუკუნეებშიც.

როდესაც ავთანდილი მიდის სატრფოსაგან შორს, უცხო მოყმის საძებნელად, ---

ახალმან ფიფქმან დათოვა, ვარდი დათრთვილ
დანასა,

მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა...

ფიგურალური გამოთქმა-სახე, რომელიც ავთანდილის განწყობილებას გამოხატავს, ამავე დროს ბუნების მისტიკურ გლოვას — ზამთარს—შეესატყვისება.

დიდი ძიების შემდეგ, როდესაც დგება იმედის ყამი და გადამწყვეტი გამარჯვებაც მოახლოვებულია, იღვიძებს ბუნება, იფეთქებს მასში მიძინებული ძალა, — დგება გაზაფხული, რომელიც შეესატყვისება გმირის განწყობილებას და ცხოვრებას ერთდროულად.

გაზაფხულის მაცოცხლებელი სხივი და ცვარი ეპკურება ვზას,

²³ ი. ვ. ჭავჭავაძის შიშვილი, ქართველების წარმართობა, § 3. მნათობთა თაყვანისცემა: წმ. გიორგის ქართველთა რწმენაში წარმართობის ღრობინდელი უზენაესი ღვთაების, მთვარის ადგილი უკავია, ი. ქ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, თბ. 1979, გვ. 88—99.

როდესაც თეთრ ტაიჭიან ავთანდილს მიაქვს მეგობართან ქაჯეთის ციხეში დატყვევებული სატრფოს წერილი. უბედურება გატყდა, გაიღვიძა ბუნებამ, ზამთრის ძილს, სიკვდილს და გლოვას მოელო ბოლო.

სიცოცხლე და ბედნიერება, გაზაფხული ღგება ავთანდილის მიერ მოტანილი დიდი იმედით.

პოემაში ერთ-ერთი ულამაზესია ეს ადგილი:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათიჲ ბემანისა,
ეტილის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა.
სულთქვნა, რა ნახა ყვაილი მან, უნახავმან ხანისა.
ავრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცვართა;
ვარდთა აკოცა ბავითა, მითვე ვარდისა დართა.

პირველ ყოვლისა, ეს ადგილი ჰქონდათ მხედველობაში მკვლევარებს, როდესაც ვეფხისტყაოსანს რომანტიკული, ან ეპიკურ-რომანტიკული პოემა უწოდეს და დაინახეს მასში ლირიკული ადგილები.

ვეფხისტყაოსანს რომანტიკულ პოემას უწოდებდა ჯერ კიდეც ე. მარბი, მისი აზრით, — „ვეფხისტყაოსანი რომანტიკული პოემაა, რომელიც სპარსული რომანის ლექსით გადამუშავებას წარმოადგენს“²⁴.

ს. ცაიშვილის აზრით ვეფხისტყაოსანი — „პოეტური ფორმიი, რომანტიკული პოემის ქარგაზეა შექმნილი“²⁵.

„ვეფხისტყაოსანი მძლავრი ლირიზმით გამსჭვალული ეპიკურ-რომანტიკული პოემაა“²⁶, — წერს აკად. ალ. ბარამიძე.

ავთანდილი, რომელიც იმედს და სინათლეს განასახიერებს პოემაში, უკავშირდება აგრეთვე თავისი შინაგანი თვისებებით ბუნების ზეიმს, გაზაფხულს. მისი თვისებებია — ლაღობა, გულწრფელობა გონიერება, ადამიანისათვის თავდადება. მეგობრისათვის თავდადების გრძნობა (და ამ ხაზით, საერთოდ, ადამიანისათვის) იმდენად დიდია ავთანდილში, რომ იგი პირად ჭირსა და ღვინს, პირად სატყვეარსა და გრძნობას, პირად ცხოვრებას წირავს. ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს გ მ ი რ ი ა , რ ო მ - ე ლ ი ც მ ო უ წ ო დ ე ბ ს თ ა ვ გ ა ნ წ ი რ ვ ი ს ა კ ე ნ ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს , მ ო ძ მ ი ს ა თ ვ ი ს , ს ი კ ე თ ი ს ი დ ე ა ლ ი ს ა თ ვ ი ს . ავთანდილის სიტყვებია —

მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვჰკრეფ კიტრად ბერად.
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.

და კიდეც —

²⁴ H. M a p p, TP, IV, 1902, c. 54.

²⁵ ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი, თბ., 1974, 83-18.

²⁶ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 83.

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ავთანდილის სახე მოყვრისათვის თავგანწირული გმირის სახეა, რომელიც ამ თვისებებით ენათესავება რომანტიზმის გმირებს.

ავთანდილის თვისებაა ბრძოლა შეუპოვარი და ძიება შეუწინაღობელი, ღვთისადმი მინდობა და რწმენა მისი სიკეთის პრიმატისა ყველა სხვა ძალასთან შედარებით. იგი ბრძენია, სიბრძნით განირჩევა მისი გამონათქვამები წუთისოფელზე, ადამიანის დანიშნულებაზე, ბედისწერაზე. მის ბუნებაშია ბედისწერის აღიარება. ამ თვისებებითაც იგი რომანტიზმის გმირის მონათესავეა.

ვეფხისტყაოსანში გმირის ჩაცმულობა და მოკაზმულობა მის შინაგან თვისებებთანაა დაკავშირებული. ასეთია, პირველ ყოვლისა, ტარიელის ვეფხის ტყავით შემოსვა, — ვეფხის ტყავი ვნებისა და უსაზღვრო, წრესგადასული გრძნობის გამოხატულებაა, რომელიც საზოგადოებისათვის შეუთვისებელია.

ტარიელის თანამგზავრია შავი ფერის ტაიჭი.

შავი ფერის რიდე და ყაბაჩა უცნაური და უცხო თვისებების. რომელიც ნესტან-დარეჯანს მიჯნურმა უსანსოვრა, დროშელიც იან სდევს სატრფოს მთელი დროის მანძილზე, ისევე როგორც მის მიჯნურს შავი ფერის ცხენი და ვეფხის ტყავი, გმირთა შინაგან ბუნებას, მათ ბედს და მათ მღელვარე ცხოვრებას ასახავს.

ავთანდილის ცხენი თეთრია, მას საოცრად მშვენიერი ხმა აქვს, ხუმრობა და სიცილიც უნდება, იგი ადამიანთა ხსნისათვის არის მოწოდებული.

ქალის კულტი ძლიერი აპოემია. გონების პრიმატი ქალს ეკუთვნის. ქალია ხელმწიფე, ქალია უფალი, ქალი მიუთითებს მამაკაცს მოქმედებისაკენ, წარმართავს მის აქტიურ ძალებს. ქალი მოუწოდებს ვაჟკაცს უცხო მოყმის ძიებისაკენ, სახიფათო და საგმირო საქმისაკენ. ქალი მოუწოდებს ომისაკენ, არასასურველი საქმროს დამხობისაკენ, ე. ი. ამბოხებისაკენ, და სხვ.

ქალის ნებისა და მისი გონების განსჯას მისდევენ და ემსახურებიან რაინდები — მიჯნურები, ისინი რანგითაც დამოკიდებულნი არიან თავიანთი სატრფოებისაგან და წოდებრივად ერთი საფეხურით ქვემოთ დგანან.

ვერობულ შუა საუკუნეების რომანებში გავრცელებულია ასეთი ფორმა — რაინდი დოფლის რჩეულია, იგი მას ეტრფ-

ის. ეს სატრფო ქალი მეფის ასულია ან მაღალი ქალბატონი, წოდებრივად უფრო ხშირად რაინდზე მაღლა მდგომი, ევროპულ რომანებში ეს სათაყვანებელი ქალბატონი, — დედოფალი, ხშირად მეფის ან სუზერენის მეუღლეა, და ტრივიალური სიყვარულის მონაწილე.

ქალის ასეთი პრიმატი და წოდებრივი უპირატესობა აღმოსავლურ რომანებში თითქმის გამორიცხულია. იქ არა დედოფალია წარმმართველი რაინდის ნებისა, არამედ პირიქით, მეფეა რაინდი და იგია უმაღლესი ნების გამომხატველი.

ვეფხისტყაოსანში ტრივიალური სიყვარული გამორიცხულია. დედოფლები უბიწონი არიან, მათი ბუნება ედარება მნათობებს და ხელშეუხებ სიქალწულეს გამოხატავენ.

ისინი ერთიანი არიან, როგორც დედაბუნება, ხელშეუხებები ბუნებრივობა, რომლის სიმბოლოა სიქალწულე.

ბუნების ხელშეუხებლობა, მისი დაურღვევლობა და შეუვალობა ბერძნულ მითოლოგიაში გამოხატულია ქალწულის სახით, — არტიმიდეთი, რომელსაც უპყრია ვერცხლის მშვილდისარი და დედაბუნების შემლახავს ანადგურებს. ქართულ მითოლოგიაში — დალის სახე ნაწილობრივ ედრება მას.

ვეფხისტყაოსანში მიჯნურსა და სატრფოს შორის ურთიერთობა სრულიად ემორჩილება რაინდული ტრფობის, „შორით კვდომის“ პრინციპს.

სრულყოფილი ტრფობა სრულყოფილ არსებას მოითხოვს. ქალი, რომელიც ტრფობისა და თაყვანების საგანია, უმაღლეს პოეზიაში კარგავს ხორციელ სახეს, იგი ედარება მნათობს, ქალწულებრივ ბუნებას და მის მარადიულ, უჭკნობ მშვენიერებას განასახიერებს.

ასეთივე უჭკნობი, მისტიკური თვისებების მატარებელია ბარათაშვილის პოეზიაში წარმომობილი მიჯნური ქალის სახე, განსაკუთრებით კი ლექსში, „არ უკიჟინო სატრფოო...“.

არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულითქმა:
მოკვდავსა ენას არ ძალუმს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა!
მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემს დღეთა გარსამოვაველო.
სალამოს მისთვის შთავედე, რომ დილა უფრო ვაცხოველო.

....

მინდა შენ იყო. სატრფოო, მშვენიერისა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო, შავარნო, მდელი, სიცხითა დამკვანარი.

....

ბარათაშვილის სატრფო არც მეფე ქალია, არც სუზერენის ასული. იგი არც ვეფხეს ჰგავს თავისი ვნებისა და შემართების სიძლიე-

რით,... მაგრამ ვეფხისტყაოსნის მნათობ ქალთა გარკვეულ, გაღვთა-
ებრივებულ თვისებებს მაინც ატარებს.

ბარათაშვილის სატრფო ისევე ხელშეუხებია, სიქალწულისა და
ჰიბიწობის მარადიული არსის, სრულყოფილი სიყვარულის გამომხატ-
ველია, როგორც რუსთაველის ამალღებული თვისებებით შემკული
გმირი ქალები, მარადიული სახეები უმაღლესი და იდეალური ქალუ-
რობისა.

ქართული ალორკინების ეპოქა და რომანტიკული განწყობილებები

რომანტიზმი, ლიტერატურული და ესთეტიკური მიმართულება, რომელმაც XVIII—XIX საუკუნეებში მოიცვა მთელი ევროპულად ცივილიზებული სამყარო, საქართველოში მკვიდრდება XIX საუკუნის პირველი ათეული წლებიდან და ქმნის მეტად ძლიერ და საინტერესო ლიტერატურულ გარემოს. საქართველოში რომანტიზმის შემოსვლა და დამკვიდრება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ლიტერატურისათვის. რომანტიზმი ჩვენში არ შემოსულა როგორც მოდური ლიტერატურული მიმართულება, რომელიც მოივლის მთელ მსოფლიოს, ადვილად დამკვიდრდება ყველა ხალხის ლიტერატურაში და გაივლის მოდასთან ერთად. ქართულ ლიტერატურას ადრიდანვე ბევრი რამ აკავშირებდა ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებთან. რომანტიზმიც, მსგავსად ევროპული ქვეყნებისა, ჩვენშიც ლიტერატურის განვითარების კანონზომიერი შედეგია.

ცნობილია, რომ რომანტიკული მიმართულება, რომელმაც შესძრა ორი საუკუნის განმავლობაში ცივილიზებული სამყარო, დარჩა ქრისტიანული, ევროპული ერების კუთვნილებად, ხოლო სხვა, არაქრისტიანული და არაევროპელი ხალხებისათვის მხოლოდ განსწავლისა და გატაცების საგანი იყო; ისინი აღმოჩნდნენ შემოქმედებითი მონაწილეობის გარეშე ამ მიმართულებისადმი, მისი ლიტერატურული, ესთეტიკური და ეთიკური ნორმებისადმი. დასავლეთ-ევროპულ ერებთან ერთად რომანტიზმით შეუძლიათ იამაყონ სლავეთა ხალხებმა — რუსებმა, პოლონელებმა, უკრაინელებმა, სადაც სწორედ რომანტიზმის დამკვიდრებასთან ერთად, მისი საფუძვლების და მისი ესთეტიკური, ეთიკური და მორალური ნორმების მიხედვით იქმნება დიდი ლიტერატურა, რუსეთში ამ პერიოდში გვაქვს ბრწყინვალე ლიტერატურა, რომელიც რუსეთის დიდი ლიტერატურის დასაწყისი და უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტიცაა.

ეს არის პუშკინისა და ლერმონტოვის, მიცკევიჩის, შევჩენკოს ხანა, მაგრამ ყველა ეს პოეტი თავისი შემოქმედებით დავალებულია და გამომდინარეობს ევროპული რომანტიზმის ძლიერი სკოლიდან. ამ ერ-

ეზს, მათ არისტოკრატიასა და ინტელიგენციას, რომელიც ძირითადად არისტოკრატიული წარმომავლობისა იყო, ჰქონდა უშუალო კონტაქტი ევროპასთან, ისინი იზრდებოდნენ ევროპული განათლებით, ევროპული ლიტერატურული გარემოთი საზრდოობდნენ, როგორც მეორე დედაენით და ევროპაში წარმოქმნილი ყოველგვარი სიხალე მათთვის იყო ისევე ხელმისაწვდომი, როგორც ყველა ევროპელისათვის — ფრანგისათვის, ინგლისელისა თუ იტალიელისათვის.

საქართველოში კონტაქტები ევროპულ ლიტერატურასთან უფრო შორეული იყო. ეს კონტაქტები ხორციელდებოდა ძირითადად რუსეთის ან პოლონეთის ინტელიგენციის მეშვეობით. რუსეთის არისტოკრატიასთან და მის ინტელიგენციასთან განსაკუთრებით მჭიდროდ და ორგანული კავშირი (აღზრდით, ოჯახით, წრით, და ა. შ.) ქართველ რომანტიკოსთაგან ჰქონდა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძეს. მიუხედავად ამ შედარებითი სიშორისა, საქართველოში რომანტიზმი დამკვიდრდა და შექმნა მეტად მძლავრი, საინტერესო ლიტერატურული ატმოსფერო. საქართველოში რომანტიზმის შემოსვლისათვის საუკუნეების მანძილზე მომზადდა შესაფერი ნიადაგი, პირველ ყოვლისა, იმით, რომ საქართველო ევროპულ ქვეყნებთან ერთ რელიგიურ რწმენას იზიარებდა, რაც ნიშნავდა ამ ქვეყნებთან მორალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ სფეროებში საერთო ნიშნების არსებობას, რომელიც განაპირობებს ერის სულიერი ცხოვრების ძალების მიმართულებას და ხასიათს. ამ მორალური, ეთიკური და ესთეტიკური ნორმების თვალსაზრისით შემუშავდა და განისაზღვრა ქართველი ერის ისტორიული ყოფა და მისი ლიტერატურული ცხოვრება.

ქართული ლიტერატურის განვითარება ქმნის შესანიშნავ წინაპირობას რომანტიზმის დამკვიდრებისათვის საქართველოში. ამ ლიტერატურის განვითარება არ არის სწორხაზობრივი და არც ყოველი მასი მომენტი გამოდგება რომანტიზმის წინაპირობის გამოხატულებად. მაგრამ ლიტერატურის ძირითადი ეტაპები; მისი სასულიერო და საერო მწერლობის განსაზღვრული ტენდენციები აუცილებლად უნდა განიხილოს, როგორც გარკვეული საფუძველი საქართველოში რომანტიზმის წარმოქმნისათვის.

ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში „ეკლესიასტეს“, მსოფლიო გოდების, ლირიზმისა და პიროვნული ლტოლვის საფუძვლები მეტად ნიშნეულია. ამავე დროს საერო მწერლობაში, ხოლო უფრო კონკრეტულად, აღორძინების ხანის მწერლობასა და ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში, შეინიშნება მკვეთრად გამოხატული ტენდენციები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს და საფუძველი მოუმზადეს რომანტიკულ მიმართულებას. საერო მწერლობის ეს ტენდენციებია „სოფლის

სამღურავის“ თემა, ესოდენ გავრცელებული აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში. ამავე პერიოდში, სამყაროსა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე დამკვიდრებული უკმაყოფილება, ინდივიდუალიზმი, ახლად შემოჭრილი ლირიზმი, რომელიც ეპიკაშიაც კი იკიდებს ფეხს, რაც სრულიად უცხოა კლასიკური პოემის აღნაგობისა და ნორმებისათვის და სხვ.

ამ ტენდენციათა ანალიზისათვის არსებულ ნაშრომში ჩვენ მივმართეთ აღორძინების პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან პოეტს, თეიმურაზ პირველს, ვისი შემოქმედებაც ამ პერიოდის ლიტერატურის ტონის მიმცემია და წარმოადგენს ახალ ეტაპს ქართული პოეზიის განვითარებაში.

ქართულ ფილოლოგიაში უკვე საკმაოდ დამკვიდრებულია აზრი, რომ ბარათაშვილის სევდას აქვს შორეული საფუძვლები ეროვნულ მწერლობაში. ამ აზრმა პირველად გაიელვა 1876 წ. ნიკო ნიკოლაძის რეცენზიაში ბარათაშვილის ახლად გამოცემულ ლექსთა კრებულზე¹, ხოლო 1892 წ. ილია ჭავჭავაძემ ცნობილ წერილში ბარათაშვილზე კვლავ დააყენა საკითხი ბარათაშვილის პოეზიის ეროვნული საფუძვლების შესახებ². ინდივიდუალიზმის გრძნობას ძველ ქართულ მწერლობაში ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზისას შეეხო გერონტი ჭიქოძე³.

აღორძინების ხანის მწერლობის მნიშვნელობას ქართული რომანტიზმისათვის აღნიშნავენ თავიანთ ნაშრომებში ცნობილი ქართველი მკვლევრები: კ. კეკელიძე⁴, ალ. ბარამიძე⁵, გ. ჭიქოძე⁶, პ. ინგოროყვა⁷, გ. ჯიბლაძე⁸, ა. გაწერელია⁹, გ. ასათიანი¹⁰, დ. გამეზარდაშვილი¹¹

¹ Н. Николодзе, Николай Бараташвили, «Тифлисский Вестник» 1876, № 17.

² ი. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ივერია“, 1892, № 77.

³ გ. ჭიქოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებული, 1922, გვ. 189.

⁴ კ. კეკელიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, თბ., 1963, № 3.

⁵ ალ. ბარამიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, III, თბ., 1946, მისივე, თეიმურაზ პირველის თხზ. სრული კრებ., ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედ., ტფ., 1934; მისივე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვახტანგ VI, საიუბილეო კრებ., ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1968.

⁶ გ. ჭიქოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1922.

⁷ პ. ინგოროყვა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებათა კრებული, ტ. III, თბ., 1965.

⁸ გ. ჯიბლაძე, ბარათაშვილის პოეტური გენია, თბ., 1968.

გ. ნადირაძე¹², მ. ზანდუკელი¹³, ს. ჩიქოვანი¹⁴, ე. მაღრაძე¹⁵ აბ. მახარაძე¹⁶, შ. რადიანი¹⁷, კ. მეძველია¹⁸, ლ. მენაბდე¹⁹, დ. ლაშქარაძე²⁰.

თეიმურაზ პირველისა და დავით გურამიშვილის პოეზიის ინდივიდუალურ და გოდების კილო რამდენიმეჯერ იქნა დაპირისპირებული რომანტიკოსთა განწყობილებებთან. ამ მხრივ, ვახტანგ VI-ის პოეზია ნაკლებად გამხდარა მსჯელობის საგანი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთჩამოთვლილ გამოკვლევებში (ძირითადად დ. გამეზარდაშვილის გ. ასათიანის, ს. ჩიქოვანის მ. ზანდუკელის და სხვ). არჩილ მეფის პოეზია, თეიმურაზისა და გურამიშვილის პოეზიასთან ერთად, ყველგან ერთ რკალშია მოქცეული, როგორც რომანტიკული პოეზიის წინამორბედი და საფუძველი.

ჩვენი აზრით, არჩილის პოეზიის განსხვავებული ხასიათისა და მიმართულების გამო ეს (განსხვავება არჩილისა და თეიმურაზის პოეზიათა შორის სათანადო გამოკვლევებში აღიარებულია და შესწავლილი), იგი ნაკლებად გამოდგება იმ ერთიანი ხაზის ანალიზისათვის, რომელიც რომანტიზმის წარმოშობისათვის ქმნის ლიტერატურულ საფუძვლებს. ამ მხრივ თეიმურაზის, ვახტანგ VI-ის და გურამიშვილის პოეზიათა ხასიათი ქმნის ერთიან ხაზს ზემოხსენებულ საკითხთა განვითარებაში.

თეიმურაზის, როგორც მეფისა და როგორც პიროვნების, ტრაგიზმი და ბედის მუხთლობა ეპოქალური ხასიათისაა. თეიმურაზ პირველი გამოხატავს თავისი ეპოქის სულისკვეთებას. როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე. იგი გამოხატავს XIX საუკ. საქართველოს მწუხარე, სასტიკ ბედისწერას, რომელსაც მეტად წააგავს ბედი მისი მეფისა და

⁹ ა. გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1962.

¹⁰ გ. ასათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974.

¹¹ დ. გამეზარდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

¹² ვ. ნადირაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, თბ., 1961.

¹³ მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, I, თბ., 1941.

¹⁴ ს. ჩიქოვანი, რჩეული წერილები, თბ., 1963.

¹⁵ ე. მაღრაძე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა, თბ., 1974.

¹⁶ აბ. მახარაძე, ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

¹⁷ შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, I, თბ., 1954.

¹⁸ კ. მეძველია, რომანტიზმის მოტივები აღორძინების პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, ა. წულუკიძის სახ. ქსპი შრომები, VII, ქუთაისი, 1947.

¹⁹ ლ. მენაბდე, XIX საუკუნის ქართველი კლასიკოსები და ძველი ქართული მწერლობა, თბ., 1973.

²⁰ დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.

უპირველესი მოქალაქის, თეიმურაზის. როგორი უნდა ყოფილიყო ამ მეფის სულიერი ცხოვრება? — იგი იყო ხელმწიფე, პოეტი და უპირველესი რაინდი, რომლის გონებასა და მკლავის სიძლიერეზე დამოკიდებულია მრავალთა ბედი, ბედი სახელმწიფოს მომავალი არსებობისა, რომელსაც უნდა მისცეს გეზი მისმა მეუფემ — მმართველმა. მაგრამ ერთმმართველი დიდი ხელმწიფე ძნელად შეცვლის ბედისწერის საშინელებას, რომელიც სახელმწიფოებსა და თვით სამყაროს ძალებს თავისი ნების მიხედვით ცვლის. ასეთი პოეტური გააზრებით შეხედეს რომანტიკოსებმა ადამიანური ყოფის კანონებს, ისინი თავიანთი პოეზიისა და მიმართულების ჩამოყალიბებაში დაეყრდნენ ბედისწერის ანტიკურ და ბიბლიურ გაგებას, „ეკლესიასტეს“ უიმედო მზერას სამყაროს მიმართ და შუა საუკუნეთა რომანტიკას და ელეგიურ ტონს.

თეიმურაზმა საკუთარი ბედის მაგალითზე დაინახა, რომ ბედისწერის საშინელ სიმუხტელესთან ამაოა ყოველგვარი სხვა ძალა, გონება და მხნეობა, ნიჭი და ვაჟკაცობა. XVII საუკუნის საქართველოს მწარე ბედი ვერ შეცვალა ვერც ლომივით მამაცმა და დაუცხრომელმა მეფემ — თეიმურაზ პირველმა, ვერც წმინდანი დედოფლის სამშობლოსა და რწმენისათვის დაღვრილმა სისხლმა და ვედრებამ ღვთისადმი. თეიმურაზის, როგორც მეფის ბედი და როგორც პოეტის უჭკნობი დიდება, მის პიროვნებაში გამთლიანებული, დაკავშირებულია დიდ ეპოქალურ მოვლენებთან, დიდ ეროვნულ ტრაგიზმთან.

XVI—XVII საუკუნის ევროპა განიცდიდა აღორძინებას ხელოვნებაში, ჰუმანიზმის აღზევებას, პოეტური სულის ზეიმს. ამ დროს საქართველო ნაცარწაყრილი სულს დაფავდა არსებობასა და არარსებობას შორის, სპარსეთის მძვინვარე სამეფოს შემოტევათაგან სისხლდაცლილი. სწორედ ამ ტრაგიზმისა და ბედის ცვალებადობის სასტიკ ხანაში ქართული ეროვნული პოეზია იწყებს ახალ ელერადობას, იქამდე უცნობ საკითხთა და სატკივართა ამეტყველებას.

მკვლევართა და კრიტიკოსთა ყურადღება არაერთხელ მიიპყრო ამ ეპოქის, საქართველოს პოეზიის ახლებურმა აქლერებამ, თავისებურმა მიმართულებამ და ხმოვანებამ.

თეიმურაზ პირველის, როგორც უიღბლო მეფისა და მწუხარე პოეტის სახე იწყებს ახალ ეპოქას ქართული პოეზიის ისტორიაში, რომელიც დღესდღეობით ქართულ ფილოლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილია აღორძინების ეპოქის სახელწოდებით. ამ ეპოქას თავისებურ ნიშნებსა და მიმართულებას აძლევს თეიმურაზის პოეზია და ამავე დროს იგი არის ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო ფიგურა თავისი პიროვნული თვისებებითაც.

რა არის ის ახალი და ესოდენ მნიშვნელოვანი, რაც შემოიტანა და დაამკვიდრა თეიმურაზმა, როგორც პოეტმა? ეს არის მთელი რი-

გი საკითხებისა და თემებისა, რომლებიც მანამდე არ არსებობდა ქართული პოეზიისათვის, რადგან მანამდე ქართული ლიტერატურის აყვავების პერიოდში, XII საუკუნეში, არ არსებობდა ამ თემატიკისათვის სათანადო საფუძველი. XII საუკ. ქართული ეპიკა ასახავს თავის ბრწყინვალე დროს და დაშორებულია ბედისწერის სიმუხთლის გარღვევალობას. ძისთვის ცხოვრება არის ზეიმი, ნათელი და ძლიერი, სიძნელეებით და გამარჯვებებით სავსე, სადაც ყოველივე უნდა დაგვირგვინდეს აუცილებელი გამარჯვებით და ბედნიერი დასასრულით. მაგრამ ახალი ეპოქა წარმოქმნის ახალ განწყობილებებს და ყურადღებას მიაპყრობს ახალ თემებსა და ტკივილებს, სადაც მეფობს ბედის არალოგიკური მოქმედება. ამოტივტივდება უძველესი, კაცობრიობის აკვანშივე არსებული ტკივილები და მწარე მოთქმა ბედისწერის სისასტიკის გამო, რომელიც იწყებს ახალ არსებობას აღორძინების ეპოქაში.

ამრიგად, ეპოქის მიმართულებით განსაზღვრულ პოეზიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც აყენებს საკითხებს, მანამდე ქართული საერო პოეზიისათვის უცნოს. ამ ტკივილთა და საკითხთა პირველი და ყველაზე ნიჭიერი გამომხატველი არის თეიმურაზი, უიღბლო მეფე, ბრწყინვალე რაინდი და დიდებული პოეტი, რომლის გოდება მოედინა მაშინდელ სამყაროს და ჩაუმქრალი სხივებით გაანათა საქართველოს მომავალ პოეტთა გზა. თეიმურაზის გოდება გადაიქცა ქართულ პოეზიაში გოდების თემათა ტონის მიმცემად და ახალ ხილად, სადაც პოეტური სული ჰპოვებდა გრძნობათა გამოხატვისათვის შესაფერ გზას. ან გზას დაეწაფნენ და შეება იგრძნეს ისეთმა დიდმა და საინტერესო პოეტებმა, როგორიც არიან მეფე ვახტანგ VI და ვახტანგის მოწაფე, მის მსგავსად უცხო მხარეს გადახვეწილი — დავით გურამიშვილი.

თეიმურაზ პირველის მიერ წამოყენებული და დამკვიდრებული თემა არის „სოფლის სამღურავის“ თემა, რომელიც მოიცავს საკითხთა მთელ წყებას, ამ თემამ ისეთი დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ისე ზუსტად გამოხატა ეპოქის მაჯისცემა, რომ თეიმურაზი პოეზიის უჭკნობი გვირგვინით შეამკვს და თვით დიდ შოთა რუსთაველსაც კი დააღარეს.

დღევანდელ მკითხველს ეს შედარება შეიძლება თავხედურად და აფსურდულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ იმ პერიოდის მოქალაქისათვის, რომელსაც იმდენი ტკივილი აწუხებდა და ვერ ჰპოვებდა გამოსავალს და სულის შვებას, უცებ მიართვის შესაფერი ფორმა მის კაემანთა გამოხატვისათვის, სადაც შეეძლო სულის წუხილთა გადმოღვრა და დაგუბებული სათქმელის აღმოთქმა. ეს იყო ის, რასაც ეძებდა მწუხარე, უბედურებისაგან გაოგნებული სული და ჰპოვა ნუგეშად,

ზის ტანჯვათა გამომხატველად და შვებით ამოისუნთქა, ამიერიდან მოყოლებული, თეიმურაზისაგან დანერგილი „სოფლის სამღურავის“ თემა იქცა ქართველ პოეტთა საყვარელ თემად, რომელიც მათ სულიერ წონასწორობასა და მათი სამშობლოს ბედ-იღბლის გამოხატულებას მეტად კარგად შეესადაგა. ეს თემა საოცრად გაიზარდა, იგი განავრცო არა მარტო თეიმურაზთან ახლო მდგომმა პოეტთა წრემ და მისმა შემდგომმა, იმავე ეპოქასთან დაკავშირებულმა პოეტებმა — ვახტანგ VI და დავით გურამიშვილმა, არამედ, თვით XIX საუკუნეშიაც, ამ თემის გამოძახილს ფართოდ ვხვდებით რომანტიკოსთა შემოქმედებაში — ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, მამია გურიელის და სხვ. პოეზიაში. რომანტიკოსთა მთელმა პლედამ მიიღო თეიმურაზის მიერ დანერგილი თემა და ამისათვის მათ ჰქონდათ საკმაო საფუძველი. თეიმურაზის მიერ ამოკვნილი სოფლისადმი მღურვა შესანიშნავად შეესადაგა უკვე სრულიად ახალ ეპოქაში, ახალი ფორმისა და სრულიად ახალი მიმართულების პოეზიას, რომანტიზმის სახელით ცნობილს.

ინტიმი, პიროვნების პირადი მწუხარება, მისი სულის მოძრაობა, მისი არსებობის სიმწარე და ბედის მონაცვლეობა, რომელიც პირადად მხოლოდ მისია და მას შეეხება, ამიერიდან იღებს არსებობის უფლებას. ეს უფლებები თამამად გამოთქვა თეიმურაზმა, ხოლო შემდეგ გურამიშვილმა და ვახტანგ მეექვსემ. პოეტმა გაბედა თავის პიროვნებაზე ლაპარაკი. „მე“ იღებს არსებობის უფლებებს. განყენებული, ველად მოარული გმირი კი არ არის მხოლოდ თანაგრძობის ღირსი, ან ზღაპრული სილამაზის ბანოვანი, კოშკში თუ სასახლეში მჯდომარე, არამედ ყოველი პიროვნება, რომელსაც აქვს სატიკვარი, წუწილი და გულის კაეშანი, რომელსაც შეუძლია აღმოთქვას იგი. პოეტის „მე“ ამიერიდან მოყოლებული შექმნის შესანიშნავ ლირიკულ ციკლებს, იგი განივრცობა, გაიზრდება, შეიძენს ახალ-ახალ თვისებებს სხვადასხვა ეპოქებში, რომლებიც წინ არიან, მომავალ საუკუნეთა იდუმალებაში, და ბოლოს მივა რომანტიზმამდე, რომელსაც იგი დახვედბა უკვე არსებული და სიცოცხლემინიჭებული. როგორც ძირი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ახალი ეპოქის დამახასიათებელი თვისებებება, როგორც ახალი სიცოცხლე. ახალ ეპოქალურ ძვრებს კაცობრიობის ისტორიაში მოჰყვება ახლებური განწყობილება ლიტერატურაში. ეს იქნება გაბედული სიტყვა, უკმაყოფილება და პროტესტი, უკომპრომისო ბრძოლა ბედისწერასთან და ბრძოლა თვით ღვთაებრივი კანონების მიმართაც კი, რომელიც არ იცის და არც შეიძლება იკოდეს ადრეულ ეპოქათა პოეზიამ. შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქებმა.

მაგრამ XVII საუკუნეში, როდესაც საქართველოში გამოჩნდება „სოფლის სამღურავის“ თემა ლიტერატურაში, როდესაც ამოტივტივდება ბედით უკმაყოფილო პიროვნების მე“, როდესაც პოეტი ბელავს პირველად, ლიტერატურული ფორმით იქამდე ხორცშეუსხმელს, საკუთარი სულის ტანჯვათა შესახებ ლაპარაკს, როცა ლექსის ინტიმი წარმოსახავს ტანჯული პიროვნების სახეს, უკვე ერთი გაბედული ნაბიჯილა რჩება პოეზიაში ახალი ხანის წარმოსაქმნელად. ხოლო მაშინ, როცა ეს ხანა დადგება, ყველაფერი გადაიზრდება აშკარა პროტესტში, დაიმსხვრევა მანამდე არსებული პრინციპები და დადგება საკითხი ახლებური, მეამბოხე გმირის თანაგრძნობისა.

თეიმურაზის კაეშანი, რა თქმა უნდა, სულაც არ არის რომანტიკოსთა კაეშანი, თეიმურაზის „მე“ ეს ჯერ კიდევ არ არის რომანტიკოსის „მე“. მისი პოეზიის ფორმა და სტილი, მისი პოეზიის პროტესტის საზღვრები და ხასიათი, მისი, როგორც ინდივიდუალისტი, თვისებები არ არის იგივეობრივი რომანტიკოსის ინდივიდუალისტურ ძავისებურებათა, მაგრამ არსებობა ამ ინდივიდუალიზმისა, პიროვნების პირადი განწყობილებისა და მწუხარებისათვის ფორმის მინიჭების უფლებათა მოპოვება არის უდიდესი მომენტი, რომელიც ოდესმე პოეზიის თვისობრივად ახალ სამყაროდ უნდა გადაიზარდოს.

თეიმურაზის პოეზიაში პ ი რ ვ ე ლ ა დ აღიარება და არსებობის უფლება მოიპოვა ისეთმა აუცილებელმა კომპონენტმა მომავალი, ჯერ კიდევ სრულიად შორეულ პოტენციაში არსებული რომანტიზმისა, როგორც არის ბ ე დ ი ს წ ე რ ი ს უ კ უ ლ მ ა რ თ ბ ა. ბედისწერის აღიარება და პროტესტი, „სამღურავი“ მისი ცვალებადობისა და სისასტიკის გამო, რომელმაც მოიცვა და გაჟლინთა თეიმურაზის ყველა ნაწარმოები, თვით ნათარგმნი პოემები და სატრფიალო ლექსებიც კი, ცენტრალური საკითხია პოეტის შემოქმედებაში. მას უკავშირდება და ორგანულად ერწყმის მეორე ახალი საკითხი, რომელსაც ქართულ პოეზიაში აგრეთვე თეიმურაზი აძლევს გასაქანს — ესაა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. უფლების მოპოვება პიროვნულ განწყობილებათა არსებობისა, ადამიანის ინტიმური ცხოვრებისა, სევდისა თუ სიხარულისა; ეს არის პოეტის „მე“, რომელიც ქართულ პოეზიაში იწყებს სიცოცხლეს თეიმურაზის პოეზიით.

ეს ორი დიდი, ახალი საკითხი, ერთმანეთთან დაკავშირებული და გამთლიანებული, სათავეს იღებს თეიმურაზის პოეზიაში. თეიმურაზის ლექსის ზომა კლასიკურია, ძირითადად რუსთველური შაირი (ამ მხრივ დიდი სიახლე შეაქვთ მის შემდეგდროინდელ პოეტებს, გურამიშვილსა და ვახტანგს), თეიმურაზის თემატიკაც კლასიკურია, რომელიც ძირითადად სპარსული პოეზიის თემატიკას მისდევს. ქართული საერო ლექსის თემატიკა იმხანად სპარსული პოეზიის ნორმებს

ემორჩილებოდა. პოეზიის თემათა და საგანთა სფერო იყო მკაცრად განსაზღვრული და გარკვეული, მისი შეცვლა და გადასხვაფერება თითქმის წარმოუდგენლად იყო მიჩნეული. წარმოუდგენელი იყო სხვაგვარი პოეზია, სხვა დამოკიდებულება და მიმართება საგანთა და მოვლენათა მიმართ.

თეიმურაზი არსებულ თემებს, არსებულ კანონებს, არსებულ ლექსს აძლევს ახალ შინაარსს, ახალ მიმართულებას. ზგი აღწევს საკითხის მანამდე არყოფილ შემობრუნებას პოეზიაში. მომდევნო პოეტები, რომლებიც გაიზიარებენ მისი პოეზიის ძირითად ხაზს — „სოფლის სამღურავის“ თემას და ინდივიდუალისტურ განწყობილებას, ყველაზე მეტად იმ საკითხთა ამეტიყველებით იქნებიან საინტერესო, რაც თეიმურაზმა დანერგა პოეზიაში. ეს პოეტებია დავით გურამიშვილი და ვახტანგ VI, რომლებიც თავის მხრივ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ პოეზიის საგანძურში, გაამდიდრებენ მას ახალი თემებით, ახალი სალექსო ზომებით, ახალი მხატვრული სახეებით და ახალი გამომსახველობითი ხერხებით.

თეიმურაზის პოეტური მემკვიდრეობა შედგება ლირიკისაგან, პოემებისა და თარგმანებისაგან. ეს პოეტური მემკვიდრეობა რაოდენობრივად არ არის დიდი, მაგრამ მათი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. თეიმურაზის პოეზიის ეს მნიშვნელობა იმდენად კარგად იქნა გაგებული მისი თანამედროვეების მიერ, რომ, როგორც ცნობილია, თვით რუსთაველის გვერდითაც კი დააყენეს ზგი თანამედროვეებმა. თეიმურაზი რუსთაველის გვერდით დააყენეს არა როგორც მეფე მისმა მესობტბე ქვეშევრდომებმა, არამედ ეს აზრი გაერცვლებას ჰპოვებდა თეიმურაზის სიკვდილის შემდეგაც. ამის დამადასტურებელია ყველასათვის ცნობილი არჩილ მეფის პოემა — „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“. ეს თხზულება მეფის მიერაა დაწერილი, რომელსაც არაფერი ჰქონდა მისაკერძოებელი თეიმურაზთან. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით თბილ დამოკიდებულებას არჩილი თავის „გაბაასებაში“ თეიმურაზის მიმართ არც იჩენს. არჩილს მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისის გარკვევისათვის აინტერესებდა შემოხსენებული საკითხის განხილვა, თავისი პოეზიით კი, როგორც ცნობილია, არჩილი თეიმურაზის მიმდევართა რიცხვს არ განეკუთვნება. გარდა ამისა, თეიმურაზის დიდ გავლენაზე მეტიყველებს, როგორც აღვნიშნეთ, მისი პოეზიის მნიშვნელობა მომავალ პოეტთა შემოქმედებით გზაზე. თეიმურაზის პოეზიით შექმნილი სამყაროდან ამოიზიდებიან ისეთი დიდი პოეტები, როგორებიც არიან ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი. ეს პოეტები თეიმურაზთან ერთად ქმნიან გარკვეულ ნიადაგს მომავალი, XIX საუკუნის ახალი ქართული ლიტერატურის შექმნისათვის.

თეიმურაზის პოეტური ნაწერები, როგორც აღვნიშნეთ, მცირეა. ეს არის სულ ერთი პატარა ტომი, სადაც შედის რამდენიმე ლექსი, ორი-სამი მცირე ზომის პოემა და ოთხიოდე თარგმნილი პოემა. ეს პოემები, უფრო სწორად, გადმოქართულებულია თეიმურაზის მიერ არსებული სპარსული ტექსტების გამოყენებით²¹.

დ. კობიძე თეიმურაზის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ წერს, რომ თეიმურაზი კი არ თარგმნის ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, არამედ „ამ თემებისა და ამ თემებზე ირანელი პოეტების მიერ შექმნილ ნაწარმოებთა ნიადაგზე, თავისებურად ამუშავებს მათ“²².

თეიმურაზის ლექსები — „სოფლის სამღურავი“, „გრემის სასახლეზე“, „თამარის სახე დავით გარეჯას“, ლექსთა კრება — „ძაჯამა“ პოემები — „წამება ქეთევან დედოფლისა“, „გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ წარმოადგენენ თეიმურაზის შემოქმედების ძირითად, მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც განსაკუთრებულია თავისი სიანლითაც. მათთანვე დადგება პოეტური მნიშვნელობითა და ავტორიტეტულობით მისივე თარგმანებიც — „ლეილ-მაჯნუნიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „შამი-ფარვანიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“.

თეიმურაზის ლექსი „თამარ მეფის სახე დავით გარეჯას“ სრულიად ცალკე დგას პოეტის შემოქმედებაში და მეტად უახლოვდება სასულიერო პოეზიის საგალობლებისა და ძლისპირების სტილს.

შენ სამებაო, ერთ არსებაო, სამ გვაგონებით განუწვალებელო,

ერთ ბუნებაო, უშობელო და ძეო შობილო, სულო, მამისაგან გამომავალო,
მოსავსა შენსა, პატრონს თეიმურაზს, მეოხ მეყავ.

²¹ თეიმურაზის თარგმანების და მათი სპარსული წყაროების შესახებ არსებობს მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. იხ. სპეციალური გამოკვლევები: ალ. ბარამიძე, თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XII, თბ., 1959. მისივე, ნარკვევი — თეიმურაზ პირველი; თეიმურაზ I, თხზ., სრული კრებ., ალ. ბარამიძისა და გ. ჭაკობიას რედ., ტფ., 1934; გ. ჭაკობია, თეიმურაზის თარგმანები; თეიმურაზ I, თხზ. სრული კრებ., ტფ., 1934; კ. ქეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958; მისივე, Руставели и Низами Ганджеви, სახ. უნივერსიტ. შრომები, V, 1936; კ. ქეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1954; დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, ტ. III, თბ., 1947; მისივე, ჯამი და ქართული ლიტერატურის ზოგიერთი საკითხი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 108; მ. შამაცაშვილი, თეიმურაზ პირველის „ლეილ-მაჯნუნის“ სპარსული წყაროები, თბ., 1967; ა. გვახარია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1958 და სხვ.

²² დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, ტ. III, თბ., 1947, გვ. 215.

ოდეს მოხვიდე განკითხვად, ქრისტე, და გამოსჩნდეს მადლი, დიდება
შენი და დასჯდე ცხოველთა და მკვდართა მსაჯულად, და განარჩევდე
ცხოვართა თიკანთაგან, ნუ წარმავლენ მარცხენით კერძო,
შეცოდებულსა ამას მონასა შენსა, არამედ მომეც შენდობა ბრალეულისა.

დედაო უსხეულოსა ნათლისაო და მშობელო სიტყვისა ღვთისაო,
საყდარო, ეტლო, ღრუბელო ნათლისაო, მე დაბნელებულსა ამას
ცოდეთაგან, მითხოვე ძისა შენისაგან შენდობა ბრალთაგან²³.

ეს არის ლოცვა თეიმურაზის, ურითმო ლექსად დაწერილი, რომელიც სასულიერო პოეზიის ნიმუშად გამოდგება. ამ ლექსის დასაწყისი სტროფი, რომელიც თამარისადმი მიძღვნილი, სრულიად განსხვავდება ლექსის დანარჩენი ნაწილისაგან როგორც თემატიკით და განწყობილებით, ასევე ფორმით.

მეფენი მოვლენ სურვილით, შენსა სახესა ჰმონებენ,
შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ,
ხსივ-მოსიერად გიმზერენ, უკვდავყოფელად გგონებენ.
და იშვებენ, მათთა პატიეთა მათ ლხინთა შეუწონებენ²⁴.

აქვე უნდა მოვიყვანოთ XIX საუკუნის ბრწყინვალე პოეტისა და ქართველი რომანტიკოსის გრიგოლ ორბელიანის ცნობილი ლექსი — „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ჩვენი აზრით, ამ ლექსებს შორის ასებობს აშკარა ნათესაობა, რომელიც არა მხოლოდ შინაგანი, არამედ ფორმის მხრივაც საგრძნობია. საკითხის დაყენებაშია ციდი მსგავსება ორბელიანისა და თეიმურაზის ამ ლექსთა შორის. იგრძნობა მეტად ნიშნეული, არსებითი გავლენა განწყობილების გამოხატვის თვალსაზრისით.

დიდებული მეფის ფრესკული სახე უბედური აწმყოს მხილველ მალალ პოეტს აღუძრავენ ასოციაციებს შარავანდედით მოსილ გარდასულ დღეთა დაუბრუნებელ სიტკბოებაზე. ეს განწყობილება საერთო აქვს ორივე ლექსს და პირველად ფორმას მას თეიმურაზი ანიჭებს.

შენს წმინდა სახეს,
შეენებით საესეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ეუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის — გიმზერ,
ვჰსწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,

²³ თეიმურაზ I, თამარ მეფის სახე დავით გარეჯას, თხზ. სრული კრებ., ტფ., 1934, გვ. 144.

²⁴ იქვე.

არ გამოვფხნილდე,
რომ აღარ ვპგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!...
ყვავილოვანი
წალკოტი შენი
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ვშეენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!...²⁵

თითქოს გრიგოლ ორბელიანის ლექსი არის პასუხი თეიმურაზის ლექსსა და იქ დასმულ საკითხებზე. აქ მოყვანილი ორბელიანის ლექსის პირველი ნაწილი, თეიმურაზის ლექსის მსგავსად, თამარის სახის მკობას და თაყვანისცემას წარმოადგენს, ხოლო მეორე ნაწილი („ყვავილოვანი წალკოტი შენი ...“), თითქოს ეპასუხება თეიმურაზის ლექსის ბოლო სტრიქონს — „იშვებენ, მათთა პატიჟთა მათ ლხინთა შეუწონებენ...“ და მიუთითებს, რომ ლხინის სანაცვალოდ, იმ მშვენიერ წალკოტში, რომელიც სამშობლოს ხატებას წარმოადგენს, დღეს სევდას დაუხსადგურებია, ბედის მონაცვლეობის გამო. გრიგოლ ორბელიანის ლექსში ჭარბობს ჭმუნვა წარსულის მიმართ, უსასობა და მწუხარება თამარ მეფის დიდებული სახის ხილვისას, უბედური აწმყოს გამო. თეიმურაზის ლექსში, რომელთანაც ჩვენი აზრით, ბევრი აქვს საერთო ორბელიანის ლექსს, თამარის ხილვა იწვევს აღტაცებას და სიხარულის თაყვანისცემას იმ უკვდავყოფილი დიდების გამო, რომელიც გარდასულ დღეთა თამარის მეფობაშია. ასე განსხვავდება ჭეშმარიტი რომანტიკოსი და მისი წინამორბედი ერთი და იგივე საკითხისა და განწყობილების გადმოცემისას.

კ. კეკელიძე თეიმურაზის სევდის შესახებ წერს: „სარწმუნოებრივ გრძნობასთან ერთად თეიმურაზის პოეზიაში არანაკლები სიმძლავრით თავი უჩენია, აგრეთვე, პესიმისტურ მოტივსაც. ეს მოტივი ისმის თითქმის თითოეულ მის სტროფში“. მისი აზრით, თეიმურაზის პესიმისმის მიზეზი, პირველ ყოვლისა, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა²⁶.

„სოფლის სამღურავი“ არის ცენტრალური თემა თეიმურაზის შემოქმედებაში, ლეიტმოტივი, რომელიც გასდევს მთელ მის პოეზიას. თეიმურაზის თხზულებები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა კარდინალურად ატარებს ამ ხაზს, — სატრფიალო იქნება თხზულება თუ სხვა ხასიათისა. ასეთი ნაწარმოებებია: „სოფლის სამღურა-

²⁵ გრ. ორბელიანი, თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში, თხზ. სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 76.

²⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ.

ვი“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „მაჯამა“, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, აგრეთვე თარგმნილი პოემების შესავალი და ბოლოთქმები, რომლებიც საკუთრივ თეიმურაზისაა. ამ თხზულებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ამ საკითხზე სპეციალურად შეთხზული ვრცელი ლექსი — პირობითად დასათაურებული აკად. აღ. ბარამიძის მიერ²⁷ — „სოფლის სამღურავი“. ეს ლექსი წარმოადგენს ერთგვარ თავმოყრას მთელი იმ განწყობილებათა ნაკადისა, რომელიც ასე ჟღინთავს თეიმურაზის შემოქმედებას. ამავე ლექსში მეტად აშკარაა და ნიშანდობლივი თეიმურაზის შემოქმედების მეორე პრინციპული მხარე — ინდივიდუალიზმი, რომელიც შესანიშნავად ეთვისება ლირიკული პოეზიის სპეციფიკას. ამ გრძელი ლექსის მწუხარე ტონი სავსეა ფილოსოფიური და რელიგიური განმარტებებით და განწყობილებებით ყოფიერების საკითხებზე, მის დროთა ბრუნვის უკუღმართობის აუცილებლობაზე და გარდუვალობაზე. ფილოსოფიურ, მაღალპოეტურ მსჯელობას და ფიქრს კაცობრიობის ზოგად სატკივარზე თან ერთვის პოეტის პიროვნული ჩივილი საკუთარი დიდი ტკივილებისა და მწუხარების გამო: თან ერთვის სინანული და ღვათების მიმართ ვედრება, სარწმუნოებრივი სასოება და ბოლო დღის საშინელების განცდა, იმქვეყნიური საზღაური ამქვეყნიური ცხოვრების შეცდომათა გამო. ყველა ეს ნიშანი და განწყობილება „სოფლის სამღურავს“ განსაკუთრებულ ელფერს აძლევს და აახლოვებს შემდგომად მოსულ პოეტურ ტენდენციებთან, რომელმაც მე-19 საუკუნეში მიიღო საბოლოო ფორმა და ჩამოყალიბდა რომანტიზმის სახით.

უწყის უფალმან, სოფელი არავის გაუთავდების,
პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდების.
აღარ გაპყვების, ბოლოს ჟამ უმუხთლებს, გაუთავდების,
და მე მას ვჰვმობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინც დაუზავდების.

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის გასთავებია?
ვის ჰქონდა მუდამ სრა-ტახტი, მოშლია მას თავებია,
ვინ რომ დაიპყრა ქეეყანა, დღე მასცა ასთავებია,
და სულა მოშორდი. სოფელსა, მუდამ მას რად დაებია?!²⁸

ამ ეკლესიასტესეული მოტივის ანალოგიურ გამოძახილს ვხედავთ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებში:

სამეფონი ურთიერთსა მქცევლობენ,
შეუწყალად, მხეცებრ კაცთა მხეველობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,...

გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,

²⁷ აღ. ბარამიძე, თეიმურაზის ტექსტისათვის, თეიმურაზ I თხზ. სრული კრებ., ტფ. 1934, გვ. 023.

²⁸ თეიმურაზ I, „სოფლის სამღურავი“, 11, 12.

თვისგან ქმნილი თვისადვე მიიქცევის,
ყველაკაი წარუვალს, განელევის²⁹.

ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონები ამ ქვეყნის ამოებზე, მის წარმავალ დიდებაზე, თვით ხელმწიფეთა წარმავალ ძლიერებაზე თითქოს ეხმაურება დიდი პოეტისა და წინამორბედის, დიდი პესიმისტის, თეიმურაზის ფილოსოფიურ მღურვას ბედის მუხთლობაზე, ხელმწიფეთა წარმავალ ბედნიერებაზე, ამქვეყნიური დიდების ცვალებად ბუნებაზე:

მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს,
არც ვინღა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთენ და დრტყინენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...³⁰

საწუთროს უხანობისა და სიმუხთლის გამომხატველი სტროფების გვერდით, თეიმურაზის ლექსში „სოფლის სამღურავი“, როგორც ამ განწყობილების ლოგიკური გამოძახილი, მრავლად გვხვდება ს ა კ უ - თ ა რ ი ბ ე დ ი ს ა დ ა პ ი რ ა დ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გამო ამეტყველებული მწუხარე სტრიქონები:

სულო, ნიადაგ წელილდები, ლხინი აროდეს მოგეცა,
ტანჯვისა მზა არს ლახვარი, საკრავად გულსა მო გეცა,
გიჯობდა ეკლესიისა კარი ნიადაგ მოგეცა,
და ცრემლითა მოლი მოგერწყო, ტანს მუღამ ძაძა მოგეცა.

შენ, ცოდვილო სულო ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი?
ჯოჯოხეთში ქვა დაგკრიბონ, არ დაგრიდონ, მოელოდი,
შენთვის ყოვლგან ღრუბელია, მზემანც დაგკრას — მოელოდი,
და კერპთ-მსახურთა განვეშორნეთ, არსად გეხადოს მოელოდი³¹.

ამ მწარე მოთქმას, პოეტი მიაგლენს თითქოს სასოების მოსაპოვებლად, ვედრებით ღვთაებრივი ძალისადმი, რომელიც ერთადერთი ნუგეშისა და საძმართლის წყაროდ ესახება ყოფიერების მწარე უყამუ-

²⁹ ალ. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, „ვაჰ, სოფელსა ამას“, — ალ. ქ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, ლექსები, თბ., გამ. „საბჭოთა მწერალი“, 1949, გვ. 33—34.

³⁰ ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, „ფიქრნი მტკვრის პირას“, — ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, თბ., გამ. „საბჭოთა მწერალი“, 1954, გვ. 20.

³¹ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „სოფლის სამღურავი“, 7, 9.

რობაში. მისი გოდება გადადის რელიგიურ სინანულში და ვედრებაში სულისათვის და ტანჯვათა შემსუბუქებისათვის, რომლის ზრუნვისათვის მას ცხოვრების ბრუნვამ არ მოაცალა:

შემაშთო სოფლის ბრუნვამა, ვამე, რალა ვჰყო აწა მე?!
— განაგდე შება სოფლისა, თავი ღვთისათვის აწამე!
უფალსა შენსა ჰმსახურე, გულითა მასცა აწ ამე, —
და მიგელის მძაფრი სასჯელი, მაშინ რალა ვჰყო აწა მე!

ჩემმა ცოდვამ სინანულად დრო არ მომცა დანაცალი,
კაეშნისა ტვირთი მკიდავს, იგ შემქნია დანაცალი,
მუნ მეშინის, ოდეს შექმნას სულმან ხორცის დანაცალი,
და ჯოჯოხეთად ჩვენთვის მზა ჰყოს სახმილი და დანაც, ალი³².

ასევე მკვეთრი და ძლიერი რელიგიური გოდების განწყობილებითაა დაწერილი „სოფლის სამღურავის“ სტროფები — 5, 6, 8, 20 და სხვ.

თეიმურაზის პოეზიის რელიგიურ-პესიმისტური განწყობილების გამო კ. კეკელიძე წერს: „თეიმურაზის პოეზიაში მეტად მძლავრად ისმის რელიგიური მოტივი. რომელი ნაწარმოებიც უნდა აიღოთ მისი, პროლოგსა და ეპილოგში ყველგან იპოვით ვრცელსა თუ მოკლე ტრაქტატს ღმერთის შესახებ, ანალიზს ცოდვებით დაზიანებული სულისას და შიშს.

სარწმუნოებრივი გრძნობის სიღრმითა და უშუალოდ თეიმურაზს დავით გურამიშვილი თუ შეედრება აღორძინების პერიოდის მწერლობაში“³³.

„სოფლისადმი“ მღურავის თემა და განწყობილება წითელ ზოლად გასდევს თეიმურაზის პოემებს, სადაც თვალის ერთი გადავლებითაც აშკარა ხდება ამ საკითხისადმი პოეტის ლტოლვა. ავიღოთ „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, მისი ბოლოსიტყვაობა, რომელიც სავსეა ბრწყინვალე სტრიქონებით სოფლის ამაოებაზე, მის მუხთალ ბუნებაზე, სადაც გვირგვინოსანნიც კი სიმწარისა და სიკვდილის, ტანჯვის შვილები არიან. ნაწარმოებში გამოთქმულია თეიმურაზის ცნობილი საყვედური წუთისოფლისადმი:

რად სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახ ლახვარი სასიკვდინე ყველა მე მქარ, დასად აგე!
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
და სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აგე?³⁴

³² თეიმურაზ I, „სოფლის სამღურავი“, 10, 19.

³³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 567—568.

³⁴ თეიმურაზ I, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 85.

თეიმურაზის გაგებით საშინელებაა ყოფიერება, სიმწარე და წვა-
ლება, სოლო მეფობა სულაც არ არის ბედნიერება, პირიქით, ტახტი
ღირსი არ არის ზედ სათნო კაცი იჯდეს, იმდენად უხანო და მწარეა მე-
ფეთა ცხოვრება.

ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა მეხისა,
და მას დაუდუმდეს ბაგენი, ველარვის შეუჭებისა³⁵.

და, რადგან ასეა —

ტახტი იმას არ ღირს იყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი,
იგ ანაზღად გაღმოაგდოს, აღარ იყოს მისი ჩრდილი³⁶.

საშინელებაა ცხოვრება, ან ადრე მოგკლავს „საწუთრო“, ანდა,
თუ გაცოცხლა, გაგამწარებს, უსაყვარლეს ადამიანებს წაგართმევს
უღროოდ —

ან ადრე დაგვხოცს უღროოდ ახალსა მოუწევარსა,
ვარდსა დაგვიქნობს, უფრჭკვენელსა, შეგვიქმს ბედისა მწყევარსა³⁷

ანდა —

თუ გრძლად გვაცოცხლებს ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებსა,
რაც გვიყვარს თვალწინ დაგვიხოცს სულთავან უკეთესებსა,
ცეცხლსა მოგვიღებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კვესებსა,
და ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჭირთა და სულთქმა, ვაება, კვენებსა³⁸.

და თუ გვაცოცხლებს საწუთრო, განა სიბერე საშინელება არაა?
დაგაუძღურებს, დაგამახინჯებს, დაგტანჯავს, სრულიად შეცვლის
სილამაზის უებრო ქმნილებას (იქვე, 99). და მაინც ეგ არის უკეთესი,
რაც შეუქმნია ბედს კაცთათვის, თუ მიაღწიე ამ სიბერეს, რომელსაც
მოსდევს გარდუვალი, საშინელი სიკვდილი —

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები,
აწ ამაშიგან ვითმც იქმნას გული არ დასაკოდები?
ერთ დღე ვიცინოთ, მით უნდა მრავალყამ ვიყოთ მგოდები,
და ბოლოყამს ისევე სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები³⁹.

თეიმურაზის პოეზიით ხდება აღდგენა იმ ტრადიციებისა, რაც
ქართულ ლიტერატურაში ადრეულ შუა საუკუნეებში სასულიერო
მწერლობაში დაინერგა „ეკლესიასტესა“ და მისი ტიპის ლიტერატურ-
ის გავლენით. თეიმურაზი ამ მხრივ დიდ სიახლეს წარმოადგენს. იმ

³⁵ თ ე ი უ რ ა ზ I, „შედარებო გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 93.

³⁶ იქვე, გვ. 94.

³⁷ იქვე, გვ. 96.

³⁸ იქვე, გვ. 97.

³⁹ იქვე, 103.

დროს, XVII საუკუნის ლიტერატურაში, როდესაც მთელი ევროპა კლასიციზმის მანერით იყო გატაცებული, თეიმურაზის პოეზიაში მკვიდრდება „ეკლესიასტეს“ მოტივების შორეული გამოძახილი, განპირობებული იმდროინდელი საქართველოს სინამდვილით.

თეიმურაზის პოეზიის ტონი, მისტიკური, პესიმისტური, განაპირობა არსებულმა სინამდვილემ, ხოლო ლიტერატურული საფუძვლებია, ერთი მხრივ, ქართულ სასულიერო პოეზიაში არსებული ქრისტიანული და „ეკლესიასტეს“ მოტივები, ხოლო, მეორე მხრივ — სპარსული ლირიკის გავლენა⁴⁰. აქვე აღვნიშნავთ, როგორც თეიმურაზის მკვლევრებიც აღიარებენ. სპარსული ლირიკის გავლენა უფრო სხვა მხრივ არის ნიშნული თეიმურაზის პოეზიაზე, სახელდობრ, პოეტურ სტილურ ნიშნებზე, მეტაფორებზე, შედარებებზე, პოეტურ სახეებზე, პოეტურ მეტყველებაზე, მანერაზე სათქმელის გამონახატვისა და სხვ. ერთი სიტყვით, პოეტური მეტყველების ფორმის თვალსაზრისით მეტად დიდია დავალება სპარსული ლირიკისაგან და ეს სათანადოდ აღინიშნა კიდევ თეიმურაზის შემოქმედების შესახებ არსებულ გამოკვლევებში. პესიმისტურ-მისტიკური კილო სპარსულ ლირიკოსთა უფრო სპეციფიკურია, განსხვავებული თვალსაზრისითა და რელიგიურ-ფილოსოფიური მოტივებით არის განპირობებული.

თეიმურაზის მისტიკა და პესიმიზმი, მისი „სოფლისადმი მღურვა“ უფრო ნაციონალურ ფესვებს ემყარება, სახელდობრ, ქრისტიანულ მისტიკურ თვალსაზრისს, შუა საუკუნეთა ქართულ სასულიერო პოეზიას და „ეკლესიასტეს“ თემატიკას.

თეიმურაზი მიდის საწუთროს უარყოფის უკიდურეს საზღვრებამდე, უსასო პესიმიზმში გადადის მისი სამყაროს კანონებისადმი ზღურვა, არსებობის არცერთგვარი შესაძლებლობა აღარ ეჩვენება სასიხარულოდ და მიმზიდველად. სამყაროს კანონებისა და სიკვდილის რაობის არსში ღრმად ჩახედვა, ირგვლივ გამეფებული საშინელება და პირადი უბედურება, ყველაფერი ერთად, წარმოქმნის დიდებული პოეტის მწუხარე, პესიმისტურ დამოკიდებულებას სამყაროსადმი. თეიმურაზი თავის პოეზიაში წამოაყენებს თითქმის ყველა იმ ძირითად საკითხს, რომლის ირგვლივ ტრიალებდა მსოფლიოს პესიმისტური ლიტერატურა — „ეკლესიასტედან“ მოყოლებული, ვიდრე რომანტიზმამდე, მაგრამ თეიმურაზს, როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანს, მაინც რჩება სასოებად ღვთაებრივი სიმატლის იმედი და რელიგიით

⁴⁰ სპარსული ლიტერატურის გავლენებზე თეიმურაზის პოეზიაში მიუთითებენ თეიმურაზის შემოქმედების მკვლევრები — კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, დ. კობიძე, გ. ჯაკობია, ალ. გვახარია, მ. მამაცაშვილი და სხვ. ჩვენ მიერ ზემოთ დასახ. ნაშრომებში.

დანერგილი სულის უკვდავება. ეს არის ადამიანური ყოფის ერთადერთი იმედი — რა წავა ეს ცხოვრება, „სრულ არ დაგვეზმას კარები“ — არსებობს იმედი სულის კეთილისადმი ზიარებისა. ამიტომაც, ცხოვრებას მაინც აქვს აზრი და მის არსებობას კეთილი მხარეები:

ჩვენთვის დაბადა სოფელი მან, ყოვლთა არსთა მზადემან,
ესეც ჩვენ მოგვცა, სიმატლით მუნცა კეთილთა მზადემან,
სრულ ვერ გვიშოვნოს წარწყმედად ბოროტთა მოსაწადემან,
და ვერ შეგვიმწყვდიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბადე მან⁴¹.

თეიმურაზის შემოქმედებაში დახვეწილობითა და სინატიფით გამოირჩევა ლექსთა კრება „მაჯამა“.

სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“ — შეყრილად ითარგმანება, წიგნები გამოკრებული, იგ ერთად მოიხმარება; იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეედარება, და გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაევალება⁴².

ამრიგად, „მაჯამა“ არის სხვადასხვა ლექსების კრებული ერთად შეერთებული, სადაც ძირითადი თემაა სიყვარული, სატრფოს შესხმა-შექება. ამ ლექსთა კრების სათაურებიც ასეთია: „მზე ცუდ მაშვრალობს“, „შენთვის ხელმან“, „ტუტრა ხარ მშვენიებით“, „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ და სხვ.

მაგრამ „მაჯამას“ მთელ განწყობილებას მკვეთრად გასდევს — სასიყვარულო შესხმა-ქებითი მოტივის გვერდით — „სოფლის სამღურავის“ მწუხარე თემა და იგი იმდენად ნიშნეულია, რომ „მაჯამას“ თითქმის არც ერთი ლექსი არ არის თავისუფალი ამ განწყობილებილიდან.

გრძლად მატირა საწუთრომან, ცრემლთა ღვარი დამელია,
მიჯობდა თუ სიკვდილისა, გლახ სასმელი დამელია;
მომძულა თვისთა ტომთა მმა არ მაძნო, და მელია,
და აწ სოფელს ვარდთა ზრობად მოვალ, რადგან დამე ლია⁴³.

მე დამეშტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა,
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მეყოფა!
და გული სავსე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ... აღარ მეყოფა?!⁴⁴

ეს ლირიკული წიაღსვლები ავტორისა, თეიმურაზის სევდითა და შოთქმით სავსე პოეზიისათვის მეტად ნიშნეულია და ამ პოეზიას აძ-

⁴¹ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 104.

⁴² მისივე, „მაჯამა“, 3.

⁴³ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „მაჯამა“, „შენთვის ხელმან“, 6.

⁴⁴ მისივე, „მაჯამა“, „მზე უნათლე ჰქმენ“, 4.

ლევს გოდებისა და მწუხარების ელფერს, ასეთი ლირიკული წიაღსვ-
ლები ამბავის გადმოცემისას უშუალოდ წარმოსახავს პოეტის პიროვ-
ნულ, ინდივიდუალისტურ სახეს. თეიმურაზი, თავისი პიროვნული
ტრაგიზმის პოეზიაში გამოხატვით, უახლოვდება, შემდგომ საუკუნე-
თა ინდივიდუალისტ პოეტებს, რომანტიკოსთა წრეს.

სოფელმან და ჟამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარვა,
ათასი და უმეტესი ქირი ჩემი განაქა რვა?

ნეტამცა ვინმე სიკვდილსა მიმცა და არ დამაზარა!
ლხინის სანაცვლოდ სოფელმან სულ მატირა და მაზარა,
უყვავილომ და უვარდომ ღვინომ რაც ქნა, დამაზარა,
და აგრე რამ მოჩანს: სოფელი ბოლოდ მომცა და მაზარა⁴⁵.

მსგავსი სტროფების მოყვანა „მაჯამადან“ მრავლად შეიძლება,
რომელთა ანალიზი კიდევ ერთხელ დაგვანახებებს თეიმურაზის პოეზი-
ის კარდინალურ განწყობილებას, მის მწარე ნაღველს, პესიმიზმს,
რომელიც ედება და ფარავს ყველა თემას, თვით სიყვარულისა და
მშვენიერების თემებსაც კი.

თეიმურაზის თითქმის ყველა ნაწარმოებშია მიმობნეული ბედისა
და ყოფიერების კანონებისადმი უკმაყოფილების გამომხატველი
სტროფები.

ფათერაკია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება,
ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად სჭირს ცილის წამება,
ფრფინვა ვისცა აქვს შვებითა, ბოლო მისთვისცა წამება,
და ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ, ამად არ მექმნას წამება.

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი აღიდოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა,
უხვევით მისცეს გლახაკთა, საუნჯე შეიწყნაროსა,
და უკმოერიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა⁴⁶.

ასევეა თეიმურაზის თარგმანებში, სადაც შესავალსა და ბოლო-
თქმაში პოეტი გადმოსცემს თავის პირად განწყობილებას და გულის-
ტკივილს, ლაპარაკობს თავის ხვედრზე, უბედობაზე, აგრეთვე პოე-
ზიისა და რელიგიის ზოგად საკითხებზე, და სხვ. ასევეა პოემაში „შა-
მი-ფარვანიანი“, სადაც პოეტი მოთქვამს თავისი მწარე ცხოვრების
წესახებ:

სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ჟამნი და დღენია,
სხვას ვისმე ჩემნი პატიენი არც ვის კი ამბად სმენია;

⁴⁵ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „მაჯამა“, „მეურვეების ბაგე ვარდი“, 6, 16.

⁴⁶ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „წამება ქეთევან დედოფლისა“, 2, 3.

თვალთაგან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მსგავსად მდენია,
და ცუდად უსაქმოდ ყოფითა ცნობანი გარდამელია.

მე გასაძლებად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დავაპყარ, ბევრი დღე დავალამეო,
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევიღამეო,
და ჩარხი უკუღმა დაბრუნდა, ბელი დამტერდა, ვა მეო!⁴⁷.

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა,
უცებთა არად სანდომი, ცნობილთა — წამლად გულისა;
მე დამიმწარდა საწუთრო, აბეზარ ვიქმენ სულისა,
და სოფლისა ავად ბრუნვამან მე ერთობ გამაგულისა⁴⁸.

ჩვენ არ შევეხებით თეიმურაზის პოეზიის სხვა მხარეებს და არ შევეუდგებით ამ ნაშრომში მათ გარჩევას. თეიმურაზის შემოქმედება და მისი ანალიზი გარკვეული მიზნითა და კუთხით გვაინტერესებდა ამჟღერად, სახელდობრ, თუ როგორ გამოიყურება იგი როგორც ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი საფუძველთაგანი.

თეიმურაზის ლექსების სევდა და გლოვის ზარი, მისი მწუხარება შეზავებულია რელიგიურ მისტიკასთან და ქრისტიანულ მორწმუნეობრივ იმედთან. თეიმურაზს დიდი მწუხარებისა და გლოვის მიუხედავად, ზრუნვა და ბრძოლა ამქვეყნიურ გამარჯვებათა მოსაპოვებლად თავის მოვალეობად მიაჩნდა არა მხოლოდ როგორც მეფეს, რომელსაც თავისი ერის დასაცავად ბრძოლა არ შეუწყვეტია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, არამედ, აგრეთვე, როგორც პოეტს.

თეიმურაზის ლექსი დახვეწილია, გრძნობები ნატიფი, სევდა და მწუხარება არ ავიწყდება გულის გასართველ, სამიჯნურო ლექსთა წერის დროსაც, სოფლის სიმუხთლე და ბედის ამოება თავს დასტრიალებს და უბედნიერეს გატაცების წამებშიაც შეაქვს გესლი. ასე, მაგალითად, ლექსთა კრებაში „მაჯამა“, ანდა პოემაში „გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ და სხვ.

რაც შეეხება თეიმურაზის თარგმანებს, სამიჯნურო პოემებს „ლეილ-მაჯნუნისანი“, „იოსებ-ზილისანიანი“, „შამი-ფარვანიანი“ და „ვარდ-ბულბულიანი“, მათ რომანულ ელემენტში ჩაქსოვილია ძლიერი სიყვარულის გარდუვალი ტრაგიზმი და კვლავ გამოსჭვივის ამოება და სიმუხთლე ბედისწერისა, რაც ასე მწვავედ განიცადა მეფე-პოეტმა საკუთარი ცნოვრების მანძილზე.

თეიმურაზის პოეზიის კარდინალური ხაზი სოფლისადმი მღურვაა, მისი გოდება უსაზღვრო სიმწუხარეში გადადის, ყოფიერების კანონების შეუსაბამობათა აღიარებაში, მისი პე ს ი მ ი ზ მ ი ძ ი რ ი თ ა დ

⁴⁷ თეიმურაზ I, „შამი-ფარვანიანი“, 12, 13.

⁴⁸ მისივე, „ვარდ-ბულბულიანი“, 3.

თე მ ა დ ა ი რ ჩ ე ვ ს „ს ო ფ ლ ი ს ა დ მ ი მ დ უ რ ვ ა ს“ და ამ გზით პოემებშიაც კი შეიჭრება ინტიმური მხარე, ლ ი რ ი ზ მ ი, წარმოიქმნება ინდივიდუალური ს ა კ მ ა ო ლ მ კ ვ ე თ რ ი გ ა მ ო - ხ ა ტ უ ლ ე ბ ა. თეიმურაზის პოეზია ამ სიახლით ხდება ტონის მიმცემი მომავალ საუკუნეთა ქართული მწერლობისა.

თეიმურაზის პოეზიის ამ ახალ მხარეებს აგრძელებენ პოეტები ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი.

* * *

თეიმურაზ პირველის ბედს, დევნილ მეფობას და მწარე უიღბლობას ღრო თითქოს მემკვიდრეობით გადასცემს საქართველოს მომავალ მეფე-პოეტებს არჩილს და ვახტანგ მეექვსეს. მაგრამ, თუ თეიმურაზ პირველი, მრავალგზის ტანჯვათა და დევნათა მიუხედავად, ბოლომდე რჩება საქართველოს ბედისათვის მედგარ მებრძოლად — იგი არ ყრის იარაღს, არ ეპუება არავითარ განსაცდელს, შვილებისა და დედის წამებით სიკვდილსაც კი — მისი მომდევნო მეფენი, აგრეთვე მემკვიდრენი მისი პოეზიისა, მსგავს ბრძოლის უნარს ვეღარ იჩენენ. ძლიერი მტრის მიერ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებულები, ისინი სახლობითურთ უცხო მხარეს გადაიხვეწებიან და ბედის ანაბარად მიტოვებულ სამშობლოს მოწინააღმდეგის სათარეშო ასპარეზად ტოვებენ... უცხოობაში, სხვის მიწა-წყალზე და სხვის კარზე, ამ ხელმწიფეთა ცხოვრება მძიმეა და დამამცირებელი, სამშობლოს გამო ნალველი მათ არ ტოვებთ არასოდეს. ფიზიკური გადარჩენით ისინი სიცოცხლეს შეუნარჩუნებენ საკუთარ შვილებს (მაშინ როდესაც თეიმურაზის ოთხი შვილი ტრაგიკულად დაიღუპა მტრის ხელში), მაგრამ ამგვარი გადარჩენა დროებითია, ვახტანგ VI-ისა და არჩილის შვილების მომავალი განწირულია, რადგან დაკარგულია მათთვის სამემკვიდრეო ტახტი და სამშობლო მიწა...

ვახტანგ VI, ისევე როგორც არჩილი, გადაიხვეწა რუსეთში, რომ ამ გზით გადაერჩინა სიცოცხლე და ოჯახის კეთილდღეობა. თუმცა ეს კეთილდღეობა მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაშიღა მდგომარეობდა, მეტად მცირე იმედი რჩებოდა იმისა, რომ ამ გაქცევით საქართველოს ტახტი კვლავ ვახტანგის მემკვიდრეთა ხელში ოდესმე აღმოჩნდებოდა. საამისო რეალური პირობები არ არსებობდა, ხოლო თვალწინ იყო შესანიშნავი მაგალითი არჩილისა და მისი ოჯახისა.

ეს გადადგმული ნაბიჯი შემდეგში მრავალჯერ გამოიტირა მეფემ. ცნობილია, რომ სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობამ და მეცადინეობამ ვერ შეცვალა საქართველოს ბედ-იღბალი იმ რთული ის-

ტორიული სიტუაციის გამო, რაც იმ პერიოდში საქართველოს გარშემო სუფევდა⁴⁹. ცნობილია აგრეთვე, რომ ვახტანგ VI, რომელიც არაერთხელ იხსნა თავისი აღმზრდელის რჩევამ და პოლიტიკურმა გამჭრიახობამ, საქართველოსათვის საბედისწერო, გადამწყვეტ მომენტში შედრკება საბას გაბედული მოქმედების გამო და უკან დაიხევს, აღარ მიჰყვება მის რჩევას. მაგრამ ვახტანგის, როგორც პიროვნებისა და როგორც ლიტერატორის ჩამოყალიბებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მისმა აღმზრდელმა, სულხან-საბა ორბელიანმა⁵⁰. ვახტანგ მეფის პოეზია, მისი ლიტერატურული გემოვნება, შემოქმედების მიმართულეობა და თვალსაზრისი დავალებულია, ერთი მხრივ, თეიმურაზის პოეზიითა და სულხან-საბას შემოქმედებითი თავისებურებებით, ხოლო, მეორეს მხრივ — გამოწვეულია ეპოქითა და მეფის პირადი ცხოვრებით. ვახტანგის, როგორც პოეტისა და პიროვნების ტრაგედია განპირობებულია მისი სამეფოს ტრაგედიით. ვახტანგმა შექმნა გარკვეული ლიტერატურული სკოლა, სადაც მის მიერ მწერლობაში დაინერგა ახლებური სტილი. შემუშავდა რამდენადმე ახალი თვალსაზრისი პოეზიის ხელოვნების შესახებ. მოსკოვში ვახტანგის ხელმძღვანელობით იქმნება პოეტიკის სახელმძღვანელო, მამუკა ბარათაშვილის „ჭაშნიკი“, რომელმაც დიდი გავლენა იქონია XVIII-საუკუნის ქართულ მწერლობაზე და, კერძოდ, დავით გურამიშვილის შემოქმედებაზე⁵¹. ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ რუსეთში ვახტანგის კარზე შეიქმნა ლიტერატურულ-მეცნიერული ატმოსფერო, წარმოიშვა ეპოქის თვალსაზრისის თანადროული დამოკიდებულება ისტორიისადმი, გეოგრაფიისადმი, სამართლისა⁵² და თეოლოგიური წიგნებისადმი, დადგა

⁴⁹ საბას მოღვაწეობისა და ვახტანგის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.: 1. ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972; 2. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ვახტანგ VI, ნარკვევი მის წიგნში. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, თბ., 1968; 3. დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე, ტფ., 1880.

⁵⁰ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: 1. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, სულხან-საბა ორბელიანი, (ცხოვრება და შემოქმედება), თბ., 1959; 2. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე სულხან-საბა ორბელიანი, ნარკვევი წიგნში, სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა ტფ., 1930; 3. ს. ც ა ი შ ვ ი ლ ი, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, XI, 1958; 4. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI ლექსიკოგრაფიული ურთიერთობისათვის, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებ., თბ., 1959.

⁵¹ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დავით გურამიშვილი, ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი, ტფ., 1931, გვ. 77—78.

⁵² ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, სამართლის წიგნი, თ. ე ნ უ ქ ი ძ ი ს რედაქციით, გამოკვლევიითა და შენიშვნებით, თბ., 1955; 2. ბერძნული სამართალი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებიდან, გამოკვლევა, საძიებელი, შენიშვნები დაურთო თ. ბ რ ე გ ა -

საკითხი ქართული წიგნების პუბლიკაციის შესახებ. შეიქმნა სტამბა⁵³, სადაც დაიბეჭდა პირველად ქართული ბიბლია და ვეფხისტყაოსანი, და სხვ. ამ სკოლის შესანიშნავი წარმომადგენელია ვახუშტი ბატონი-შვილი, ავტორი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიისა. შორს წაგვიყვანდა იმ ცნობილი ფაქტების გახსენება, რასაც ადგილი ჰქონდა ლიტერატურულ ცხოვრებაში ვახტანგის კარზე ჯერ თბილისში და შემდეგ მოსკოვში. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ ლიტერატურულ წრეში, მოსკოვში აღიზარდა დავით გურამიშვილი, რომელიც თავისი ლექსის ფორმით, პოეზიის ხასიათითა და მიმართულებით დიდადაა დავალებული ვახტანგისაგან⁵⁴.

ვახტანგ მეფე, სევდიანი და უიღბლო მეფე, თავის გულის ნაღველს მწარე ლექსთა გამოთქმაში განაქარვებდა. მისი პოეზია სევდისა და უიღბლობის პოეზიაა, ამავე დროს მაღალი მორალის მატარებელი და ქრისტიანიზმის პოეტური სახეებითა და სულით გაჟღენთილი.

ვახტანგის შემოქმედებაში ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მისი ლექსი და პროზა განიცდის ტენდენციას მოძველებული ფორმებისაგან განთავისუფლებისა და მხატვრული სიტყვის ხმარების გამარტივებისაკენ. ცნობილია, რომ ვახტანგმა შემოიტანა და დაამკვიდრა მთელი რიგი ახალი სალექსო ზომები და ფორმები⁵⁵. გადაახალისა ტრადიციული შაირის ფორმა, შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ ლირიკაში ახალი ჟანრი, ელეგია და სხვ.

ვახტანგის პროზაში იგრძნობა სულხან-საბა ორბელიანის მოწაფე. მისი პროზა განირჩევა საბასეული სისადავითა და დახვეწილობით. საბას პროზას აქვს ტენდენცია განთავისუფლდეს აზრის გამოთქმის ტრადიციული, აღმოსავლური, ჩუქურთმული სტილისაგან. იმხანად ქართულ სამწერლობო მეტყველებას ახასიათებდა სათქმელის ხატოვნად გამოთქმისას შედარება-მეტაფორების სიჭარბე, რომელიც ტექსტს, პროზაულსა თუ პოეტურს, სპეციფიკურ ელფერს ანიჭებს. ამ-

ძ ე მ, თბ., 1964, 3. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, I, ტფ., 1928.

⁵³ ვახტანგისეული სტამბის შესახებ იხ., 1. ქრ. შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955, გვ. 143—148; 2. ლ. მ ე ნ ა ბ დ ე, ვახტანგ VI, თბ., 1966, გვ. 150—154.

⁵⁴ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დავით გურამიშვილი. თბ., 1931, გვ. 79—80; 2. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ვახტანგ მეექვსე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1959, გვ. 219.

⁵⁵ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ვახტანგ მეექვსე, გამოკვლევა წიგნში — ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1947, გვ. 15—17.

გვარი მანერა სპარსული პოეზიის მხატვრული ფორმის გავლენის ანარეკლია. ვახტანგის მასწავლებელი, საბა, ემიჯნება ამ აღმოსავლურ ტრადიციას და ევროპელი მწერლის მსგავსად ქმნის სრულიად ახალ სამწერლობო ენას, რომელსაც ვახტანგ მეფე და მისი სკოლა იზიარებს და პოეზიაშიც მსგავსი სიახლის დანერგვას ცდილობს.

ვახტანგ მეფე თეიმურაზ პირველისაგან იღებს სოფლის სამღურავის ვრცელ და მძლავრ თემას, რომელიც მისი სულიერი წონასწორობისა და პოეტური განწყობილებისათვის მეტად ზედგამოჭრილი აღმოჩნდა. სოფლისადმი მღურვისა და გოდების თემასთან ერთად ვახტანგის პოეზიაში ისადგურებს ინდივიდუალისტური ტენდენციები და განწყობილებები, რომლებიც აგრეთვე თეიმურაზ პირველმა დაამკვიდრა ქართულ საერო მწერლობაში. ამ მხრივ ვახტანგი გადადგამს კიდევ ახალ ნაბიჯებს. მას აღარ აკმაყოფილებს ტრადიციულ სალექსო ზომებში მომწყვდეული ლექსის ინტიმური განწყობილებები და იგი ქმნის ახალ სალექსო ფორმასა და ზომას. ასეთია მის მიერ შემოღებული 16 და 20 მარცვლოვანი ლექსები, მის მიერვე დამკვიდრებული ელეგიის ფორმა და სხვ⁵⁶.

ვახტანგის მიერ ქართული პოეზიის რეფორმაციაში ევროპული პოეტური სამყაროს საინტერესო გავლენაც იგრძნობა. განმანათლებელთა იდეები და თემატიკა უთუოდ გარკვეულ კვალს აჩვენებს ვახტანგის, სულხან-საბასა და არჩილის შემოქმედებას⁵⁷. ევროპული პოეზიის სიახლოვე ერთგვარად განაპირობებს ვახტანგის პოეზიაში ელეგიის ფორმის წარმოშობას.

ვახტანგის პოეტური შედეგების მეტი ნაწილი დაწერილია მის მიერვე შემოღებული ახალი სალექსო ფორმებით.

„სოფლის სამღურავის“ მწუხარე თემა ვახტანგის ლირიკის ძირითად ლერძად შეიძლება ჩაითვალოს. ვახტანგს არა აქვს თეიმურაზივით ბრწყინვალე ლექსით შესრულებული დახვეწილი პოემები, ნათარგმნი და ორიგინალური, რაც თეიმურაზის პოეზიის სიამაყეს შეადგენს. ვახტანგის პოეზიის ძალაა მისი ლირიკა, მისი სევდიანი ხმით გამოთქმული ლექსები, რომლებიც უშუალოდითა და სიწრფელით, ინტიმური სისადავით განიჩქვება.

⁵⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ., ალ. ბარამიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. XV—XVI.

⁵⁷ განმანათლებელთა პრინციპების გავლენის შესახებ XVIII საუკ. ქართულ მწერლობაზე, იხ.: 1. დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977, გვ. 36; 2. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, თბ., 1966, გვ. 24; 3. ალ. კალანდარიძე, ანტონ ბაგრატიონი და ქართული კლასიციზმი, უფრ. „ცისკარი“, 1972, № 2, გვ. 143.

რანი და, მოვაკანი და, სახლი და, კარი, ბანი, და,
გათავდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი და განი, და...
ვიარე ყოვლი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი, და,
ვერა ვპოვე რა მის მეტი, დავყარე ძმა და დანი, და...
ხორცსა მრავალი დავაკლე, სულს მივეც იქი რჯანი, ღა,
ვი-ვი, მსაჯეს უბრალოდ, არ მომცეს მე აჯანი, და⁵⁸.

ვახტანგის პოეზიის მარგალიტი, ეს რამდენიმე სტრიქონიანი ლექსი, ყურადღებას იპყრობს იმიტაც, რომ მისი ფორმა სრულიად ახლებურია და არ იმეორებს ტრადიციულ შაირს.

ვახტანგ მეფის ლექსიდან გამოსჭვივის საშინელი სევდა, უიმედო და უსასოო, მჭმუნვარება დევნილი მეფის, რომელმაც თითქმის ფეხით გადასერა უშველებელი დედამიწის კონტინენტი, უცხო და უცნობი მხარეები ხეტიალით მოვლო თავისი ქვეყნისათვის დახმარების ძიებაში, მაგრამ მიიღო მხოლოდ იმედების გაცრუება და სინანული. ვახტანგის მთელ შემოქმედებას გასდევს შეუწყნარებელი სინანული გადადგმული ნაბიჯის გამო, მოურჩენელი ტკივილი იმ აღუდგენელი დანაკარგისა, რაც ასე ძვირფასია ყველა ადამიანისათვის. ესაა თვისტომის დაკარგვა, სამშობლოს სამუდამო განშორება, მეფობის სამუდამო დამშვიდობება, ეს იყო, რაც წილად ხვდა ვახტანგ მეფეს და, საფუძვლად დაედო მის გაუთავებელ და უსასოო ჭმუნვა-ნაღველს. სევდა დამსხვრეული ბედნიერებისა, დაკარგული მეფობისა და დაკარგული სამშობლო-სამოთხისა სხვა ლექსებშიაც აღბეჭდა ვახტანგის პოეტურმა გრძნობამ. ერთი ასეთი რჩეული ლექსთაგანია „ლექს-ამბავი“, სადაც მეტყველი და ხატოვანი გამოთქმებით აღწერილია ამბავი სამშობლო-სამოთხის დაკარგვისა. ეს ლექსი თავისი ფორმითაც დიდად საინტერესო და ახლებურია⁵⁹.

სამშობლოს ბაღი რა ჰქონდა, სცან. ალექსანდრეს, მეფეო,
იდგა ყვაილი მრავალი, სახელის სუნი, მეფეო,
მის ფშვას აღევსო ქვეყანა სხვადასხვა რიგთა, მეფეო,
შეება ვარდისა მრავალფრად გაშლილი შიგან, მეფეო,
სხვანი ლხინისა შროშანი ჰვიან ფერადნი, მეფეო,
ზამბახის მსგავსად განეღო სიუხვის პირი, მეფეო,
ქამიდრის იასამანსა სუნით აღევსო, მეფეო,
ჯარ-მრავლობისა ყაყაჩო, ლალა, ხაშხაში, მეფეო,
მიხაკის სუნის ფერისებრ შინაყმა ბევრი, მეფეო,
მღვიძრობის ფერის ნარგიზის სიხშირე იყო, მეფეო,
სიფერადენი ზარდახშის ინის ყვავილებრ, მეფეო,
სვე-სვიანობის სასახლე შიგ იდგა ცამდის, მეფეო,
ღოვლათის შადრეენები მაღლა ისროდნენ, მეფეო,

⁵⁸ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, ლექსები და პოემები, თბ., 1947, გვ. 2.

⁵⁹ ამ ლექსის სიახლისა და თავისებურებათა შესახებ იხ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. X.

თავ-მალლობისა ალვანი ღრუბლამდე იდგნენ, მეფეო,
სიხარულისა არღავანს მრავლად ჰპოვებდი, მეფეო,
მტერთ გულის ფერსა სუმბულსა სიმრავლე ჰქონდა, მეფეო,
კარგთ გულ ფერისა შაბუნი იდგა მრავალი, მეფეო,
გოვარის თასთა ამბარ-ბუ შიგ გაშლილ იყო, მეფეო,
ეს ასე შეჰქმნა სოფელმან, ახლა რომ ვიტყვი, მეფეო⁶⁰.

ამ შესანიშნავი, სამოთხის დარი წალკოტის, ამ საოცარი სამე-
ფოს ზემომოყვანილი აღწერის შემდეგ დ გ ე ბ ა ს ა კ ი თ ხ ი ს ა მ ყ ა -
რ ო ს კ ა ნ ო ნ თ ა ა მ ა თ ე ბ ი ს და უ ხ ა ნ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ,
რომლის მსხვერპლი შექმნილა ვახტანგის მეფობაც და მისი სამშობ-
ლოს კეთილდღეობაც.

ამ საკითხის დაყენებით ვახტანგი უახლოვდება რომანტიკოსთა
მხატვრულ ხედვას, მათ თვალსაზრისს სამყაროს ბედუკუდმართობის
შესახებ. ამავე ტიპის განწყობილება არაერთხელ გამოხატეს შემდგომ-
ში აღ. ჭავჭავაძემ, გრ. ორბელიანმა, ნ. ბარათაშვილმა. ამ რომან-
ტიკოსთა გამომსახველობითი ფორმები იყო ახალი, მაგრამ ეროვნული
ლიტერატურის ტრადიციების გავლენა ყოველთვის დიდ როლს ასრუ-
ლებდა მათ შემოქმედებაში.

ვახტანგის პოეზიაში წარმავლობის ტკივილს მოუცავს ყველაფე-
რი. იგი იჭერს ადგილს, სადაც ოდესმე სუფევდა ბედნიერება. „ლექს-
ამბავიც“ სწორედ ასეთ განწყობილებას ეძღვნება. მეფის აყვავებული
წალკოტი გახმა, დაზრა, აღიგავა პირისაგან მიწისა, მისი მშვენიერება
იქცა უნაყოფო უდაბნოდ — როგორც ვახტანგის ცხოვრება, გავერანე-
ბულ ბაღად. ასეთია „სოფლის“ კანონი:

ანასდად ცამან მოჰღრუბლა, ნეფხვრა, გამოსჩნდა, მეფეო,
დააზრო, ზოგი გაახმო, დასცვიდა სრულად, მეფეო,
სახლთ წვიმა-სეტყვით მიეცა ნოტიო დიდი, მეფეო,
გრიგალმან ქარმან იქროლა, შეჰმუსრა სრულად, მეფეო,
შადრეჯანები ნამსხვრევით აღივსო. დასქდა, მეფეო,
ალვა ძირითურთ აღმოჰფხვრა ქარის სიმძაფრემ, მეფეო,
სჩანს უნაყოფოს მინდორად, აწ ახლა იგი, მეფეო,
სოფლის სიმუხთლე ასეა, რად ვინ სდევს, მიკვირს, მეფეო!
აწ შენ ამისთვის რად სწუხარ, უცხოლ მჩანს, ვახტანგ მეფეო⁶¹!

ვახტანგის ლექსის ფილოსოფიური განზოგადება, ზეაწეული კი-
ლო და ალეგორიული ფორმა, დახვეწილი სტილი, მაღალმხატვრული
სინატიფით გამოთქმული სევდა-ნაღველი, სამშობლოსა და გვირგვი-
ნის დამკარგავი მეფისა, — ვახტანგის უბედობას მისი პოეზიის ბე-
დნიერებად აქცევს.

⁶⁰ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „ლექს-ამბავი“, თხზ., გვ. 6, დასახ. გამოც.

⁶¹ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „ლექს-ამბავი“, თხზ., გვ. 6.

აღ. ჭავჭავაძის ლექსი „ეჰა, ჩემო ოცნებავ“ გარკვეული ხაზით ეპასუხება ვახტანგ VI-ის მწვავე ელფგიას „ლექს-ამბავი“.

ეჰა, ჩემო ოცნებავ, კვლავ რად წარმომედგინე
და დასი მცნობთ ჩვენებათ უბრალოდ რად მომფინე?
რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა, —
ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკობებელთა,
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა
და გლახ მე მარად მტირალს მცირედიც არ მარგუნა.

ნუ მიტევენ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხვრანი;
წარსულისა სიცოცხლის ნიავე კვლავ დამქროლე
და დამაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.
გვედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
რომე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული⁶².

აღ. ჭავჭავაძის ლექსი ახალია, მას ფორმაც თავისი აქვს, მაგრამ ვახტანგის გოდებას და ჭმუნვას უერთდება თავისი წარმავლობის სევდით, მწუხარე ოცნებაში წასული ხილვებით, რომელიც აგრეთვე სამშობლოს ბედ-იღბალს უკავშირდება. ვახტანგის „ლექს-ამბავის“ თემატიკას ენათესავება აღ. ჭავჭავაძის მეორე ლექსიც, „პავლე პირველის სასახლისადმი“.

სამშობლოს მოშორებული ვახტანგ მეფე მუდმივ ოცნებაშია იმ გარდასულ, სვებედნიერ დღეთა გამო, როცა მეფობით ძღვევამოსილი მშობლიურ მხარეში იზიარებდა თავისი ქვეყნის ჭირსა და ღვინს, მისი ცხოვრების წესის მომხიბვლელობას და სილამაზეს, მისი მზის სითბოს. ემიგრაციაში მყოფი პოეტი ჭმუნვასა და კაეშანს უერთებს მოგონებათა ამ რომანტიკულ მზერას. მსგავს განწყობილებათა გამოხატულებაა ვახტანგის შესანიშნავი ლექსი, გახსენება თბილისისა მაისის თვეში.

რა სჯობს მაისში ტფილისსა, ვარდი ვაკეკვლავებრ ესხასა,
მწვანედ ღელავდეს გარემო, ცის ცვარი მასზე ესხასა⁶³.

სამშობლოს დაკარგვის გამო სევდა და რომანტიკული მზერა უერთდება ვახტანგის პოეზიაში ზოგადი ხასიათის გოდებას წუთისოფლის კანონთა ამაოებაზე. ამ თემისადმი ლირიკული ლექსების მთელი წყება მიუძღვნია პოეტს, —

დავემონე კაეშანსა, სევდა მომხვდა მისთვის წამლად,
მელნად ნალველს მოვიხმარებ, აღმოვაწებ გულსა კალმად;

⁶² აღ. ჭავჭავაძე, „ეჰა, ჩემო ოცნებავ“, ლექსები, თბ., 1949, გვ. 81.

⁶³ ვახტანგ VI, „მაჯამა“, 11, თბზ., გვ. 44.

ლხინის ბაღის მოსარწყავად ცრემლი მიმდის გასალამად,
და ველი სამე გამომიჩნდეს გამომყვანი დასამალად⁶⁴.

წუთისოფლის გამო ტირილი და გოდება, დამკვიდრებული აღორ-
ძინების ხანის ქართულ პოეზიაში თეიმურაზის მიერ, ვახტანგის შემო-
ქმედებაში ფართო გასაქანს პპოვებს. თითქმის ყველა მისი ლექსი,
სატრფიალო, დიდაქტიკური თუ ელეგიური ხასიათისა, გამსჭვალულია
სოფლის სამდურავის თემით. ვახტანგის ყველა ნაწარმოებში შეხვდე-
ბით ლირიკულ წიაღსვლებს, რომლებიც სავსეა ოხვრით და გოდებით
წუთისოფლის უხანობის, მისი დაუნდობლობისა და ვერაგობის გამო.
ეს თემა, რომელიც თეიმურაზ პირველიდან გადმოვიდა ემიგრანტ
პოეტთა შემოქმედებაში, XVIII—XIX სს. ქართულ პოეზიაში ფართო-
ოდ იშლება. სოფლის ამ აოებ ის თემა, რომანტიკოსთა პოეზიი-
სათვის ასეთი ნიშანდობლივი და ქართულ რომანტიზმში ასე კარგად
გამოხატული, ემიგრანტულ პოეზიაში ვახტანგ VI-ისა და გურამიშვი-
ლის შემოქმედებით განსაკუთრებულ ყდერადობას აღწევს.

წუთისოფლისა და მისი ამ აოებ ის შესახებ მოთქმა
ვახტანგის პოეზიაში უერთდება პოეტის პირადი უბედურე-
ბის გამო ტირილს, რომელიც გადადის ზოგად, სიკვდილ-სიცოცხლის
კანონთა შესახებ გარჩევა-მსჯელობაში.

მიაგავს ჩვენი სიცოცხლე რუსთა წალკოტის წესებსა,
რა გამოჩნდება ნაყოფი, ჭია სჭამს ბევრ ათასებსა,
სისრულეშია სიცივე დაჟრის და დააკვნესებსა.
და დანამწიფარსა ყინული ფოლადებრ დააკვესებსა.

მიხედე, ყამმა რა მიყო ცრუმა და ანასდეულმა,
დასწუნარდი, ბოლო მოუღე სიჩქარით ანასდეულმა,

ცულ უბედობით ვაშრომებ დღესა, დროსა და ყამებსა,
რუსთა ზაფხულებრ გაივლის მოსოფლიოსა წამებსა,
რა გამყვეს, ანუ რა დამრჩეს, ვით რამე დამიამებსა?
და უნაყოფოსა ვემსგავსე ხისა რისამე გვამებსა.

წყალმან არა ქნას სისველე, რითლა ეწოდოს წყალია?
ცეცხლმან არ დასწვას ნივთები, სად გამოჩნდება ალია?
აგრევე სოფელმა ცქაფობა, მითხარ, რა მოსაკრძალია?
და ბუნების საქმეს იქმონენ უცვლელად, დაუმალია⁶⁵.

ლირიზმი და გულის სევდა-ნაღველი, პიროვნების წუხილი და
პირადი უბედურება, პიროვნული განცდა პოეტისა, რომელიც არ გვევ-
ლინება არც უებრო გმირად და გამარჯვებულ მონარქად, არც უებრო

⁶⁴ მისივე, „კაეშანი“, 1, თხზ., გვ. 8.

⁶⁵ ვახტანგ VI, „კაეშანი“, 3, 4, 7, 9. გვ. 8—9.

მიჯნურად, — ასეთია ლირიკული გმირი ვახტანგისეული პოეზიისა. ამ გმირს აქვს თავისი მძლავრი ტკივილები ცხოვრების კანონთა შეუსაბამობის გამო და იმ დიდი დანაკარგის გამო, რომელსაც ანაზღაურება არ უწერია. ვახტანგის პოეზიის ლირიკული გმირი მწუხარე და უბედურია, იგი გადახვეწილია უცხო მხარეს და მოხეტიალე, მიუსაფარ პიროვნებად გვევლინება.

ეს ლირიკული გმირი, ეს მიუსაფარი, მოხეტიალე მეფე-მგოსანი, მკაცრი სინამდვილით უწყალოდ დასჯილი, რომ ანტიკული გმირთა სახეების წინამორბედი ა.

გამოუვალა მდგომარეობის სიმძიმე და პიროვნების უსასოობა მიმოფანტული სტრიქონებად ვახტანგის ლექსებში, სოფლის სამღერავეთან ერთად ქმნის ვახტანგის პოეზიის ძირითად ტონს და ჟღენთავს მთელ მის ლირიკას. ამ მხრივ საინტერესოა ვახტანგის ვრცელი ლირიკული ლექსები, „სალბუნად გულისა“ და „მაჯამა“, სადაც კაეშნით მოცული მოხეტიალე გმირის სოფლისადმი მღურვა და საყვედური მიმობნეულია სატრფიალო და გულის გასართველ სტროფებს შორის, —

გამსაჯა მიწყვი სოფელმან, უფრო ყველასგან აჯამა,
არ შემიწყალა არათი, არ გამომართვა აჯამა,
ამავსებინა ცრემლითა კალთა, ფილა, აჯამა
და მწვე მომაწყინა სოფლისა ასე უბრალოდ გარჯამა⁶⁶.

აქვეა მოხეტიალე გმირის მწარე ბედისწერის ამსახველი სტრიქონები: —

დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისნი ტომნი, მონაძები,
დავკარგულვარ უცხოს თემსა, ვარ არვისგან მონაძები⁶⁷.

ეს გადახვეწილი გმირი სოფლისადმი მღურვით და სევდიანი ლექსთა მოთქმით იონებს გულს, —

დამწვა სოფლისა საცდურმა, ველარა სცემოს მაჯამა⁶⁸.

— აცხადებს იგი. ან კიდევ —

თავი დავაბი ჰირსა და ვზივარ უხსნელსა კარებსა,
წამ-და-წამ ვისმენ ამბავსა სამსალის უფრო მწარებსა:
ავს მექადიან სიკვდილსა, მტერთაცა შესაზარებსა⁶⁹.

აქვე ყურადღებას იპყრობს საყვედური პოეტისა მახლობლებზე და

⁶⁶ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, „სალბუნად გულისა“, 2, თხზ., გვ. 10.

⁶⁷ იქვე, 3.

⁶⁸ იქვე, 5.

⁶⁹ იქვე, 74.

ქვეშევრდომებზე, რომლებმაც ვერ გაიტანეს და არ უთანაგრძნეს უბედურებაში ჩაეარდნით მეფეს:

ყმაზე წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგთზედა სიკეთე, სხვათაგან შესაშურები,
ძმათა და თვისთა მოყვრობა, რა ჩემგან მოსახურები
და განმადეს ასე უბრალოდ თვალით ცრემლთა მონაწიურები⁷⁰.

ნიშნეულია კვლავ წუთისოფლისადმი მდურვა და შემდეგ საკუთარ შეცდომათა გამო მწარე სინანული და აღიარება:

ცრუვმან სოფელმან სიმუხთლით, მწვე მიკვირს, ჩემთვის აგო რა!
მან კაეშანი უხსნელი შეყრით შეპყარა, აგორა.

რას ვაბრალებ საწუთოსა, ვამბობ, მიყო ამან ესო,
რაც მე შევსვი შესასმელი, ესე ხელსა ვისცა ესო?
ვარდი მდღვა ბაღსა ჩემსა, ან თუ სამე ნარი ესო?
და მე აღმოვფხვერ, სხვას ვის ეძლო მისთვის რამე ძირსა ესო⁷¹.

ვანტანგის პოეზიაში ყურადღებას იპყრობს სოფლის სიმუხთლის გამო ზოგადი ხასიათის მსჯელობა, სადაც ყოფიერების კანონთა სიმკაცრეზე და სივერაგეზეა ლაპარაკი:

სოფლის ხლათის დაფაცვრითა ჭირს დავები გაუგებსა,
უცხო რამ სჭირს, ზოგს ლხინს მისცემს ზოგს ლახვარსა გაუგებსა;
ზოგს აგორებს ეკალზედა, ზოგსა ვარდსა გაუგებსა
და ზოგს ძირამდის სახლს დაუქცევს, ზოგს ქორედად გაუგებსა⁷².

ამიტომ, წუთისოფლის ამ თვისებათა გამო პოეტი აფრთხილებს ადამიანებს:

ნუ მიენდობი უნდოსა, ბოლოს არ გიყოსთ ძალია⁷³.

სოფლის სამდურავის დალირიკული მოხეტიალე გმირის გოდების თემას უკავშირდება ვანტანგთან სიკვდილი-სიცოცხლის საკითხი, მის გამო გამოთქმული უკმაყოფილება. ამ თემისადმი მიძღვნილია ვანტანგის ელეგიური ხასიათის ლექსი „ვაი სიკვდილო“.

ამ ლექსის მწვავე პესიმიზმი და გოდების ტონი კიდევ უფრო გაძლიერებულია რეფრენით, — „ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო“!

რა დავიბადე, სოფლით ვიბადე, ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!
მეგონა რამე, სოფლისა რა მე, ვაი...

⁷⁰ ვანტანგ VI, „სალბუნად გულისა“, 77.

⁷¹ იქვე, 79, 80. თხზ., გვ. 20.

⁷² იქვე, 91, გვ. 21.

⁷³ იქვე, 98, გვ. 22.

მოკვყევ სოფელსა, ავის მყოფელსა, ვაი...
განვეცხერ, ვიშვებდი, ვერ გავიშვებდი, ვაი...
მატკობ, მაგემა არად სარგემა, ვაი...
შენ ვერ გიცნობდი, თუმცა მიხმობდი, ვაი...
მოხველ ანასდად, მტრად, და არ ჩემ დად, ვაი...

მომკალ, მომკვეთე სოფლის მოკეთე, ვაი...
ხვავან გამგზავნე, დამხვდა მე მაგნე, ვაი...
მუნ გამიკითხეს, დამცეს, დამწინხეს, ვაი...
რად ენდეე სოფელს, ანასდის მყოფელს? ვაი...
თუ იქ იხარე, აქ კი იხარე, ვაი...
დამხვდნენ მტარვალნი, მწარედ მტანჯველნი, ვაი...
ულხენი მიმყვა, მოთხრეს ეს სიტყვა, ვაი⁷⁴.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, სიკვდილისა და იმიერ სოფლის მწარე საზღაური და მის კანონთა სისასტიკე დაკავშირებულია ამ ლექსში პოეტი-მეფის ამქვეყნიურ უბედურებასთან. ადამიანის დაბადება, რომელიც ბედნიერებად ითვლება, თანდათან მიდის სიმწარისაკენ და ბოლოს სიკვდილისაკენ. ასეთია ამ ლექსის მთავარი აზრი. იმედებით სავსე ახალგაზრდობას, ჭაბუკურ გართობასა და სიტკობ-სიხარულს მალე მოელება ბოლო, მოვა გამოუცნობი ბედისწერა, ერთბაშად თავს დაატყდება კაცს, მოიტანს ტანჯვას, წამებას, დაგვაშორებს საყვარელ ადამიანებს და ჩვენს სამშობლოს. როცა ერთხელ დაიწყება ბედის ეს დევნა, მას ხომ არა აქვს დასასრული, ერთ უბედურებას მოსდევს მეორე, და ბოლოს, სასომიხდილი და მუდმივ უიმედობაში მყოფი ადამიანი ტანჯვით უნდა მოკვდეს: მაგრამ განა ამით მთავრდება ყოფიერების სიმწარე? იმ სოფელში კვლავ ახალი სატანჯველები ელოდება ადამიანს — პასუხისგება ამქვეყნიურ შეცდომათა გამო. მარადიული სამსჯავროსა და მისი მკაცრი კანონების შესახებ ფიქრი კიდევ უფრო სატანჯველს ხდის კაცის უსასოო ყოფიერებას ... ასეთია ამ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემათა, არსებობისა და არარსებობის საკითხთა შესახებ გამოთქმული ელეგიის განწყობილება და აზრი. ვახტანგის ელეგია სიკვდილ-სიცოცხლის საკითხზე, გამოხატავს უაღრესად პესიმისტურ, უარყოფით დამოკიდებულებას ყოფიერებისა და წუთისოფლის კანონთა შესახებ, რაც ვახტანგ მეფის პოეზიის საერთო ხასიათს სრულიად შეესაბამება.

ვახტანგის ლექსის „ვაი, სიკვდილო, მწარე სიკვდილო!“ — თემისა და ძირითადი საკითხის ახლებურ გადაწყვეტას ვხედავთ ალ. ჭავჭავაძის ლექსში სჩვადასხვა დროისათვის კაცისა“. ალ. ჭავჭავაძის ლექსი რომანტიკული ხასიათის ნაწარმოებია, რომელიც ეძღვნება აგ-

⁷⁴ იქვე, „ვაი სიკვდილო“, გვ. 3.

რეთვე სიკვდილ-სიცოცხლისა და ამაოების პრობლემას. ლექსში გად-
მოცემულია კაცის ამოა ცდა, რომელიც ადამიანურ არსებობის კანონს-
ვერასოდეს შეცვლის. ეს კანონია — ბედის სიმუხთლე, ტანჯვა, დაუ-
კმაყოფილებელი სურვილების არსებობა და ბოლოს გარდუვალი-
სიკვდილი, ადამიანის მწარე ცხოვრების მწარე დასასრული. მორალი-
ამ რომანტიკული ნაწარმოებისა არის პროტესტი ადამიანური არსე-
ბობის კანონებისადმი, ხოლო ცხოვრება გამოხატულია მისი ერთი-
კუთხიდან — უარყოფითი მხრიდან.

ალ. ჭავჭავაძის ლექსი ასეთია:

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!
რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა,
მოვიზრდებით წიგნის კითხვით, არ გაგვიშრობს მწრთენელი თვალთა,
ჟამი გვიროკს, იგი გვიძახს: შეუდექით სიბრძნის კვალთა.
რა ჰასაკსა შევალთ, ახლად ჭირი უფროს გვემრავლებს!
თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას ემსჭვალეების:

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა;
არა ვკმარობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა,
გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ჭუხვა;
რა ვერ ვბოვებთ საწადელსა, შეგვექმნების შურით კმუხვა.

„ეკლესიასტეს“ ამაოების განწყობილებიდან მომდინარეობს ცხო-
ვრების მსგავსი გაგება, რომელიც ქართულ ლიტერატურაში საკმაო
გავრცელებას ჰპოვებს. ალ. ჭავჭავაძის მხატვრული გააზრება სიკვდი-
ლის დასასრულისა მეტად ახლოა ვახტანგ მეფისეულ გაგებასთან.
ალ. ჭავჭავაძე წერს:

სიკვდილისა წინამძღვრად მოვლენ სენნი მახვილთ ღებით,
მათგან ერთი გვემს და გვეტყვის, „ახით ნაშენო, მოკლდით ვებით!“

ვახტანგ მეფის მიერ მსგავსი საკითხების დაყენება თავის შემოქ-
მედებაში, მნიშვნელოვანი წინარე მომენტია ქართველი რომანტიკო-
სებისათვის. ალ. ჭავჭავაძეს ამ მხრივ აქვს შესანიშნავი ნიადაგი ერო-
ვნულ მწერლობაში. საიდანაც იგი თავისუფლად საზრდობს და თავის
მხრივ ახალ სიცოცხლესა და ახალ ჟღერადობას ანიჭებს მშობლიურ
ლიტერატურაში უკვე არაერთხელ დამუშავებულ სიკვდილ-სიცოცხ-
ლის თემატიკას. ამ თემის გააზრება ვახტანგის მიერ განსაკუთრებით
ახლოა სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის ალ. ჭავჭავაძისეულ გადაწ-
ვეტასთან.

წუთისოფლის სევდას და მის გამო წარმოშობილ პესიმისტურ
განწყობილებას უკავშირდება ვახტანგის პოეზიის მისტიკური მხარე.
რელიგია, იმქვეყნიური არსებობა, იმიერ სამყაროს სამართალი და
მარადიული ცხოვრების პოეზია ვახტანგის შემოქმედებაში საკმაოდ

მნიშვნელოვან ადგილს იჭერს. ამ მხრივ ვახტანგის შემოქმედებაში ორი მომენტი საინტერესოა. ერთია — ლექსები, მიძღვნილი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ტანჯული, ამქვეყნიური ცხოვრებისადმი, ესენია: „ვაი, რა მწარედ იწოდა ნაწლევნი მარიამისა“ და „ნაცვლად ჩემთა სიკეთეთა“. მეორე რიგის მისტიკური ხასიათის ლექსებია ღვთაებისადმი მიძღვნილი ალეგორიული სატრფიალო-სამიჯნურო ფორმით დაწერილი შესხმანი.

კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ალეგორია, რომელსაც მიმართავენ აღორძინების პერიოდის მწერლები, გამოწვეულია იმდროინდელი სინამდვილით, როცა ისინი იძულებული იყვნენ დაემაღლათ თავიანთი გრძნობები.⁷⁵ აქვე გავიხსენოთ ვახტანგის განმარტება ვეფხისტყაოსნისა, ღვთაების სატრფიალოდ და საქებრად დაწერა შოთამ ის ლექსები — „მიჯნურობას სამლთოს მიჯნურობისათვის ამბობს“⁷⁶.

ვახტანგ მეფის ღვთაებისადმი ალეგორიულ-სამიჯნურო თემატიკას როცა შევეხებით, აქვე აღვნიშნავთ, რომ მსგავსი ხასიათის ალეგორიულ სამიჯნურო-ქებითი შესხმანი, უფრო მრავალფეროვანი, მაღალი პოეტური ღირსებებით შემკული შექმნა გურამიშვილმა. გურამიშვილი ამ მხრივ დავალებულია თავისი მასწავლებლისაგან, ვახტანგ მეფისაგან. რაც შეეხება ამ თემის თავდაპირველ შემოტანას აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაში, აქ თავისი წვლილი მიუძღვის თეიმურაზს. მის პოეზიაში მსგავსი ხასიათის შექმნა-მიძღვნილი ღვთაების მიმართ შეინიშნება. ალეგორიულ-სამიჯნურო თემატიკის დამწყობად აღორძინების პერიოდში თეიმურაზ პირველი გვევლინება. თეიმურაზთანაც და ვახტანგთანაც, საერთოდ, აღორძინების პერიოდის ქართულ პოეზიაში, ღვთაების ამ სახით შესხმა ქრისტიანული პოეზიის გარდა, მოღის სპარსული მისტიკური პოეზიიდან, სუფისტური ლიტერატურიდან, სადაც ღვთაების მიმართ სატრფიალო საგალობლების სახით გამოთქმული ალეგორიული მიჯნურობა შერწყმული მაღალ მისტიკასთან დამკვიდრდა⁷⁷.

⁷⁵ კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან. ლიტერატურული ძიებანი, X, 1956, გვ. 164.

⁷⁶ ვახტანგ VI. „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა. თქმული ბატონის შვილის გამგებლის პატრონის ვახტანგისა“, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ 1937 წ. თბ., 1975, გვ. სვბ. ვახტანგ VI-ის ვეფხისტყაოსნის განმარტებების შესახებ იხ. სპეციალური გამოკვლევები, 1. ს. ცაიშვილი, რუსთველოლოგიური მიჯნურობის განმარტება ვახტანგ VI-სთან, კრებ., ძველი ქართული მწერლობის საკითხები, 2, 1964; 2. შ. ონიანი, ვახტანგ VI-ის რუსთველოლოგიური ნააზრევი, მაცნე, ენისა და ლიტ. სერია 1973 № 4.

⁷⁷ ამ საკითხთან დაკავშირ., იხ., 1, კ. კეკელიძე. Отражение восточного суфизма в древне-грузинской поэзии, ეტიუდები, ტ. II, 1945; 2. ს. ცაიშვილი, რუსთველოლოგიური მიჯნურობის განმარტება ვახტანგ VI-თან; 189

ვანტანგ VI-ის პოეზიის ძირითადი ნაწიები და მიმართულება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს, — მისი პოეზია დავალებულია ყველაზე მეტად თეიმურაზის პოეზიით, როგორც ლიტერატურული წყაროთი და სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული და მორალურ-ეთიკური სამყაროთი. ვანტანგის პოეზიის მიმართულებისა და მისი ლიტერატურული თვალსაზრისის შემუშავებაში დიდ როლს თამაშობს მისი პირადი ცხოვრება, ამ ცხოვრების თავისებურება, უიღბლო მეფობა, აგრეთვე მის თვალწინ გათამაშებული ეპოქალური მოვლენები, ეპოქის სული და მაჯისცემა. თავისი მხრივ, ვანტანგის პოეზია, მისი სევდიანი კილო და ნაზი ლირიზმი ახდენს გავლენას მის თანადროულსა და მომავალი ხანის ქართულ პოეზიაზე. ვანტანგის ლირიკის ელემენტური ტონი, მისი პესიმისმი და ადამიანური თბილი ინტიმი, მის მიერ შემუშავებული ახლებური სალექსო ფორმები, ტრადიციული პოეტური ხერხებისაგან განთავისუფლება დიდად უწყობს ხელს ქართულ პოეზიაში ახლის დამკვიდრებას. ვანტანგის შექმედების ეს თვისებები ქმნის ერთ-ერთ შორეულ საფუძველს მომავალი, ახალი ლიტერატურის წარმოშობისათვის, სადაც პესიმისტური ტონი, ლირიზმი, გოდების კილო და დევნილი ლირიკული გმირის განცდები მიიღებენ ახალ სიცოცხლეს, სრულიად ახლებური თვალსაზრისით აღიქმებიან და წარმოშობენ მძლავრ ლიტერატურულ მიმართულებას, რომანტიზმს. ქართულ ლიტერატურაში ეს მიმართულება ეზიარა ზოგადსაკაცობრიო ტიპივლებს და შექმნა ეპოქასთან დაკავშირებული დიდი პოეტური სახეები.

სრულყოფილი ხორცშესხმა ქართული პოეზიის ბედისაგან დევნილ ლირიკულ გმირს დაუდგება მაშინ, როცა მსოფლიო ლიტერატურული ტენდენციები ამისათვის მომზადებული აღმოჩნდება და შექმნის გარკვეული საფუძველებით განპირობებულ მიმართულებას. საქართველოში მსგავსი გმირის სულიერი სიცოცხლის წარმოქმნისათვის ამ ახალ მიმართულებას და მის ახალ გმირს საკმაო საფუძველი დახვდება. ეს საფუძველი მომზადებული იქნება მისი ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებით, მისი მორალურ-ეთიკური და სარწმუნოებრივი ნორმებით და, ბოლოს, მისი ისტორიული ცხოვრებით.

* * *

ვანტანგ მეექვსის კარზე, ემიგრაციაში ყოფნისას, რუსეთში, აღიზარდა და განვითარდა დავით გურამიშვილის პოეტური ტალანტი. ვანტანგის წრეში, მოსკოვში, მის ლიტერატურულ სამყაროში და ამ

სამყაროს გემოვნებასა და თვალსაზრისის ატმოსფეროში ჩამოყალიბ-
და გურამიშვილი, როგორც პოეტი, როგორც მოაზროვნე და იმდროინ-
დელი ქართული ლექსის ნოვატორი. დავით გურამიშვილის მსოფლ-
მხედველობისა, ლიტერატურული გემოვნებისა და სტილის ჩამო-
ყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა თვით ვახტანგ VI⁷⁸.

ვახტანგ მეფე სიბრძნესა და მეცნიერებას დაწაფებული პიროვნე-
ბა იყო. იგი ცდილობდა არ ჩამორჩენოდა — რამდენადაც მოსახერხე-
ბელი იყო მისი მდგომარეობისათვის — იმდროინდელ მსოფლიოში
მიღწეულ მეცნიერულ და კულტურულ განვითარების დონეს. ვახტან-
გის შემოქმედებაში თავი იჩინა აშკარად გამოხატულმა დიდაქტიკურ-
მა მოტივებმა. ეს მოტივი ქართულ ლიტერატურაში, როგორც ცნო-
ბილია, განსაკუთრებით განავრცო და მაღალ პოეტურ დონეზე აიყვანა
დავით გურამიშვილმა. დიდაქტიკური მოტივის გარდა დავით გურა-
მიშვილი ვახტანგისაგან დავალებულია თავისი შემოქმედების სხვა
მხარეებითაც. ასეთებია დავით გურამიშვილის რელიგიური ხასიათის
საგალობლები, შესხმები ღვთაება მზეთა-მზე მაცხოვრისადმი და
სხვ. მაგრამ აქაც, ისევე, როგორც თავისი პოეზიის დიდაქტიკურ მო-
ტივში, გურამიშვილს შეაქვს თავისი საკუთარი დამოკიდებულება
თემისადმი, საინტერესო და მრავალფეროვანი სიახლენი, რის გამო
გურამიშვილის პოეზია სრულიად ახალ საფეხურზე ადის და განსა-
კუთრებულ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, ელფერს იძენს. რაც
შეეხება სიკვდილ-სიცოცხლისა და სოფლის სამღურავის თემებს, რო-
მლებიც დავით გურამიშვილის პოეზიას ესოდენ მიმზიდველსა და
საინტერესოს ხდის, აგრეთვე ტრადიციულად, უშუალოდ ვახტანგისა-
გან გადმოდის მის შემოქმედებაში, გურამიშვილი სიკვდილ-სიცოცხლის
პრობლემატიკის ვახტანგისეულ გაგებას მსოფლმხედველობრივადაც
იზიარებს, ხოლო პოეტურ სამოსსა და ინტერპრეტაციას აძლევს თა-
ვისებურს, ახლებურს. ცნობილია, რომ დავით გურამიშვილმა შემო-
იტანა სრულიად ახლებური თემები ქართულ პოეზიაში, ასეთია საკუ-
თარი თავგადასავლის გაღექსვა, რომელიც შეადგენს „დავითიანის“
უმეტეს ნაწილს. ამ თემის ირგვლივ და მის ქარგაზე აგებულია გუ-
რამიშვილის მთელი პოეზია — „სოფლის სამღურავი“, „საწუთროს
გამო ტირილი“, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემების დაყენება და ამ
პრობლემის თავისებური გადაწყვეტა. ამავე ქარგაზეა აგებული დავით

⁷⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 1. ა. ბ ა რ ა მ ი ძ ე, დავით გურამიშვილი, თბ., 1931, გვ. 77—80; 2. გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ტრაგიკული პოეტი (დავით გურამიშვილი), კრიტიკუ-
ლი ეტიუდები IV, თბ., 1963, გვ. 56; 3. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, ცხოვრება დავით გურამიშ-
ვილისა, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1958, გვ. 243.

გურამიშვილის შესხმები ღვთაებისადმი⁷⁹, რომელსაც უძველეს ხალხურ პოეტურ მზეთა-მზის სახით წარმოსახავს ავტორი, მსგავსი გაგება ამ პოეტური სახისა წარმოადგენს ძველი რელიგიის მზის კულტის საგალობელთა ნაშთებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გურამიშვილის „დავითიანი“ მთლიანად დაწერილია საგალობლების პრეტენზიით და განწყობილებით. პოეტს, როგორც მისივე განცხადებიდან ჩანს, მიზნად ჰქონია დავით წინასწარმეტყველის საგალობელთა ტიპის თხზულება შეექმნა.

გურამიშვილის საგალობლები, ანუ სიმღერები, ბიბლიური დავითის ფსალმუნებისა და გალობების ხასიათს ენათესავენა თემატიკით და მიზანდასახულობით, რის შესახებ ავტორი კიდევ გვამცნობს⁸⁰. მაგრამ გურამიშვილი არ ბაძავს „ფსალმუნს“ ლექსიკით, არც სალექსო ზომებითა და ხასიათით. გურამიშვილის ეს „სიმღერები“ და „შესხმები“ თუმცა რელიგიური ხასიათისაა, მაგრამ სტილისტურად და თავისი პოეტიკით სრულიად განსხვავდება შემოხსენებულ „ფსალმუნთაგან“, რომლებსაც პოეტი საკმაოდ ხშირად ახსენებს და შინაარსეულადაც იმეორებს.

გურამიშვილის სიმღერები მეტად ხალხურია⁸¹ და თავისუფალი, ისინი დაწერილი არიან სრულიად ახლებური, არატრადიციული ლექსით, ხშირად სხვადასხვა ზომით და ინტერესს იწვევენ აგრეთვე თავისი მუსიკალობით, რეფრენებით და სხვ., ისინი ხომ სასიმღეროდ, გალობისათვის არიან დაწერილი.

საგალობლებისა და ღვთაებისადმი შესხმა-ვედრების თემატიკა თუმცა დიდად იტაცებს პოეტს, იგი მაინც არაა ძირითადი თემა გურამიშვილის შემოქმედებაში. მისი პოეტური მემკვიდრეობის ფასე-

⁷⁹ გურამიშვილის პოეზიაში რელიგიურ მოტივთა თავისებურებების შესახებ იხ.: 1. კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ისტორიიდან, ლიტ. ძიებანი, 1956, X, გვ. 159—170; 2. მისივე, Отражение восточного суфизма в древне-грузинской поэзии, ეტიუდები, II, 1945, გვ. 141—385; 3. ს. ცაიშვილი, დავით გურამიშვილი, ნარკვევები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1974; 4. ა. გაჭეღია, დავით გურამიშვილი, რჩეულ ნაწერები, I, თბ., 1962; გვ. 58—65; 5. ე. მაღრაძე, ცხოვრება დავით გურამიშვილისა, თბ., 1974, გვ. 388—291.

⁸⁰ დ. გურამიშვილი, „დავითიანი“, „დავითის შესხმა პირველი“, თბ., 1955, გვ. 122.

⁸¹ გურამიშვილის პოეზიის ფოლკლორულ ძირებთან ღრმა კიახლოვეს დაწვრილებით განიხილავს მ. ჩიქოვანი ნაშრომში, დავით გურამიშვილი და ხალხური პოეზია, თბ., 1955. აღნიშნულ ნაშრომში შესწავლილია გურამიშვილის პოეზიის მიმართება როგორც ქართულ ფოლკლორთან, ასევე რუსულ და უკრაინულ ხალხურ პოეზიასთან.

ულობას ყველაზე მეტად განსაზღვრავს, ერთი მხრივ, „ქართლის ჭირის“ თემატიკა, ხოლო, მეორე მხრივ, მის ლირიკაში გამოვლენილი ინდივიდუალისტური ტენდენციები.

გურამიშვილის პოეზიის ნოვატორული ხასიათის შესახებ თავის დროზე აზრი გამოთქევს ნ. ნიკოლაძემ და ი. ჭავჭავაძემ. გ. ქიქოძე წერს, რომ ქართულ ლექსს შოთა რუსთაველის შემდეგ ასეთი ნოვატორი არ ჰყოლია. ქიქოძის აზრით, გურამიშვილი კარგად იცნობდა თავისი დროის მოწინავე იდეებს, განმანათლებლობასა და ენციკლოპედისტებს, რომ ეპოქის სული და სიახლე მის პოეზიაში გამოვლინდა⁸². გურამიშვილის ენის ნოვატორულ ბუნებაზე მიუთითებს შ. ძიძიგური⁸³. ა. გაწერელიას აზრით, გურამიშვილის ლირიკა უაღრესად სუბიექტურ ელფერს ატარებს⁸⁴. გურამიშვილის ავტობიოგრაფიული პოემის სუბიექტურ მხარეზე ჩერდება გ. ნატროშვილი⁸⁵. ს. ჩიქოვანს გურამიშვილის „ქართლის ჭირი“ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ი. ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილის“ წინამორბედად მიაჩნია⁸⁶.

გურამიშვილის ლექსთა დიდი ნაწილი დაწერილია სიმღერით წარმოსათქმელად. ამ გარემოებასთან დაკავშირებით ყურადღებას შევაჩერებთ შემდეგზე. აღორძინების პერიოდის მწერლობაში, თეიმურაზ პირველის, არჩილ მეფის და ვახტანგ შვექესის შემოქმედებაში ლირიკული ნაწარმოებები არა სასიმღეროდ და განკუთვნილი, არამედ ლექსად სათქმელად. განსხვავებული გარემოება გვაქვს ბესიკთან და მის სკოლასთან, ე. წ. გარდამავალი პერიოდის პოეტებთან, ხოლო ახალ ქართულ ლიტერატურაში — ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. ალ. ჭავჭავაძისა და ბესიკის ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი დაწერილია სიმღერისათვის, ისევე როგორც ქართული ფოლკლორული ლექსების ნაწილი სიმღერად წარმოითქმებოდა.

საკითხის ასე დაყენება გვაფიქრებინებს შემდეგს: გურამიშვილი და ბესიკი ერთურობის პოეზიას არ იცნობდნენ, ამ მხრივ რაიმეგვარ გავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია. საფიქრებელია, რომ არც ალ. ჭავჭავაძე იცნობს უშუალოდ გურამიშვილს, თუმცა მათ პოეზიაში საკმაოდ დიდი შექმედებითი ნათესაობა არსებობს. მაგრამ, დ. გურამიშვილი, ბესიკი და ალ. ჭავჭავაძე, სამივე ეს დიდად თავისთავადი, საკუთარი ხმისა და საეტაპო მნიშვნელობის პოეტი წერენ ლექსებს სიმღერად

⁸² გ. ქიქოძე, დავით გურამიშვილი, რჩეული თხზულებანი, 1, გვ. 57.

⁸³ შ. ძიძიგური, გურამიშვილის ენა, ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 1974, გვ. 53.

⁸⁴ ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, 1, გვ. 60.

⁸⁵ გ. ნატროშვილი, ვითა დავლამდი, ისე გავთენდი, თბ., 1960, გვ. 33.

⁸⁶ ს. ჩიქოვანი, რჩეული წერილები, თბ., 1963, გვ. 70.

წარმოსათქმელად. ქრონოლოგიურად მათ შორის პირველობა გურამი-
შვილს ეკუთვნის, ხოლო ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაზე ამ თვალსაზ-
რისით ბესიკისა და მისი სკოლის ტენდენცია გარკვეულ როლს თამა-
შობს. გურამიშვილი და ბესიკი, ორივე ეს პოეტი XVIII საუკუნეს
განეკუთვნება და ერთმანეთთან დამოუკიდებლად პოეზიაში მიმართა-
ვენ ახალ ჟანრულ თავისებურებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ საქმე
გვაქვს არა კონგენიალურ დამთხვევასთან, არამედ სხვა ფაქტთან.
XVIII საუკ. საქართველოში უკვე ისახება ტენდენცია ლიტერატურის
ხალხურ, პოეტურ ფორმებთან მჭიდროდ დაკავშირებისა. დემოკრატი-
ული ტენდენციები და მხატვრული შემოქმედების ხალხური ფორმები
ნაციონალურ პოეზიაში გარკვეულ თავისებურებას წარმოიქმნიან.

გურამიშვილი ოცი წლის ასაკში ტოვებს საქართველოს, მაგრამ
მას თავისი ეროვნული ფოლკლორის სისხლძარღვეულ ცოდნასთან და
სიყვარულთან ერთად თან მიჰყვება ქართული პოეზიის დემოკრატიუ-
ლი ფენებიდან ჩასახული ტენდენცია ლექსის სიმღერად გამოთქმი-
სა, რაც აღორძინების ხანის პოეტებისათვის ნიშნეული არაა.

გურამიშვილის პოეზიის ეს მხარე ნოვატორული მხარეა იმდენად,
რამდენადაც ქართულ ლიტერატურაში, სრულყოფილსა და მნიშვნე-
ლოვან, დასრულებულ ფორმას პირველად იგი აძლევს აღნიშნულ
ტენდენციას.

გურამიშვილის პოეზიისათვის მეტად ნიშნეულია საგალობლებით
გატაცება. მაგრამ იგი უარყოფს ტრადიციულ კლასიკურ ფორმას და
ამ მხრივ დიდ ნოვატორულ თავისებებს ამჟღავნებს. საგალობლების თე-
მით გატაცება საინტერესოა ლექსის ფორმისა და სტილის თვალ-
საზრისითაც, იმ უშუალობითა და ხალხურობით, რაც გურამიშვილის
პოეზიას ახასიათებს ტრადიციული სალექსო ზომისაგან განსხვავებით.

პოეტი ქმნის ახალ ზომებს, რომლებსაც იგი იღებს უშუალოდ
ხალხური პოეზიისაგან და ამით ტრადიციულ, კლასიკურ პოეტიკას
ემიჯნება, სადაც ბატონობს 16 მარცვლოვანი შაირი. ამ ლექსთა ცი-
კლისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ აქ შედარებები, მეტაფორე-
ბი და სხვა მხატვრულ-სტილური კომპონენტები არ არის ყოველთვის
ტრადიციული და კლასიკური, არამედ ქართული ხალხური პოეზიის
რომანტიკისაგან მომდინარე, სავსეა სითბოთი და უშუალობით.

ახალმა თემებმა და განწყობილებებმა მოითხოვა გამოხატვის
თავისებური ფორმა, უშუალო და ახალი, ახლო მდგომარე ხალხურ
მეტყველებასთან, ხალხური ენის პოეზიასთან, ხალხური პოეზიის გულ-
წრფელ რომანტიკასთან ...

საკუთარი თავგადასავლის გალექსვა, ძირითადი თემა „დავითიანისა“ თავისებურია და სრულიად ახლებური მე-18 საუკუნის ქართული პოეზიისათვის. გურამიშვილის მთელ შემოქმედებას ჰყავს ერთი მთავარი გმირი, ეს არის თვით დავით გურამიშვილი, რომლის ცხოვრების, სულიერი წონასწორობისა და განცდების ასახვა მიზნად დაუსახავს პოეტს. გურამიშვილი წერს დიდტანიან ნაწარმოებს, სადაც მთავარი გმირი თვითონაა, არა მარტო განცდებითა და სულიერი ცხოვრებით სხვა გმირში განპიროვნებული, არამედ უშუალოდ, როგორც გმირი-პიროვნება, თავისი ცხოვრების ბიოგრაფიული მომენტებითურთ. პოეტი გამოდის საკუთარი „მეტი“, არა მხოლოდ როგორც ლექსთა ლირიკული გმირი, არამედ საკუთარი სახელით. ეს გმირი, რომელიც დაეხეტება უსიერ კლდე-ღრეებში თავის გადასარჩენად, განიცდის მრავალგვარ გასაჭირს და თავის დახსნის იმედს მიანდობს ღვთაებასა და საკუთარ დაულალავ შეცადინებობას. ამ გმირს არ სურს დანებდეს ბედისწერას და მიეცეს ჯოჯოხეთურ მონობას სამუდამოდ დასაღუპავად. ეს რომანტიკულად განწყობილი გმირი, კეთილშობილი და კეთილმორწმუნე, მუდმივ გასაჭირშია, მაგრამ ფილოსოფიურად განწყობილი, იგი ხან სულის ხსნისათვის ევედრება ღმერთს, ხან კი მოთქვამს საბრალო ლექსებს წუთისოფლის ამოებაზე და უხანობაზე, ხანაც სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებით დაფიქრებული, ადამიანთა წარმოშობისა, კეთილისა და ბოროტის ქვეყნად არსებობის საიდუმლოების შეცნობას ცდილობს. „დავითიანის“ ეს გმირი გაპოეტურებული და გაიდეალებული მწუხარე რაინდია, რომელიც თავისი ხასიათითა და მის წრეებებით ეხმაურება იმხანად ევროპაში ახლად ჩასახულ ლიტერატურულ ტენდენციებს, რომლებიც ამოატივტივებენ მწერლობაში ახალი გმირის ხასიათს.

ეს გმირი თავისი ცხოვრებით სრულიად ემიჯნება პარიკებიან და დაკანონებული გრძნობებითა და მკაცრად შემუშავებული გამოთქმებითა და ეთიკეტით შეიარაღებულ კლასიციზმის გმირს, და თავისუფალ, ბუნებრივ უშუალობასა და სისადავეს ქადაგებს. ეს ახალი ლიტერატურულ-ესთეტიკური ტენდენცია საზოგადოების სიმპათიებს თანდათან განაწყობს აკრძალული თვისებებით აღჭურვილი გმირისადმი, რომელიც თავისი ბუნებით მართალია, უშუალო, როგორც თვითონ დედა-ბუნება, კეთილშობილი, მაგრამ მწუხარე და უბედური საზოგადოებისა და ყოფიერების კანონებთან შეჯახების გამო ...

„დავითიანის“ გმირი შესანიშნავად ეპასუხება ეპოქალურ ესთეტიკურ-მორალურ და ლიტერატურულ ტენდენციებს.

როგორც აღენიშნეთ, გურამიშვილის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი საკვები არტერია არის ნაციონალური ხალხური პოეზია, მაგრამ ამავე დროს მის პოეზიას და მის საგალობელთა ჰანგებს გარკვეული კვალი ატყვია რუსული და უკრაინული ხალხური პოეზიისა და მელოდიური ჰანგებით გატაცებისა. მაგრამ ამის გამო გურამიშვილის პოეზია არასოდეს კარგავს ნაციონალურ ელფერს და ქართული ლექსთწყობისათვის ხელოვნურ ფორმებს არ ქმნის. გურამიშვილის პოეზია ყოველთვის ღრმად ნაციონალურია და ქართულ ხალხურ მეტყველებასა და ხალხურ ლექსთწყობასთან შესანიშნავად შესადაგებული.

„დავითიანის“ გმირის სულიერი შვებაა შესხმა-ლაღადისი მაცხოვრების სახით განსხეულებული მზეთა მზე ღვთაებისადმი, რომელსაც თან ერთვის გოდება და მოთქმა ამქვეყნიური ცხოვრების სასტიკი კანონებისა და ბედის ტრიალის გამო.

ს. ცაიშვილი წერს: „გურამიშვილის მსოფლშეგრძნება მთლიანად გამსჭვალულია ქრისტიანული სულით და რაც აღსანიშნავია, იგი კვლავ იყურება ბიბლიური სამყაროსაკენ“⁸⁷ ამავე დროს, მისი აზრით, გურამიშვილი ერთგვარ მოდერნიზაციას ახდენს ჰიმნოგრაფიის სფეროში თემატიკის, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისითაც⁸⁸.

დავით გურამიშვილისათვის, ისევე როგორც მის წინამორბედ პოეტებისათვის, ვახტანგისა და თეიმურაზისათვის, საწუთრო არის უნდო, უპირო, მაცდური, უხანო, მტყუანი, წარმავალი, ცბიერი და მეტად ცვალებადი. ეს ტერმინები საწუთროს მიმართ ტრადიციულია დავით გურამიშვილისათვის, იგი უშუალოდ მომდინარეობს თეიმურაზ პირველისა და ვახტანგ მეექვსის პოეზიიდან, ამისდა მიუხედავად, გურამიშვილის ლექსს, მის მღურვა-სიმძიმის საწუთროსადმი აქვს სრულიად თავისებური პოეტური სახე და განსხვავებული სურნელი.

წუთისოფლისადმი მღურვა, მის ცვალებათა ტრაგიკული განცდა, უკმაყოფილო ტონი, რომელსაც ქართულ პოეზიაში ამ პერიოდისათვის საკმაოდ დიდი ტრადიციები აქვს, გურამიშვილმა კიდევ უფრო გაამდიდრა, ახლებური ელფერით შემოსა და მომავალ, XIX საუკუნის მწერლობას კიდევ უფრო საინტერესო კუთხით დაახვედრა საფუძვლად.

⁸⁷ ს. ცაიშვილი, დავით გურამიშვილი, ნარკვევები ძვ. ქართული ლიტ. ისტორიიდან, თბ., 1974, გვ. 221.

⁸⁸ იქვე, გვ. 212.

გურამიშვილის შემოქმედებას უშუალოდ არ იცნობდნენ რომანტიკოსები, იგი მხოლოდ 60-იანი წლებიდან გახდა ხელმისაწვდომი ქართველი მკითხველისათვის, მაგრამ რამდენი საერთო აქვთ ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს თავიანთი პოეზიის მოტივებით მე-18 საუკუნის ამ წინაპარ მგოსანთან. ამ საერთოს განაპირობებს ეპოქა, ეპოქის ტკივილები, სულიერი სწრაფვა და ის ინდივიდუალისტური ტენდენციები, რომელიც აშკარად დაინერგა XVIII საუკ. ქართულ პოეზიაში და ასე მომძლავრდა გურამიშვილის შემოქმედებაში.

ნუ მიენდობი, საწუთრო მტყუენი არს და უპირო!
არ დაიჭირვის ხელშია, რაგინდ რომ ბჭალი უჭირო;
დღეს რომე ლხინი მოგაგოს, ზვალ ვერ მოურჩე უჭირო,
და ამაღ სჯობს, ხორცი უვარპყო, სულსა ულოცო, უწირო⁸⁹.

დ. გურამიშვილის ეს სტროფი, ერთი მხრივ, ეხმიანება ვეფხის-ტყაოსნის უკვდავ სტრიქონებს —

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო ვერცა კლდოვანი...

ხოლო, მეორე მხრივ, გურამიშვილის განწყობილებასა და პოეტური გამოხატვის ფორმას ენათესავება რომანტიკოსთა დამოკიდებულება საწუთროსადმი.

გურამიშვილის მოყვანილი ლექსის განწყობილებებს შესანიშნავად ეხმიანება გრ. ორბელიანის სტრიქონები ლექსიდან „გაზაფხული“:

ამა ურწმუნო სოფლისა
ადრე ვისწავე მუხთლობა:
მისსა ყოველსა კეთილსა
აქეს მხოლოდ წამი მყოფობა,

მის უამით არღა მახარებს
არც გაზაფხული მოსვლითა.
და არცა გულსა მიწუნებს
მე იგი თვისით წასვლითა⁹⁰.

ამქვეყნიური ცხოვრების გმობისა და მის გამო მიყენებულ ტკივილთა მქადაგებელ ლექსებით გვევლინება „დავითიანის“ ავტორი — ბ ე დ ის მ თ მ დ უ რ ა ვ ი გ მ ი რ ი. ბედისა და ცხოვრების ცვალებადობა, მის მიერ მინიჭებულ სიკეთეთა უხანობა, მწარე დასასრული და აუცილებელი ღალატი — აი, ის, რასაც უნდა მოელოდე ცხოვრებისაგან და სხვას არაფერს, არ უნდა დაიჯეროს კაცმა ცხოვრების სიტ-

⁸⁹ დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „დავით გურამიშვილისაგან საწუთრო სოფლის სამღურავი“, „დავითიანი“, 548, თბ., 1955, გვ. 103.

⁹⁰ გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., სრული კრებ., თბ., 1959, გვ. 19.

უბოებათა ხანგრძლივობა, ბედის წყალობის მუდმივობა და ხანიერება, რადგან ბედისწერის კანონი უმკაცრესია და იგი შეიცავს თავის თავში აუცილებელ წინააღმდეგობას, ღრობით მინიჭებული სიკეთისა და ბედნიერების უბედურებითა და სიმწარით შეცვლას. წუთისოფლის ამ თვისებათა დახასიათებას და ცხოვრებაში მათი განხორციელების მაგალითებს, პოეტი დაიმოწმებს როგორც საკუთარი გამოცდილებიდან, აგრეთვე საქართველოს ბედუკუღმართი აწმყოდან.

გურამიშვილი მშვენიერი, შთამბეჭდავი გამოთქმებით აღწერს წუთისოფლის უხანობასა და ცვალებადობას:

ნათობს და ბინდობს საწუთრო, ქცევადი მობრუნავია!
წამს მყუდრო ქარი აქროლის, წუთზე დამუსრის ნავია,
ყოველი ლხინი მუხთლისა კვლავ იმევე საჭმუნავია,
და ერთი დრო გრძლად არ შეგრჩების, კარგი სთქვა, გინა ავია.

ვიცნობ, მეც ვიყავ სოფელსა განცხრომასა და შეებასა;
მიყვარდა, კარგად მიმაჩნდა, ვცდილობდი არ გაშვებასა.
ახლა თქვენც ხედავთ ამ ჩემსა მის გამო პირქუშებასა,
და გული დაუწვავს სახმილით სულთქენასა და უშებასა.

მოკლეა ესე სოფელი, კაცს არ შერჩების წამ ერთო,
რაც მომეხოდა თავიდგან, ბოლოჟამ ისევე წამერთო⁹¹!

სოფლის უხანობისა და სიმუხთლის ერთ-ერთ გამოხატულებად მიაჩნია „დავითიანის“ გმირს თავისი უშვილობაც.

საწუთროს ორპირობასა და სიმუხთლეს ვინც გაექცევა, ბედნიერია. საწუთროს უკუღმართობისა და ტირილის დასასრული სიკვდილია, რომელიც ხელში ცელს ატრიალებს და ბედის ტრიალთან ერთად ანადგურებს ადამიანთა ისედაც ტანჯულ სიცოცხლეს.

ორგემაგე არს საწუთრო: ხან ნოტიობს, ხან კი გვაღავს,
დღეს რომ კარგი წინ გიმძღვაროს, უკან მოგადვენებს ხეალ აეს.
ნუ ენდობი, მოგატყუებს, ისარს ისერის, მშვილდს კი მაღავს.
და მას დაენატრი, ვინცა სწორედ ცელად საწუთროს გზას გაჰკვალავს.

მიდის-მოდის ეს სოფელი, ქარტახილთა ზღვისებრ ღელავს!
უკან დასდევს დრო და ჟამი, მის ნაქსელავს ქსოვს და სთელავს.
ის მკლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა ცთიბავს, რასა სცელავს?
და ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავეს⁹²!

ბედისწერის უხანობისა და უკუღმართობის გამოვლინებად მიაჩნია პოეტს ვახტანგ მეფის სიკვდილი —

⁹¹ დ. გურამიშვილი, „დავით გურამიშვილისაგან საწუთრო სოფლის სამღურავი“, 249, 250, 251, „დავითიანი“, გვ. 103—104.

აქ ნახეთ წუთის სოფლისა, ცრუ, მატყუარა, ფლიდისა,
მისგან სიბნელე ნათლისა, ზედან გარდაკვრა ბინდისა⁹²!

სოფლის უხანობის, ცვალებადობისა და მუხანათობის გამო მღურვას თანდათან მოჰყვება „დავითიანის“ გმირის მწარე გოდება წუთისოფლის ამოებით მიყენებულ ტკივილთა გამო. დავითისეული ეს გოდება ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლია და გოდების ჟანრის თხზულებათა დამამშვენებელ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურაში. დავით გურამიშვილის გოდება გადადის ფილოსოფიურ განცდაში ყოფიერებისა და მისი კანონების შესახებ. გურამიშვილის „გოდების“ შედეგია მისი პირველი სტროფი:

გული ღონდება, ვიწყო გოდება
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
ბორგნა-გოდება, რაც მაგონდება
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!

სული მშორდება, ხორცი მშორდება
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო!
და რად მშვა დედამან, შავმან ბედამან,
ვაი საწუთრო, ცრუო სოფელო⁹³!

დავით გურამიშვილის წუთისოფლისადმი მღურვა და გოდება გამომხმაურებას ჰპოვებს რომანტიზმის ეპოქაში ალ. ჭავჭავაძის ცნობილი ლექსით, „ვაჰ, სოფელსა ამას“, სადაც წუთისოფლის უბედურებანი, შეურიგებლობის განწყობილებით გამოხატულნი, მებრძოლი რომანტიკოსის უკმაყოფილო ტონს წარმოსახავს:

ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით მტაცებლობით და ხევჭით.

ძალი დავალს ღიმიით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა
მისთ ყვევილთა ფერხით ლახავს გზაზედა,
რომელნი სკენებიან⁹⁴.

არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ გურამიშვილს არ იცნობდა ალ. ჭავჭავაძე. ამ ორი პოეტის შემოქმედებათა მოტივების ნათესაობა შეიძლება აიხსნას ეპოქის საერთო განწყობილებებით,

⁹² დ. გურამიშვილი, „სოფლის სამღურავი“, 559, 561, გვ. 105.

⁹³ მისივე, „დავითიანი“, 567, გვ. 106.

⁹⁴ მისივე, „გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“, „დავითიანი“, გვ. 161.

⁹⁵ ალ. ჭავჭავაძე, „ვაჰ სოფელსა ამას“, ლექსები, თბ., 1949, გვ. 33.

თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ხელნაწერის სახით, მირიან ბატონიშვილის არქივის მეშვეობით, გურამიშვილის პოეზია 60-იან წლებზე ადრე გაიცნო ქართველმა მკითხველმა.

გურამიშვილის წუთისოფლის გამო გოდება და მოთქმით ტირილი შეიცავს წუთისოფლის სიბოროტეთა და მავნებლობათა გახსენებას, რაც „დავითიანის“ გმირის ცხოვრებისეულ მწუხარებას შეადგენს. „დავითიანის“ ასეთი განწყობილებანი მეტად ახლოა რომანტიკოსთა სულისკვეთებასთან და მათ მიერ განცდილ პოეტურ სამყაროსთან. გურამიშვილის გოდება არის პიროვნული უბედურების გამოხატულება-ყოფიერების ზოგად სახეში წარმოსახული.

მე ამაღ ვსტირი, არა გაქვს პირი,
შემაქენ ჭირი, საქმე საჭირი.
მე შენგნით მწირი, ვარ განაწირი,
და რაზომც არ ნათობ, სულ მუხანათობ.

მაცან-მატირებ, მალხინ-მაჭირებ,
ნათელს მამირებ, ბნელს მიმალირებ
რასაც აპირებ, ვერ გამაქვირებ,
და წუთო და უნდო, არ მართალ, მრუდო⁹⁶!

დავითის ეს გოდება გადადის საწუთროსადმი ფილოსოფიურ-ჭკვრეტაში, სიკვდილ-სიცოცხლისა, ძილისა და ღვიძილისა, როგორც ბოროტისა და კეთილის დაპირისპირებაში და მისი იდუმალების ამოცნობის ძიებაში:

თუ ხარ ღვიძილი, რაღა არს ძილი?!
თუ ხარ სიმაძღრე, რა არს შიმშილი?!
თუ ხარ სიცოცხლე, რა არს სიკვდილი?!
და იყავ ერთ-ერთი, იწამე ღმერთი⁹⁷!

სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემა, დაკავშირებული წუთისოფლის სიმუხტლის გამო გოდებასთან, ლებულობს ფილოსოფიურ და თეოლოგიურ ძიებათა ელფერს. ამგვარი ძიებებისა და სულიერ ტკივილთა ანარეკლია „დავითიანის“ სიკვდილ-სიცოცხლის თემებზე შექმნილი თხზულებები, „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობია“, „კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება“, „რეული“. ამავე რიგის წანარმოებებს უნდა მივაკუთნოთ გურამიშვილის „ანდერძი“, საფლავის ქვაზედ დასაწერი“, „მღრღელთ ვედრება დავით გურამიშვილისა“, და სხვ.

ზორცია მიწა ტალახი, საწუთროს ფეხით ნალახი;
სული უსხეულ მყოფელი, აქვს საუკუნო სოფელი.

⁹⁶ დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „გოდება დავითისა, საწუთროს სოფლის გამო ტირილი“, „დავითიანი“, 6, 9, გვ. 162.

⁹⁷ იქვე, 18, გვ. 163.

ხორცი მკვდარ-ხმელი ბალახი, აყოებულად

ნანახი:

სული ცხოვრების მპყრობელი, ვით ბანმა

გაუქრობელი⁹³.

ხორციელი ცხოვრების უხანობის, სულიერი ცხოვრების სილა-
მაზისა და მარადიულობის აღიარება გურამიშვილთან სიკვდილ-სიცო-
ცხლისა და რელიგიური მისტიკის თემებს უკავშირდება. ზემომოყვავ-
ნილ ლექსში „რეული“ მარადიული ცხოვრებისა და წარმავალი ყოფი-
ერების შეპირისპირებაა მოცემული, უარყოფილია წუთიერ სიამეთა
და მრავალ ტანჯვათა შემცველი ამქვეყნიური ცხოვრება, ხოლო მა-
რადიულ ნეტარებად სულიერი ცხოვრების არსებობაა აღიარებული.
მაღალი პოეტური ხელოვნებით გამოთქმული ამ სტრიქონებისაგან
განსხვავებით, სხვა თხზულებებში გურამიშვილს სიკვდილ-სიცოცხლის
პრობლემის დაყენებისას, ყოფიერების ფორმათა ურთიერთმიმართე-
ბის სხვადასხვა ასპექტები აინტერესებს.

სიკვდილ-სიცოცხლის თემა გურამიშვილის შემოქმედებაში ერთ-
ერთი ძირითადი თემაა. სიკვდილი წარმოდგენილია როგორც გარდუ-
ვალი საშინელება, რომელიც მოსდევს ჩვენს ხანმოკლე და ტანჯულ
ცხოვრებას, მაგრამ განა მართო წამებულ ყოფას? სიკვდილი მოსდევს
გამარჯვებულსა და მხიარულ ცხოვრებასაც, რომელიც ესოდენ იშვი-
ათია და არახანირი. სიკვდილის საშინელება, გაჩენის დღიდან, თან-
დათან უახლოვდება ადამიანს და მას ვერაფერი შეაკავებს, ვერაფერი
შეცვლის, ვერაფერი აღუდგება წინ, ვერც სიკეთე და ვერც სიამე ამ
ქვეყნად.

ყველას გვეწვევის სიკვდილი, გემართებს დაუხვდეთ მზათაო,
ის ჩვენსკენ მოდის, ჩვენ მისკენ, ვერცად აუქცევთ გზათაო⁹⁴.

ალ. ჭავჭავაძესთან სიკვდილი არის გარდუევალი საშინელება, მა-
გრამ კიდევ უფრო მძიმეა ის ტანჯვანი, რომელსაც კაცი განიცდის
ცხოვრების მანძილზე. და არ არსებობს გამოსავალი ამ საშინელი
ცხოვრების წესიდან ხსნისა, იგი ჰგავს ზღვაში შესულ კაცს, რომელ-
საც უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი აქვს.

1

რაა სიკვდილი, რაა მის საშინელება?

მკვდარი თუ შვებას მოაკლდება, ჰირსაც მორჩება.

⁹³ დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „რეული“, „დავითიანი“, გვ. 149.

⁹⁴ მისივე, „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება და ცილობა“, „დავითიანი“, გვ.
166.

მაგრამ მოყვისისა მომშორეცა, სურვილით ტანჯულს,
სიამე ოდენ მიეღება, თმენა კი რჩება.

2

გულო! უძლურო, მკაბებლო, ოხვრათ მადილო,
ემყის აღმური გლახ ჩივილით ვით დაიმშვიდო?
კიდესა ზედა მდგომარესა გმართებდა განსჯა,
აწ ზღვას შეჰსულხნარ, ზვირთთა მისთა სადღა
ერიდო?¹⁰⁰

ხოლო დავით გურამიშვილი წერს:

მოვა და მომკლავს სიკვდილი, მას ვერცად დავემალევი,
გავექცე ვერცად წაუვალ, ცხენებიც მყვანდეს მალევი,
და შავება ვერას დააკლებს ჩემნი თოფნი და ხმალები¹⁰¹.

სიკვდილის გარდუევალ უბედურებაზე ზოგადი მსჯელობის შემდეგ გურამიშვილი წარმოგვიდგენს სიკვდილისა და კაცის გასაუბრებას. აღსანიშნავია, რომ სიკვდილი მართო თავის ბუნებრივ მოსვლას არ აბრალებს ადამიანთა გარდაცვალებას, თავის ამ საქმის თანამოზიარედ იგი ასახელებს სხვადასხვა ავადმყოფობებსა და ადამიანთა მიერ ერთერთის ხოცვა-ჟლეტას.

ამავე ხასიათის თხზულებაა „კაცისა და საწუთროსაგანა ცილობა და ბჭობა, ერთმანეთის ძვირის ხსენება“, სადაც აგრეთვე სიკვდილ-სიცოცხლის, ამქვეყნიური ხანმოკლე ცხოვრებისა და მისი ცვალებადობის შესახებ ხდება გაბაასება ადამიანსა და საწუთროს შორის.

XVII—XVIII საუკუნეების რუსულ და უკრაინულ მწერლობაში სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანის ურთიერთმიმართების თემა საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ასეთი ტენდენცია თავისთავად შუასაუკუნეების ევროპული ლიტერატურიდან (გერმანულიდან, პოლონურიდან, ჩეხურიდან და სხვ.) მომდინარეობს, მათ თარგმანსა და ახლებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს. გურამიშვილის პოეზიაში სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემატიკის გააზრებასთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობენ ს. ჩიქოვანი¹⁰², გ. ნატროშვილი¹⁰³. რუსულ ლიტერატურაში ამ თემის გავრცელებაზე წერს რ. პ. დიმიტრიევა¹⁰⁴. გურამიშვილის ხსენებული ნაწარმოების რუსულ-

¹⁰⁰ ა. ლ. კ ა ვ ე ჯ ა ვ ა ძ ე, „რაა სიკვდილი“, ლექსები, გვ. 118.

¹⁰¹ დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, „დავითიანი“, გვ. 116.

¹⁰² ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, რჩეული ნაწერები, თბ., 1963.

¹⁰³ გ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი, ვითა დაედამდი, ისე გაეთენდი, თბ., 1960.

¹⁰⁴ Р. П. Д м и т р и е в а, Повести о споре жизни и смерти, Л., 1964.

უკრაინულ-ქართული წყაროების შესწავლისადმი მიძღვნილია რ. ნაკაშიძის გამოკვლევა¹⁰⁵.

განსაკუთრებული სევდითა და ლირიზმითაა გაჟღენთილი „დავით გურამიშვილის ანდერძი“ და „საფლავის ქვაზედ დასაწერი“:

ალარ მსურს ქნარი, საკრავად სტვირი,
არც ზედ დამღერა, აწ ამას ვსტირი:
ცრუვმან საწუთრომ მარიდა პირი,
არ აღმისრულა მან დანაპირი.

ვისაც რომ გცოდე, ვითხოვ, შემინდოთ,
ჩემზედ გონება აღმოიწმინდოთ;
მე ალარ ძალმიც თქვენი რამ წყენა, —
სიტყვის თქმად ენა მე დამეყენა.

ვაჟე ცოდვილსა, მე უმადლოსა¹⁰⁶.

„მას არასოდეს არ ტოვებს შეცოდებისა და ნაცვალგების შეგნება“, წერს გ. ქიქოძე გურამიშვილის ღრმა რელიგიური და მისტიკური განწყობილებების გამო¹⁰⁷.

წარმავალობის სევდა და გარდუვალი აღსასრულის დადგომის ჟამი „დავითიანის“ ბედის მომღურავ და ყოფიერების პრობლემებზე დაფიქრებულ გმირს განაწყობს ლირიკულად. სევდით მოსილ მარადიულობას ეს ოდესღაც მღელვარე, ანთებული სულის პიროვნება ეგებება, წყნარი, ნაღვლიანი მზერით, შენდობისა და კურთხევის უმორჩილესი სურვილით. დამშვიდდა ცხოვრების ზღუდეებს არაერთხელ მწარედ მიმწყდარი პოეტის აბობოქრებული სული, მასზე აღარაფერი აღარ მოქმედებს, არც სიყვარული და მოლხენა, აღარც მღურვა და უფოთვა სოფლის ამაოებაზე. ყველაფერი მიწყნარდა ბოლო დღის მოლოდინში, დარჩა მხოლოდ წარმავალობის წყნარი სევდა და მარადიული სიმშვიდის სურვილი. შეუცნობელთან მიახლოება წარმოქმნის ამ უცნაურ სიმშვიდეს და იღუმალ შიშს. სხვა გრძნობები ილევინან და რჩებიან წარსულ ცხოვრებად ...

ასეთი განწყობილებებითაა დაწერილი გურამიშვილის უკანასკნელი, ღრმა მოხუცებულობაში დაწერილი ნაწარმოებები, „ანდერძი“ და „საფლავის ქვაზედ დასაწერი“.

ახლა მობრძანდი, მნახველო, მნახე,
მისად სანუფქოდ სად დავიმარხე!

¹⁰⁵ რ. ნაკაშიძე, დავით გურამიშვილის „სიკვდილისა და კაცის შელაპარაკება“ და მისი წყაროები. ძვ. ქართ. მწერლობის საკ., VII—VIII, თბ., 1976.

¹⁰⁶ დ. გურამიშვილი, „ანდერძი დავით გურამიშვილისა“, 1, 6, 14, გვ. 267.

¹⁰⁷ გ. ქიქოძე, რჩეული თხზულებანი, 1, გვ. 55.

ხორცილთ აქ ვლბები, აწ ჩემი სული,
არა ვიცი რა, სად არს მისული¹⁰⁸!

გურამიშვილის ლექსებში გამოხატული, გამოუცნობი, მისტიკური სამყაროს სევდა და მისი პოეტური გააზრება აღის ზენა სამყაროში და იღუმალ მარადისობას ეზიარება ...



გურამიშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები და თემები, ერთი მხრივ, აგრძელებენ აღორძინების ხანის მწერლობის ტრადიციულ თემატიკას და მსოფლმხედველობრივ გააზრებას, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენენ ახალ საფეხურს ქართული პოეზიის ისტორიაში. სიახლენი ფორმისა და თემატიკის მხრივ, რაც მხოლოდ გურამიშვილისეულია, განსაკუთრებულ ბრწყინვალებას და ნოვატორულ ელფერს აძლევს მის პოეზიას. ესაა „დავითიანის“ საერთო აღნაგობა, სადაც დიდჭანიანი ნაწარმოების თემად გამოყენებულია ავტორის პირადი ცხოვრება. საკუთარი „მე“ არის მთავარი გმირი გურამიშვილის პოემისა. იგივე „მე“ არის მრავალ ლირიკულ, სევდიან და ბედის მღურვით მოცულ ლექსთა გმირი. ეს გმირი არის სევდიანი და ბედით უკმაყოფილო პიროვნება, რომელიც ქართულ ლიტერატურაში იწყებს არსებობას „დავითიანით“, არა როგორც წიაღსვლა ავტორისა პოემაში, ანდა ლექსის ლირიკული გმირი, არამედ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი, პიროვნება-გმირი, რომელიც ოდესმე ერთ-ერთ წინაპირობად და საფუძვლად დაედება XIX საუკუნეში ქართულ ლიტერატურაში მოსულ ახალ გმირს, რომანტიზმის გმირს.

¹⁰⁸ დ. გურამიშვილი, „საფლავის ქვაზედ დასაწერი“, 3, გვ. 270.

ქართული რომანტიზმის საფუძვლები და ბარდამავალი პერიოდის ლიტერატურა

ქართული რომანტიზმის ფესვების ძიებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. „გარდამავალი პერიოდის ლიტერატურას“, რომელიც უშუალოდ წინ უძღოდა რომანტიზმის წარმოშობას საქართველოში.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურა XVIII—XIX სს. მიჯნაზე დაახლოებით 40—50 წელს მოიცავს. იგი გრძელდება XIX საუკ. 10-იან წლებამდე, ხოლო ამ ლიტერატურის ეპიგონური მიმდევრები XIX საუკ. 20—30-იან წლებამდე და უფრო ხანგრძლივადაც რომანტიზმის პარალელურად განაგრძობენ არსებობას.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურა არაა ერთგვაროვანი, მასში მეტად განსხვავებული ტენდენციები და ინტერესები შეინიშნება. ამ პერიოდის მწერლობაში განსაკუთრებით გამოიყოფა სამი სხვადასხვა, ერთმანეთის საპირისპირო ტენდენცია.

გარდამავალი პერიოდის მთავარი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად გავრცელებული ლიტერატურული მოტივები აღმოსავლური ეპიგონური მწერლობის ხასიათს ატარებენ. ეს არის იმ დროისათვის მკვდარი, დროგარდასული, ფუნქციონირებადკარგული მიმბაძველობითი ლიტერატურა, რომელსაც წარსულთან აღარავითარი ჭეშმარიტი ინტერესები აღარ აკავშირებს. წარსულის დიდი ლიტერატურიდან დარჩენილი მკვდარი ფორმა, რომელსაც თანადროულობის ტკივილები, ინტერესები და მიზანსწრაფვანი აღარ შეუძლია გამოხატოს, რჩება გასართობ და კალმის საეარჯიშო, უშინაარსო და უიდეო მწერლობად.

ასეთია ის ეპიგონური მიმართულება გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში, რომელსაც შეებრძოლა ჯერ ანტონ კათალიკოსი თავისი სკოლითა და მიმდევრებით, ხოლო შემდეგ დაუპირისპირდა XIX საუკუნის ახალი ლიტერატურა, რომელმაც არსებობა დაიწყო რომანტიზმის გამარჯვებით ქართულ მწერლობაში.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში არსებული მეორე ტენდენცია, ესაა კლასიციზმის გამოხატულება. ქართულ

ლიტერატურაში კლასიციზტური ტენდენციების შესახებ საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ალ. კალანდაძე¹.

საქართველოში კლასიციზტური მიმართულება ძირითადად ინერგება რუსეთში განათლებამიღებული არისტოკრატიული ინტელიგენციის მეშვეობით. მათ რიცხვში მოწინავენი იყვნენ ქართველი ბატონიშვილები: მირიან, დავით, ფარნაოზ, იოანე, თეიმურაზ, ბაგრატი, ალმასხან, ვანტანგ, და მათ ირგვლივ შემოკრებილი ქართველი მოღვაწენი და მწიგნობარნი, — იოანე ხელაშვილი, გიორგი ავალიშვილი, დიმიტრი ბაგრატიონი, პეტრე ლარაძე და სხვანი, რომელთა შემოქმედება კლასიციზტური ლიტერატურის გავლენის აშკარა კვალს ატარებს. განმანათლებლობის პრინციპები ამ პერიოდის ქართულ ინტელიგენციაში აშკარად იკიდებს ფეხს და გავლენას ახდენს მწერლობაზე. ევროპული კლასიციზტური ესთეტიკის პრინციპებით გამსჭვალული, ევროპასა და რუსეთში განსწავლული ქართველი ინტელიგენცია იწყებს ერთგვარ დაპირისპირებას და ბრძოლას აღმოსავლური ეპიგონური ლიტერატურის მიმართულებისა და სტილისაგან თავის დასაღწევად. ამ მოძრაობას განსაკუთრებით ორგანიზებული და ფართო ხასიათი მისცა ანტონ პირველმა. ცნობილია, რომ ანტონ პირველი საერთოდ ევროპული ორიენტაციის მომხრე იყო როგორც სარწმუნოების სფეროში, ასევე ერის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მის მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში საყოველთაო პატივისცემას და მხარდაჭერას იწვევდა.

ალ. კალანდაძე საქართველოში კლასიციზტური მიმართულების მამამთავრად და ამ იდეოლოგიის დამფუძნებლად სამართლიანად მიიჩნევს ანტონ პირველს: „XVIII საუკუნის შუა წლებიდან კლასიციზტური განმანათლებლობისა და რაციონალიზმის მოძღვრად, ამ ახალი მიმართულების უდიდეს იდეოლოგად გამოდის ანტონ I“ — წერს იგი².

აღორძინებისა და გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში ევროპეიზმისა და, კერძოდ, კლასიციზტური ტენდენციების არსებობაზე მიუთითებს დ. ლაშქარაძე³. გ. ასათიანი კლასიციზტური მწერლობისათვის დამახასიათებელ ელემენტებსა და მოტივებს ხედავს თვით ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში⁴.

¹ ალ. კალანდაძე, ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1972; გემოვნების კრიტიკა, თბ., 1976.

² ალ. კალანდაძე, განმანათლებლობის სათავეებთან, წიგნში — გემოვნების კრიტიკა, თბ., 1976, გვ. 246.

³ დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.

⁴ გ. ასათიანი, ქართველი ლირიკოსები, თბ., 1965.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურულ ცხოვრებას აკად. აღ. ბარამიძე ასე ახასიათებს: „XVIII ს. მეორე ნახევარი ჯერ კიდევ დუღილის პროცესს განიცდის. მართლაც, სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრები ერთმანეთს ფარავენ, ან უკეთ — ერთმანეთს ითმენენ. ცალკეულ მწერლებს ახასიათებს ჟანრის ნაირობა, მაგრამ ლირიკის ძალუმობის ტენდენცია უკვე ჩანს. გარდამავალი პერიოდის პოეზია (რომელსაც პირობითად აღვინიშნავთ რომანტიზმში შეიძლება ვუწოდოთ), ლირიკული ჟანრით ვითარდება, ხოლო XIX ს. პირველ ნახევარში (ფაქტიურად XIX ს. პირველი მეოთხედის მწერლობა XVIII ს. მეორე ნახევრის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს) ლირიკა სრულ ბატონობას აღწევს“⁵.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში იმავე პოეტებთან, რომელთა შემოქმედების ძირითადი მოტივები აღმოსავლური და კლასიციზტური ტენდენციებით განისაზღვრება, არა იშვიათად ცენტრალურ ადგილს ეჭვებს მრავალი ისეთი საკითხი, რომელიც რომანტიკოსთა შემოქმედებისათვის წამყვანი მოტივი გახდება. ერთ-ერთი ასეთი საკითხია ეროვნული საკითხი. სამშობლოს გამო სევდა, ბატონიშვილების შემოქმედებისა და, საერთოდ, ემიგრანტული ლიტერატურისათვის განსაკუთრებით ნიშნულია და „პოლიტიკური რომანტიზმის“ ელემენტებს ატარებს.

მარადიული საკითხები სიკვდილ-სიცოცხლისა, ადამიანის ცხოვრების ამოებისა, ბედნიერების წარმავლობისა და სხვ. ამ პერიოდის პოეზიაში საკმაოდ აქტიურ თემად იქცევა და გადადის უიმედო მოთქმა-გოდებაში, რომელიც ასე მშვენივრად გამოხატეს ბატონიშვილმა ქალებმა, — მარიამმა, ქეთევანმა, თეკლემ, და თვით საქართველოს ხმა-ტკბილმა ბულბულმა; ბესიკმა. მისი უდარდელი ტრფობით და განცხრომით სავსე ლექსები სევდისა და ჭმუნვის მეტად ძლიერ ნაკადს შეიცავს.

XVIII საუკ. მეორე ნახევარის ლიტერატურაში გარკვეულ როლს ასრულებს აგრეთვე სასულიერო პოეზია. ცნობილია ანტონ I-ის, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონის, იესე ერისთავის, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილისა და სხვ. საგალობლები. თავისი ხასიათით ეს პოეზია ძველ სასულიერო მწერლობას განეკუთვნება. თავისი მოტივებისა და თემატიკის სპეციფიკურობის გამო ეს ლიტერატურა ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი და განხილული, როგორც სასულიერო პოეზიის ნაწილი⁶.

⁵ აღ. ბარამიძე, ბესარიონ გაბაშვილი (ნარკვევი), იხ. ბესიკი, თხზ. სრული კრებული, თბ., 1932, გვ. 059.

⁶ XVIII საუკ. სასულიერო პოეზიას ამ ბოლო ხანებში საგულისხმო გამოკვლე-

რომანტიკოსებზე გარდამავალი პერიოდის მწერლობის გავლენას შეეხებიან გ. ჯიბლაძე⁷, ლ. ასათიანი⁸, დ. გამეზარდაშვილი⁹, ა. კენჭო-შვილი¹⁰ და სხვ.

თეიმურაზ პირველის, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილისა და შემდგომ, გარდამავალი ხანის პოეზიაში, ბატონიშვილების შემოქმედება ქმნის ერთიან ხაზს, რომელიც ქართული რომანტიზმის საფუძვლებს წარმოადგენს. არჩილის პოეზია კარდინალურად ეწინააღმდეგება ლიტერატურის იმ ხასიათს, რომელსაც აღორძინების ეპოქიდან მომდინარე, ვიდრე ახალი ქართული ლიტერატურის შექმნამდე, გარკვეული კუთხით, ერთიანობა ახასიათებს და, რომელიც, რომანტიზმის ტენდენციებს ატარებს. თეიმურაზ I-ის პოეზია სრული საპირისპიროა არჩილის პოეზიისა, ხოლო ვახტანგ მეექვსე და გურამიშვილი თავისი პოეზიის კარდინალური ხაზით, — გოდების ტონით, ლირიზმით, ინდივიდუალიზმით და სხვ., სწორედ თეიმურაზის სკოლის გამგრძელებელ პოეტებად გვევლინებიან (და არა არჩილის). არჩილის პოეზია ქართული ლიტერატურის მშვენიერებაა და მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაში, მაგრამ იგი, ვფიქრობთ, ნაკლებად იკავებს ადგილს იმ დროს, როდესაც აღორძინების პოეზია ქართული რომანტიზმის შესწავლის პოზიციიდან განიხილება. ამის გამო, აღორძინების პერიოდის ლიტერატურაში რომანტიზმის ელემენტების ძიებისას, არჩილის შემოქმედებაზე არ შეეჩერებულვართ. ჩვენ განვიხილეთ თეიმურაზ პირველის, გურამიშვილისა და ვახტანგ მეექვსის პოეზიაში ის ერთიანი ხაზი, რომელიც რომანტიკული პესიმიზმის, მისტიკისა და ინდივიდუალიზმის იმ ტენდენციების საფუძველია, რომელიც ძველი, ბიბლიური პოეზიიდან მოყოლებული, თავის ადგილს იჭერს XIX საუკ. ქართულ მწერლობაში. ამავე ტენდენციების ძიება ემიგრანტ, და ე. წ. გარდამავალი პერიოდის პოეტებთან ჩვენს მიზანს შეადგენს წინამდებარე გამოკვლევაში.

რუსეთის ემიგრაციაში მყოფი ქართული პოეზიის დიდი წარმომადგენლები, ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი, უშუალოდ წინ უსწრებენ გარდამავალი პერიოდის მწერლობას. გარდამავალი პერი-

ვა მიუძღვნა მ. ქავთარიამ. იხ. მისი ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII—XVIII ს. ს., თბ., 1977.

⁷ გ. ჯიბლაძე, ნ. ბარათაშვილი და მ. ლერმონტოვი, „მნათობი“, 1936, №№ 5, 6.

⁸ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, თბ., 1936.

⁹ დ. გამეზარდაშვილი, აღ. ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

¹⁰ ა. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბ., 1953.

ოდის მწერლობაში, საქართველოში მოღვაწე პოეტთა გარდა, განვიხილავთ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკ. პირველი მეოთხედის იმ ემიგრანტ პოეტებს, რომელთა შემოქმედებასაც გარკვეული რეზონანსი ჰქონდა და ამავე დროს ენათესაებოდა ზოგიერთი მოტივებით იმ ერთიან ხაზს ქართულ ლიტერატურაში, რომლის ძიება რომანტიზმის საფუძვლების შესასწავლად მეტად მნიშვნელოვანია.

ბატონიშვილი ქალების, განსაკუთრებით მარიამის პოეზია წარმოადგენს რუსეთში გადასახლებულ ქართველ უფლისწულთა პოეზიის ამოსავალს. ბატონიშვილების პოეზიის საერთო განწყობილება, ღრმა პესიმიზმი, შექმნილი პოლიტიკური სიტუაციით გამოწვეული, გამოუვალი სევდა და ელეგიური ტონი, ყველაზე მეტი ექსპრესიით გამოხატულია მარიამ ერეკლეს ასულის პოეზიაში. ამ პოეტი ქალის შემოქმედების კილო ერთგვარად ტონის მიმცემია საერთოდ ბატონიშვილების შემოქმედებისა, მათი ცრემლგამდინარე ლირიკისა.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურის განწყობილებებს კ. კეკელიძე ასე განსაზღვრავს: „სოციალური ბატონობის ბაზის შერყევამ მბრძანებელ კლასს სულიერი სიმშვიდე დაუკარგა და ფეოდალურ ლიტერატურაში გამოიწვია რომანტიზმის ელემენტები. უნდა შევნიშნოთ, რომ რომანტიზმის ელემენტებს ჩვენ გარკვევით ვამჩნევთ ქართულ მწერლობაში. თუ უფრო ადრე არა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც, განსაკუთრებით კი, რუსულ ემიგრაციაში. დაკარგვა სამშობლოსი, ნაცნობ-მეგობრებისა და ნათესაეების დაშორება, დაკარგვა პოლიტიკური ძალა-უფლებისა (რუსეთში უფრო ადრე, ვიდრე საქართველოში) და სოციალური მდგომარეობის შერყევა, აი, ის ნიშანდები, რომელზედაც აღმოცენდა ქართული ფეოდალური კლასის რომანტიზმის ელემენტები¹¹“.

საქართველოში რომანტიკული მიმართულების დამკვიდრების წინა პერიოდის შესახებ, უშუალოდ მის მოსამზადებელ ხანაზე, საგულისხმო მოსაზრება, ერთ-ერთმა პირველმა, გამოთქვა გ. ჯიბლაძემ.

გ. ჯიბლაძემ ხაზი გაუსვა იმ ვარაუდებს, რომ რომანტიზმს საქართველოში არ დახვედრია გადასალახი ის ბარიერები, რაც ევროპაში კლასიციზმითა და სენტიმენტალიზმით მომზადდა¹².

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ სინამდვილეში რომანტიზმი კლასიციზმთან ბრძოლით არ დამკვიდრებულა. კლასიციზმის ტენდენციები XVIII საუკ. ქართულ ლიტერატურაში თუმცა აშკარაა, მაგრამ იგი არ არის ისეთი მძლავრი და გაბატონებული ლიტერატურული

¹¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981, გვ. 317.

¹² გ. ჯიბლაძე, ნ. ბარათაშვილი და მ. ლერმონტოვი, ჟურნ. „მნათობი“, 1936, № 5.

მიმართულება, რომლისაგან თავის დაღწევას მწვავე ბრძოლა გამო-
ეწვია. კლასიციზმის ტენდენციების მნიშვნელობა ჩვენში უფრო ევ-
როპული, განმანათლებლური ხაზით წარიმართა. ამ მხრივ ევროპეიზ-
მის ტრადიციების დამკვიდრება რომანტიზმის შემოჭრას ლიტერატურ-
ულ ცხოვრებაში ხელს სრულებითაც არ უშლიდა. პირიქით, სადღაც
აახლოებდა კიდევ ქართულ ლიტერატურას იმ სამყაროსთან, რო-
მელშიაც რომანტიზმი უკვე მძლავრ მოვლენად გადაიქცა.

შეცდომა იქნებოდა იმის წარმოდგენა, თითქოს საქართველოში
რომანტიზმს მხოლოდ ბატონიშვილებისა და დავით რექტორის ელე-
გიები და მწუხარე, ღრმადმოქალაქეობრივი პოეზია დახვდა. ეს იყო
მხოლოდ ერთი მხარე იმდროინდელი ქართული პოეზიის სახისა, აღ-
მოსავლური ტკბილი და ნარნარი ლექსის ტრადიცია, დეგრადაციის
გზაზე დამდგარი აღმოსავლური ლიტერატურის მიბაძვა ღვინის,
თრობის, ბაგის შექებისა და რითმათა თამაშით შეთხზული ლიტერა-
ტურა (ანბანთქებანი, ხილთაქებანი, და სხვ.). ქართულ რომანტიზმს
ასეთ პირობებში მოუხდა შემოსვლა და დამკვიდრება. მას, რა თქმა
უნდა, ამ ტრადიციებთან დიდი ბრძოლა დასჭირდა.

გ. ჯიბლაძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ რო-
მანტიზმს საქართველოში დახვდა გარკვეულად მომზადებული გარემო-
ბატონიშვილისა, დავით რექტორისა, სოლომონ მდივანბეგისა და
სხვათა პოეზიით.

გ. ჯიბლაძეს მოჰყავს დავით რექტორის ლექსიდან სტროფი:
„ჰე, საწუთროო, რად შთამაგდე ესოდენ ჭირსა“ — და დასძენს, —
„უდავოა, რომ ეს ლექსი ძალზე უახლოვდება ნ. ბარათაშვილის „სულო-
ბოროტოს“. . . . ეს ელეგიური გოდება, რომელიც ასე მძლავრად ისმის
დავით რექტორის პოეზიიდან, ძალიან უახლოვდება XIX საუკუნის
პირველი ნახევრის რომანტიკულ სკოლას საქართველოში. შეიძლება
ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ მხოლოდ შემთხვევით ფაქტს წავაწყდით,
რომელიც ერთი გაელეგების მსგავსად მოჩანს მთელ ამ პერიოდის
ქართულ ლიტერატურაში? არა, იგივე ჰანგი ისმის, თუ გნებავთ
სოლომონ მდივანბეგის ლექსებიდანაც“. — მკვლევარი იმოწმებს აგ-
რეთვე ადგილებს სოლომონ მდივანბეგისა და ქეთევან ბატონიშვილის
ლექსებიდან, სადაც რომანტიზმის ტენდენციები შეინიშნება და ამავე
დროს დასძენს, — „ეს იმას არ ნიშნავს, რომ რომანტიზმის წინა პერი-
ოდის ქართულ ლიტერატურაში თითქოს რომანტიზმი ყოფილიყო
გამეფებული“¹³.

¹³ გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, თბ., 1945, გვ. 12—14. გ. ჯიბლაძის
აღნიშნული მოსაზრება გადმოცემულია აგრეთვე ნაშრომში: ნ. ბარათაშვილის პოე-
ტური გენია, თბ., 1968, გვ. 269—271.

1936 წელს გამოდის ლევან ასათიანის წიგნი „ძველი საქართველოს პოეტი ქალები“, სადაც მარიამ, ქეთევან და თეკლე ბატონიშვილების შემოქმედებათა ახსნისას ავტორი არაერთხელ აღნიშნავს ამ სევდიან ლირიკოსთა მნიშვნელობას XIX საუკუნის ქართული პატრიოტული პოეზიის და, კერძოდ, რომანტიკული ლიტერატურის წარმოშობისათვის საქართველოში.

ლ. ასათიანი წერს: „რუსეთის აგრესიულმა იმპერიალიზმმა შეუპოვრად გაანადგურა ყოველივე ცდა ფეოდალების უკმაყოფილო ნაწილისა, მიმართული ძველი წყობილების აღდგენისაკენ. . . ბრძოლაში დამარცხებულთ დარჩათ მხოლოდ რომანტიკა დაუბრუნებელი წარსულისა და გულის სიღრმეში დაგუბებული სევდა, გამოწვეული თავისი უღონობით.

. . . გენეზისი XIX საუკუნის პატრიოტული რომანტიზმისა, პატრიოტული ლირიკისა და პროზის, უსათუოდ უნდა ვეძებოთ იმ მცირე პოეტურ მემკვიდრეობაში, რომელიც დაგვიტოვეს ბატონიშვილმა ქალებმა — მარიამმა, ქეთევანმა, თეკლემ¹⁴“.

ლ. ასათიანი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 1832 წ. შეთქმულების იდეურად მომზადების ხანაში „როგორც ჩანს, მარიამის ლექსებიც ასრულებდა თავის საზოგადოებრივ ფუნქციას, ისინი გავლენას ახდენდნენ გარკვეული სოციალური წრეების აზრის განვითარებაზე. ამითა აიხსნება მისი ლექსების გავრცელება და პოპულარობაც“¹⁵.

ა. კენჭოშვილი ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში აგრეთვე შეეხება გარდამავალი პერიოდის პოეზიას. მისი აზრით, ბატონიშვილების შემოქმედება რომანტიზმის მხოლოდ ზოგიერთ ნიშანს ატარებს. „ქართველი ბატონიშვილების დიდი ნაწილის კულტურულ-მეცნიერული მოღვაწეობა პოლიტიკური რომანტიზმის ნიშნებით არის აღბეჭდილი“¹⁶; — წერს იგი.

დ. გამეზარდაშვილს, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა რომანტიზმის გენეზისს საქართველოში, ქართული რომანტიზმის საწყისად ვახტანგ მეექვსის პოეზია მიაჩნია, ხოლო XVIII საუკ. ბატონიშვილებისა და ემიგრანტების შემოქმედება — ამ მიმართულების ნამდვილ გამოხატულებად.

ვახტანგ მეექვსის პოეზიის ანალიზისას, დ. გამეზარდაშვილი წერს: „ს წო რ ე დ ა ხ ლ ა, ა ქ, ე მ ი გ რ ა ნ ტ თ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შ ი ა ღ მ ო ც ე ნ ე ბ ა ს ი წ ყ ე ბ ს ქ ა რ თ უ ლ ი რ ო მ ა ნ ტ ი ზ“

¹⁴ ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები. გვ. 24—25.

¹⁵ ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 212.

¹⁶ ა. კენჭოშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, თბ., 1953, გვ. 23.

მის საწყისებში¹⁷. მისი აზრით ვახტანგის „...დამოკიდებულება ობიექტურ გარემოსთან და მიღებულ შთაბეჭდილებათა გადმოცემა წმინდა რომანტიკული მანერითაა განპირობებული“¹⁸.

დავით გურამიშვილის შემოქმედების ხასიათის განსაზღვრისას დ. გამეზარდაშვილი გამოთქვამს მოსაზრებას: „მისტიციზმი, მდურვა ამქვეყნიური ცხოვრებისადმი და საკუთარი „მე“-ს წინ წამოწევა პოეზიაში დ. გურამიშვილს აახლოებს ემიგრანტებთან და ააშკარავებს რომანტიზმის საწყისებს მის შემოქმედებაში“¹⁹.

დ. გამეზარდაშვილის შეხედულებით: „ემიგრანტულმა პოეზიამ, ჯერ კიდევ სუსტმა და ახალმა მიმართულებამ რომანტიზმმა, მე-18 საუკუნის დასასრულს იპოვა საუკეთესო გამგებლები, ტახტდაკარგული ბატონიშვილების სახით“²⁰.

დ. გამეზარდაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება საქართველოში რომანტიზმის წარმოშობასთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს, მაგრამ რამდენადმე გადაჭარბებულად გამოიყურება. ვახტანგ მეექვსესა და გურამიშვილთან რომანტიკული მიმართულების მხოლოდ ელემენტებზე შეიძლება ლაპარაკი და არა თვით მიმართულების დასაწყისზე. ასევე, ბატონიშვილების პოეზიაში, ვფიქრობთ, ჩამოყალიბებულ მიმართულებაზე ლაპარაკი ნაადრევეა.

ნუთუ ბატონიშვილები რომანტიზმის, როგორც მიმართულების უკვე გამგრძელებლად წარმოგვიდგებიან მხოლოდ იმიტომ, რომ „სოფლისადმი მდურვა“ გამოსატყის თავიანთ შემოქმედებაში? თუ ეს საკმარისია, მაშინ ბიბლიური სოლომონ მეფიდან დაწყებული თითქმის ყველა დიდი მწერალი რომანტიკოსი ყოფილა.

დ. გამეზარდაშვილის მიერ შემოთავაზებული გაგება „ქართული რომანტიზმისა“, უახლოვდება საზოგადოდ რომანტიზმის შესახებ არსებულ ადრეულ შეხედულებებს.

ცნობილია, რომ დღევანდელთან შედარებით, ტერმინი „რომანტიზმი“ უფრო ფართო გაგებით იხმარებოდა XVIII—XIX სს. მიჯნაზე, როცა ყალიბდებოდა ამ ლიტერატურული მიმართულების შესახებ თეორიული შეხედულებები. მაგ., ჟ. დე სტალი ლიტერატურას ჰყოფს

¹⁷ დ. გამეზარდაშვილი, აღ. ჰავჭავაძე და ქართული რომანტიზმი გვ. 45. (დ. გამეზარდაშვილის მოხმობილ ციტატებში ხაზები ჩვენია — მ. კ.).

¹⁸ იქვე, გვ. 48.

¹⁹ იქვე, გვ. 67.

²⁰ დ. გამეზარდაშვილი, აღექსანდრე ჰავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, გვ. 72.

ორ ნაწილად, სამხრეთული — „კლასიკურია“, ჩრდილოური — „რომანტიკული“, სადაც შედის შუა საუკუნეთა მთელი ევროპული ლიტერატურა ჩრდილოეთის ქვეყნებისა, — ინგლისური, სკანდინავური, გერმანული, ფრანგული და სხვ. ამავე მოსაზრებას ემხრობიან რომანტიზმის გერმანული თეორეტიკოსები, ა. და ფ. შლეგელები, ტიკი, ნოვალისი. სტენდალი და მიუსე შექსპირს რომანტიკოსების დროშად აცხადებენ, როგორც უდიდეს რომანტიკოსს. სტენდალისა და ბელინსკის თქმით, ყველა დიდი მწერალი დასაბამით განვე, რომანტიკოსია, რომელიც კი სიახლეს და ჭეშმარიტ პოეზიას ნერგავს... ჰაინესთან უფრო კონკრეტულად დგება საკითხი („რომანტიკული სკოლა“, 1833 წ.) და რომანტიკულ სკოლაში XVIII—XIX სს. გარკვეული წრის პოეტები განიხილება. დღეს რომანტიზმის საფუძვლებისა და მისი არსის შესახებ მსჯელობა რამდენადმე სცილდება იმ პირვანდელ შეხედულებებს.

რომანტიზმი გამომდინარეობს ქრისტიანული ქვეყნების შუა საუკუნეთა პოეზიიდან. რომანტიზმი ევროპულ სამყაროში წარმოიშვა როგორც კანონზომიერი განვითარება მისი ლიტერატურისა და ხელოვნების. საქართველო, როგორც ძველი ქრისტიანული ქვეყანა, თავისი მორალით, ეთიკითა და ესთეტიკის ნორმებით (თავისი კულტურით, ხელოვნებით, ლიტერატურით) მეტად ახლო თვისობრივ ნათესაობაშია ევროპულ სამყაროსთან, რამაც განაპირობა ჩვენში რომანტიზმის წარმოშობის შესაძლებლობა.

ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, ისევე როგორც ევროპული რომანტიზმისა, მისი ლიტერატურის შორეულ სიღრმეებში უნდა ვეძებოთ. ხოლო ყველაზე ახლო და უშუალო წინამორბედი რომანტიკოსებისა, XVIII საუკ. ქართველი პოეტების ის წრეა, რომელთა შემოქმედება დღეს ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს.

XVIII საუკ. მეორე ნახევრის ლიტერატურაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ბესიკის შემოქმედებას.

ბესარიონ გაბაშვილის შემოქმედებას აღმოსავლური პოეზიის გავლენასთან ერთად კლასიციზმის გარკვეული კვალიც ატყვია. ამ პერიოდის საქართველოში ევროპიდან მონაბერი ეს ლიტერატურული და ესთეტიკური მიმართულება პოეზიის უპირველეს წარმომადგენლებზეც გარკვეულ გავლენას ახდენს. მაგრამ კლასიციზმთან ერთად, ბესიკის პოეზიისათვის უცხო არაა რომანტიზმის ის ეპოქალური ტენდენციები, რომელიც XVIII საუკ. ბოლოს ქართულ ლიტერატურაში აშკარად იკიდებს ფეხს.

ბესიკის პოეზიის რაფინირებული და დახვეწილი სამყარო მეტად მჭიდროდაა დაკავშირებული ძველ საქართველოსთან, აღორძინების

პერიოდის ლიტერატურის მაჯისცემასთან. ბესიკის მიმართება მეტად ცხადია იმ აღმოსავლურ მოტივებთან, რომელიც აღორძინების პერიოდის ქართულ მწერლობაში დიდი სპარსელი კლასიკოსების ნიზამის, ხაიამის, რუმისა და ჯამის შემოქმედების ხასიათს ეზიარება. აღმოსავლური საკარო პოეზიის სიტკბო, რომელიც ყურადღებას მიაპყრობს და ეწაფება ფუფუნებასა და მშვენიერებას, ბედნიერებასა და სიამეს, სპარსეთის უკვდავ პოეტთა შემოქმედებაში შეზავებულია დიდ მისტიკასთან, იმ მარადიულ სევდასთან და იმ კითხვებთან, რომელთა ძიებამ აღმოსავლური პოეზია პლატონის იდეალურ სამყაროსთან მიიყვანა.

სუფიური პოეზიის უდიდესი წარმომადგენლების — რუმის, ხაიამის, ნიზამის, ჯამის — მოტივები არა მარტო აღორძინების ეპოქაში, არამედ ბესიკის შემოქმედებაშიაც თავის კვალს ტოვებს.

აღ. ბარამიძე წერს: „ბესარიონ გაბაშვილი აგრძელებს, აღრმავებს და კლასიკურ ფორმებში ასრულებს კიდევ საერო-ფეოდალური მწერლობის აღორძინების პერიოდის პოეზიას“²¹.

ბესარიონ გაბაშვილი თუმცაღა თავისი შემოქმედებით ძველ საქართველოს მწერლობას განეკუთვნება და არა გარდამავალ ხანას, რომელიც გულისხმობს ლიტერატურულ პერიოდს ძველსა და ახალს შორის, მაგრამ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ემთხვევა ევროპაში ახალი ძალების მოზღვაებას ხელოვნების სფეროში. ეს არის XVIII საუკ. ბოლო, როცა ევროპა კლასიციზმისა და განმანათლებლობის შემდეგ, რომანტიკული მიმართულებით, ცხოვრების ახალ მაჯისცემას, ახალ ესთეტიკურ ნორმებს სთავაზობს მსოფლიოს და უპირისპირებს ძველს. რომანტიზმი ბრძოლით მოდის XVIII საუკუნის ევროპაში ახალ ეპოქათა მიჯნაზე, ფეოდალური სამყაროს ნორმებისა და ცხოვრების წესის ნგრევის ეპოქაში. ამ დროს საქართველოში ლექსის გრძნეული ბუღბული, ბესიკი მეფობს პოეზიის სამყაროში. ბესიკის შემოქმედებაშიაც თავს იჩენს ეპოქის სუნთქვა, რომანტიკული ტენდენციებით გამონატული.

ბესარიონ გაბაშვილის პოეზიის ელვარებაზე ჩვენ სპეციალურად არ ვილაპარაკებთ წინამდებარე გამოკვლევაში. გაბაშვილი XVIII საუკ. საქართველოს საკარო პოეზიის ბრწყინვალე ვარსკვლავია. მისი ლექსის ვირტუოზული სინატიფე და მშვენიერება არაერთხელ გამხდარა ქების საგანი არა მარტო მის თანამედროვეთაგან, არამედ შემდგომ ეპოქებშიაც. ამ ნაშრომში ბესარიონ გაბაშვილის მხოლოდ

²¹ აღ. ბარამიძე, ბესარიონ გაბაშვილი (ნარკვევი), იხ. ბესიკი, თხზ. სრული კრებული, თბ., 1932, გვ. 062.

ერთ ლექსზე — „ცრემლთა ისარნი“ — შეეჩერდებით სამაგალითოდ, როგორც რომანტიკოსების სულისკვეთებასთან თვისობრივად ახლო მდგომ ნაწარმოებზე. თუმცა მსგავსი განწყობილებები მის სხვა ლექსებშიაც ივლევებს, ასეთებია: „ცრემლთა მდინარე“, „ბედისადმი“, „სვისადმი“, „რაც მიირეწა სოფელმან“ და სხვ. ბესიკის ადრეულ გამოცემებში შესული იყო ლექსები „სევდის ლაშქარი“ და „გამტყორცა სოფელმან“. როგორც ირკვევა, ეს ლექსები არ ეკუთვნის ბესიკის (იხ. ბესიკი, თხზულებანი, 1962, გვ. 218—220). მაგრამ ეს ნაწარმოებები საინტერესო მასალას წარმოადგენენ გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში რომანტიზმის ტენდენციების საძიებლად.

ამიტომაც მათ განვიხილავთ.

ლექსი „სევდის ლაშქარი“ დიმიტრი თუმანიშვილისაა.

სევდის ლაშქარი შემომიხდება,
სურვილის ცეცხლი მომეკიდება,
სქულთქმა და ტირილი გამიხშირდება,
საყვარლისა ჭვრეტა დამიძვირდება,
სიცოცხლის ფრინველი გამიფრინდება!²²

ფრთიანი გამოთქმა „სიცოცხლის ფრინველი გამიფრინდება“, სხვადასხვა პერიფრაზით მომდევნო პოეტებმა არაერთხელ გამოიყენეს. მაგ.; დავით ბატონიშვილის ლექსი, „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“, ამ პოეტური თქმის ახლებურ ვარიანტს წარმოადგენს.

ბატონიშვილების პოეზიაში მეტად გავრცელებულია სახე „ჩრდილოთ ღრუბელი“, რომელიც უბედურებისა და უიმედობის მომტანია. ეს პოეტური თქმა ბესიკის ელეგიურ ლექსში — „ცრემლთა ისარნი“ — გვხვდება:

ცრემლთა ისარნი მოსისხარნი ჩვენდა არენით,
ილმენით გულნი ჭირნახულნი, შეგვიწყნარენით!
უცხონი თემით, სოფლის ცემით გავიგარენით,
უჭკობნი ვარდნი, ესგვარ დარდნი, დავიბძარენით —
არ ითქმის ენით, არცა სმენით, ეს იკმარენით!

დღე ვნატრით მზესა, სიამესა, დილა თქვენ გარებს,
ღამე მთოვარე, ქველ მოარე, ხასიათ გვარებს,
ცისკარ მთიები, სხვა ციები პირველ გვახარებს
და მერმე ჩ რ დ ი ლ ო ს ს ა ს ი კ ე დ ი ლ ო ს ღ რ უ ბ ე ლ ს დაჰფარებს!
ამ დღე-ღამითა და ჟამითა დავიმწარენით²³!

„ჩრდილოეთის სასიკვდილო ღრუბელი“ მეტად კარგად შეესადა-

²² ბ ე ს ი კ ი, თხზ. სრული კრებ., აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედ., ფედერაცია, 1932, გვ. 16.

²³ ბ ე ს ი კ ი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედ., თბ., 1962, ლგ. 46—47.

გა ბატონიშვილების განწყობილებებს, იმ სასოწარკვეთილ, პესიმისტურ სულს, რომელიც განაპირობა მათ ცხოვრებაში სამეფო კარზე გათამაშებულმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. ერეკლე მეფის ასულების ღრმად კაემნიან პოეზიაში ჩრდილოეთიდან მოდენილი შავი ღრუბელი ფარავს მზეს, იმედს, გამარჯვებებს ცვლის უსასოობით და ბაგრატიონთა სახლის ძლიერებას ანადგურებს. შავი ღრუბლის ასოციაცია უკავშირდება სამეფო სახლის ტრაგედიას.

მაგრამ ბესიკის ეს ფიგურალური გამოთქმა, გამოძახილს ჰპოვებს არა მარტო ბატონიშვილების პოეზიაში, არამედ ნიკოლოზ ბარათაშვილთანაც. „ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!“ — ბარათაშვილის ეს დიდებული სტრიქონები პოემიდან „ბედი ქართლისა“ ეყრდნობა ლიტერატურულ ტრადიციებს.

„ჩრდილოეთის ღრუბელი“, „ჩრდილოეთის ნისლი“, „ჩრდილოეთის ქარი“, „დაუწყნარი ქარი“, — გამოთქმები, რომლებიც ქართულ პოეზიაში XIX საუკუნეში მკვიდრდება, სათავეს იღებს ბესიკთან, ხოლო განსაკუთრებული სიძლიერით ბატონიშვილ ქალთა პოეზიაში ჰპოვებს გამოვლენას. მარიამის, ქეთევანის, თეკლეს შემოქმედებაში მრავალფეროვანი ასპექტით ნახმარი ეს პოეტური გამოთქმები იკიდებს ფეხს ჯერ რომანტიკოსთა შემოქმედებაში, ხოლო შემდეგ საერთოდ, ქართულ ლიტერატურაში.

დაბერდა ყური, სევდის ჭური, რა ჰპოვა სოფლით,
დაბინდა თვალნი შეუმკრთალნი, ცრემლით და ოფლით,
დადგესცა ხელნი, მარჯვედ წრფელნი, შორნი საყოფლით²⁴.

ბესიკი, ბარათაშვილის ეპოქის უშუალო წინამორბედი, საწუთროს ამოვებაზე და უხანობაზე გოდებს. მის ლექსთა სევდა და პესიმიზმი ენათესავენა დიდი ქართველი რომანტიკოსის განწყობილებებსა და ფიქრებს სამყაროს კანონთა შეუსაბამობაზე და მათ უძლეველობაზე. ამ თვალსაზრისით, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „სული ობოლი“, „სულო ბოროტო“ და სხვ. ბარათაშვილის ლექსები ბესიკის შემოქმედებაში, როგორც ეროვნულ საყრდენში, ჰპოვებს საფუძვლებს. სწორედ ასეთი ნაწარმოებია „ცრემლთა ისხარნი“.

ბესიკი გაბაშვილი, ლხინსა და სიყვარულის უბადლო მომღერალი, ვერ გაექცა იმ სევდას, იმ მარადიულ, გულისა და გონების შემაშფოთებელ კითხვებს, რომლებმაც XIX საუკუნეში, ქართულ რომანტიზმში ასეთი კარდინალური ხასიათი მიიღო და ასეთ მაღალ სფეროებს აზიარა ქართული პოეტური სული.

²⁴ ბ ე ს ი კ ი, „ცრემლთა ისხარნი“, ბესიკი, თბ., 1962, გვ. 47.

გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა,
დღენი ჩემნი წარვლენ ბნელად და ბნელად;
რაცაჲდად შემექმნა ბედოვე ჩემი,
სიცოცხლესლა ვჰპოვებ ძნელად და ძნელად.
ვინ ჰპოვა სოფლისგან ბედნიერება?
ვინცა სცნობს წყვეულსა — დაეკრძალება²⁵.

ყველა რომანტიკოსს შეეძლო ამ მაღალ პოეტურ სიტყვებს შეერთებოდა თავისი გრძნობით და აზრთა დინებით. „სულო ბოროტოს“ ავტორისათვის მეტად ახლოა ამ მწარე სიტყვების პოეტური სიმაართლე:

მიჯნურთაგან რა გსურს წუთო სოფელო,
ყოველთა მელექსეთ დამღუმებელო²⁶?

გარდამავალი ხანის პოეტის ეს სიტყვები რომანტიკოსთა მრწამსთან ახლოა არა მარტო თავისი შინაარსით, მძიმე ხვედრისადმი პროტესტის გრძნობით, არამედ პოეტური განსახიერებითაც.

* * *

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ქართველი ბატონიშვილები და მათთან ერთად პოეტები: პეტრე ლარაძე, დავით რექტორი, ელიზბარ ერისთავი. ეს პოეტები ქმნიდნენ თავის დროზე ლიტერატურულ ამინდს, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქართული მწერლობის ჩამოყალიბებისათვის.

ლიტერატურულ პროცესთა ამ გარდამავალ ხანაში პეტრე ლარაძე ერთგვარ ცენტრალურ ადგილს იჭერდა პოეტებში გარკვეული დროის მანძილზე. იგი პირველი მწერლის სახელითაც სარგებლობდა ერთ ხანს (რა თქმა უნდა, ბესიკისა და საიათნოვას გვერდით ლარაძეს არასოდეს აყენებდნენ, მხოლოდ ამ პოეტთა შემდგომ, ცოტა უფრო მოგვიანებით). პეტრე ლარაძის, ისევე როგორც დავით რექტორის, შემოქმედება ამჟამად მხოლოდ რომანტიკული ტენდენციებისა და მოტივების გამოვლენის თვალსაზრისით გვაინტერესებს. ამ პოეტთა შემოქმედებაში რომანტიკული განწყობილება არაა ძირითადი, მაგრამ იგი უცილობლად გარკვეული ხაზით არსებობს.

პეტრე ლარაძე, თავისი დროის მეტად ცნობილი და პოპუ-

²⁵ ბესიკი, „გამტყორცა სოფელმან“, თბ., თბ., 1932, გვ. 102.

²⁶ იქვე.

ლარული პოეტი, „ძველ“ მელექსეთა წარმომადგენელი, ავტორია XIX საუკ. პირველ ნახევარში უადრესად პოპულარული პოემისა „დილარიანი“. ცნობილია ალ. ჭავჭავაძის პოეტური გაბაასება პეტრე ლარაძესთან. ზემოხსენებული პოემის გარდა, პ. ლარაძის მემკვიდრეობა საინტერესოა აგრეთვე იმ სევდიანი, წარსულზე ხედვამიპყრობილი ლექსებითაც, რომლებიც ჯერ კიდევ დ. ჩუბინაშვილმა შეიტანა თავის ქრესტომათიაში²⁷. პ. ლარაძის ლექსები გამოქვეყნდა აგრეთვე „სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგიაში“, 1928 წ. აქ დაიბეჭდა ლარაძის ორი ლექსი — „მზე ვნახე მჭმუნვარედ“ და „ეჰა, ვითარსა დროსა მწარესა“ — ლექსი, გამოთქმული მოსკოვში მომხდარი ხანძრის გამო 1812 წელს, ნაპოლეონის შემოსევის დროს²⁸.

პეტრე ლარაძის რამდენიმე ლექსი გამოქვეყნებულია ტრ. რუხაძის მიერ, წიგნში, „ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან“²⁹. პეტრე ლარაძეს ჰქონია აგრეთვე რამდენიმე „ანბანთქება“, ვრცელი პატრიოტული ლექსი-ქება „ნიახურას ბრძოლა“³⁰ და სხვ.

პეტრე ლარაძის პოემა „დილარიანი“ თავის დროზე პოპულარობით სარგებლობდა. იგი გამოქვეყნდა 1903 წელს³¹. ამ ნაწარმოების შექმნის შესახებ თვით პოემის ანდერძში საინტერესო ცნობებს იძლევა ავტორი. ეს ანდერძი, რომელსაც ავტორი „შაირს“ უწოდებს, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი სრულიად განსხვავდება მთელი ნაწარმოების შემოქმედებითი მანერისაგან. ავტორისავე განცხადებით, „დილარიანი“ გაულექსავს მეფე ერეკლეს მწიგნობარს, ლარაძეს, როგორც სათავგადასავლო-სარაინდო რომანი, მსგავსად „ამირანდარეჯანიანისა“. სარგის თმოგველის „დილარიანი“, რომელიც ვეფხისტყაოსანში „ამირანდარეჯანიანის“ გვერდით მოიხსენიება, დაკარგულა, ხოლო XVIII საუკუნის ქართველი ფეოდალური არისტოკრატია მეტად დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებს გასართობსა და სათავგადასავლო-სარაინდო წიგნებისადმი. მსგავსი ხასიათის გატაცებანი ამ პერიოდისათვის ევროპაში უკვე დრომოჭმულია. იგი შუა საუკუნეების ცხოვრების სტილისა და ინტერესების სფეროს გამოვლენა იყო, რომელმაც თავისი არსებობა შუა საუკუნეებშივე დაასრულა. XVIII საუკუნე აღარ არის ეპოქა რაინდობისა და მასთან დაკავშირე-

²⁷ დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრისტომათია, ნაწ. II, სანკტ-პეტერბურლი, 1863, გვ. 121—124.

²⁸ ანთოლოგია, იაკვალაძის რედ., ტფ., 1928, გვ. 286—287.

²⁹ ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 279—281.

³⁰ ლ. კეკელიძე, პეტრე ლარაძის ლირიკისათვის, XVIII საუკ. ქართული მწერლობის საკითხები, I, თბ., 1965, გვ. 31—52.

³¹ პ. ლარაძე, დილარიანი, მ. ჯანაშვილის რედ., ტფ., 1903.

ბულ ზღაპრულ-ჯადოქრულ სათავედასავლო რომანების შეთხზვისა იმ ფორმით, როგორც ეს „ამირანდარეჯანიანში“, „ვისრამიანსა“ თუ „ტრისტან და იზოლდაშია“. XVIII საუკუნის საქართველო ამ მხრივ დრომოჭმულ ტრადიციებზე დგება, აქ იწერება „დილარიანი“, როცა ეს პრობლემა არავის არ აწუხებს და მხოლოდ დროის მოსაკლავ ნაწარმოებად წარმოგვიდგება. ერეკლე მეფის კარზე გამეფებული პოეზიის მიმართულება, ეს სანოტბო და საკარო პოეზია სრულებითაც ვერ ასახავს იმდროინდელი ქართული საზოგადოების სულიერ ტკივილებს, გატაცებებს, სინარულს, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებს.

XVIII საუკუნის საქართველოს საკარო პოეზია წინა საუკუნეებიდან მზამზარეულად იღებს პოეზიისათვის თემებს, მზამზარეულად იღებს აგრეთვე გამომსახველობით ფორმას. იყენებს ამ დროისათვის უკვე მოცვეთილ, ჭარბ შედარებებს, მეტაფორებს, ჰიპერბოლას, რომელსაც უკვე მნიშვნელობა დაკარგული აქვს, ვინაიდან იგი აღარ უკავშირდება რაიმე ჭეშმარიტ განცდას და სულიერ მღელვარებას. ლიტერატურაში ისადგურებს სიყალბე, სქემატური სახეები, რომლებსაც არა აქვთ ხასიათები, არა აქვთ თავიანთი ცხოვრება და საკუთარი დამოკიდებულება ჭეშმარიტ ცხოვრებისეულ მოვლენებთან. აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ საერთო ტენდენციის მიუხედავად, მაღალნიჭიერი პოეტები, — როგორც არიან ბესიკი, საიათნოვა, ქმნიან საინტერესო პოეტურ ქმნილებებს და რჩებიან მომავლისათვისაც მაღალი რანგის პოეტებად. მაგრამ როდესაც ერეკლეს კარის პოეზიაზე ვსაუბრობთ, აქ ცალკეული პოეტების მაღალნიჭიერებას არ შეეხება ჩვენი სიტყვა, არამედ იმ საერთო ტენდენციებს, რომელიც ერეკლეს კარზე სუფევდა და ძლიერ გავლენას ახდენდა მთელ ლიტერატურულ ეპოქაზე. ამ ტენდენციას გარკვეული გავლენა ჰქონდა თვით XIX საუკუნის ლიტერატურაზეც საკმაოდ ხანგრძლივად. ჩვენ ვიტყვოდით, რომ ამ მოძველებული ტენდენციებიდან საბოლოოდ განთავისუფლება ხდება 60-იანელების შემოქმედებით და მოღვაწეობით, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა და სხვათა მიერ ლიტერატურაში ეროვნული და საზოგადოებრივი საკითხების ახალ დონეზე დაყენებით. სწორედ 60-იანი წლების პერიოდიდან მოყოლებული საბოლოოდ კვდება ძველი ტრადიცია ლიტერატურაში, ყალბი სიყვარულის გრძნობისა და გართობა-სილალისათვის მოწოდებული, იმ დროს, როდესაც ეროვნული არსებობისა და არარსებობის საკითხები მთელი სიგრძე-სიგანით, მთელი სიმწვაკით იდგა და მოითხოვდა ლიტერატურისაგან მძაფრ მხარდაჭერას. სწორედ ეს, საზოგადოებრივი და ეროვნული ტკივილების, ქვეყნის ჭეშმარიტი არსებობის საკითხთა უქონლობა ასე ახა-

სიათებს ერეკლე მეორის პერიოდის საკარო პოეზიას, რაც გამომნატველია იმ ეპოქის ფეოდალური საზოგადოების დეგრადაციისა, იმ დეგრადაციისა, რომელმაც საბოლოოდ სამეფოს დაკარგვამდე მიიყვანა საქართველოს სახელმწიფო მმართველი აპარატი.

სწორედ ამგვარი ტენდენციის პოეზიის ნაყოფია „დილარიანი“. მაგრამ პეტრე ლარაძეს, როგორც ჩანს, სხვა პრობლემებიც აწუხებდა, რომლებმაც მის პოეზიაში იჩინეს თავი, თუმცა არა იმ ზომით და არა იმ რაოდენობით, როგორც მეორე მხარემ, ოფიციალური წრეებისაგან აღიარებულმა და ნაკარნახევმა საკარო სტილის პოეზიამ, რომლის შედეგია „დილარიანი“.

„დილარიანი“ განეკუთვნება ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს, რომლისთვისაც ეროვნული ვნებები და საზოგადოებრივი ტკივილები არ არის დაკავშირებული პოეზიასთან. ვფიქრობთ, სწორედ „დილარიანის“ შთაბეჭდილების გამო დაწერა ალ. ჭავჭავაძემ თავისი ცნობილი ლექსი პეტრე ლარაძეზე, სადაც მის ლექსებს „ტყუილს“ უწოდებს, თუმცაღა აღიარებს ამ ლექსების ტექნიკურად მაღალ ფორმას³².

პ. ლარაძის „დილარიანის“ ანდერძი განსხვავდება თვითონ პოემისაგან თავისი შემოქმედებითი მანერით, სტილით, მიზანდასახულობით. აქ პოეტი გვევლინება პიროვნებად, რომელსაც აწუხებს, სტკივა, უხარია როგორც ყველა ადამიანს, და არა ყალბი გრძნობებისა და გამოგონილი ამბების არასაჭირო ხოტბის შემსხმელად, სადაც არც ქალისა და არც კაცის შექება არ უკავშირდება ჭეშმარიტ განცდას და ადამიანურ გრძნობებს, ადამიანურ ცხოვრებას, არამედ, ალექსანდრე ჭავჭავაძის გამოთქმა რომ ვინმართ, „მჭერმეტყველებით დაბურული“ მტკნარი სიცრუეა.

განსხვავებით პოემის ძირითადი ტექსტისაგან, ლარაძის შაირით გამოთქმული ანდერძიდან გამოსჭვივის პოეტი-ადამიანი, რომელიც ნაღველით სავსე ცხოვრებას და ბედის სიბოროტეს განიცდის. იგი გამოთქვამს თავის განსაცდელს ლექსში უშუალოდ, ამავე დროს უზიარებს მკითხველს თავის გულისტკივილს იმ მრავალ სიძნელეთა გამო, რაც „დილარიანის“ შეთხზვას თან ახლდა³³. პოეტი ამასთანავე ამყლავნებს იმ გულწრფელ გრძნობებს, რასაც მის გულში დაუსადგურებია, და გვამცნობს იმ სურვილებს, პოემის დაწერისას რომ ამოძრავებდა მას. ანდერძის დაწვრილებით ანალიზზე შეეჩერდით ერთი მიზნით, რათა ყურადღება გაგვემახვილებინა, რომ პოემის ამ ნაწილში პეტრე ლარაძე უშუალო და მართალი პოეტი, იგი თავის ჭეშმარიტ განც-

³² ალ. ჭავჭავაძე, პეტრე ლარაძეს ლექსები, თბ., 1948, გვ. 123.

³³ პ. ლარაძე, დილარიანი, მ. ჯანაშვილის რედ., ტფ., 1903, გვ. 793—794.

დებზე, ნაღველსა და სურვილებზე გულწრფელად გვესაუბრება. პოემის ანდერძიდან პოეტის ნამდვილი პიროვნება წარმოგვიდგება იმ ურთიერთობებით, რომელიც საზოგადოებაში მის ირგვლივ სუფევდა. ამ თვალსაზრისით, ხსენებული ანდერძი, თვით პოემა „დილარიანის“ საპირისპიროდ, გამოგონილ პოეზიას აღარ განეკუთვნება, არამედ ჭეშმარიტი ლირიკის ნაწილს წარმოადგენს.

პეტრე ლარაძის ლექსთა კრებულია „მრავალფერ-ყვავილოვანი“, საიდანაც გამოკრებილი ლექსები რამდენიმეჯერ დაიბეჭდა (ჩუბინა-შვილის ქრესტომათიაში, ანთოლოგიაში, ტ. რუხაძის წიგნში).

მოსკოვის დაწვასთან დაკავშირებით შეთხზული ლექსი „ეპა, ვითარსა დროსა მწარესა“, ერთ-ერთი საუკეთესოა პოეტის ნაწარმოებებში. თავისი განწყობილებებით და თემატიკით, აგრეთვე ჭეშმარიტი, გულწრფელი ლირიზმით, ეს ლექსი ეპასუხება XIX საუკ. ახალ ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულ გრძნობათა გამოსახვის პოეტურ მანერას. იგი განსაკუთრებით ახლოა რომანტიკოსთა განწყობილებებთან:

I

ეპა, ვითარსა დროსა მწარესა,
შევესწარ ცრემლით სანკლოვარესა,
ცას ვხედავ რისხვით და მტუხარესა,
სრულს წრდილოს კერძოს მაძრწუნარესა,
დიდს ტახტოსანსა საქებარესა,
ვგრძნობ აღტკინებით ცეცხლ მღებარესა,
ვინ არ იგლოვდეს სამწუხარესა,
ვთი მოსკოგსა წვთ მღებარესა,
შვიდასს წელს ტრფობით ნაგებარესა.

II

აწ მზის მოქცევი რაბამ დამწარდეს,
დიდ შენი ტახტი წამს ვით განწარდეს,
ღედა-ქალაქი მტერთ ხელთ შევარდეს,

V

რადგან სოფლისა წეს არს ცვალება,
განგებთ ხვედრსა არ ხვდეს შლილება,
აღეს მოსკოვს შეხვდა წვით დაზვლილება.

ზეალ თვისი საქმე სხვას ემზილება,
ბედ-კეთილობის ხის დაჩრდილება³⁴.

პ. ლარაძის ლექსს სადღაც ეხმიანება ალ. ჭავჭავაძე თავისი ნაწარმოებებით. ერთი მხრივ, ლექსით „პაველე პირველის სასახლისადმი“ და, მეორე მხრივ, გოგჩას ნანგრევებზე მოთქმით. გლოვა, კენესა და ტირილის ხმები, უბედურება, ნგრევა და წვა, ბედნიერი და აყვავებული ცხოვრების წილ. დიდებული ქალაქის მწარე ხვედრი — ასეთია ის ცოცხალი სურათი, რომელსაც დიდი გრძნობით ხატავს პეტრე ლარაძე.

ხოლო ლექსის ბოლო სტროფი — „რადგან სოფლისა წეს არს ცვლილება ...“ კიდევ ერთხელ მოაგონებს ადამიანებს ბედისწერის უკუღმართობას, მის მარადიულ წესს, სიმუხთლეს, და რომ, თუ დღეს მოსკოვს დაატყდა ეს მწარე ხვედრი, ზეალ სხვას მოეკითხება „ბედ-კეთილობის ხის დაჩრდილება“. ასეთია პეტრე ლარაძის მძიმე მოთქმა დიდებული ქალაქის უბედურებით გამოწვეული, რაც მეტად მახლობელია თემატურად, იდეურად, გამომსახველობითი ხერხებით რომანტიკოსთა განწყობილებებთან.

დევნილი, უბედური პოეტის სახეა წარმოდგენილი ლარაძის ლექსში „სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები“, რომელიც თავის მხრივ, ლექსის „სევდის ლაშქარი შემომიხლება“, გავლენას განიცდის.

სევდამ მომხვია გულსა ბრჭყალები,
ზედ დამართო ჭირნი მალის მალეში,
მარად მიოხრავს გულის ძალები
ამაოდ მიდენს ცრემლთა თვალები.

არ მაქვს სავანე. არც ნავთ სადგური,
მებრძვის ხვედრისა ცვლილება შური,
ბნელად მიჩნს დღე და ცისა ლაზური,

მიმოვიქცევი ყოვლით დევნული,
ვარ სურვილითა გახელებული,
წამალს ვეძიებ ჭირ-კვეთებულ³⁵.

როგორც ჩანს, ეს ლექსი ლარაძეს რუსეთს გადასახლებაში დაუწერია. ლექსის შინაარსი და ენობრივი მასალა ამაზე მიუთითებს („ლაზური“, და სხვ.).

34 პ. ლარაძე, ეპა, ვითარსა დროსა მწარესა, ანთოლოგია, თბ., 1928, გვ. 286.
35 დ. ჩუბინაშვილი, ქრისტომათია, II, გვ. 122—123.

ლარაძის ეს ლექსი შეიძლება მივიჩნიოთ იმ ნაწარმოებთა შორის, რომელიც იძლევა ლიტერატურულ მასალას XIX საუკუნეში რომანტიკოს პოეტებისათვის დევნილი გმირის სახის წარმოსაქმნელად.

დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიაში ლარაძის სახელით შეტანილია ერთი მშვენიერი ლექსი, „დრო ცვლილო ბუღბულო“. ტ. რუხაძის აზრით, ეს ლექსი ეკუთვნის გრიგოლ იოანეს ძე ბატონიშვილს³⁶.

ვიხილავთ ამ ლექსს ლარაძის ნაწარმოებთა გვერდით პირობითად (ვინაიდან, ამ შემთხვევაში, ზემოხსენებული ლექსი, ჩვენთვის საინტერესოა როგორც ლიტერატურული ნაწარმოები გარკვეული ტენდენციებით, ხოლო მისი ავტორობა პრინციპულად აქ არაფერს არ ცვლის).

ლექსი „დრო ცვლილო ბუღბულო“ საინტერესოდ გამოხატავს ემიგრანტი პოეტის მწარე გულისტკივილს და მოთქმას იმ ცვლილებათა გამო, რაც საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებამ გამოიწვია:

დრო ცვლილო ბუღბულო. იგლოვდი მწარედ,
ყუფა განაპრავლე ვისა და ვისა,
რადგან ვარდსა ვუზზერ სხვის კვალს მრებარედ.

. . . .

ლექსის პირველი ორი სტროფი თავისი უშუალოდით, სიმართლით, მაღალი პოეტური განცდით სრულიად განსაკუთრებულია. იგი კარგად შეესაბამება ეპოქალურ განწყობილებებს, დროის ცვალებას და საზოგადოებაში დაგუბებულ სევდას. გასაგებია, რომ ეს ლექსი მოსწონდა ილია ჭავჭავაძეს იმ ჭეშმარიტი მწუხარების გამო, რაც დაკარგულმა თავისუფლებამ მოჰგვარა საქართველოს ღირსეულ შეილებს:

ქვე ცის სფეროს უდრი სხვა მსგავსსა არა,
ხმობდი, „მზე აცუღდა, მთვარე დაჰყარა,
რად არ მაჯნუნი კვლა არ შეიზარა“,
ამად ოხერა გმართებს ვისა და ვისა.

შებრალდეს ტკბილ-მსტვენნი, მკვდრად მიღებული,
საბრალო მტირალი, ცეცხლ მოღებული³⁷.

განხილული ლექსი სადღაც ეხმიანება აკაკი წერეთლის პოეზიაში ბუღბულის სახეს, — აკაკისეულ ბუღბულის სტვენას, როგორც პოეზიის სევილიან ჰანგთა მხმობელს. სატრფიალო ალევგორიზმიც, ამ შემთხვევაში ბუღბულის სახით წარმოდგენილი, აკაკი წერეთლის ალევგორიის

³⁶ ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 110.

³⁷ დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, II, სპპ, 1863, გვ. 121.

წინამორბედი. აკაკი წერეთლის პოეზიაში ბულბული სრულებითაც არ იწვევს აღმოსავლური ვარდ-ბულბულიანის ასოციაციას, ხოლო ლარაძის (თუ გრ. ბატონიშვილის) პოეზიაში აღეგორიული მგოსანი — ბულბული, რომელიც სამშობლოს ტრაგიკული ბედის მოტრფე და მოტირალია, ბულბულის სახის აკაკისეულ აღეგორიასთან უთუოდ ახლო ნათესაობაშია.

და ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ტიპიური წარმომადგენელია გარდამავალი პერიოდის ქართული მწერლობისა. იგი უფრო პოპულარული იყო თავის დროზე, როგორც თელავის აკადემიის რექტორი. დავით აღექსიშვილის სასწავლებელი იმხანად უპირველესი იყო ქართულ სასწავლებელთა შორის. დავით რექტორის პოეზია არ განირჩევა იმ ლირიზმით, უშუალობითა და ცოცხალი პოეტური სულით, რაც ასე ნიშანდობლივია ბატონიშვილი ქალების პოეზიისათვის იმავე პერიოდში, და ნაწილობრივ, პეტრე ლარაძისათვის. დავით რექტორის პოეტური ხერხები უმეტეს წილად ტრაფარეტულია. მოცვეთილი, უამრავჯერ ნათქვამი და ჭეშმარიტ სიცოცხლეს მოკლებული. მაგრამ მის ლექსში არის სევდის მოტივებიც, ელეგიები, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემასთან დაკავშირებული კითხვები. დავით რექტორის პოეზიისათვის კარგად ნაცნობია „სოფლისადმი მღურვა“, რაც თეიმურაზიდან მოყოლებული, შემდეგ ემიგრანტულ პოეზიაში გადატანილი, ერეკლეს პერიოდის მწერლობაშიაც და განსაკუთრებით მომდევნო ხანებში, 800—820-იან წლებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ტ. რუხაძის აზრით, დ. რექტორის პოეზიის ეს მოტივი რომანტიკულ განწყობილებებზე მიუთითებს. — „საერთოდ, ეს „რომანტიკული მღურვა სოფლისადმი“ დამახასიათებელია დავით რექტორის ყველა ლექსისა. ეს კიდევ უფრო გამოსჭვივის ელეგიკურ ლექსებში“³⁸.

დავით რექტორის განწყობილებები ცრუ კლასიციზმის პოეზიისა და განმანათლებელთა ლიტერატურის მონათესავე ტენდენციებს ამჟღავნებს. ამ ხასიათის პოეზია თავისთავად უპირისპირდება რომანტიკულ ლიტერატურას პრინციპულ საკითხებში, მაგრამ მრავალი საერთო ძაფები ამავე დროს მჭიდრო ურთიერთობას აბამს ამ მიმართულებათა შორის. ასეა ევროპულ ლიტერატურაში და ასევეა ქართულშიც. განმანათლებელთა ტენდენციებში რომანტიკოსთათვის საინტერესო მრავალი საკითხი და თვალსაზრისი იჩენს თავს.

დავით რექტორის ცნობილი მღურვა სოფლისადმი, როგორც რომანტიზმის წინარე პერიოდის ლიტერატურა, დაიმოწმა 1936 წელს გ. ჯიბლაძემ:

³⁸ ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 29.

ჰე, საწუთრო, რად შთამაგდე ესოდენ ჰირსა,
დატყვევდა გული, მოუთმენლად ნიადაგ სტირსა,
ვერ ვჰპოვე შემწე მან ნუგეშ მცეს სიცოცხლეს მწირსა,
ამად მივეცი დაუცადლად სულ-თქმასა ზშირსა,
პოი უწყალოვ, გაქეს ქცევანი ცვლადნი და ზლათნი³⁹.

ეს სტროფი დავით რექტორის პოეზიიდან მართლაც განსაკუთრებულად ენათესავენბა რომანტიკოსთა პოეზიას. სახასიათოა დავით რექტორის ლექსი მეუღლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სადაც სოფლისადმი მდურვა კონკრეტულ იდეას უკავშირდება, გლოვას უახლოესი ადამიანის დაკარგვის გამო. ამიტომაც დავით რექტორის მოთქმა მეტ უშუალობას და სიმწვავეს ამჟღავნებს:

მევირან სოფლისა მუხთლობანი, წამთა კრილობა,
ვეტრფოდი მზესა და მეგონნეს სურვათ გრძელობა,
სოფელმან ტყორცვით საყალნოთი მომცა მკულელობა,
იგავთ არ დასცხრა და დახატნა გამოჩინება⁴⁰.

დავით რექტორის ლექსში სოფლის მუხთლობა, უხანობა, სიკვდილის საშინელება გამონახულია არა რომანტიკოსის, მაგრამ მისი წინამორბედის გრძნობით.

დავით რექტორს აქვს ლექსი, მიძღვნილი თამარ მეფისადმი. ეს ლექსი ნათესაობას ამჟღავნებს ზოგიერთი შტრიხით გრიგოლ ორბელიანის ცნობილ ლექსთან „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. დავით რექტორის ლექსი ბევრად უფრო მკრთალია და უღიმღამო, ორბელიანის ლექსის გვერდით ჩრდილში იკარგება, მაგრამ უდავოა ბევრი რამ საერთო, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ორივე თამარ მეფეს შეეხება, ვინაიდან ეს დიდი თემა მეტად მრავალნაირად გადაწყვიტა სხვადასხვა მწერალმა. დავით რექტორის ლექსში არის ასეთი სტრიქონები:

სახელნი ზესთა განფენილნი მარადის,
ჰეი, მეფეო, თამარ ქველ დიდებულო,
ყოველ სიკეთითა ბუნებრივ-შვენიერო,
სად დახდა ხატი ელვარე ეთერებრი?
ვჰძრწი თქმად და სიტყვად, უმჯობეს მღუმარება⁴¹!

ახლა შევადაროთ სათანადო ადგილი გრ. ორბელიანის ლექსიდან —

შენს წმინდა სახეს,
მშვენებით სავსეს.

³⁹ დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქრისტომათია, II, გვ. 108.

⁴⁰ იქვე, გვ. 110.

⁴¹ ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, გვ. 61.

სახიერებით განსხივებულსა,
ვემზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლმორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის — გიმზერ,
ვპსწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვპგრძნობდე,
ჩემი საშობლოს სულით დაცემას!...
ყვაელოვანი
წალკოტი შენი,
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა პშვენის,
აღარ გვიბრწყინავს,
შავ ღროთა ძალით ფერ წახდენილი⁴²!...

თითქოს საწყისის სახით არსებობს დავით რექტორის ლექსში ის პოეტური აღქმა თამარის სახისა, რაც ასე ძლიერად გამოსახა შემდგომში გრიგოლ ორბელიანმა თავის ლექსში.

საერთო თვალსაზრისი უდავოა ამ ორ ნაწარმოებში თამარ მეფის პოეტური სახის გახსნისას.

დავით რექტორის თხზულებებიდან აღსანიშნავია აგრეთვე ლეონ ბატონიშვილის გლოვა სახოტბო პოემიდან „ქება ლეონ ბატონიშვილისა“. გლოვაში ყურადღება გამახვილებულია ლეონის ცხენზე, როგორც რაინდის უპირველეს ატრიბუტზე. გმირ-მხედრის განუყოფელი ნაწილია მისი რაში, ასეა მიღებული შუა საუკუნეების ლიტერატურაში, რომანტიკოსებთან რაშისა და მხედრის სახე გარკვეულ ადგილს იჭერს. ქართულ რომანტიზმში რაშის პრობლემას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ტაიქო მისო, უცხო კეთილმორბედო,
აღმხედრებული შენი მკვირცხლი მხედარი,
სად დაუტევე, ანუ ვიოარ ადგილთა,
უმისოდ რამცა გექმნეს მოძრაობანი
რათამცა სხვანი გამკობდენ სიმალითა⁴³.

საგულისხმოა, რომ დავით რექტორთან რაშის თემატიკა, როგორც ტრაგიკული გმირის ატრიბუტი, გარკვეულ ადგილს იჭერს. ქართულ პოეზიაში ამ თემატიკას შორეული საფუძვლები მოეძებნება ლიტერატურაში, უპირველეს ყოვლისა, ვეფხისტყაოსანში და ხალხურ პოეზიაში. ამ მხრივ, ბარათაშვილის „მერანი“ სრულიად ორგანულად

⁴² გრ. ორბელიანი, თხზ. სრული კრებ., თბ., 1959, გვ. 76.

⁴³ ტ. რუხაძე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტორიიდან, გვ. 84.

დგას ნაციონალურ ფესვებზე, მას დიდი და საინტერესო ტრადიციები აქვს მშობლიურ ლიტერატურაში და ფოლკლორში.

საქართველოს ე. წ. გარდამავალი პერიოდის ლიტერატურა დაკავშირებულია დიდ ისტორიულ ძვრებთან. ერეკლე მეფის ნაბიჯმა მრავალი ცრემლი დაადგრევიანა მის საყვარელ ასულებს — მარიაშ, ქეთევანს და თეკლეს. მათ ეს ცრემლი და კაეშანი გამოხატეს თავიანთი პოეზიით. მეფის ასულთა განწყობილება გავლენას ახდენს მთელ რომანტიკულ პოეზიაზე საქართველოში. ამ პოეტ ქალთაგან ყველაზე ნიჭიერია უფროსი და — მარიაში.

მარიაში ერეკლეს ასულს ადრიდანვე მისი თანამედროვენი უნიჭიერეს პოეტად მიიჩნევდნენ. ლევან ასათიანს თავის გამოკვლევაში მოჰყავს ბარბარე ქობულაშვილის სიტყვები: „მარიაში იყო დიდი ნიჭიერი, დიდათ დახელოვნებული საღმთოს წერილში, ისეთი მოლექსე, რომ ამბობდნენ — დიდის მეფის თეიმურაზის ნიჭი გამოჰყვა ამ ქალსაო“⁴⁴ (ხაზი ჩვენია, მ. კ.).

იერემიას ტირილს ჰგავს მარიაშის გოდება სამშობლოს ჩასვენებულ მზეზე, დანგრეულ სამეფო შტოს უბედურ ყოფაზე. მარიაშის „სოფლისადმი მღურვა“ გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში ტონის მიმცემია. მის ლექსებს სამშობლოს სიყვარულზე და მის მწარე ბედზე დიდი გრძნობით კითხულობდა ოცდათორმეტი წლის შეთქმულებაში მონაწილე ქართველი ინტელიგენცია. ლ. ასათიანის ცნობით, მარიაშის ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა შეთქმულთა შორის. მარიაშის გავლენა ეტყობა გარდამავალი ხანის პოეტებს და საკუთრივ ბატონიშვილთა პოეზიას, განსაკუთრებით მისი დების, თეკლესა და ქეთევანის შემოქმედებას.

ბაგრატიონთა სამეფო კარის ტრაგედია, დრამატულ მოვლენათა მწვევე აღქმა განსაკუთრებულ, თავისებურ ელფერს ძენს მარიაშის მწუხარებით სავსე ლექსებს. მარიაშის პოეზია მკვეთრად განსხვავდება თანამედროვე პოეტთა შემოქმედებისაგან. ტრაგარეტული პოეტური ხერხები ნაკლებად იტაცებს პოეტს, მისი შემოქმედებითი მეთოდი ახლოა რომანტიკოსთა ბუნებრივ, ცოცხალ მეტყველებასთან და განწყობილებათა გადმოცემის უშუალობასთან. იმ პერიოდის პოეზიაში კი, როგორც ვიცით, შემუშავებულია და დაკანონებული კლასიციკლური მანერის მსგავსი, გრძნობათა გამოხატვის თავისებური და ხელოვნური სტილი, ჭარბი და არამეტყველი ზედსართავებით სავსე. მარიაშის პოეზია ამ მხრივ მეტად საინტერესო სიანლეს წარმოადგენს. იგი ამ პერიოდის ქართულ პოეზიაში ნოვატორად გვევლინება.

⁴⁴ ლ. ასათიანი, ძვ. საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 197.

აპა, დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვის ხმანია:

მარიამი გოდებს სამშობლოს დაკარგულ თავისუფლებას, თავისი დიდი ოჯახის დაკარგულ სამეფო ტახტს. მარიამის ლექსთა მოტივი, გოდება, ძირითადად ამ საკითხების ირგვლივ ირეკლება, რაც გადადის ზოგად-ფილოსოფიურ მდურვაში წუთისოფლისადმი. მარიამის გამოთქმა, „განცვიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო“, გარდამავალი ხანის პოეზიაში გვხვდება სხვადასხვა ვარიანტებით, მაგალითად, ლეონ ირაკლის ძის გლოვაში (ავტორი უცნობია)⁴⁵, არის ასეთი სტრიქონები:

განცვიფრდი ცაო, შეძრწუნდი ქვეყანაო
დაეცი მთაო, აპა, საკვდავად მზაო⁴⁶.

მარიამის ლექსში ვკითხულობთ:

განცვიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო,
მეცა დამფარეთ ღრუბელთ, ნისლთაო⁴⁷.

მარიამის გლოვათა პერიფრაზები გვხვდება არა მარტო მის თანამედროვეთა პოეზიაში, არამედ რომანტიკოსებთანაც, განსაკუთრებით ალექსანდრე ჭავჭავაძესთან. მარიამის ლექსებში ხშირად ფიგურირებს „ჩრდილოეთის ქარი“, „ჩრდილოეთის ღრუბელი“, რომელიც ფარავს აღმოსავლეთის მზეს, „ჩრდილონი“, როგორც მტრული ძალა „სადავითოს“ ძლიერებისა, გამანადგურებელი მისი მომავლის მეუფებისა. ეს გამოთქმები არაერთხელ იხმარება მარიამის შემდგომ, სხვა პოეტებთანაც, პირველ ყოვლისა, მარიამის, დებთან, ქეთევანთან და თეკლესთან. ამავე დროს, ეს გამოთქმები შესულია რომანტიკოსთა პოეტურ მეტყველებაში, განსაკუთრებით ალ. ჭავჭავაძესთან. „ჩრდილოეთის ქარი“, როგორც აღვნიშნეთ, შესულია ბარათაშვილის პოეზიაშიც.

ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!

— ცნობილი სტრიქონები პოემიდან „ბედი ქართლისა“, იმხანად ქართულ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებულ, მრავლისმეტყველ

⁴⁵ იხ. ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტორიიდან, გვ. 85.

⁴⁶ „გლოვა ლეონ ირაკლის ძისა“, ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტორიიდან, გვ. 86.

⁴⁷ მ ა რ ი ა მ ი, „აპა, დამეცნეს რისხვით ცანია“, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, გვ. 218.

ფიგურალურ გამოთქმას ემყარება, რომელსაც ღრმა შინაარსი ჰქონდა მიცემული იმ პერიოდის ქართულ პოეზიაში.

მარიამის საუკეთესო ლექსია „აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია“.

ჰოი, შევესწარ ამა დარესა,
ძნელ სახილველსა შესაზარესა!
სადავითოს მტილს, მოფხვრულს არესა,
მზღველთ სისხლისა ცრემლ-საღვარესა,
ვაჰ, ვერ ვსჭვრეტ დიდთა მნათობთ გვარესა,
ამად მივეცი ღღესა მწარესა,
რადგან მზე ჩვენი ჩრდილოთ ჰფარესა,
აწ დამქროლვიდეთ არ სახმარესა.
სევდით გრაგნილსა, ძნელ სამყაროსა,
აწ, გულო, გქონან ესდენ წვანია,
აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია,
ისმინეთ საწყლად გლოვას ხმანია!
განცვიფრდი ცაო, განჰკრთი მიწაო,
მეცა დამფარეთ ღრუბელთ, ნისლთაო,
აჰა, დ ა ნ თ ქ მ უ ლ ი ჩ რ დ ი ლ ო თ ზ ღ ვ ი თ ა ო ,
მარად ვაფრქვევდე ღრუბელ-ნისლთაო,
ვაჰ, განგვაშორეს მზენი სითაო,
ჰყვეს განღვენილნი შორის გზითაო⁴⁸.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი ალ. ჭავჭავაძის პოეზიიდან და მარიამის ლექსებს შევეუდაროთ, რადგან ამ შედარებით აშკარად გამოჩნდება ის ნათესაობა, რაც ამ ორი პოეტის ლექსებს შორის არსებობს.

მარიამ ბატონიშვილი —

მზის მსგავსნი სხივნი ღრუბელთ დაჰფარნეს,
მიქმნეს სიცოცხლე ნაღვლის უმწარეს,
ვინ მანუგეშებს მარად მწუხარეს?
მრისხანეთ ჯალათთ აქვთ ხრმალწვედილობა.

ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან,
მძვინვარედ მქროლმან და დაუწყყნარმან,
ჩემნი მთიებნი ჰყო გარის გარმან⁴⁹.

ალ. ჭავჭავაძე წერს:

დავიღწენ მთენნი
შარავანდ მფენნი
აწ იგი მზენი.

⁴⁸ მ ა რ ი ა მ ი, აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ძვ. საქ. პოეტი ქალები, გვ. 218.

⁴⁹ მ ი ს ი ვ ე, მუხამბაზი, იქვე, გვ. 214.

ჭფარვიან ღრუბელს
აედრის საგუბელს,
წყვილიადასა და ბნელს.

ვსკმუნავთ ბედ-მწირნი,
გვხვევიან ჳირნი
ფოთოლო უხშირნი⁵⁰!

მარიამ ბატონიშვილი წერს:

დაბრუნდა ეტილი უკუღმა,
წარხდა დღე კეთილ-მზიანი,
დაემხო ტახტი მაღალი,
რა ბედნიერი, სვიანი⁵¹.

ალ. ჳავჭავაძე თითქოს ებასუხება მარიამის მოთქმას, —

წყვეულ არს ის დრო, როს სამკვდრო დავკარგეთ კრუნლნი!
გვძლივა სოფელმან ხელ-ყოფელმან. ან გვაგო შურნი⁵²!

მოთქმა წარსულ, დამსხვრეულ დიდებაზე, წარსულ ბედნიერ ღროებაზე, მეტად აახლოებს მარიამის პოეზიას რომანტიკოსთა განწყობილებებთან. მარიამის პოეზია ქართული რომანტიზმის უშუალო და ერთ-ერთი უახლოესი წინამორბედია. აყვავებულ წალკოტად წარმოუდგება მარიამს მარად ომებში და მარად სისხლის ღვრაში გახვეული მისი სამშობლოს ისტორიული წარსული. ყველაფერი იყო მშვენიერი, რადგან იყო თავისუფლება — ასეთია მარიამის ლექსთა დედა-აზრი, ამასვე იმეორებს ალექსანდრე ჳავჭავაძის პატრიოტულ ლექსთა წყებაც.

მარიამი წერს:

ჩემი წალკოტი აყვავებული,
ყვავილოთ სიმრავლით განმშვენებული,
იქმნა, ამაღ ვჳსტირ. ცეცხლმოდებული,
ოთხკიდე სახელგანდიღებული.
ვის შეხვდა მათი მოადგილობა?⁵³

საპატიმროში მყოფი პოეტი ალექსანდრე ჳავჭავაძე ოცნებით იგონებს თავისი სამშობლოს წარსულს, თავისუფალ ღროებას.

წარმოიდგინეთ იგი ჟამნი,
ყოვლად ძვირფასნი მისნი წამნი,

⁵⁰ ალ. ჳავჭავაძე, ოპ, ვოთ გვემტყუნენა, ლექსები, 1949, გვ. 27.

⁵¹ მარიამი, მოვსთქვამ სულთქმითა..., ძვ. საქ. პოეტი ქალები, გვ. 221.

⁵² ალ. ჳავჭავაძე, ისმინეთ მსმენლო, ლექსები, გვ. 73.

⁵³ მაზიამი, მუხამბაზი, ძვ. საქ. პოეტი ქალები, გვ. 216.

როს ვიქადლოდით ყოვლნი გვამნი
პატრონის ყოლით, მის წან ბრძოლით!⁵⁴

ბატონიშვილი ქალების განწყობილებათა გამოძახილი იგრძნობა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში, იქ, სადაც მგლოვია რე სტრიქონებით გამოიტირებს პოეტი დაქცეულ საქართველოს ტახტს, ღრუბელმიფენილ შარავანდედს ქართული მზისას, — მეფის დიდებას, და ნატვრით იგონებს იმ დღეებს, როცა თავისუფლება და თვითმმართველობა ქართველებს ეპყრათ ხელთ.

საპატიმროში მყოფი ქეთევან ბატონიშვილი, რომელიც ოცდათორმეტი წლის შეთქმულთა ბედს იზიარებდა, რომანტიკული სტრიქონებით ამაღლელებლად გამოიტირებს თავისი სამშობლოს მწარე ბედ-იღბალს.

ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი,
ჩრდილოთ ვიბილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
აღმოფხვრა ვარდნი, უცხოდ ნაზარდნი,
თვისთა მამულთა ჰყო განავარდნი⁵⁵...

ქეთევანის ლექსის პოეტური თქმები, იდეა, და მისი განსახიერება, მარიამის გავლენას განიცდის. პოეტურად ქეთევანის ლექსი საკმაოდ მაღალ დონეზეა. ამ ლექსის ბოლო სტროფი მეტად ექსპრესიულია და თავისი განზოგადებით, მნიშვნელოვნად და საინტერესოდ ჟღერს:

რად არ დაგვიწყდი, ჰოი სოფელო,
არ ხანიერო, ცუდ სამყოფელო,
მცირის ჟამისავ, არ დამყოფელო,
ჩემებრ უბედოთ ცუდ სამყოფელო
მაგრამ ბედნიერთ პირდამყოფელო.
ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელი⁵⁶.

ქეთევანის „სოფლისადმი მღურვა“ მეტად წააგავს გურამიშვილისა და განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის დამოკიდებულებას სამყაროს ძალებისადმი. „სოფლისადმი მღურვა“ რომანტიკოსთა განწყობილებას მეტად კარგად ეხამებოდა, ამიტომაც, წინა პერიოდის ლიტერატურისაგან რომანტიკოსები უხვად სარგებლობენ მსგავსი თემატიკით.

⁵⁴ ა ლ . ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , ოპ, წარმავალნო, ლექსები, გვ. 34.

⁵⁵ ქ ე თ ე ვ ა ნ ი , გაფი ღუგაში სათქმელი, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი , ძვ. საქ. პოეტი ქალები, გვ. 238.

⁵⁶ იქვე, გვ. 240.

ქეთევანის ლექსის პასუხად მის დას, თ ე კ ლ ე ს, დაუწერია აგრეთვე ლექსი, სადაც უერთდება დის გლოვას, და თან სულგრძელად ტანჯვათა მოთმინებას ურჩევს.

რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირეს ხანს ლხინთა განმწარებანი,

იგლოვ მაღალს ტახტს, ვაი, წარხდომილს,
დიდებულს პალატს, მძსწრაფლად დამხობილს,
შვება-სიხარულს, ტრფობით შეშკობილს,
ეტლ-დაბრუნებულს, მოყვასთვან გმობილს,
გსურს მყის სიკვდილი გულლახვარსობილს,

პე, გულო, რად გაქვს ესდენ წყინება,
მარად სისხლისა ცრემლთა დინება,
გუშაგთ სიმრავლით თვალთა შინება,
მათვან უწყალოდ ჭირთა ჰსმინება?
რადვან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება,
გრძალვით ითმინე სახმელთ გზებანი⁵⁷.

საინტერესოა თეკლე ბატონიშვილის ლექსი „თეჯლისი“, სადაც იგი დაკარგულ ბედნიერებას უჩივის, დაკარგულ სამეფო დიდებას. თეკლე ამ ლექსში ახსენებს შორს მჭვრეტ შავ თვალებს, რომლებიც მთიებს ედარება, და რომელთა ნატვრა დაკავშირებულია რაღაც განსაკუთრებულ ძლიერებასთან:

შავნი თვალნი მხედვნი სად განკარგულა
სად ვეძიებ მთიებს და სად დარგულა,
რისთვის ჩემი გული სად დადაგულა,
მოვედ შავნო თვალნო, მხედველნო ცისა⁵⁸!

ვინაიდან ამ თვალთა ხედვაზეა დამოკიდებული განსაკუთრებული ძლიერება, და იხსენიება ისინი წარსულში მხსნელად, ვფიქრობთ, უნდა იგულისხმებოდეს ერეკლე მეფე, რომლის ძლიერებასთან ერთად წარსულს მიეცა საქართველოს თავისუფალი ცხოვრებაც, და ამ გაგებით, ბედნიერება. სწორედ ამიტომ, მოუხმობს თეკლე იმ ღრმად მხედველ თვალებს, რომლის პატრონი ერის მწყემსიც იყო.

თეკლე, თავისი დების მსგავსად, სამშობლოს ბედს თავის პირად ხვედრს უკავშირებს. და ამიტომაც თავს უბედურად მიიჩნევს. თეკლეს ორი ვაჟი — ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, დედისაგან მემკვიდრეობად მიიღებენ პოეტურ ნიჭს, სამშობლოს სიყვარულს და აწმ-

⁵⁷ თ ე კ ლ ე, ქეთეონს. ძვ. საქ. პოეტი ქალები, გვ. 155—156.

⁵⁸ მისივე, თეჯლისი, ძვ. საქ. პოეტი ქალები, გვ. 257.

ყოს მიმართ შეურიგებელ განწყობილებას. თეკლეს ორივე ვაჟი რომანტიკოსია.

მწუხარე ბატონი შვილების პლეადაში, სამი დიდებული პოეტი ქალის გვერდით, სადაც ჭეშმარიტ მოთავედ მარია ირაკლის ასული წარმოგვიდგება, მოვიხსენიებთ აგრეთვე მათ ძმებსა და ძმისწულებს, ბატონიშვილებს: დავითს, ფარნაოზს, მირიანსა და თეიმურაზს.

ქართული ემიგრანტული პოეზიის წარმომადგენლები — რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები, იქ ეზიარნენ XIX საუკ. დასაწყისის რუსეთის მაღალ საზოგადოებაში გამეფებულ ლიტერატურულ გემოვნებას. ეს გემოვნება ამ პერიოდისათვის, ძირითადად კლასიკური განათლებით იყო განპირობებული — კლასიციკლური, სანტიმენტალური და განმანათლებელთა ლიტერატურის შესწავლაზე დაფუძნებული. ხოლო რომანტიზმი რუსეთში 810-იან წლებში სულ ოდნავ იწყებდა არსებობას (გარკვეულ ადგილს რუსულ ლიტერატურულ ცხოვრებაში რომანტიზმი იმკვიდრებს მხოლოდ XIX საუკ. 20-იანი წლებიდან). ბატონიშვილების რუსეთს გადასახლების პერიოდში, იმ ხანაში, როცა მათი ლექსები იწერება, რუსეთში ბატონობს განმანათლებლობა და სანტიმენტალურ ლიტერატურაზე აღზარდილი გემოვნება.

ბატონიშვილების პოეზია არ არის თავისუფალი ამ პერიოდის მოწინავე რუსული საზოგადოების ლიტერატურული გარემოს ტენდენციებისაგან. მაგრამ სპეციფიკა ქართველი ბატონიშვილების მდგომარეობისა, სპეციფიკა მათი მშობლიური ლიტერატურის ტრადიციებისა, წარმოშობს თავისებურებას ბატონიშვილთა ამ პერიოდის შემოქმედებაში. ეს თავისებურება არის სევდა პირადი, სევდა მამულიშვილური, რომელიც გადადის ფილოსოფიურ, ზოგად მდურვაში ცხოვრების კანონთა მიმართ. სწორედ ამ მოტივით ბატონიშვილების პოეზია რომანტიკოსთა შემოქმედებით არსს უახლოვდება, სადაც პიროვნების სევდა აყენებს ახალ, ზოგად საკითხებს, ეპოქალური ტკივილებით განპირობებულს.

დავით ბატონი შვილის შემოქმედება, ერეკლეს ასულების მსგავსად, არ არის მხოლოდ მწუხარე ელეგიებისაგან შემდგარი ლექსების კრებული.

დავით ბატონიშვილი იყო ცნობილი ქართველი ვოლტერიანელი. ამით მან მეტად გაანაწყენა საკუთარი მამა, მეფე გიორგი XII. ხოლო, როდესაც დავითი რუსეთს გარდაიცვალა, იმდროინდელ გაზეთებში აღნიშნეს „ვილტერიანელის სიკვდილი“. მიუხედავად დავით ბატონიშვილის ამგვარი განწყობილებისა, მის პოეზიაში მაინც იელეებს

ხანდახან რომანტიკული ტენდენციები, რაც გამოწვეული იყო ბატონიშვილთა რეალური მდგომარეობით. ისინი ხომ ტანტდაკარგული და უცხო მხარეს გადასახლებული უფლისწულები იყვნენ. ამგვარი პირობებისათვის კი, ევროპაში ახლადშემოჭრილი ლიტერატურული მიმართულება, რომანტიზმი, სათანადო გამოძახილს ჰპოვებდა ქართველ ემიგრანტ პოეტებში, ტანტდაკარგული სამეფო სახლის წარმომადგენელთა შორის:

გამიფრინდა სიხარულის ფრინველი,
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,
დავშთომილვარ ასე აწ უნუგეშოდ,
უბედობის გამო სხვისა და სხვისა.

რად შესჭრიან მზესა წვრილ-წვრილნი ხალნი?
შეუშოსავე მასვე ლამაზად აღნი,
ვგუშაგობ არ ეცეს მჭკრეტელთა თვალნი,
რაყიფთა გამო სხვისა და სხვისა⁵⁹.

„გამიფრინდა სიხარულის ფრინველი“ დავით ბატონიშვილის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია, რომელშიაც დიდი სიხარულის დამკარგავი ემიგრანტი უფლისწულის სევდიანი განწყობილებებია წარმოსახული.

„უბედური ხვედრი“, რომელსაც შეესწრო დავით ბატონიშვილი, იელვებს მის ლექსებში და მის პოეზიას სევდის ელფერს აძლევს.

რად ამ უბედურ ხვედრსა შევესწარ,
ოდეს ოხრად დამრჩა ჩემ მტილს იანი,
ვერ განვიშვი გლახ ქმნილმან მათის ჭკრეტითა,
ეზეების ყოველს ყვავილს იანი.

.....
როს ვერღა ვსჭკრეტ აწ მათ ჩემს წალკოტს შლილთა,
ამად მივჭკემივარ სევდასა წვლილთა,
ვაი-თუ ჰსჭკრეტდენ სხვანი ზროზად მიხდილთა,
ამით მიმათხვევენ წალკოტს იანი.

.....
უბედურად ვხედავ ჩემს კერძ ეტლს სვესა,
გამოვაკლდი თქვენგნით მოყვასთ შემწესა,
ნეტა რად დავესწარ ამ მზის მოქცევასა
ყარიბს რად არა ჰსჭკრეტთ მტირალს იანი⁶⁰.

⁵⁹ დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, გამიფრინდა სიხარულის ფრინველი, ანთოლოგია, 1928, გვ. 281.

⁶⁰ დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, უბედური ხვედრი, — ტ. რ უ ხ ა ძ ე, ძვ. ქარ. ლირიკის ისტ., გვ. 118—119.

დავით ბატონიშვილი „სოფლისაგან განაწირს“ უწოდებს თავის თავს და ამის გამო დასტირის ბედს. მისი მთვარე „შავმან ღრუბელმან“ დაჰფარა, და მისი სვე სამუდამოდ მოაკლდა ნათელს:

რა შევიქენ სოფლისაგან ეძრეთ მწარეთ განაწირი,
ამის გაჟო შესაწყალი, მოთქმით სვესა ჩემსა ვჰსტირი.
მთვარეს ბაკი გარს მოველო, ნისლთა შუა ირისებრი
ღრუბლის ნაცვლად მორთულობით, ბნელსა დაეფარა პირი⁶¹.

საინტერესოა დავით ბატონიშვილის ლექსი პეტრე ლარაძისადმი მიძღვნილი, სადაც „სოფლის სიმუხთლევია“ ლაპარაკი, რომელმაც უცხო მხარეს გადასახლება მიუსაჯა ერეკლეს კარის პოეტს, მის მწიგნობართუხუცესს, პეტრე ლარაძეს. გადასახლებულთა საერთო ბედი, სამშობლოს მოშორების გამო ტანჯვა კიდევ უფრო აახლოებდა მათ სულიერად. ასეთია ამ ლექსის განწყობილებაც:

სოფელმან მიმცა უბედობას განსაბძარველად
წარსატყვევენელად იავარად აღმოსაფხვრელად.
ჰამოვნებასა მყუდროების მძლედ დასახსნელად,
მოყვასთ ხელთ მისცნა ქვანი ჩემზედ დასაკრებელად,
უცხოობაში განმიმზადა ჩასაქოლველად.

კმარა, აკმარე ესდენ დევნა გვრიტსა და მწირსა,
მისის ყვედრისთვის ეს გლახგული მოსთქვამს და სტირსა
ყარბს დევნილსა სოფლისაგან და განაწირსა,
აღურჩევია საფლავები სახლ-საყოფელად⁶².

თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს მ რ ა ვ ა ლ მ ხ რ ი ვ მ ო ლ ვ ა წ ე ო ბ ა ზ ე
ჩვენ ნაწილობრივ შეეჩერდით ქართულ ხალხურ პოეზიაში რომანტიკული ელემენტების ძიებისას. მეცნიერი და პოეტი, თეიმურაზ ბაგრატიონი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში. თეიმურაზ ბაგრატიონის შემოქმედებაში მრავალჯერ გაიელვებს სევდა სამშობლოზე, ან ბედის უკუღმართობაზე.

ბედის უკუღმართობა თეიმურაზთან, ისევე როგორც საერთოდ ბატონიშვილების პოეზიაში, პირდაპირ კავშირშია საქართველოს სამეფო სახლის ტრაგედიასთან და მეფის ოჯახის წევრთა სამშობლოდან გადასახლების ფაქტთან. სწორედ ამ მოტივთა ერთიანობა ბატონიშვილების პოეზიაში ქმნის გარკვეულ თავისებურებას, რომელსაც „პოლიტიკური რომანტიზმის“ განწყობილებები ენათესავენა.

⁶¹ მისივე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტ., გვ. 119—120.

⁶² დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, პეტრე ლარაძეს, ძვ. ქართ. ლირიკის ისტ., გვ. 117.

თეიმურაზ ბაგრატიონი, სამშობლოს მოშორებული წერს:

შენი მიჯნური, შენგან შორს ქმნილი,
რომელსა აქვდა თვალთ ცრემლთა მილი
და მსგავს ირმისა, წყაროს წყურვილი
აწ-წიალს შენსა ის განსცხებს მტკბარად.
შენით ლტოლვილი, დიღეგს ვით ბმული,
აწ შენს სიახლეს შეჰხარის გული⁶³.

ან კიდევ:

რა მიყო ცრუმა სოფელმა,
რა მომიღონა რაჟამა,
ჩამავდო ღრმისა ადგილსა,
თან ჩამატანა რა ჟამა⁶⁴.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის თხზულებებს ფართოდ ბეჭდავს ჟურნალი „ცისკარი“. რომანტიკოსთა შუა ხანს მიღწეული თაობა დიდი პატივისცემითა და ინტერესით ეკიდება თეიმურაზის შემოქმედებას.

„ცისკარში“ 1860 წ. ქვეყნდება თ. ბაგრატიონის პოემა, „ტროადის დარღვევა“⁶⁵, რომელიც ანტიკურ ლიტერატურულ წყაროებს და მითოლოგიას ეყრდნობა.

ავტორს აინტერესებს ტროადის ამბავი თანამედროვეობის თვალსაზრისით.

ტროადაში მომხდარ უბედურებათა, ვერაგული ღალატისა და ინტრიგების ჩვენებით, პოეტი ხატავს თავის სამშობლოში გათამაშებული ტრაგედიის ანალოგიურ სურათს.

პოემის მრავალი სტრიქონია მიძღვნილი ბედისწერის უკუღმართობის, ადამიანთა ცბიერებისა და გაუტანლობის მიმართ.

პოეტის აზრით, ტროა სწორედ ინტრიგებმა და შინაგანმა განხეთქილებამ დაღუპა, ისევე როგორც საქართველოს სამეფო კარი.

ავტორის მთელი სიმბათიები ტროადელთა მხარეზეა. პექტორი, ტროილი და პარისი უფრო მამაცი გმირები ჩანან, ვიდრე თვით აქილევსი. ბერძნები დამპყრობთა როლში გამოდიან, პოემაში ისინი ვერაგობით და ცბიერებით აღწევენ გამარჯვებას.

დამარცხებული გმირული ერის მიმართ სიმბათია ძირითადი ტონია პოემაში. საინტერესოა, რომ თ. ბაგრატიონის ეს პოემა არ იზიარ

⁶³ გ. შ ა რ ა ძ ე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, 1974, გვ. 208.

⁶⁴ იქვე, გვ. 209.

⁶⁵ თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ტროადის დარღვევა, ჟურნ. „ცისკარი“, 1860, № 3, გვ. 33—47.

რებს არც ჰომეროსის ილიადასა და არც ვერგილიუსის ენეიდას თვალსაზრისს. იგივე მითოლოგიური ამბები თ. ბაგრატიონს გახსნილი აქვს სრულიად სხვა პლანში და ამ ახალი ინტერპრეტაციით პოეტი გამოხატავს თანამედროვე, მამულიშვილურ ტკივილებს.

ცნობილია, რომ მირიან ბატონიშვილი ბესიკთან მეგობრობდა, ამ მეგობრობის კვალი მისი პოეზიიდან იგრძნობა. ბესიკისადმი მიღწერილი ლექსი ამ მეგობრობის პოეტური დასტურია. ხოლო ბესიკის პოეზიის უდავო გავლენა მირიანის შემოქმედებაზე მეტად ნიშნეულია. მირიანს წილად ხვდა თავის ძმათა მძიმე ხვედრი, უცხოებაში დღეთა დაღვევა და სიკვდილი. მირიან ბატონიშვილი 1883 წ. ანტონ I-თან ერთად ეკატერინეს კარზე მიემგზავრება, სადაც პირად წარმატებებს აღწევს, ხდება რუსეთის პოლკოვნიკი. იგი რჩება საცხოვრებლად პეტერბურგში და მხოლოდ ერეკლე მეფის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩამოდის საქართველოში. მირიან ბატონიშვილმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია რუსეთის ჩინოვნიკურ სამსახურში. საქართველოდან აღრევე წასული, იგი რუსეთის მეფის კარზე ხდება „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი“ და გენერალ-მაიორი.

მირიანის ლექსები ძირითადად შეიცავს მიძღვნებსა და ქებას ამა თუ იმ თანამედროვე პირისადმი, მისი ლექსების მეტი ნაწილი იმ პერიოდისათვის ტრაფარეტული პოეტიკის ნორმების მიხედვითაა გაწყობილი, ასევეა მისი სატრფიალო ლექსებიც. მაგრამ მირიანის ლექსთა შორის არაერთი მკვლევარის ყურადღება მიიქცია სამშობლოს სევდით გამოწვეულმა ლექსმა — „მოვედით მოყმენო“:

მოვედით მოყმენო, შემოკრბით ჯომარდნო,
მწუხარეს მომხედეთ, შემიწყალენით,
მოყვარეთა მწენო, მტერთ გულის დარდნო,
მისმინეთ ნაღველნი, მით მიბრალენით.

მოვშორდი მშობელთა და ნათესავთა,
სწორთა, მეგობართა, მოყმეთა, თავთა,
მით საწუთრომან მიმცა ნაღველთ შავთა,
ამ დარდით მიხსენით, დამავალენით.

.

აწ ყარიბი მართო დავიარები,
სიყმის მეგობრებთან ვერ ვიხარები,
ამისთვის ვარ ყოველთ შესაბრალეზი,
მაცოცხლეთ თქვენც, ან მოცამკალენით.

ექლენ უცხოობით მწუხარ არს გული,
თქუენის სიშორითა იურვის სული,

მანი რაესთან სმით შეიწრებულო,
სიკვდილს მიეწურვილვარ ამ დარდის სენით⁶⁶.

შირიან ბატონიშვილის ამ ლექსის განწყობილება ფარნაოზ ბატონიშვილის პოეზიის საერთო ტონს წააგავს. ფარნაოზთან უფრო მუქდება და უფრო დრამატულ ფორმას ღებულობს გლოვა აწმყოს უბედურებაზე და დაკარგულ წარსულზე, რაც ბედისწერის სიმუნთლემ მოიტანა თან. ხოლო ყველაზე მეტი პოეტური ძალა ამ პერიოდის მწერლობაში მარიამ ერეკლეს ასულის შემოქმედებას ახასიათებს. მრავალრიცხოვან ბატონიშვილთა შემოქმედებაში, მარიამის პოეზია და იქ ასახული სამშობლოს ბედზე გამოთქმული სევდა, ყველაზე მეტად დაუახლოვდა მაღალი, კლასიკური, მარადიული პოეზიის სათავეებს.

ბატონიშვილთაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ფიგურაა ფარნაოზ ბატონიშვილი. იგი მთარგმნელია ჟან-ჟაკ რუსოს ცნობილი ტრაქტატისა ხელოვნებაზე, რომელიც რომანტიკოსთათვის ერთ მნიშვნელოვან, საპროგრამო ნაწარმოებად იქცა. ამრიგად, თუ დავით ბატონიშვილი ვოლტერიაწიელია, ფარნაოზ ბატონიშვილი რუსოისტად გვევლინება და რომანტიკოსთა განწყობილებებთანაც განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს.

ტ. რუხაძის აზრით: „ფარნაოზი ქართული მწერლობის ისტორიაში შემოდის როგორც ადრინდელი ფეოდალური რომანტიზმის წარმომადგენელი, ... ქართველი უფლისწული გასტირის წარსულს, რომელიც დაჰკარგა, რომანტიკულ დეკლარაციას ჰგავს მისი სიტყვები: „იგონეთ ყოველთა დრონი წინარე“⁶⁷.

იგონეთ ყოველთა დრონი წინარე,
გინა თვისნი ხართ, ანუ ვინ არე,
ოდეს სუფევდით ყოვლნი შინარე,
ჟამ ყოველ განცხრომით მოსალხინარე,
დღენი არ გეხსნესთ მოსაწყინარე,
იშვედდით თავთა გამომჩინარე,
აწც გიხმობთ გლოვა მოუთმინარე,
ისმინეთ ჰირნი მოუსმინარე,
გარდმოუტევთ თვალთა მდინარე⁶⁸.

ფარნაოზ ბატონიშვილის საკმაოდ მოზრდილი ელევია „იგონეთ ყოველთა დრონი წინარე“ ბატონიშვილთა ცხოვრების მთელი სიმ-

⁶⁶ შირიან ბატონიშვილი, მოვიდეთ მოყმენო, ანთოლოგია, გვ. 270.

⁶⁷ ტ. რუხაძე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტ.-დან, თვ. 140.

⁶⁸ ფარნაოზ ბატონიშვილი. იგონეთ ყოველთა დრონი წინარე, ანთოლოგია, გვ. 278—279.

წვავის, მათი პროტესტის, მათი ამბოხების, მათი წარსულის გაიდევალების, აწმყოთი უკმაყოფილებისა და უიმედობის ტიპიური გამომხატველია. თავისი ხასიათით ფარნაოზის ელევია მეტად ახლოა მარიამის მწარე მოთქმასთან სამშობლოსა და ოჯახის ბედზე.

მძინარე ბაღი, ღრუბლებს მოფარებული, დაბნელებული მზის ელვა, „მოუთმინარე ჭირი“, გლოვა, აი, რაც მოუტანა დრომ ედემის მსგავს მოდგმას, დროის ბრუნვისა და მისი სიმუხთლის წყალობით, — „შეგვექმნა ბედი, ვითა მძინარე“, — წერს ფარნაოზ ბატონიშვილი, — წაგვერთვა ძალა, გახმა ჩვენი ვარდის წალკოტი, — ამიტომ გოდებს დიდი ოჯახის წარმომადგენელი, უბედური უფლისწული.

„სოფლის სიმუხთლემ ჟამთა ქცევითა, მიგვცა ჭირებსა დღე დალევითა“, „სოფლის სიმუხთლე“, „ბედის ჩარხის“ უკულმა დატრიალება, დროის ცვალება — აი ის, რამაც შეცვალა ბედი საქართველოს სამეფო კარისა, რისთვისაც ტირის ცრემლგამდინარე მგოსანი ბატონიშვილი:

შემოკრბით ერთად სმენად ხმისანი,
მგლოვარეთ ლექსთა აღმოთქმისანი,
იხილეთ მსგავსნი ედემისანი,
გარმოცვით ღრუბელთ სიბნელისანი,
ოდეს ჰკრთებოდა ელვა მზისანი,
შარავანდები ნათლად ღღისანი.

.

ესე ყოველი წახდა ცვალებით,
მოუცავს ნისლსა მისა თვალებით,
შვიდნი ცთომილნი მსრბოლნი მალებით,
განხმა წალკოტი ვარდის კვალებით
თვალთა მნახველთა შესაბრალებით,
მიგველო ყოველი სწორი ძალებით,
შეგვექმნა ბედი ვითა მძინარე.

.

სოფლის სიმუხთლემ ჟამთა ქცევითა,
მიგვცა ჭირებსა დღე დალევითა,

.

არ არს ნუგეში, არცა მწე ვითა,
ნაცვლად მიმგები უკუნ ზღვევითა⁶⁹.

ფარნაოზთან, ისევე როგორც მარიამთან, განსაკუთრებით მკვეთრად და ცოცხლადაა გამოხატული ბედით უკმაყოფილო უფლისწული

⁶⁹ ფ ა რ ნ ა ო ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, იგონეთ ყოველთა დრონი წინარე, ანთოლოგია, გვ. 278—279.

ლის გრძნობა აწმყოსადმი. „სოფლის სიმუხთლე“, „ჭირნი მოუთმი-
ნარე“, „ედემის მსგავსი ბაღის“ აოხრება, მზისა და ვარსკვლავთა შუ-
ქის დაბნელება, უნუგეშობა, ბედუკუდმართობა, და სხვა ამგვარი გა-
მთქმები ფარნაოზისათვის მეტად ორგანულია და მის პოეზიას მე-
ტად აახლოებს რომანტიკოსთა განწყობილებებთან, როდესაც რო-
მანტიკოსი პოეტები, აწმყოთი უკმაყოფილონი, შეეხებას მხოლოდ წარ-
სულ დღეთა მოგონებაში ხედავენ.

ფარნაოზის გაგებით, ყველაფერი უიმედობას მოუცავს, არ არის
ნუგეში, არც შემწე ვინმე, ამბობს იგი, თავის ღრმად სევდიან, პესი-
მისტურ ელევიაში.

ამ უიმედობის განცდით და წარსულის გაიდევლებით, ფარნაო-
ზის პოეზია უახლოვდება XVIII საუკუნის ევროპელი რომანტიკო-
სების ღრმად პესიმისტურ განწყობილებებს.

გარდამავალი პერიოდის ლიტერატურაში ბატონიშვილებისა და
ემინგრანტების პოეზიას შეიძლება პირობითად ქართული პ რ ე რ ო -
მ ა ნ ტ ი ზ მ ი ვ უ წ ო ლ ო თ .

ყველაზე ახლო და უშუალო კავშირში ქართულ რომანტიზმთან
სწორედ ბატონიშვილების პოეზიაა. ეს სიახლოვე იმდენად ნიშან-
დობლივია, რომ ზოგი მკვლევარი მას რომანტიზმთანაც კი აიგივებს.

ბატონიშვილების განსაკუთრებულ გავლენას განიცდის ალ. ჭავ-
ჭავაძე. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი პერიოდის ანალიზი-
სას გამოკვლევებში თითქმის ყოველთვის ფიგურირებს მისი სიახლო-
ვე ბატონიშვილების პოეზიასთან.

ალ. ჭავჭავაძის ამ პერიოდის შემოქმედებას ამჩნევია რუსოიზმის
განსაკუთრებული გავლენა, რუსოს იდეები პოეტმა შეითვისა თავისი
მოდერის, ფარნაოზ ბატონიშვილის გავლენით.

18 წლის ჭაბუკი ალექსანდრე ჭავჭავაძე გვევლინება ახალი მი-
მართულების დამწყებად ლიტერატურაში. ალ. ჭავჭავაძის ლექსების
პირველი ციკლი შექმნილია ფარნაოზ ბატონიშვილთან ურთიერთო-
ბის ხანაში და მთიულეთის აჯანყების პერიოდში, 1804 წელს. ეს
თარიღი შეიძლება მივიღოთ ქ ა რ თ უ ლ ი რ ო მ ა ნ ტ ი ზ მ ი ს ს ა -
წ ყ ი ს ა დ .

НАЦИОНАЛЬНЫЕ ИСТОКИ ГРУЗИНСКОГО РОМАНТИЗМА

Резюме

Автор исследует истоки грузинского романтизма с древнейших времен до XIX века. В специальной главе рассматривается также грузинская народная поэзия, которая, по мнению автора, играет важную роль в зарождении романтических настроений в грузинской литературе.

По мнению автора, который исходит из анализа многих литературных памятников, для возникновения грузинского романтизма решающее значение имели грузинская средневековая литература и сложившаяся на ее основе литературная традиция.

В труде при суждении о романтизме, о его происхождении и специфике учтены достижения современного советского грузинского и русского литературоведения, а также работы прогрессивных иностранных авторов, взгляды которых разделяет советское литературоведение.

Книга состоит из введения и пяти глав.

Во введении автор прослеживает происхождение романтизма и его основ в мировой литературе. Рассматриваются причины происхождения романтизма как литературного направления, а также его влияния на мировую литературу. Рассматриваются особенности европейского и русского романтизмов, взгляды первых теоретиков и критиков романтизма, их суждения о литературе и искусстве, о значении романтизма.

В работе прослеживаются литературные основы европейского романтизма: античная литература и ее специфика как одна из составных частей основ романтизма; средневековая литература, Данте и его влияние на романтиков; Шекспир — любимый писатель романтиков. Объявляя его своим предтечей, они противопоставляют его творчество литературе классицизма.

Во вступительной части специальный параграф отводится вопросу соотношения русских и грузинских романтиков. Автор работы выявляет новый угол зрения в этих соотношениях. Показана роль русской литературы в творчестве грузинских романтиков. На основе типологического анализа некоторых

стихов и мотивов в творчестве Бараташвили и Лермонтова в Работе выявляются новые особенности.

Творчество первого грузинского романтика Ал. Чавчавадзе с самого начала (1804—1805) носит ярко выраженный романтический характер. Автор доказывает, что в творчестве Ал. Чавчавадзе увлечение поэзией Пушкина и др. представителей русского романтизма начинается с 20-х годов прошлого столетия.

Первая глава работы «**Романтические тенденции в народной поэзии**» посвящается исканиям романтических элементов в народном творчестве.

В грузинском литературоведении выявление истоков романтизма в народном творчестве вопрос совершенно новый.

Автора работы особенно интересуют не фольклорные материалы в творчестве романтиков, а романтические темы и настроения в самом фольклоре.

Романтические тенденции и настроения, имеющие место в народной поэзии, по мнению автора, являются составной частью истоков грузинского романтизма. В этом отношении автор обращает внимание на фольклорные образы, которые отразились в европейском романтизме, и находит типологические связи и с грузинскими фольклорными образами.

Автор анализирует богатый фольклорный материал (сказания, легенды, стихи, песни), который имел бесспорное значение для становления и специфики грузинского романтизма.

С этой точки зрения в труде проанализирована проблема Прометея-Амирани, рассмотрен образ Прометея в европейской романтической литературе.

Грузинское сказание «Этерцани» сопоставляется со средневековым романом «Тристан и Изольда» и с шекспировской пьесой «Ромео и Джульетта» и доказывается, что между этими произведениями существует бесспорное внутреннее типологическое сходство.

Известный стих из грузинского фольклора «Тавпараванский юноша» и «Геро и Леандр» из греко-римской мифологии имеют тождественные темы. Миф этот неоднократно разрабатывался как в античном мире, так и позднее, в Европе. Романтики интересуются этой темой, известна ее разработка Шиллером и Байроном.

Вторая глава работы — «**Древнегрузинская духовная поэзия и вопросы романтизма**».

В этой части работы проанализированы древнегрузинская духовная поэзия, библейская литература, древнегрузинские песнопения, в которых автор выявляет романтические тенденции.

В работе подчеркивается, что романтизм в Грузии, как во всех других странах, возникает из основ закономерного разви-

тия всемирной литературы. В Грузии он внедряется потому, что находит здесь соответствующие предпосылки, соответствующую почву. Эти предпосылки, эта почва и есть грузинская отечественная литература, начиная с древнейших времен.

Литература в раннем средневековье была в основном духовной, она повлияла на моральный, этический и эстетический характер грузинского народа, на его развитие и на его самобытность.

Анализ древнегрузинской поэзии в соотношении с грузинским романтизмом проводится автором по-новому. Совершенно по-новому проанализированы древнегрузинские песнопения, в том числе произведение Давида Строителя «Песнь покаяния». Вопросы эти в соотношении с грузинским романтизмом ставятся впервые.

В произведениях древнегрузинской литературы выявлены характер и направление, сходные с духом и характером произведений грузинских романтиков. Родственные черты и мотивы с древней грузинской поэзией встречаются в стихотворениях Бараташвили — «Моя молитва», «Одинокая душа», «Раздумья на берегу Куры», «Наполеон» и др., в стихотворении Ал. Чавчавадзе «Гогча», в стихах Гр. Орбелиани — «Псалом», «Лик царицы Тамары в храме Бетания» и др.

Автор ставит вопросы: что именно восприняла новая грузинская литература от древней литературы, на чем держатся ее национальные основы, что в этой древней литературе было непреходяще значительным и что влияло на грузинскую литературу в процессе становления романтизма.

В труде доказано, что для дальнейшего расцвета культуры и искусства грузинского народа вечной духовной пищей является та высокая литература, которая создавалась в раннем средневековье.

Третья глава работы — «**Витязь в тигровой шкуре**» и **вопросы грузинского романтизма**».

Опираясь на достижения современного советского литературоведения, учитывая существующий богатый научный материал, автор выявляет романтические элементы в поэме «Витязь в тигровой шкуре» и указывает на ее влияние на становление новой грузинской литературы XIX века. С этой точки зрения автор предлагает новое прочтение некоторых мест из поэмы «Витязь в тигровой шкуре».

В труде дается новое сопоставление стихотворения «Мерани» с поэмой «Витязь в тигровой шкуре».

Автор предлагает новую трактовку и для раскрытия художественного образа Витязя и коня в стихотворении «Мерани» на основе образов поэмы «Витязь в тигровой шкуре» и мировой литературы.

В труде говорится, что Мерани Бараташвили и черный конь Тариэла, который в поэме «Витязь в тигровой шкуре» дважды упоминается как «мерани», родственны мифологическому коню—античному Пегасу. Образ непобедимого витязя-всадника в средневековой литературе выступает весьма рельефно, а конь такого всадника всегда отличается от других коней и тоже всегда особенный, — непобедимый, сильнейший, он самый верный друг всадника, такой конь вместе со всадником часто воспринимается как единый образ. Этот образ из средневековой литературы переходит в романтическую литературу и способствует созданию новых художественных образов. Мерани же Бараташвили имеет достойного предшественника в грузинской средневековой литературе, в поэме Руставели.

Четвертая глава работы «Эпоха грузинского т. н. «Возрождения» и романтические настроения».

В этой части работы автор анализирует творчество Теймураза I, Вахтанга VI, Давида Гурамишвили и выявляет те основы, которые создаются этой литературой для определения грузинского романтизма.

В труде подчеркнута, что кардинальная черта поэзии царя Теймураза — стенания о бытии. Его страдания перерастают в безграничную скорбь, в признание несоответствия законов земного существования.

Автором доказано, что его пессимистические настроения наиболее отразились в «Стенании о бытии». Его поэзию характеризуют также интимность, лиризм, ярко выраженное чувство индивидуализма.

Новые стороны поэзии Теймураза определяют дальнейшее направление грузинской литературы. В XVIII в. их продолжают Вахтанг VI и Давид Гурамишвили.

Эти же новые стороны творчества Теймураза в XIX веке оказывают определенное влияние на специфику грузинского романтизма.

В труде доказано, что в поэзии Вахтанга VI возникает образ лирического героя. Этот образ скорбного, вечно блуждающего поэта-царя — предтеча образа романтического героя. Темы стенания, скорби, присущие поэзии Вахтанга VI, родственны романтизму, который позднее возникает в грузинской литературе.

В труде говорится о том, что герой книги Давида Гурамишвили — «Давитиани» — поэтизированный и идеализированный скорбный витязь. Этот герой своим характером и своими стремлениями откликается на только что зачатые литературные тенденции, порождающие нового героя в Европе того времени. Он предтеча нового романтического героя, появившегося в XIX веке в грузинской литературе.

Герой «Давитиани» прекрасно соответствует эпохальным морально-эстетическим и литературным тенденциям.

Пятая глава работы — «Истоки грузинского романтизма в литературе переходного периода».

В труде на основе анализа особенностей творчества видных поэтов XVIII — начала XIX вв. выявляется ряд новых материалов и доводов о значительной роли этих поэтов в зарождении грузинского романтизма.

Литература переходного периода включает в себя 40—50 лет. Она простирается вплоть до 20-х годов XIX века, а эпигоны этого направления продолжают свое существование еще дольше, параллельно с романтизмом.

Самая близкая и родственная связь с грузинским романтизмом выявляется в поэзии переходного периода.

В работе отмечается, что из грузинских романтиков самому большому влиянию поэзии эмигрантов подвергается творчество Ал. Чавчавадзе.

Многие проблемы и множество мотивов, которые в грузинском романтизме, в частности в творчестве Ал. Чавчавадзе, Г. Орбелиани, Н. Бараташвили занимают видное место, берут начало в творчестве поэтов переходного периода.

В творчестве поэтов переходного периода возникает образ лирического героя, выражающий индивидуальный, субъективный духовный мир поэта. Стихи в форме элегии, пессимистические настроения, глубокая скорбь, чувство одиночества, плач по невозвратному прошлому характерные поэзии эмигрантов и дочерей Ираклия II — Марии, Кетеван, Текле имели большое влияние на творчество грузинских романтиков.

Литературу переходного периода, поэзию эмигрантов и дочерей Ираклия II, условно можно назвать грузинским **предромантизмом**.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	3.
შესავალი	
რომანტიზმის წარმოშობა და მისი საფუძვლები	5
რომანტიკული ტენდენციები ქართულ ხალხურ პოეზიაში	46
ძველი ქართული სასულიერო პოეზია და რომანტიზმის საკითხები	90
ვეფხისტყაოსანი და ქართული რომანტიზმის საკითხები	133
ქართული აღორძინების ეპოქა და რომანტიკული განწყობილებები	157
ქართული რომანტიზმის საფუძვლები და გარდამავალი პერიოდის ლიტერატურა	205.
Национальные истоки грузинского романтизма (Резюме)	241.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 2139

*

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი პროფ.

შ. გოზალიშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. რატიანი

გამომცემლობის რედაქტორი ე. კოდუა

მხატვარი ს. გირკელიძე

მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე

ტექნიკური ნ. თაყაიშვილი

კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 21.9.1982; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.4.1983;
ქაღალდის ზომა 60X90¹/₁₆; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 15,5;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,2;

უე 00824;

ტირაჟი 3500;

შეკვეთა № 3216;

ფასი 1 მან. 45 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Манана Поликарповна Какабадзе

**НАЦИОНАЛЬНЫЕ ИСТОКИ ГРУЗИНСКОГО
РОМАНТИЗМА**

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ

1983